

# რეტენატუნა და სეროვნება

N9  
09/2006

1522/2  
2006

*პეზის*

ზაალ  
ეპანოიძე

*თაბუქანი*


გაჩანა  
პრეგვაძე

*ნუნიდაივი*

ნოდარ  
ტაბიძე

*თაყაი*

თამარ  
წულუკიძე



*პაიპა*

ზაირა  
არსენიშვილი  
ელგუჯა  
ბერძენიშვილი

*მსაგვრობა*



დავით  
კაპაბაძე

*პაიფი*

ფოტო  
მატიანე

*მუსიკა*

ვაჟა  
აზარაშვილი



D. KAKABADZE . 1924 .

# ლიტერატურა და სეროვნება

N9

09/2006

ყოველთვიური ჟურნალი

ISSN 1512-3189

Literature And Art

დამფუძნებელი, პროექტის  
ავტორი და გამომცემელი:

**ვაჟა ოთარაშვილი**

მთ. რედაქტორი:  
ტარიელ ხარხელაური

პასუხისმგებელი  
მდივანი:  
ზურაბ თორია


რედაქტორები:  
დავით შემოქმედელი  
ვერიკო ზამთარაძე

მხატვარ-დიზაინერი:  
მალხაზ თავაძე

გარეკანის მხატვრობა:  
დავით კაკაბაძე

რედაქციის მისამართი:  
რუსთაველის გამზ. 42  
ტელ.: (+995 32) 93 18 69;  
(+995 99) 25 60 14.  
E-mail: vajao@posta.ge

გამოცემის სპონსორია



მ ა ვ თ ი ა ო მ ი

**ს ა რ ჩ ე ვ ი**

*ქართული ლიტერატურა*

- 3 ზახია ახენიშვილი - ჯოჯოხეთის მთავრის შუქზე
- 25 ზაად ებანოძე - ლექსები
- 28 ედგუა ბუჩქნიშვილი - გაზაფხული გუჩიაში
- 33 მახინა ხმადაძე - ლექსები
- 36 დედო ჯახაძე - ლექსები

*თარგმანი*

- 39 ნიკოლოზ ბუჩქიაძე - ესეები  
/თახტონა ბაჩანა ბუგვაძემ/

*წერილები*

- 51 ნოდარ ცაბიძე - სიმალე მწეხლისა  
(კიტა ბუჩიძე)
- 55 სულიმან გუმაშვილი - სიტყვა "ნესის" ეტიმოლოგიის  
ინტერპრეტაციისათვის
- 57 ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი  
ჩამაშენებელი - ნმიდა ნინოს  
გაჩადაცვლების მიზეზი

*მხატვრობა*

- 61 ქეთევან კინწუხაშვილი - მოღეხილობის ავანგარდში  
(დავით ჯაკაბაძე)
- 66 თამთა შავგულიძე - მომზიდვანი ეხომბა  
და სიხვედრე აღაშ ახის

*თეატრი*

- 71 ნათელა უჩუაძე - ხსოვნის სახეში  
(თამაშ ნუნიუაძე)

*პოეზია*

- 77 გუბაშვილი კახაძე - „ის აქ ახის...“ (ვაჟა აზახაშვილი)

*მკვლევარული მუშაურობა*

- 82 დედო სამხაჩაური - „ღლის გაჩადაცვლება“ (ჩანახატები)
- 84 ფოტოგრაფიული

საქონსუფროსი სსიპი:

ქაზის ამიერი, ზაზა ზაზაძე, ნანი ზაზაძე,  
მარტო ზაზაძე, მანუა ზაზაძე, მარტო ზაზაძე,  
ნათია ზაზაძე, თეიმურაზ ზაზაძე, თამარ ზაზაძე, ვინა ზაზაძე.



ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“ არც ერთ  
პოლიტიკურ მიმდინარეობას მხარს არ უჭერს და მხოლოდ  
ქართული სულიერების, კულტურის, მწერლობისა და  
ხელოვნების აღორძინების საქმეს ემსახურება



ჭათრა  
 არსენიძე ჯი

ხოცაჟი მთჟახის  
 შჟიხა


ხოცანი

/გაგრძელება/

მერე რამდენნი არიან, რომ მიჰყვეს და მიჰყვეს, ცად ნავა, ღმერთმანი დაათენდება და მაინც ვერ მოლევს, ვერა! არადა, სწორედ-დაც უნდა მიჰყვეს, მამ, გულის მიმტკივნე-ბით არ უნდა მოიგონოს ნიკომ ეს ეული ქა-ლები?! თუნდაც ლია, ჩითავიშვილებისა, დე-დისერთა, როგორ გაზრდილი, რა სიტყვა-პა-სუხი, რა მუსიკა და ინგლისური, რა ზრდილო-ბა და თავდაჭერა, ლაპარაკის დროს ოდნავ რომ ამოძრავებს თავის მშვენიერ ტუჩებს, მოდის გუშინინ ავადმყოფისგან ორჯონი-

კიდის ქუჩაზე და შევხედოთ, თავიანთი სახლი-დან ლიტა გამოვიდა, თურქესტანიშვილი, — აბა, მაგათი წინაპრები ხომ ერეკლესი და გი-ორგის კარზე იყვნენ, ვინ მღვდელი და ვინ ნა-ზირი, — კობტა, პატარა კალათაში ბადია ჩა-უდგამს, თეთრტილოგადაფარებული და სა-ითკენლაც მიისწრაფის, გაჩერდა ნიკო, ლი-ტას დედა ნინუცა მოიკითხა, — ფურუნკული-ოზი ჰქონდა და ნიკომ სისხლის გადასხმა და ელიკოსი და ვერიკოს მალამოები დაუნშნა, — უჯობა, უჯობა თქვენმა დანიშნულებამო და, კალათა გამოუნოდა, ახლად გამომცხვა-რი თბილ — თბილი ღვეზელებია კარტოფი-ლისა და იქნებ მიირთვათო, ქალებს არიფანა გვაქვს და მარინასთან მივდივარო... ჰო, აგერ მარინაც, კულტურის განყოფილების გამგე, უკვირს და გაჰკვირვებია, მარინა მაინც რო-გორ დარჩა გაუთხოვარი, რა ჩამოქნილი სა-ხე, რა თვალნარბი და ტუ-ჩებილი! თან რა ღო-ნისძიებებს ატარებს, კულტურულ ღონისძიე-ბებს, ჩამოჰყავს და ჩამოჰყავს თელავში საუ-კეთესო შემსრულებლები, გაუკვირდა ნიკოს, ამას მართლა არ მფელოდა, რეზო ინანიშ-ვილს რომ გაუმართა საღამო და სიტყვა უთხ-რა, რა შესანიშნავი სიტყვა, რეზო სულ გაბად-რული უსმენდა. ჰოდა, ლიტა ეუბნება გუშინ-ნინ, დროდადრო რომ არ მოვანყოთ ასეთი არიფანები, არ შეგვიძლიაო, ლიას ვაშლის ღვეზელი მოაქვს, ფიქრიას ხაჭაპური, თინი-კოს თავისი მეღვინე ძმა ტარიკო თელიანს გამოატანს ხოლმეო, ხვარამზე კიდევ ხინ-კალს მოატანინებსო და... ჰო, აი, ხვარამზე, ბედაურივით ქალი, თან ექიმი, გავა აქვს იმის-თანა, თუნდ ათ შვილს გააჩენდა, მაგრამ ფლუსტ! ათი კი არა, ერთი არა ჰყავს! ეს საქ-მეა?! აფსუს, აფსუს, რა ოჯახებს შექმნიდნენ, რა შვილები ეყოლებოდათ, რამდენი კარგი ადამიანი, ღირსეული მოქალაქე მოაკლდა ჩვენს ქალაქს... იმიტომ, რომ ნიკოს ღამეული ფიქრებით, შეუძლებელია ამ მშვენიერ ქა-ლებს თავისავით კარგი შვილები არ ჰყოლო-დათ... როგორ, კაცო, ფიქრიას, დოქტორს, ენათმეცნიერს, ჩვენი ინსტიტუტის საუცხოო ლექტორს, შეიძლება უტვინო და უვარგისი შვილი ჰყოლოდა?! და ისინი? ისინი?! რიფსი-მე და გაიანე, იარალოვები! რა ოჯახი, რა სახლ-კარი, რა ჩაძინებული ქონება... რიფსო რენდგენოლოგი, წყალი რომ არ გაუვა მის სიტყვას, გაიანე კიდევ რუსულის მასწავლე-ბელი! აკი თიკოც დადიოდა გაიანესთან წლე-ბის განმავლობაში, როგორ უყვარს თიკოს გაიანე, ახალ წელს მაინც რომ არ წავიდეს ნო-ბათით და არ მიულოცოს, არ იქნება... თან რა შესახედავები და რა ინტელიგენტები! ექვი

\* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ლიტერატურა და ხელოვნება“ №4, 5, 6, 7, 8.



არ ეპარება ნიკოს, ბოლოს, ალბათ, თელავში ბიბლიოთეკას გადასცემენ თავის ძვირფას ნიგნებს... რუსული, ფრანგული და გერმანული ლიტერატურითა აქვთ გამოჭედილი წითელი ხის მოჩუქურთმებული კარადები... მოდი და გული ნუ დაგწყდება მათ მარტოობაზე, მათ ჩაჩუმებულ სახლზე... ვერა, ვერა, ვერ გაუგია ნიკოს რატომ ხდება ასე, რა არის ეს, რა ღვთის წყრომაა! შეიძლება ძალიანაც მართალია მარიკო, როცა ამბობს, რომ არასოდეს არ შევადარებ ქართველ ქალს ქართველ კაცსო, იმდენად მაღლა დგას ქართველი ქალი, იმდენად უფრო პროგრესულია, დამოუკიდებელი და გაბედულიო, და ერთხელ, გახარებულმა „სავეცკაია კულტურაში“ იტალიელი რეჟისორის, ანტონიონის ინტერვიუ წაუკითხა, სადაც ანტონიონი ზუსტად იმას ამბობდა იტალიელ ქალებზე, რასაც მარიკო ქართველებზე... ოჰოჰოჰო, როგორ გაიბადრა, ხედავო, მე და ანტონიონი ერთი აზრის ვართო... ვინ იცის, მართლა ხშირ შემთხვევაში კაცების ბრალია, რომ არ უნდათ დამოუკიდებელი, გონიერი ქალი, ღირსებით სავსე და თავისი ღირსების დამცველი, ვინც მათზე მაღლა დგას და თავში ვერ ჩაუჩაჩქუნებენ... მაინც ამ ქართველ კაცებს რატომ აქვთ ეს ორმაგი მორალი, რატომ, თავისიანისთვის ერთი, უცხოისთვის — სხვა?! აი, თვალწინ დაუდგა ნიკოს ის გალიპული გოგია, ტრესტის მმართველი... მოსკოვიდან მოდიოდნენ რბილი ვაგონით, ოთხადგილიანი იყო კუბე და ერთ მხარეს ნიკო და მარიაში მოთავსდნენ, მეორე მხარეს ეს გოგია თავისი საყვარლით... მერე ხომ გაგრაში ჩავიდნენ, იქ მიჰყავდა დასასვენებლად, და გზაში ნეტავ როგორ დაჰფოფინებდა იმ რუსის ჩოკჩოკას, წარამარა გარბოდა და გამოვობოდა ნუგბარ-ნუგბარი სასუსნავებისთვის, ასე გასინჯეთ, თავისი კოვერკოტის ახალთახალი პლაშიცი კი დაუნანებლად მიკეც-მოკეცა და თავქვეშ ამოუდო, აქაოდა თავი დაბლად მაქვსო, იმ ჩოკჩოკამ... მარიკო გაგიჟდა, უყურე ერთი ამ თავხედსო!? სახლში, ალბათ, რა დღეში ჰყავს ცოლი ძმაკაცების მისვლა-მოსვლითო, ხინკლებითა და ჩაქაფულებითო, ნიფხვებისა და წინდების რეცხვითო... ალბათ, ფხვებსაც აბანინებს, ზურგსაც ახეხინებს და გაბრაზებულ გულზე, არც ის არის გამორიცხული, კარგადაც წაუთაქოსო... და ამ ჩოკჩოკასთან რა ჯენტლმენად მოაქვს თავიო?! ტყუილია, სულ ტყუილია, ქართველი ქალის კულტი და პატივისცემა, სულ ტყუილი... ლიტამაც ხომ ეს უთხრა გუშინწინ ნიკოს შეძახებაზე: „ქალო, ნუ დადიხართ ასე ცალადო! ეს არიფანები, არიფანები, მაგრამ ბედსაც ხომ უნდა ეწიოთო?! „ვისთან უნდა ვენიოთ ბედს, ძია ნიკო, ვის-

თან, ლოთბაია კაცებთანო? ღვინისა და ტელევიზორის მეტი რო არაფერი აინტერესებთო? ნეტავი კი რის მაქნისები არიანო? გაფუყული იდიოტებიო!“ უნდოდა ეთქვა ნიკოს „იმის მაქნისები არიან, რომ ბავშვების კეთება შეუძლიათო,“ და მოერიდა, აბა, თქვენ იცით, როგორ დროსაც გაატარებთო და, გამოეთხოვა. ახლა კი როგორ სწყდება გული კაცების იმ შეფასებაზედაც, ჯავრი პასუხისააო, ფიქრობდა, და ის არიფანაც ძალზე სევდიანად ეჩვენებოდა... იმიტომ, რომ, აბა, რა არის ქალი უკაცოდ? ღმერთმაც და ბუნებამაც ხომ ასე ჩაიფიქრა, რომ ქალი და კაცი განუყოფელია, გა-ნუ-ყო-ფე-ლი! კიდევ კარგი... კიდევ კარგი, სოფლად ეს ასე არ არის, ომიც, რეპრესიებიც ხომ ყველგან იყო, მაგრამ სოფელი გადაურჩა ამ შინაბერობას, იცნობს ნიკო, მთელი თელავის რაიონს იცნობს, და რატომ მარტო თელავისას, სადა აღარ დაჰყავთ, სადა აღარ, გაღმაცა და გამოღმაც და კიდევ კარგი, ვერავისა ნახავთ უოჯახოსა და მარტოხელას... იქნებ ერთი ვიღაც სადღაც ჰკუნტია, მაგრამ ეგ ხომ ანგარიშიში ჩასაგდებიც არ არის... მაგრამ ნეტავ რატომ?! გეგონებათ ქალაქად ნოყიერი ჰავა და ნიადაგია, ასეთი ეულების საბარტყებლად... იმედა? იმედა კინალამ დაავინყდა, ჩოლოყაშვილი, მზეთუნახავი, ნამდვილი კრასავიცა! მიდი და ამოხსენი ამოცანა! და საკუთარი ცოლისდა? საკუთარი ცოლისდა? აი, გადახიახებაც ეს არის! თავისი მეგობრებით, ელმირათი და ლეილათი, რა სანიშნურობა ქალები, რა სიდარბაისლე და რა ტრადიცია?! და ასეთ ქალებს! ასეთ ქალებს! ეს ჩვენი უზრდელი კაცები სადღეგრძელოების დროს ბოლოში მოაქცევენ ხოლმე, ამ ეული ქალებისას სულ ბოლოში დალევენ! სხვა დროს არ უფიქირია ნიკოს და ეხლა კი, ძილგამკრთალი ფიქრობს, და ამასწინანდელი სუფრაც ახსენდება, აბა როდის დალიეს რუსიკოს სადღეგრძელო, ნიკოს ცოლისდისა?! თან ცალკე კი არ იჯდა, ერთად ისხდნენ და სადღეგრძელოს დროს სულ ბოლოში გადატყორცნეს! ამიერიდან ნიკო პირველ რიგში ეული ქალებისას დალევს, პირველ რიგში მათ შესახებ იტყვის ფერად-ფერად სიტყვებს, მათ უსურვებს ჯანმრთელობასა და ბედნიერებას, აი სწორედ ბედნიერებას, რომ კუდზე მაინც სტაცონ ხელი ბედს, რომ არ ჩამოქნეს ხელუხლებლად მათი მშვენიერი მკერდები, ოჰოჰო, რა მკერდები, რომ გაიხარონ კაცის მკლავებში! მაგრამ სადღეგრძელო რასა ჰქვია, არც გაუკვირდება, სიდედრი და ცოლისდა გულში თუ ემდურიან, გულში თუ ხინჯი აქვთ საკუთარ სიძეზე, ამდენ ექიმებში, ამდენ პაციენტებში, მაშ, ვერავინ უნდა შეერჩია თავისი ოჯახის ნევრის-

თვისო?! განა არ უნდა ცდილიყო, რუსიკო კაი ბაგაზე დაება?! მარიკოს ბრალია, სულ ის იძახა, ჩემი და ვერ იტანს საგანგებოდ გაცნობასა და გარიგებასო, თვითონ იცის თავისი საქმისაო, რა მოხდა მერეო, ზოგი ასე იქნება, ზოგი ისეო... თვითონ რომ ასეა, ხომ მოსწონს და ვერც წარმოუდგენია სხვაგვარად, ხომ ეძლევა ნეტარებას, ხომ უყვარს ანცობა და გიჟმაჟობა?! მერე როგორ! აი, ახლა, ხომ სძინავს გულის ძილით, თუნდ სანაძლეო, ერთი გადაინოს, მიეფეროს, აკოცოს და მოეხვიოს, მაშინვე შეირხევა მისი ღრუბელივით სხეული, — უყვარს, უყვარს ნიკოს ეს სხეული, — და პატარა, მკვრივი მკერდი, მაშინვე ჩავარდება გულისხმაში... და მიეტმასნება, მიეტმასნება ისე, რომ ბენვი არ ჩავარდება მათ შორის... და ნიკოს ერთბაშად სურვილი მოეძალა... ინტიმურ ამბებში ის ფაქიზი და დელიკატური იყო, სძინავს, სძინავს და რა დროს ახლა ეს არისო, შეუძახა თავის თავს, იმის მაგივრად მეც დავიძინო და დავისვენოვო... მაგრამ სურვილი არ ეშვებოდა... არა და არა... ადგა, სააბაზანოში გავიდა, წყალი დალია, მიდგა-მოდგა, შემოსვლისას თუმცა ფრთხილად მიხურა კარი, ხმადაბლა დაუსტინა და მარიკოც შეიშმუშნა, თვალი გაახილა და „მოხვედი, ნიკო, მოხვედიო? უთხრა. „გვიან იყო უკვე და ველარ დაგიცადა... მძიმე შემთხვევა იყო?!“, „ჰო, მძიმე, სულზე მივუსწარი...“ ნიკო გულხელდაკრეფილი სანოლის ბოლოში იდგა და მარიკოს უყურებდა... „რატომ დგახარ ასე? მე კიდეც ბისკვიტი გამოგიცხე, შენ რომ გიყვარს...“ „მომენატრე... მარიკო... რაღაც ძალიან მომენატრე!“ კვენესასავით აღმოხდა ნიკოს. მარიკომ თვალი შეავლო ნიკოს და გაიცინა, ჩაიჟღერტულა: „მოდი ჩემთან...“ ხელი გაუწოდა, „მაგრამ ძალიან დაღლილი არა ხარ?“ „ოჰ, კარგი ერთი... ეგ მაქმანები მოიშორე...“ თვითონაც გაიძრო ტრუსიკი და მაისური და ცოლს მიუწვავა. „ხეალ ისედაც საოპერაციო დღე გაქვს ნიკო, დიდ ამბავს ნუ წამოიწყებ, იცოდე...“ ნიკოს გაეცინა: „აბა, ქათმები ვართ?“ თქვა და მარიკოს კოცნა დაუწყო, „თავის მოკატუნება რომ გიყვარს...“ „რა ბედნიერებაა, სურვილს ჭკუა რომ არ აქვს...“ მკლავები მაგრად მოხვია თავის ქმარს და ორივე სიყვარულსა და ვენებას მიეცა...

„Мой“ первый друг, мой друг бесценный!“ შესძახა ნიკომ და გასახსნელ კიბეზე შემდგარ შალვას ახედა, „ოჰ, რა თუთაა, რა თუთა! ასე თითო-თითოდ რომ კრეფავ, ხომ არ დაგვერხნია?!“ შალვას ბადია ეჭირა ხელში სანახევროდ საესე. სახლიდან ფორტეპიანოს ხმა ისმოდა. „ვერა, ნიკო, აბა, როგორ, ლელიკო საგამოცდოდ ამეცადინებს მონაფეს... თანაც ეს ჩვენ თავზეც გადაგვივა... კარგია

რომ მოხვედი, შენ მიდი ხეივანის ქვეშ, ახლავე ჩამოვალ და მოგხედავ...“ ნიკომ ბაღს გახედგამოხედა, მერე ხეხილს დაუარა... მშობლიური იყო ეს ბაღი ნიკოსთვის, რაც ამ ბაღში უთამაშიათ, ურბენიათ, ხილი უკრეფიათ... ხოლო აგერ იქით, გალავანთან შორიახლოს ნუში რომ დგას, მანდ ვაშლი იდგა, დიდი, ტოტებგაბარჯლული ვაშლი და არკი იცოდნენ რა ჯიშის იყო, იმიტომ, რომ გამოინასკვებოდა თუ არა, ბიჭები სულ გაკრეფავდნენ ხოლმე და კუკუძმარას აკეთებდნენ... ან ეს დიდი ლელვი, ეს ხომ, — მაშინ მეორე კლასის მონაფეები იყვნენ, — რვა წლისანი, შალვამ უთხრა თქვენი შავი ლელვი ძალიან მომწონს, მოდი, პატარა ამონაყარი ამოვთხაროთ და ჩვენ ბაღში დავრგათო... მართლაც ასე გააკეთეს, თვითონვე ამოთხარეს ორმო და ჩარგეს... ახლა კი რა დიდებული ხეა და თან რა სხმა იცის... უკვდავია ლელვის ხე, უკვდავია... ის ვაშლი დაბერდა, გახმა და ამოძირკვეს, იქნუში დარგეს, ლელვი კი არის და არის და სულ ასე იქნება... მეცხრე კლასში იყვნენ მაშინ, შალვას მუხლში წყალი რომ ჩაუდგა, აგერ იმ გულაბსა და ღორქლიავას შორის იყო გაბმული გამაკი და იმ გამაკში იყო ხოლმე მინოლილი შალვა, მოვიდოდა ნიკო, იტყოდა გაკვეთილებს, რა ჰქონდათ, და მერე ხშირად ერთად სწავლობდნენ და კითხულობდნენ. და კითხვა? ღმერთო, რამდენს კითხულობდნენ... რას კითხულობ? რას კითხულობ? იყო წიგნების გაცვლა-გამოცვლა. მათთვის ჯერ უცნობი მწერლების აღმოჩენა, გატაცებით კითხვა და ხშირად ღამეების თენებაც... შალვას ხომ ნიჭი ჰქონდა ლექსების დამახსოვრების, კარგადაც კითხულობდა ლექსებს და სკოლის არც ერთი ლიტერატურული საღამო არ ჩატარებულა შალვას დეკლამაციის გარეშე. მერე რა ღამაზი იყო, რა სანიმუშოდ ღამაზი, ლექსის თქმის დროს ცალ წარბს აჭიმავდა, თავს ოდნავ გადაწევდა, განიმედი, ნამდვილი განიმედი, ხელებს კი რატომღაც უკან დაილაგებდა ხოლმე, ცოტა, სულ ცოტა წამლერებით კითხულობდა თავისი მშვენიერი ბარიტონით და ასე გეგონებოდათ მთლიანად, მთელი სხეულით გამსჭვალულია ამ სიტყვებით და ამ რითმებითო... ნიკო ხეივანის ქვეშ მაგიდასთან იჯდა გრძელ სკამზე და შალვას გაჰყურებდა, რომელსაც ბადია აევსო კიდეც და აქეთ მოდიოდა. „რა გამახსენდა, იცი, შალვა? ლერმონტოვის საღამო რომ გავმართეთ სკოლაში და შენ ლექსს ამბობდი... რა არის გახსენება, არა? მას შემდეგ ის ლექსი საერთოდ არ გამხსენებია, „У ног других не забывал я взор твоих очей...“ „ისე რომანტიულად კითხულობდი, ყველა გიჟდებოდა...“ „დაა... все... было... было...“ „გაიცინა შალვამ და ბადია

მაგიდაზე დადგა, „ასე ვთქვით, ხომ არ ისამ-  
ხრებდი?“ „არაა, აი, თუთას კი სიამოვნებით  
მივირთმევ...“ „დაიცადე ერთი ნუთით, ახლა-  
ვე მოვალ.“

მართლაც, ორიოდ ნუთის შემდეგ შალვამ  
სინით მოიტანა კონიაკი და ფუფერები, ჯა-  
მით ნუში თავისი სატეხით და თეფშები. „აბა,  
უყურე, ერთი დღე ვერ ვძლებდით უერთმა-  
ნეთოდ, ესლა კი დაბადების დღეები და დღე-  
სასწაულები...“ თქვა ნიკომ. „რას ვიზამთ,  
ძმაო, შენ გადაყოლილი ხარ შენს ავადმყო-  
ფებს და დღე და ღამე შენთვის არ არსებობს,  
ესლაც მიკვირს, როგორ გამოეხსენი და რო-  
გორ მოხვედი...“ შალვამ კონიაკი ჩამოასხა  
მუცლიან, დიდ ფუფერებში, „ელიზბარმა ჩა-  
მოიტანა შარშან ეს ფუფერები, თურმე ასეთ  
ფუფერებში ცოტა უნდა ჩამოასხა, მერე ხე-  
ლები შემოხვიო რომ დაიორთქლოს, ვითომ  
გაცილებით გემრიელიაო...“ „მოვედი კი არა,  
აქამდეც როგორ არ მოვედი, მიკვირს.“ თქვა  
ნიკომ და შალვას სახეში შეაცქერდა, აბა, თუ  
რაიმე იცის თიკოს გატაცებისა და სიყვარუ-  
ლის შესახებ, იქნებ თვითონვე მითხრასო.  
თვალეები, მომწვანო — თაფლისფერი, სხივი-  
ანი თვალეები, თიკოს სულ მამის ჰქონდა. და  
შალვამ რომ წარმოიდგინა როგორ ჰქოცნიდა  
სწორედ დღეს ამ თვალეებში, როგორ უკოც-  
ნიდა თიკოს, განსხვავებით მამისაგან, ნაზ,  
სიფრიფანა ქუთუთოებს, უხერხულად აინუ-  
რა, მერე თავი დახარა და ნუშის მტკრევა  
განაგრძო, ამტკრევდა და ნიკოს თეფშზე უყ-  
რიდა: „რა იყო, ნიკო, რა მოგივიდა?“ შეყოფ-  
ნებით იკითხა. „თიკო, კაცო, თიკო,“ ერთბა-  
შად აღელდა ნიკო, „ჩემი ფიქრი და დარდი  
თიკო! რა ბედნიერი ხარ, შალვა, ვაჟი რომ  
გყავს, იცი, რა ძნელია ისეთი შვილის მამობა,  
როგორიც თიკოა!“ „რომ იცოდეს, მაშინ რა-  
ლას იტყოდაო,“ გაიფიქრა მწუხარედ ბატონ-  
მა შალვამ და თქმით კი თიკოს ქებას მოჰყვა:  
„შენ რომ შვილი გყავს, ნიკო, ასეთი ბარე ორი  
არ დადის ამ ჩვენს ქალაქში, ერთი შთაბეჭდი-  
ლებათა წიგნში ჩაიხედე, რას სწერენ და რო-  
გორ აქებ-ადიდებენ შენ შვილს, ან ისტორი-  
ული წრის ყმანვილებს შეხედე, რა ხალისით  
დადიან მეცადინეობაზე... რა ვიცი, რომელი  
ერთი გითხრა, ერთხელ უნდა მოხვიდე და შე-  
ნი ყურით გაიგონო ყველაფერი...“ „ოოჰ, ეგ  
ყველაფერი ვიცი, შალვა, ვიცი,“ გაღიზიანდა  
ნიკო, „ყურები მქონდა გამოჭედილი მოწაფე-  
ობისას თიკოს ქებით! ვერ გამიგია, კაცო, შე-  
იძლება ადამიანი ნიჭიერი იყოს და ჭკუის ნა-  
ტამალი არ გააჩნდეს, და თან არავისი ყურის  
გდება არ უნდოდეს?! აგერ, ბიჭიას დაანერი-  
ნა პლაკატი ფერადი, დიდი ასოებით, და ჩემი  
საწერი მაგიდის პირდაპირ ჩამომიკიდა, რომ  
ყოველ ნუთს თვალში მეჩხირებოდეს: „შვილი

ჩემია, მაგრამ ჭკუა თავისი აქვსო! ქართული  
ანდაზა.“ თან მაკოცა და მამიკო, დაე, ყოველ-  
თვის ცხვირწინ გქონდეს ეს დიდებული სიტყ-  
ვები, ასე საჭირო და აუცილებელი ყველა მა-  
მისთვისო.“

შალვამ გაიცინა: „რას იზამ, ბავშვობიდან  
ასეთი თავნება იყო და... მოდი, დავლიოთ ეს  
ენისელი და დამშვიდდები...“ „არა, შალვა,  
თიკოს ხელში მე დამშვიდება არ მიწერი!“  
გაიქნია თავი ნიკომ, „ჰოდა, მინდა მხარში  
ამომიდგე, ერთად შევუტოოთ და ერთად ვიზ-  
რუნოთ თიკოს გაბედნიერებისთვის...“ „ესე  
იგი სულ ტყუილად გაუკრავთ შენთვის ის  
ანდაზა...“ ცალყბად გაიცინა შალვამ და ფუ-  
ფერი აიღო, დავლიოთო...

სახლიდან როიალის ხმები აღწევდა, თუ-  
თიდან კი შაშვების ჭრიახი ისმოდა, და თით-  
ქოს ეს ხმები კიდევ უფრო უმძაფრებდა  
შალვას უგუნებობას და უხერხულობას. თვი-  
თონაც არ ეგონა, თუ ეს ორი სიტყვა „თიკოს  
გაბედნიერება“, ასე ეცემოდა გულზე, ვითომ  
მაგიური ძალა ჰქონდეთ ამ სიტყვებს და თი-  
კო უკვე წასულიყო მისგან, გაფრენილიყო და  
ვერასოდეს, ველარასოდეს ველარ ჩაიკრავდა  
გულში, ველარ აავსებდა ალერსით, ველარ  
გაიგონებდა მის ხმას. უნებლიეთ და მოუ-  
ლოდნელად ამოიკვნესა, დაცლილი ფუფერი  
დადგა და მაშინვე ისევ ჩამოასხა კონიაკი.

„შენ შალვა, ცუდად ხომ არა ხარ? რაღა-  
ცა არ მეჩემები...“ თქვა უცებ ნიკომ და დაკ-  
ვირვებით შეაცქერდა თავის მეგობარს სახე-  
ში, „ხომ იცი, სომატური და ფსიქიკური ისეა  
გადახლართული ერთმანეთში...“ „რას ამბობ,  
ნიკო,“ ლამის შეიცხადა შალვამ, „დღეს უბ-  
რალოდ ძალიან ბევრი საქმე გვქონდა, ხომ  
იცი, რა ნელ - ნელა ვანგრევდით იმ ორ სარ-  
თულს, ერეკლეს ეგრეთ ნოდებულ სასახლეს  
რომ ედგა, და საბოლოოდ გამოჩნდა კიდევ  
ამ პატარა სახლის ჩონჩხი... ისეთი ამბავი  
იყო, მთელი ექსპონატები ფლიგელში უნდა  
გადაგვეტანა, ეს დღეები სულ ამ ექსპონატე-  
ბის დაბინავებაში ვიყავით...“ და შალვა გა-  
ტაცებით ჰყვებოდა მუზეუმის ამბავს, „ხომ  
იცი, ნიკო, აივნების ადგილი რომ გამოჩნდა,  
ირგვლივ აივნები ჰქონია, ოთხი აივანი, თიკო  
სიხარულით აღარ იყო, აბა, უყურეთო, მე ხომ  
ასე აღვწერე ერეკლეს ოთახისა და დარბაზის  
წინ დიდი აივანო, სვეტებს რომ დაუყენებთ,  
ზუსტად დაემთხვევაო... აბ, ხედავ? შენ კი-  
დეე გინდა შენს ნებაზე ატარო...“ თქვა შალ-  
ვამ სიცილით და ნიკოს ფუფერი მიუჭახუნა.  
ისევ დალიეს და ნუშსა და თუთას შეექცნენ...

„იმიტომ, შალვა, იმიტომ, რომ თიკოს თავის  
ნებაზე მიშვება არ შეიძლება, არა, ლელი-  
კო რომ იყოს აქ, ეჭვი არ მეპარება, მაშინვე  
აიტაცებდა ჩემს წინადადებას და მხარში ამო-



მიდგებოდა!“ თქვა ნიკომ საყვედურის კილოთი. „როგორ!“ რალაც უცნაური აგზნებით ნამოიძახა შალვამ, „მე არ ამოგიდგები?“ გულში კი გაიფიქრა: ეს რა დღეში ჩავიგდე თავიო, ეს რა მდგომარეობააო, ვისთანაც მეკუთვნის დარდისა და სიხარულის გაზიარება, ჩემი ამბის თქმა, სწორედ მათთან, პირველ რიგში მათთან ეს შეუძლებელიაო, ცოლთან და მეგობართან გადაბრუნებული სიტყვის თქმა შეუძლებელიაო, და ისევ უცნაური გზნებით განაგრძო: „შენ რომ იცოდე, ლელიკოს ეხლა ორი მიზანი აქვს, მისი მოწაფე მოხვდეს კონსერვატორიაში და მარიკოსთან ერთად იმოგზაუროს ბაიკალზე, ჰოდა, მე მგონი, ჩვენც უნდა ჩავაბათ ხელი ხელს და სექტემბერში საითმე გავკრათ, გავიაროთ, გამოვიაროთ, თვალს წყალი დავალევინოთ, აბა, ეს არის საქმე, მთელი წელი კუტებივით რომ ვსხედვართ ამ თელავში, შენ ავადმყოფები და მე მუზეუმი... ყოფილი ზღვის მგელი მაინც არ იყო!“ ამბობდა მღელვარედ შალვა, პირმოთენე უღიმოდა ნიკოს, თვითონვე აცბუნებდა თავისი თვალთმაქცობა, აცბუნებდა და აუგემურებდა, და მაინც რალაც გადაჭარბებით შესცინებდა ნიკო, თან ისევ ჩამოასხა კონიაკი და გადაჰკრა. „მადლობთ შალვა, მადლობთ, გენაცვალე,“ თქვა ცოტა არ იყოს გულაჩუყებულმა ნიკომ, „ასეთი მზრუნველი რომ ხარ, ამიტომაც მინდა გვერდში ამოგიყენო, მე ეხლა ისე ვარ მოცული თიკოს ბედით, სულ არ შემიძლია ჩემს სიამოვნებაზე ვიფიქრო.“ „არ მესმის, ნიკო, არ მესმის, რა გაქვს ასეთი საღელავი და თავში სახლელი?! მოდი ერთიც დავლიოთ!“ თქვა შალვამ ომახიანად და ფუჟერი ასწია, „გახსოვს, პირველად რომ დავთვერით, შეიძნლელი რომ დავამთავრეთ მაშინ, შენ ყოჩალად იყავი, მშვენივრად აიტანე და მე მთელი ღამე დედაჩემი ცივ ტილოებს მადებდა შუბლზე...“ „ჰო, ჰო, როგორ არ მახსოვსო...“ ჩქარ-ჩქარა ჩაილაპარაკა ნიკომ, ფუჟერი მიუჭახუნა შალვას, ნუში გაკვნიტა და მაშინვე ისევ თავის სათქმელს მიუბრუნდა და მტკიცე, შეუვალი კილოთი, თითქოს ბრძანებას იძლევაო, ისე წარმოთქვა: „თიკო უნდა გავათხოვოთ, შალვა, აუცილებლად და ყოველ მიზეზ გარეშე, შეერთებული ძალით! გადაუდებელი ოპერაციები რომ მაქვს ხოლმე, აი, ასე ვუყურებ მე ახლა თიკოს გათხოვებას!“ „რა მოგივიდა, ნიკო!“ მღელვარედ შესძახა შალვამ, „რა არის ასეთი გადაუდებელი და სასწრაფო...“ კონიაკმა სითამამე შემატა და შეუპოვრადაც კი განაგრძო: „ჩაბერებულისა და დრო აღარ იცდის თუ რაა, არ მესმის, ღმერთმანი არ მესმის, რა სჭირს თიკოს საამისო!“ და ისევ ჩამოასხა კონიაკი, თრობის წყურვილი დაეუფლა... „რა სჭირს და იტანჯე-

ბა, შალვა, იტანჯება, გესმის! შენ არ იცი, როგორ იტანჯება, ვილაც იდიოტი უყვარს და იტანჯება! და შენ გინდა მე ჩემი შვილის ტანჯვას გულხელდაკრეფილმა ვუყურო და არაფერი ვილონო?! ჯერ კიდევ ზამთრიდან შევნიშნე მე ეს...“ შალვას ისარივით მოხვდა გულზე ნიკოს სიტყვები, მაშ, ვილამ იცოდა თიკოს ტანჯვაც და სიხარულიც, ვილამ, თუ არ თვითონ შალვამ... მათი სიყვარული ხომ სულ უფრო ღრმავდებოდა და მოუთმენელი ხდებოდა, მოუთმენელი და მტანჯველი... ოო, როგორ ბავშვივით ტიროდა თიკო, და მართლაც, ბავშვებს რომ აქვთ მსხვილი ცრემლები, აი, ისეთი ცრემლები სცვიოდა, მე ასე მეტი აღარ შემიძლიაო... ამ ერთი კვირის წინ, სალამო ხანს, ლელიკო ასევე ამეცადინებდა მოწაფეს და ნიკომ იფიქრა ცოტას გავივლიო. ნადიკვრისკენ წავიდა და თიკო კი შეხვდა სტადიონიდან მომავალი, სავარჯიშოდ ვიყავი და ვირბინე კიდევო. გაჩერდნენ და მიიხედ-მოიხედეს... ბინდდებოდა და ქუჩაშიც არავინ იყო. „მე ვიცი აქ ერთი ადგილი...“ თქვა თიკომ, „დიდი ბაღია...“ „ფიჭვნარის მოპირდაპირედ ხომ არა?“ იკითხა შალვამ და მაშინვე უკან გაბრუნდნენ, „რომ იცოდე, იმ ბაღში ერთ დროს ვინ ცხოვრობდა?“ „ვიცი, ვიცი, თანაც ძალიან კარგად...“ თიკომ ახედა შალვას: „ვერ წარმოიდგენთ, როგორ მომენატრეთ...“ „მეც... ძალიან...“ მართლაც, მთელი ორი კვირა თავაუღებელივ მუშაობდნენ ექსპონატების დახარისხებასა და დაბინავებისთვის, ფლიგელის დარბაზებში გადაჰქონდათ და წინასწარ შედგენილი გეგმისა და ნახაზების მიხედვით სტელაჟებში ათავსებდნენ. ბატონი შალვა ხომ გვიანობამდე რჩებოდა, რომ ყველაფრისთვის ფხიზელი თვალი მიედევნებინა, არაფერი გაფანტულიყო და დაკარგულიყო, ბევრი ფეხი ირეოდა და ეშინოდა რაიმე არ დაზიანებულიყო. გაელვებით თუ შეხვდებოდნენ ერთმანეთს, თორემ არავითარი საშუალება არ იყო დაჯდომის და დალაპარაკების. თიკო ხომ ადგილს ველარ პოულობდა, სახლში წარბს არ ხსნიდა და სალამოობით სტადიონზე ვარჯიშითა და სირბილით ითქვამდა სულს. „ჭიშკარი, ცხადია, დაკეტილია, პატრონები ჯერ არ ჩამოსულან თბილისიდან,“ ამბობდა თიკო, „მაგრამ გვერდით, შესახვევის მხრიდან ერთ ადგილას ღობე გარღვეულია და შიგნიდან ფიცარი აქვს მოყუდებული...“ „და შენ საიდან იცი, ყოფილხარ?“ დაინტერესდა შალვა. „ბევრჯერ... ელიკო და მედიკო, სანამ თბილისში გადავიდოდნენ, ჩვენთან სწავლობდნენ მეექვსე კლასამდე და ვმეგობრობდით კიდევ, ახლაც ზაფხულობით ვხვდებით ხოლმე, მე სწორედ მაგათგან გავიგე, რომ ბევრი წლების წინ იმ ძველ სახლში და იმ ბაღში ერეკლეს

ერთ-ერთი შვილიშვილი ცხოვრობდა, რომელიც ვახვახვიშვილზე იყო გათხოვილი...“ „და მე ესლა იმ ლობეში გაძრომას მიბრძანებ?“ გაიცინა შალვამ, „ამ დარბაისელ კაცს?“ „მოდით თქვენ დანიშნურდით... დარწმუნებული ვარ იქ თქვენ არავინ შეგხვდებათ, ის გარღვეული ლობე ყრუ შუკაშია, მაგრამ მაინც... ერთად რომ არ მივიდეთ...“ „ოჰ, ღმერთო ჩემო...“ აღმოხდა შალვას, თიკოს მიაპყრო სიყვარულით და სურვილით სავსე მხერა და თითქოს თავს იმართლებსო, ისე უთხრა: „გაძრომა კი არა, ისე მომენატრე, საქმე რომ იყოს, იქნებ იმ ლობეს გადავხტომოდი კიდეც.“ და ჩქარი ნაბიჯით წინ წავიდა. შორს წასასვლელელები არ იყვნენ და შეხვედრითაც არავინ შეხვედრით ერთი უცნობი ხნიერი კაცის გარდა, მასაც ტყიდან ფიჩხი მოჰქონდა და თავიც არ აუწევია, ისე გაიარა. შალვა უკვე ბაღში, გარღვეულ ლობესთან ელოდა თიკოს. ფიცარი ისევე მიაფარეს გარღვეულ ადგილს და ბაღის სიღრმისკენ წავიდნენ. ხელგადახვეულები, თან აქეთ-იქით იყურებოდნენ მყუდრო ადგილის სანახავად... დიდებული ბაღი იყო, ნაირნაირი ხეხილით, დაფნისა და ჯონჯოლის ბუჩქებით, აყვავებული ვარდებით და კიდეც ვინ იცის რით აღარ... ბალახი გაუთიბავი იყო და ნელა მიაბიჯებდნენ...

„მეც ვიცი ეს ბაღი,“ თქვა შალვამ, „ხომ გრძნობ, ბალახი სულ მშრალია...“

„არა, არა, აქ არ გვინდა,“ იუარა თიკომ და ნაბიჯი ააჩქარა, „აგერ უკვე გამოჩნდა კიდეც... სახლთან, შორიასხლოს... ხედავთ რა ტირიფია, დიდი კარავივით... მინამდე აქვს დაშვებული ტოტები, ქარი რომ არხვეს და აფრიალებს, ისეთი გულში ჩამწვდომია, თან გესმით, შაშვიც უსტვენს! მე მინდა ძალიან, ძალიან კარგად ვიყოთ, იმ ტირიფთან, შაშვთან ერთად... იქ ისეთი კარგი სკამი დგას, გრძელი, ბაღის სკამი, ჰოდა იმ ტირიფის ქვეშ უნდა ვიყოთ და ვიყოთ და ვიყოთ...“ „და ნიკომა და ლელიკომ ნიორი ნაყონ და კაკალი ამტვრიონ?“ გაიცინა შალვამ, „მაინც ბევრად მეტი დრო გვაქვს, ვიდრე აქამდე გვქონია.“ შალვას უნდოდა სახლისთვის შეეხედა, ბავშვობის შემდეგ აღარ მინახავს, მაგრამ მახსოვს, თუ არ გადააკეთეს, ნამდვილი ძველი, თელავური სახლიაო. მართლაც ასე იყო.

ქართული აგურით ნაშენი პატარა სახლი, აგურისავე ოთხკუთხედი სვეტებითა და ლურჯი თეჯირებით. „ჩემო ძვირფასო ბატონო შალვა!“ თქვა თიკომ პათეტურად და ხელი აღმართა, „თქვენ ისე იღიმებით, თითქოს ესალმებით ამ პატარა სახლს, მაშ, შეიცოდეთ კიდეც ერთხელ ჩვენი ქვეყანა, რომლის დიდებულ ქალბატონს, სამეფო ოჯახის წევრს ამ პატარა სახლში შეიძლება ეცხოვრა.“ „მაგ-

რამ ამ დიდებულ ბაღში, და ამ დიდებულ ტირიფთან!“ თქვა შალვამ, ერთბაშად მოეხვია თიკოს და გულში ჩაიკრა. თიკომ თავი უკან გადასწია: „გთხოვთ გამათავისუფლოთ, და მათქმევინოთ ორიოდ სიტყვა, ხოლო შემდეგ კი თქვენი ვარ, თქვენი, სასიყვარულოდ და სალალბოდ...“ „ოჰოჰოჰო, შემოძლია განა შენისთანა შემოქმედებით პიროვნებას სიტყვა არ ვათქმევინო? თქვით, ქალბატონო, თქვით...“ და შალვამ ხელი გაუშვა თიკოს. „მართლა, ხუმრობის გარეშე,“ თქვა თიკომ უკვე სერიოზული კილოთი, „ბედმა რაკი გვარგუნა გაუთავებელი მტრები, ყოველი მხრიდან, სასტიკი, დაუნდობელი მტრები, გაუთავებელი ბრძოლები და სიღარიბე, მე პატივს ვცემ იმ ბატონიშვილს, რომელიც ამ სახლში ცხოვრობდა, და მიყვარს ეს პატარა სახლი და ასეთი სახლები...“ „მე მინდა განვაგრძო შენი ტირადა, ჩემო პატარა გოგო, და არ სცემ პატივს იმ ბატონიშვილს, გაცრუებული ტახტის მემკვიდრეს, ახოვანსა და ლამაზს, ბრძოლებში მამაცს, თან განათლებულს, რომელიც მიშკარბამ იოსებს ისეთ წერილს სწერდა პეტერბურგიდან, ხომ ასეა?!“ „გამოიცანით, ჩემო ბატონო, გამოიცანით... იცით რა, შალვა, მე მიმაჩნია, ჩვენ ის წერილი დიდი ასოებით უნდა გადავწეროთ, ჩარჩოში ჩავსვათ და მუზეუმის დარბაზში ჩამოვკიდოთ, კარგით?“ „ყველაფერს გავაკეთებ, ყველაფერს, ოღონდ ესლა...“ შალვამ ბუმბულივით აიტაცა თიკო, გულზე მიიხუტა, გადაიხარა და ტუჩებში აკოცა, მერე ტირიფისკენ წავიდა, ხის ქვეშ სკამზე დაეშვა, თიკო კალთაში ჩაისვა და კოცნა დაუწყა. „ჩემო სიხარულო, ჩემო სიცოცხლე... რა ბადეში გამხვიე... რა საშინელ ბადეში... აღარ შემეძლო... უკვე აღარ შემეძლო...“ „მართლა რა არაჩვეულებრივი ბადეა ტირიფის, ხედავთ? ვინმე რომ მოვიდეს, ვერც დაგვინახავს, სულ ჩამალულები ვართ...“ „რა სასაცილოა არა, რომ შენ ისევ თქვენობით მელაპარაკები...“ „და არა მარტო გელაპარაკებით, გეფერებით კიდეც თქვენობით.“ გაიცინა თიკომ, „მაგრამ ასე ვარ ბავშვობიდან მიჩვეული და, თან ახლა კონსპირაციისთვისაც კარგია, განა არა?“ „ოჰ, ღმერთო ჩემო, რომელი ერთი იჩივლოს კაცმა, ჩემი ასაკი, ნიკო თუ ლელიკო, თუ ყველაფერი ერთად...“ „იცით, რას გთხოვთ, გამიხსენით ახლავე საკინძე და ბროლის გულმკერდი მიჩინეთ...“ შალვა შეკრთა და კიდეც უფრო აღელდა, ჯერ მკერდზე არ შეხებოდა თიკოს და უცებ, ხუმრობის კილოთი, მაგრამ მაინც, საკინძე გამიხსენიო... ხელები უთრთოდა, სპორტული ბლუზის ღილებს რომ უხსნიდა... მღელვარების მიუხედავად მაინც გაჰკრა გუნებაში, რომ ეს ახალი ეტაპი იწყებოდა მათ ურთიერ-



თობაში, საშვიში ეტაპი.

„რა ლამაზი მკერდი გაქვს!..“ აღმოხდა შალვას, თიკოს კოხტად მოყვანილი, მკვრივი, თითქოს მოსხლეტილი მკერდის დანახვაზე, და ასე ეგონა, თვალს ვერ მოაცილებდა, „აბა გამოიცანი, ფრინველებიდან ვინ მიყვარს ყველაზე უფრო?“ და ფრთხილად დაუსვა მკერდზე ხელი, მერე დაიხარა და კოცნა დაუწყო... შაშვი კი უსტვენდა...

„მაინც რომელი ფრინველი გიყვართ ყველაზე მეტად?“ იკითხა თიკომ.

„ბელურები... და მეც არ ვიცი რატომ, შენი ძუძუებიც ბელურებს მაგონებს...“

„ხედავთ, შაშვს ეწყინა და ჩაჩუქდა, არ სცოდნია გალობის ფასიო“, გაიცინა თიკომ.

მერე ისინი იწვნენ ბალახში და ისევ ჰკოცნიდნენ ერთმანეთს...

„ჩვენ ესლა სწორფრები ვართ“ თქვა შალვამ, „ხევსური სწორფრები, კოცნის და ალერსის უფლება რომ გვაქვს წელს ზევით და სხვა არაფრის.“

მერე სულ ახლოს ისევ გაისმა შაშვის გალობა. „მაპაატია შაშვმა...“ თქვა შალვამ, მაგრამ რამდენი ხანია დაბნელდა, წასვლის დროაო... დაამატა. და თიკომ უცებ, მოულოდნელად, ამ ალერსისა და ხვევნა-კოცნის მერე ტირილი დაიწყო, მსხვილ-მსხვილ ცრემლებს ჰყრიდა და სლუკუნ-სლუკუნით ამბობდა: „ვიტანჯები... რომ იცოდეთ, როგორ ვიტანჯებიო...“ „იტანჯება, შალვა, იტანჯება ჩემი შვილი!“ ამბობდა ნიკო, „ვერ გამოიგია რა არის ეს, ჩვენ ყოველთვის თვითონ თიკოსაგან ვგებულობდით, და რა არის ასეთი კონსპირაცია, ვინ თიკო და ასეთი მალვა და ჩქმალვა?! ან იმ ვილაცას, იმ ნამდვილ მწვალებელს, მართლა სერიოზული გრძნობა რომ ამოძრავებდეს, მომავალზე ფიქრობდეს და ერთი ვილაც მაცდუნებელი არ იყოს, აქამდე ათასჯერ არ მოვიდოდაა? არ გამოჩნდებოდაა?? ჰაერში დაფარფატებს, თუ მიწაში ძვრება, რას ფიქრობს, ხომ ტყუილია, არ დაიმალება და დავიჯერო მუზეუმში მაინც არ მოსულა თიკოსთან? ნუთუ ვერავინ ვერაფერი შეამჩნიეთ? თუ მიმალავთ და არ მეუბნებით?!“ მწუხარედ, ლამის სასონარკვეთით ამბობდა ნიკო და ისეთი დაჟინებით უყრიდა თვალს თვალში თავის მეგობარს, რომ სანყალი შალვა ახლა კი ითრგუნებოდა, კრთებოდა და იბნეოდა, ასე ეგონა, წვიპზე ეკიდა მისი საიდუმლო მიჯნურობა, ასე ეგონა, ნიკოს აუცილებლად უნდა ამოეცნო თავისი შვილის ავბედითი მიჯნური, მეხი და მედგარი დაეტება მისთვის და ცდუნების გზაზე შემდგარმა ბატონმა შალვამ ისიც კი გაიფიქრა, თავს მოვიკლავ, ეს რომ მოხდესო, და მაშინვე გულმხურვალედ დაუწყო მტკიცება ნიკოს, რომ მუზე-

უმში არავინ გაჭაჭანებულა ასეთი საეჭვო... ჩვენთან ხომ ყოველი თანამშრომლის ყოფა ხელის გულზეაო... შეუძლებელია მუზეუმის ქალებს რაიმე გამოპარვოდეთო, ფანჯრებიდან პირდაპირ მისჩერებიან შემოსასვლელს და დამიჯერე, ამ მხრივ არაფერი დასაეჭვებელი არა გაქვსო, და საერთოდ,“ განაგრძობდა სიცრუის გზაზე შემდგარი ბატონი შალვა, „თიკო ხომ შემოქმედებითი ნატურაა, ჩვენი წარსული, მეფე ერეკლე უტრიალებს სულ თავში, სწერს კიდეც რალაცებს, ხომ იცი ეს შენ... როცა საქმეებისაგან თავისუფალია, ზის თავის ოთახში და სწერს... და ცხადია, ხან ასეთი განწყობილება ექნება, ხან ისეთი, ძნელია შემოქმედებითი ცხოვრება, ნიკო, და დარწმუნებული ვარ, შენი ეჭვები სრულიად უსაფუძვლოა...“

„შემოქმედებითი ნატურა!“ დაიძახა ნიკომ დამცინავად და იქედნურად, „მადლობთ მოგონებისთვის, საბოლოოდ სწორედ მისმა „შემოქმედებამ“ დამარწმუნა ჩემი ეჭვების სიმართლეში, მისმა სასონარკვეთით სავსე ლექსმა, აი, რაა! აღარ ვიცოდი რას ვცემოდი და რა გამეკეთებინა. წარმოიდგინე, მარიკოსთვისაც არც წამიკითხინებია, არც მითქვამს, გთხოვ, შენც ლელიკოს ლექსზე არაფერი უთხრა და სალაპარაკო არ გახდეს. შემეცოდა ჩემი შვილი, შალვა, შემეცოდა და ისე დავითრგუნე, მომერიდა წამომელო და შენთვის წამეკითხვინებინა, ისეთი მწუხარე, ინტიმური ლექსია, ეხლაც გული მიკვდება, რომ მაგონდება! სისიხლი უდულს, სისხლი, და პატარა კი აღარ არის, სადაცაა ოცდამშვიდის შესრულდება, თან თავისი მონინავე შეხედულებებითა და დამოუკიდებლობით... ოჰ, შალვა, მე თავი ცოცხალი არ მენდომეობა, ჩემი ერთადერთი შვილი აეტორლიალოს ვილაც მამაძალს, ვილაც ოხერ-მუდრეგს! ერთი თალია ისიც კი ვიფიქრე, ვინმე ცოლ-შვილიანი ხომ არ არის — მეთქი ან ისევ ის „ლამაზო“ ხომ არ გამოჩნდა ჰორიზონტზე — მეთქი... მღელვარება, შალვა, სულ მღელვარება უნდა, აი, რა... აპაპაპა, გონივრული და დაფიქრებული ნაბიჯის გადადგმა არ შეუძლია, არა, ჩემ შვილს; რა ვიცი, კაცო, ისეთი გამაცადინებელი არიან ქალები, სადმე საქმრო თუ შენიშნეს, აღარ იციან რა საკენკი დაუყარონ და რა კაკანათი დაუგონ, ოღონდ კი ოჯახი შექმნან... ჰოდა, ჩვენ ასე უნდა დავუსვათ საკითხი, ან გაგვაცნოს ვინ არის ის ვილაც, ვისთვისაც აი, ასეთ ლექსებს სწერს და ათენ-ალამებს, მოიყვანოს, დამანახოს, იქნებ ღირსეული ადამიანია და თავს იმიტომ იკავებს, რომ ჯერჯერობით რალაც პრობლემები აქვს, მაგრამ უყვარს თიკო და საბოლოოდაც მხოლოდ მასთან აპირებს ოჯახის შექმნას,

ან არადა, ჰყავს მთხოვნელი და გათხოვდეს, აი, ასე! როგორ, კაცო, ჩემი შვილის მტერი ხომ არა ვარ, ავიღო და ლახვარი ვკრა, განა მე არ ვიცი, სიყვარული რა ხილია? მაშინ, იმ საშინელ ოცდაჩვიდმეტში, დეიდა თეკლე ლოგინად რომ ჩავარდა და ჩამოხვედი, როგორ იტანჯებოდი ლელიკოსთან დაშორებისას და არკი ტყდებოდი, რამდენჯერ შემოგთავაზე, ჩვენ მოვუვლით დეიდა თეკლეს, ერთხელ მაინც წადი თბილისში, ნახე ლელიკო და გამოარკვიეთ თქვენი მდგომარეობაო...“ „ნიკო, დაიცადე...“ გაანყვეტინა შალვამ და უსიამოვნოდ შეიჭმუნხა შუბლი. ოჰ, რა ორწყალშუა იყო, რა ორწყალშუა, „ვისზე ფიქრობ... ვინ თხოვლობს თიკოს? ან არადა... შენ თვითონ თიკოს არ ელაპარაკე, მე რომ მეუბნები?“ „კარგი რაა, არ დაველაპარაკებოდი? მეც და მარიკოც? მაგრამ ქვეყნის უკეთესი რომ იყოს, იმაზე უკეთესი რომ არავინ იყოს, თუ ეს ჩვენგან მოდის, არავითარ შემთხვევაში არ მოინდომებს, ერთხელ და ორჯერ ხომ არ გვიცდია?! მაშინვე ყალყზე შედგება, ამაში რალაც შეურაცხყოფელს ხედავს, რომ მორჩილი შვილი იყოს და მამის რჩევას ყური უგდოს, დისერტაციისა და გამოცდის ჩაბარების არ იყოს! უკულმართია, უკულმართი! ოთარი კიდეც დღეში ცხრაჯერ რეკავს, ხან სად ეპატიუება, ხან სად, აღარ იცის რა ქნას...“ „ასეც ვიცოდი,“ აღმობდა შალვას, „ეჭვი არ მეპარებოდა, რომ ოთარი გყავდა მხედველობაში...“ ის მუხმუხელა, გაფიქრა ჯავრიანად ბატონმა შალვამ, ის მექრთამე, ფულებს რო იჯიბავს თავის უნიჭო პროექტებში... ჩამოჭრილ ნაკვეთებში... ამასწინათაც იმ სქელკისერა ზაურს რომ მოჰყვა და მოხუცი ელოს სახლზე თხოვნა გაუმეორეს... მერე ეს ოთარი ბაღში გავიდა, ვითომ ზაურს ქრთამის მიცემაში ხელი არ შევეშალოვო, ვითომ შალვამ მოწმის თანდასწრებით ფულის აღებაზე უკან არ დაიხიოსო... იდიოტი... ყველაფერი რომ ფული ჰგონიათ!! ისე იფრინა ის ზაური, სიტყვაც არ დაამთავრებინა. „რატომ მეუბნებით უარს, ბევრი გაქეთო?“ უტიფრად ჰკითხა. „არც მინდა ბევრი მქონდეს და ახლა აქედან მიბრძანდითო.“ „ყველამ მომიწერა ხელი, ყველამ, თქვენ რა გახდით ამისთანაო!?“

„რაცა ვარ, აი, ესა ვარო, და ახლა კი მიბრძანდითო!“ და ის ვაჟბატონი ოთარი გარეთ უცდიდა, მსხლის ქვეშ სკამზე იჯდა და რომ გავიდნენ, „ოჰ, რა ბალი გაქეთ, ბატონო შალვა, რა ბალი, თელავში ორს არა აქვს ასეთი ნალკოტიო!“ ვითომც არაფერი, ისე იყო გაცისკროვნებული, გეგონებათ ბალის სანახავად არის მოსულიო. შალვამ კი გაიფიქრა: რომ შეეძლოს, რა სიამოვნებით გაჰყიდდა საზოგადოებრივად... და ნუთუ თიკო, მისი პატარა

გოგო, უსაყვარლესი, თავს რომ ურჩევნია, — აი, ახლა, ასე ჰგონია, უცებ, წამიერად, აბრეშუმით თმების სურნელი მისწვდა, ასე ხარბად რომ იყნოსავდა და ჰკოცნიდა, ჰკოცნიდა, ჰკოცნიდა სწორედ დღეს, — ამ ყოვლად უგემოვნო ლენდრეცას უნდა დარჩეს?

„მაინც რალა ოთარზე შეაჩერე შენი არჩევანი? ასე რით მოგხიბლა? ამასწინათ ანდრო სპეციალურად ამოვიდა ბაკურციხიდან, სულ იმას ამბობდა, აი, ვინ მენდომებოდა რძლად და თიკოვო, ბიჭიც არა ჰყავს ურიგო, შესანიშნავი სპეციალისტიო...“ თან გაიფიქრა: ყველაზე კარგი გამოსავალი ეს იქნებოდაო...

„და ჩემი შვილი იქ გადავხვევო?! შესძახა მხურვალედ ნიკომ, „თემური ხომ ასტრონომია და პულკოვოში მუშაობს! არავითარ შემთხვევაში... ეშინია ანდროს იქ არ დაოჯახდეს და იქვე არ ჩარჩეს... თორემ რა მაქვს სათქმელი, ანდრო ჩვენი ამხანაგია და კარგი ოჯახის პატრონი... ვერა, ვერა, თიკოს მე გვერდიდან ვერ მოვიშორებ, ჩემი შვილიც, ჩემი შვილიშვილებიც, — ოღონდ ერთი ღირსი გავხდე, — ჩემთან უნდა იყვნენ, მე უნდა ვიზრუნო, მე გავზარდო, აბა, მაშ, ვისთვის მინდა, რაც რამ მაქვს და მაბაღია, გაღმავლებისთვის? თუ წვრილშვილი მახვევია?! ჰაიჰარად კი არ ვიფიქრე ოთარზე, ისეთი თვინიერი ბავშვი იყო, სადაც დასვამდა მარო, თუ არ ეტყოდა ადექო, არ ადგებოდა, თვინიერი და წესიერი, ერთ გადაბრუნებულ სიტყვას არ ეტყოდა დედას, თითის სიგრძე როგორ მხარში ედგა, ათი-თერთმეტი წლისას ფიჩხი და გუდურები ჩამოჰქონდა ტყიდან, და თან არასდროს სწავლისთვის არ უღალატია... ეხლა ფეხზე დგას, კარგი ადგილი აქვს, დისერტაციაც კი დაიცვა, თანაც მოსკოვში, თიკოს აკი გეუბნები, დღეში ცხრაჯერ ურეკავს, ისე უყვარს, აღარ იცის რა ქნას, და თანაც ბავშვობიდან... მაშ, სულელი არ არის ჩემი შვილი, ბალზაკი არა აქვს ნაკითხულიო, ნამდვილ პოეზიაზე წარმოდგენა არა აქვსო, და ისეთი უგემოვნოა, აზრზე არ არის, რა ჩაიცვას და რა დაიხუროსო... შენ ჩააცვი და შენ დაახურე — მეთქი, მე შენ გეტყვი, არ დაგიჯერებს და სიხარულით არ დაგეთანხმება — მეთქი, მაგრამ აბაა, შეაყარე კედელს ცერცვი! ხომ იცი შენ, ვიღას არ უთხოვია თიკო და აქამდე ყოველთვის თავს ვიკავებდი, შორს ვიჭერდი, ასეთი გაუგებელი ხომ არა ვარ, ვიცი ჩემი შეჭედული ხატის ამბავი, მაგრამა, ახლა კი ნურას უკაცრავად, ახლა უკვე დრო აღარ იცდის, ახლა ჩარევა გარდაუვალა და სწორედ შენი გვერდში ამოდგომაა საჭირო, შალვა, ჩემო საყვარელო, სიცოცხლეზე მეტად ტკბილო!“ გაიცინა ნიკომ და შალვას ხელი გაუწნოდა, „Дайте вашу честную руку!“

შალვამაც ხელი კი გაუნოდა, მაგრამ უსია-  
მოვნოდ მოწკურა თვალები და თავი გაიქნია:  
„რა ვიცი, ნიკო, ჩემგან მაინც... ასეთ საქმეში  
ჩარევა... ისეთ უტაქტობად მიჩვენება... ახალ-  
გაზრდა, თავმომწონე ქალი... მიდი და უჩინი-  
ნე... ვინც არ გსურს, იმას გაჰყვიეო... შენ ასე  
შეირთე მარიკო? ცეცხლნაკიდებულებით  
რომ დასდევდი კუდში?! ან მე დედაჩემის ჩი-  
რინით მოვიწყე ოჯახი?!“

„ჰოდა, ცეცხლნაკიდებულებით არის ოთა-  
რი! ან ჩირინი რა შუაშია, შენ მე გამაგიჟებ,  
კაცო, ვინ შენა და ასე უკან დახევა?! უტაქ-  
ტობა რასა ჰქვია, როცა მართლა მამასავითა  
ხარ, და ღვიძლი მამისაგან განსხვავებით,  
შენს სიტყვას თიკოსთვის შეიძლება გადამ-  
წყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს... ამ გატაცე-  
ბების მიუხედავად, არავისთან სიახლოვე არ  
ჰქონია და ღმერთსაც დაეფარებინა, მაგრამ  
ყველაფერს ხომ თავისი დრო აქვს, შეუძლე-  
ბელია ქმართან კარგად არ იგრძნოს თავი, არ  
შეუყვარდეს, თუ ერთი ჩანჩურა არ შეხვდა,  
და ოთარი პირიქით, ძალიანაც ჯანმბგარი  
ყმანვილი ჩანს?!“

ოოოჰ, ჯანმბგარი... ეკალივით ეცა გულზე  
შალვას... და მყისვე ცოცხლად წარმოუდგა,  
როგორ აიტაცა ამ ჯანმბგარმა მკლავებმა პა-  
ტარა გოგო, ნადავლივით გააქანა ბუჩქებში  
და ძერასავით დააცხრა... და შალვამ უნებუ-  
რად ამოიკვნესა, შეკრთა, ჩაახველა, ვითომ  
ხმის ჩანმენდა უნდოდა, კონიაკი დაასხა,  
ნიკოსაც დაუმატა, ერთბაშად გადაკრა, ნუ-  
ში გაკვნიტა და დაფიქრებით შეხედა ნიკოს,  
რომელიც კონიაკს წრუპავდა, თუთას შეექ-  
ცეოდა და შალვას გამოხმაურებას ელოდა.  
შალვას კი უცებ და ერთბაშად გველივით  
ამოუსრიალდა დანაშაულის გრძნობა, ისე  
დაუმძიმდა გუნება, ასე ეგონა, მართლა ქვე-  
წარმავალმა ჩაიბუდა მის გულში, ასე ეგონა,  
დანაშაულის შხამმა თავით ფეხამდე გამსჭვა-  
ლა... სირცხვილი... სირცხვილი... რა ნამუსით  
უნდა გამდგარიყო განზე... თანაც თვალთმაქ-  
ცურად თიკოს ღირსების მომიზეზებით... რა  
სინდისით უნდა დაენყო სამოც წელს მიტანე-  
ბულ კაცს თოხარიკობა?! როგორ, მართლაც  
და მართლაც, თავის ერთგულ მეგობარზე  
უნდა გაღიზიანებულიყო და გაბრაზებული-  
ყო?! თანაც ყოვლად უსამართლოდ?! დამნა-  
შავე იყო, დამნაშავე, რომ ახლა თიკოს არავინ  
უნდოდა მის მეტი... რომ თიკოს, ბედნიერე-  
ბისთვის, ოჯახის შექმნისთვის, ქმარსა და  
შვილებში გაფურჩქვნისთვის სწორედ ის  
აფერხებდა, კვალში ედგა, საუკეთესო დროს  
ართმევდა, საქმროებს აკარგვინებდა... ესე  
იგი, მეტი გზა არ იყო?! უარი უნდა ეთქვა?!  
უკვე რეკდა ზარი?! ნიკო... ნიკო... რომელიც  
ასე შემოჰყურებდა... ერთი დღე რომ არ შეეძ-

ლოთ უერთმანეთოდ... ბოლო დროს კი თავს  
რომ არიდებდა... პირშავი იყო და იმიტომ...  
შაშვი კი გალობდა... ისე კი არა, წელან რომ  
ჩაიჭრიახებდა ხოლმე, ეტყობა, გამოძლა  
თუთით და ნასიამოვნები და გულსავსე ახუ-  
ჭუჭებდა თავის საგალობელს... სახლიდან  
ფორტიპიანოს ხმას ვიოლინო შეუერთდა,  
ლელიკოს ახლა უკვე ანსამბლის გაკვეთი-  
ლი ჰქონდა და ბეთთჰოვენის გაზაფხულის  
სონატას უკრავდნენ მონაფეები, და შალვამ  
გაიფიქრა, რა საინტერესო კონტრაპუნქტს  
ქმნის შაშვის გალობა გაზაფხულის სონა-  
ტასთანო...“ „ამ შაშვის გალობამ, თუ იცი,  
რა გამახსენა ნიკო.“ „რა თქმა უნდა, ვიცი.“  
უპასუხა ნიკომ და ორივეს თვალწინ დაუდგა  
ორი პატარა ბიჭი, გარიჟრაჟის ბინდბუნდში  
გიგოსგორისკენ რომ მივბოდნენ და რიყის  
პირას, ვახვახიშვილების გვიანა თუთიდან,  
ავვისტოს შავი ხართუთიდან, შაშვის გალობა  
ისმოდა... ისე ადრე... უთენია. „იმ ღამეს ხომ  
თქვენთან დავრჩი, რომ ღამიანადვე, რიჟრა-  
ჟისას წავსულიყავით... მთელი ღამე არ გვძი-  
ნებია, ჩურჩულში გავატარეთ, შვიდი წლის  
მამუკა არ გაგვეღვიძებინა...“ „მაინც რა შე-  
უპოვარი იყავი ბავშვობიდანვე, ნიკო, შენ  
მითხარი ისე მტკიცედ, შენ ჩამაგონე, რომ  
უნდა წავსულიყავით, რომ ეს ჩვენი ვალი  
იყო, არადა თორმეტი წლისანი ვიყავით მა-  
შინ, პატარა ბიჭები...“ „ჩვენ უკვე ვიცოდით,  
რომ წინა ღამეს მოიპარეს, — ახალგაზრდა,  
ღამაზი სტუდენტი რომ იყო, ილიკო მაყაშვი-  
ლი, — იმისი გვამი, — ნადიკვარზე ჭიდაობ-  
დნენ ხოლმე ისა და შალიკო რჩეულიშვილი,  
— მე კიდევ ძია ელიზბარი ძალიან მიყვარდა,  
მამა და ძია ელიზბარი ხომ მეგობრები იყვნენ  
ჩვენსავით...“

შალვას ცრემლი მოერიო, ნამდვილად კო-  
ნიაკი მომეკიდაო, გაიფიქრა, ძლივს შეიკავა  
თავი, არ ეტირა. „შენიანები ყოველთვის შენ-  
თან არიან, ნიკო.“ ხმა ებზარებოდა, მაგრამ  
მაინც უნდოდა მოეგონებინა ის შორეული  
გარიჟრაჟი... „გახსოვს, თხრილებთან რომ  
მივირბინე, ვინ დაგვხვდა იქ? გორის ძირას  
კიდევ ცხენის ურემი იდგა დიდი გეჯით...“  
ჯერ შეგვეშინდა, მაგრამ რომ მოზრუნდა და  
ხელი დაგვიქნია, ვიცანით, მამაჩემისა და ძია  
დიმიტრის ყოფილი მონაფე იყო, მამა სულ  
იმას ამბობდა ხოლმე: როგორ მინდა ჩემი  
შვილებიც ისეთი ნიჭიერები იყვნენ, როგო-  
რიც კოლა დალაქიშვილიაო...“ „მაშინ ხომ  
სტუდენტი იყო და უნივერსიტეტშიც მაგრად  
სწავლობსო, ამბობდნენ, თითოთ საჩვენებე-  
ლიაო, თან რა სიმპათიური იყო, ბუჩქივით  
ქოჩორი ედგა, განსაკუთრებით იმ გარიჟრაჟ-  
ზე მეცა თვალში კოლას ქოჩორი, ასე მეგონა  
ყალყზე ედგა...“ „რამ მოგიყვანათ ბიჭებოვო,

თქვენ ხომ ჯერ ბავშვები ხართო, და შენ კაცივით უთხარი: ჩვენ უკვე დიდები ვართო... მაინც რა შეუპოვარი იყავი, ნიკო, კვერცხში წიოდი..." „კოლას უკვე ამოეთხარა თავისი მამის გვამი... თურმე უცებ ვერც კი იცნო, სანყალი მღვდლისთვის ანაფორა გაეხადათ, ჯვარიც აერთვათ... საგანგებოდ გაეკეთებინა კოლას დიდი გეჯა და როგორღაც ჩაესვენებინა თავისი გაძარცული, დახვრეტილი მამა..." „კიდევ კარგი აქ დაგხვდითო, გახსოვს რომ გვითხრა, რა უნდა გექნათ ცარიელი ხელებითო, ურმიდან მაშინვე ჩამოიღო ნიჩაბი და წერაქვი..."

„მერე ხომ მე ვიცანი, შალვა, ძია ელიზბარი, მარჯვენა შუათითზე დიდი ნაჭდევი ჰქონდა, და მიწა რომ გადავყარეთ და ხელები გამოჩნდა, ძია ელიზბარი მეთქი, — დავიძახე, აი, ის, ნაჯახის ნაჭდევი სიყმანვილეში რომ ჩაურტყამს — მეთქი..." „როგორ გვიშველა კოლამ, როგორ გვიშველა... ეხლაც რომ შემხვდება, მაღლიერებით ავივსები ხოლმე..." „მერე შეერთებული ძალით გეჯა ოდნავ გვერდზე მივნიეთ და ძია ელიზბარი გვერდულად ჩავასვენეთ... დიდი ბრეზენტი ჰქონდა ნამოღებული კოლას და ზევიდან ურემს ის გადავაფარეთ."

„და რომ მოვდიოდით, გიგოსგორასთან, მთელ იმ გზაზე, შაშვის სტვენა ისმოდა..." „ვახვახიშვილების ბალიდან... და მახსოვს კოლამ რომ გვითხრა: ბიჭებო, გესმით, როგორ უსტვენს შაშვიო, კიდევ კარგი ამდენმა სროლამ არ დააფრთხო და არ შეშინდაო." იმ დღესაც გალობდა შაშვი... ღმერთო, როგორ გალობდა... ნუთუ აღარსოდეს... აღარასოდეს... რეკავს ზარი, რომ აღარასოდეს არ უნდა განმეორდეს რაც იყო...

თიკოს ცრემლები ჩამოსდიოდა, ის კი კოცნით უმშრალეზდა დასველებულ ლოყებს... და შალვასაც ერთბაშად ცრემლები წამოუვიდა, ორივე ხელი შუბლზე მიიღო, თვალები მოიჩრდილა და თავი ჩაღუნა...

„ოჰ, ჩემო ძმობილო ჭიანჭველა, შენ ყოველთვის ძალიან ემოციური იყავი..." თქვა ნიკომ თანაგრძნობით, „თუმცა რა, ამდენი დრო გავიდა და თითქოს გუშინ მომხდარიყოს ყველაფერი..." შალვამ თავი აიღო, გაიცინა: „მე მგონი, ჭიანჭველა დობილი იყო, განა არა? შენ კი აბა, თუ იცი, იმ მგალობელ ბაღში ვინ ცხოვრობდა დიდი ხნის წინ?" „მორჩა, მორჩა... აღარასოდეს აღარ მივლენ იმ ბაღში... ალბათ, ასე სჯობს... რაც გარდაუვალია, გარდაუვალია..."

„ვინა? ძალიან კარგად ვიცი, ჩემი დიდი ბებია მოსწრებია ყმანვილქალობაში, დიდი ამბით მიაშობდა ხოლმე, მშვენიერი მოხუცი მანდილოსანი იყოვო და ყველაფერზე ეტყო-

ბოდა, განსაკუთრებით კი ხმის კილოზე, საუბრის ყაიდაზე, თვალთა მზერაზე, სამეფო ოჯახში რომ იყო გაზრდილიო..."

„მოდო დავლიოთ, ნიკო, კიდევ ერთიც დავლიოთ..." თქვა ჯავრიანად შალვამ და ფუჟერი აიღო, ჩვენს მეგობრობას გაუმარჯოსო...

„გაუმარჯოს, შალვა, დავლიოთ და მერე ისევ ჩვენს ცხვრებს მივუბრუნდეთ, და მე გეტყვი, რა მოვიფიქრე, დარწმუნებული ვარ, დამეთანხმები." გადაბრუნდა კილოთი წარმოთქვა ნიკომ.

„დაგეთანხმები, ნიკო, დაგეთანხმები!" — უცბად რაღაც მოულოდნელი აღტყინებით შესძახა შალვამ. ჯერ ისედაც განცდებით იყო სავსე, თუ სიყვარულის, თუ სასონარკვეთის, თუ წარსულის, თუ დანაშაულის... და კონიაკმა თანდათანობით სულ უფრო და უფრო გაუმძაფრა თავისი ცოდვისა და ამ ცოდვის გამოსყიდვის სურვილი, და ამ სურვილმა აიტანა, ლამის აიტაცა, ცეცხლივით მოედო, რომ პირნათელი ყოფილიყო, როგორც ყოველთვის იყო... პირნათელი თავისი მეგობრის, თავის ცოლის, თავისი შვილის, შვილიშვილის და ყველას, ყველას წინაშე! გადაიხარა, გრძნობამორეულმა ნიკოს მხარზე ხელი მოუთათუნა: „ნიკო... ჩემო ნიკო... გახსოვს შენი მაგელანობის დროს ამერიკიდან ლურჯი ბერეტი რომ ჩამომიტანე, ტყავმოკერებული, შენც გქონდა ისეთი და როგორ ვინონებდით თავს, თელავში კი არა, თბილისშიც არავინ დადიოდა ასეთი ბერეტებით... ჰოდა, თქვი, კაცო, თქვი რა მოიფიქრე!" „რა მოვიფიქრე და არ დაგიმალავ, ოთარი იყო ჩემთან, იცოდე, თიკომ კი არაფერი იცის, და მთხოვა ექსპედიციაში წაიყვანო, თქვენ ხომ სულ მალე მიდისართ, მეო ძეგლზე მუშაობის გამოცდილება მაქვსო, მივეხმარებო, მეც მაინტერესებსო, ჩემს შვებულეზას დავამთხვევო მთაში წასვლასო, და თუ მოვეწონები ბატონ შალვას, მერე იქნებ ნახევარ შტატში ამიყვანოს შეთავსებითო, გიჟდება კაცი, უნდა თიკოს გვერდით იყოს და თვალებში შესციცინოს... ხომ იცი, ბუნების წიაღი, ერთად ყოფნა, თქვენი შეძახება, და საერთოდ მთის ატმოსფერო, იმედი მაქვს, კარგ შედეგს გამოიღებს, ჰაა, შალვა, ხომ კარგი მოფიქრებაა, რას იტყვი?!"

შალვა ჯერ ისევ იმ ტალღაზე იყო, დანაშაულის გამოსყიდვისა, და გულმხურვალედ დაეთანხმა: „აი, ნახავ, თუ ყველაფერი ისე არ დამთავრდეს, როგორც შენ გინდაო, აი, ნახავო!" თითქოს საკუთარი სიტყვები მაგიურად მოქმედებსო, თითქოს ამაზე სანუკვარი აღარაფერია მისთვისო... ნიკოს გახალისებას ხომ საზღვარი აღარ ჰქონდა, ხვალვე, გადაუდებლად წავალ სპორტულ მაღაზიაშიო, იტალიური კარვები მიუღიათ, იმასაც ვუყიდი თი-

კოს, საძილე ტომარასაც და საერთოდ ვნახავ მთისთვის საჭიროსა და გამოსაყენებელსო... კიდევ დალიეს კონიაკი, გემრიელად შეექცნენ ნუშსა და თუთას... ახლა კი ლელიკოს დავხედავ და წავალო, ნიკომ თქვა და წამოდგა. ნიკო თვალს მიეფარა თუ არა, შალვას ერთბაშად დაუცხრა თავისი ალტყინება, რამდენი ხანია სასაფლაოზე არ ვყოფილვარო, მწუხარედ გაიფიქრა, წავალ, სანთლებს ავუწითებ დედასა და მამას და მათი ხსოვნის წინაშე ფიცს დავდებ, რომ ჯვარს დავუსვამ ჩემს თოხარიკობასო... ნიკო რომ გამოვიდა, შალვამ ქუჩის ბოლომდე გააცილა, მოსახვევთან გამოეთხოვა და სახლისკენ კი აღარ გაბრუნებულა, ზევითკენ, სასაფლაოსკენ აუხვია. ათავა მოკლე ქუჩა, ცხაკაიასი, და სასაფლაოს ქვედა მხრიდან მიადგა, სადაც გალავანი გარღვეული იყო სწორედ იქ. იფიქრა აქედან გზას მოვჭრი და უფრო მარჯვედ მივალ დედას და მამას საფლავთანო, და მთავარი შესასვლელისაკენ აღარ აუხვია. აქაურობა ისე იყო დაბურული ასწლოვანი ცაცხვებითა და კვიპაროსებით, შორიახლოდანაც კი, სანამ საფლავები გამოჩნდებოდა, ტყე-პარკი გეგონებოდათ. არც ისეთი დიდი ხნის წინ ორი სასაფლაო თავს ასდიოდა, რიყის მარჯვენა მხარეს ქართველების სასაფლაო და რიყის მარცხენა მხარეს სომხებისა. ახლა ეს ძველი ქართველებისა, გადავსებული იყო ლამის მიჯრით მიწყობილი მარმარილოებით, ძველთაძველი საფლავების ქვებით, ბრინჯაოსა და ლაბრადორის აღმართული მატურებით, რკინის მესერებითა და გრეხილი ზღუდეებით, და ასე გასინჯეთ, სამარეებზე ძეგლად დადგმული სახლაკებითაც კი. ხეირიანად ბილიკებიც კი აღარ იყო დატოვებული და ადგილ-ადგილ საფლავებთან მისვლა ჭირდა.

შალვა კონიაკით იყო შემთვრალი და გაბრუნებული, თან სასაფლაოს გრილ ჰაერზე, ხეების შრიალში კიდევ უფრო იგრძნო სასმელის ძალა, ერთი-ორჯერ მიხვეულ ბილიკზე შექანდა კიდევ... ისედაც, თუმცა ზეპირად იცოდა აქ ყველაფერი, ხან ნაბიჯს ანელებდა, ხან წუთიერად შეჩერდებოდა და საფლავებს თვალს ავლებდა. ნიკოსთან დაშორების შემდეგ მღელვარებამ და აფორიქებამ მოიცვა, საპირისპირო განცდები უფუტყნიდა ძარღვებს, ერთის მხრივ თუ ფიქრობდა, რომ ნიკო დროულად მოვიდა, თორემ დღეს არა, ხვალ მათი ამბავი გამჟღავნდებოდა, ერთის მხრივ თუ ამუნათებდა თავს სად ბერი ცხენი, სად ჭრელი უნაგირიო, და ძალიანაც კარგი, რომ ყველაფერს წერტილი დაესმებო, მეორე მხრივ გული ეწურებოდა იმის წარმოდგენისას, რომ მართლაც ყველაფრისთვის ჯვარი უნდა დაესვა, და მთაში,

იმ სილამაზესა და მშვენიერებაში, — ბანარას ხეობა და კახეთის მთები ხომ განთქმულია თავისი სილამაზითო, — ოთარი უნდა წაეყვანა, ოთარი! ეს რა მოიგონა, ღმერთო, ეს რა პირობა მისცა ნიკოს, ეს რა ამოცანა დაუსახა თავის თავს, მშობლების საფლავზე ფიცი დადოს, ფიცი რომ, როგორც დამნაშავე ბიჭი, ამიერიდან აღარ იცეკლებს, კარგად მოიქცევა და სანიმუშო ყოფაქცევის იქნება... ოჰ, ნეტავ ესმოდეს ვინმეს, რომ დასცინონ, მასხარად აიგდონ, გააპამპულონ, აი, ამისი ღირსია! მაგრამ სასაფლაოზე რომ მივიდა და ათასჯერ წაკითხულ ეპიტაფიებს თვალი ჩააყოლა, თანდათან დამშვიდდა, აქ ისეთი სინყნარე და სიმყუდროვე სუფევდა. თუ მართალია მერიმეს სიტყვებით, გაიფიქრა, რომ არა არის რა უსახელო პეიზაჟზე უფრო უცხო და მოსაწყენიო, მაშინ ამდენი ნაცნობი და ახლობელი სახელებით მოფენილი სასაფლაო ყველაზე უფრო შინაური და მშობლიური ადგილი უნდა იყოსო, მე ნამდვილად შემძლია ამ საფლავების მიხედვით ჩვენი ქალაქის ისტორიაც კი დავწეროვო. მართლაც აქ დასაფლავებულთა დიდ ნაწილს შალვა იცნობდა და ძალიან კარგადაც იცნობდა. ბავშვობაში ხომ უბნის ბიჭების გარეშე არც ერთი მკვდარი არ დასაფლავდებოდა. გაიგონებდნენ თუ არა სამგლოვიარო მარშის ხმას, ვინ საიდან გამორბოდა, ვინ საიდან, რომ პროცესიას გამოჰკიდებოდნენ ვითომ „პატივის საცემად“, სინამდვილეში კი სეირის საყურებლად. მერე და მერე ხომ მიაცილებდა და მიაცილებდა, ზოგი მეზობელი იყო, ზოგი ნათესავი, ზოგი ნათელ-მირონი, ზოგი ახლობელი, პატარა ქალაქში ლამის ყველა ყველას სცნობდა... ოო, რამდენი გაისტუმრეს, რამდენი... და ახლა წინაპრები?! და ისინი, ვინც წინაპრებმა გაისტუმრეს?! აი, ეს, ლაბრადორის ობელისკისებური მატური... შალვას არ შეეძლო ორიოდ წამით მაინც არ შეჩერებულიყო ამ სვეტთან, აქ ხომ ყარსის გმირი იყო დასაფლავებული, ოცდახუთი წლის ულამაზესი და უმამაცესი ოფიცერი არჩილ ვახვახიშვილი... ოჰ, რა ლეგენდებს ჰყვებოდნენ მის მამაცობასა და თავგანწირვაზე, ჩეხა და ჩეხა მტერი და დუშმანიო, და როცა სასიკვდილოდ დაჭრეს ფერდში, ერთ თავის დაჭრილ მებრძოლს კიდევ უშველაო, მერე ხელით ეჭირა ჭრილობა და მაინც მიაღწია შტაბამდგო, გენერალს უპატაკა თავისი ნაწილის ამბავი, თავის მზეთუნახავ ცოლთან გამოსათხოვარი წერილიც უკარნახა შტაბის ოფიცერსო და მერე კი ფეხდგომელამ, კედელს მიყრდნობილმა დალია სულიო. ზალპების ზათქითა და გრიალით გამოაცილესო, დიდის ამბით ჩამოსასვენეს მშობლიურ ქალაქში და აი, აქ დაკრძალეს, საგვარეულო

სასაფლაოზე. ლაბრადორის ობელისკს წარწერა რუსული ჰქონდა:

Горечо любимому Арчилу  
От неутешной Лели

ქვევით კი ასეთი სიტყვები იყო ამოტვიფრული:

„Знай дорогой, нет в мире  
Такой могучей силы,  
Чтоб угасить она могла  
Во мне любовь.“

Прощай, - до нового свиданья!“

დედა უამბობდა ხოლმე შალვას ამ მამაცი რაინდი არჩილისა და მისი მზეთუნახავი ცოლის ამბავს, რომანტიულ, სევდიან ამბავს, რომ საფლავის გაკეთებისა და ხარჯის გადახდის შემდეგ, ქალმა დაწერა წერილი: „მაპატიეთ, მაგრამ არჩილის გარეშე სიცოცხლე არ შემოძლიაო...“ დალია შაბიაშინის ხსნარი და თავი მოიკლა. მატურის გვერდით ნახნაგზე ეწერა მხოლოდ სახელი Леля, და ცოტა ქვევით კი „Навеки в месте“. შალვა შეჰყურებდა ამ წარწერებს, ვინ იცის მერამდენედ, და ფიქრობდა: 24 წელს თუ გადაურჩებოდა ეს მამაცი ოფიცერი, რაც ძნელი წარმოსადგენია, და თუ გადაურჩებოდა ყოველწლიურ, შედარებით წვრილ-წვრილ რეპრესიებს, შეუძლებელია 37-ის ტოტალურად დაგებულ რკინის მახეში არ გაბმულიყოვო, და, ალბათ, სჯობდა ბრძოლაში გმირულად დაღუპვა და მშვენიერი ელენეს დატირება, საკუთარი ხელით გათხრილ ორმოსთან დახვრეტას, ან ჯალათის ხელით მოშობასო, რომ აღარაფერი ვთქვათ სასტიკ დაკითხვებზე და შემზარავ წამებზე. განა არ ერჩია ჩემ საცოდავ ძმას ომის ქარცეცხლი ჩეკას ჯურღმულებსო?! რეპრესირებულებს საფლავი არა აქვთ... არა აქვთ... არა... რა სიმწრით წავიდა დედა... ამ ლაბრადორის ობელისკმა ახლიდან გაახსენა, თუმცა არც არასოდეს ავიწყდებოდა, თავისი უმცროსი ძმა, ვინ იცის სად ჩაკლული, ვინ იცის ყვაე-ყორნების საჯიჯგნადაც გადაგდებული... ამის წარმოდგენაზე, არადა ზოგჯერ, როგორც ესლა, დალეული და გაბრუებული, ისე ცოცხლად წარმოიდგენდა ხოლმე და გუნება ეშხამებოდა... არადა, რისთვის მოდიოდა, სასაფლაოზე დალეული, თავბრუდახვეული, ახიც იქნება, რომ ჩაიჩეხოს სადმე! რისთვის, დედასთან და მამასთან ფიცის დასადებად? თუ ლაყვა, თქვას, თავისი პირით თქვას... ჰო, ჰო, ლაყვა, მაგრამ როგორ არ უნდა ლაყე იყოს, თავისი დაღუპული ძმის მწარე მოგონებასთან ერთად, როგორც არ უნდა ენატრებოდეს თიკო, პატარ გოგო, უსაყვარლესი გოგო, ძუძუები ბელურებს რომ მიუგავს, არავითარ შემთხვევაში, არასოდეს, აღარ, აღარ, აღარ გაეკარება... ყველაფერს

შეასრულებს, რაც ნიკოს უთხრა... ყველაფერს... როგორი გაბრუებულია... ბორძიკით მიდის... საით მიდის... საით... ჰო, იცის საითაც... ვითომ თავისი ძმის საფლავზე მისულა... ისინიც ხომ ისევე არიან ჩაფლულები... ოტო...ოტო... ოტო შტაინი... რამდენი ხანია არ გახსენებია... და რა კარგია რომ სწორედ ახლა გაახსენდა... ისინი სასაფლაოს განაპირას იყვნენ ჩაყრილები, ახლა აგეერ იქ ასფალტია, ქუჩა გადის... მივა და ასფალტს გაუსვამს ხელს, „ოტო, ოტო, სად არის შენი სული, თავისთვის ჩაილაპარაკებს. ძვლებიც აღარ იქნება... ხუთი წლის ელიზბარი გამორბოდა: „მამა, მამა, იქ წამდვილი საფრთხობელა დგას... და ხელს მიქნევდაო!“ შალვას სარწყავი ეჭირა ხელში და პამიდვრებს რწყავდა... ჩაიგდებდა ხელში თუ არა თავისუფალ დროს, — არადა სამ ადგილას მუშაობდა, გადარბენაზე იყო, მცირე ხნით თუ შემოირბენდა სახლში, — მაშინვე ბოსტანს მიაშურებდა... ხან მარგლიდა, ხან ძირებს უჩვილებდა, ხან რწყავდა, თითოეულ წერგს დაჰკანკალებდა... რაც თავის დღეში არ ეკეთებინა, იმას აკეთებდა, ამ საშინელ გაჭირვებაში ეს ბოსტანი იყო ერთ — ერთი მათი მასულდგმულე ბელი. ბოსტანი მაშინ მოაშენა შალვამ, 42-ის გაზაფხულზე, როცა ერთ დილას, ლელიკო სანოლში რომ წამოჯდა, ფანჯრიდან ბაღს გახედა და სიხარულით შეჰკვივლა... შალვას არასოდეს გაეგონა ლელიკოსაგან ასეთი შეძახილი, ლამის ისტერიული შეძახილი: „ჭინჭარი! ჭინჭარი! შეხედე შალვა, ჭინჭარი!“ მართლაც, გალავნის ძირას, მთელ სიგრძეზე ჭინჭარს ამოეყო თავი. შალვა კი მოიღუშა და თავი მიაბრუნა... მაშინვე წამოდგა და ბაღში გავიდა. მეტად სინდისიერი ადამიანი იყო, აღსავსე მოვალეობის გრძნობით, არასდროს არ უჭირდა საკუთარი თავის დადანაშაულება, პირიქით, ხშირად ისე ეგონა, ყველა უბედურებაში მისი წილიც ერია, ომი რომ მძვინვარებდა, შიმშილი რომ ჩამოდგა, ელიზბარს წამდაუნუმ ყველაფერი რომ უპატარავდებოდა, შეშა რომ ჭირდა და სანამ ტყეში წავიდოდა, სიცივეში უხდებოდათ კავკავი, და რა თქმა უნდა, რამდენიმე დღის წინ ლელიკომ აბორტი რომ გაიკეთა. როგორ ესვენა, როგორ ემუდარა, რამენაირად გავზრდითო, ასე მგონია, გოგო იქნება და ძალიან მინდა დედაჩემის სახელი ისმოდეს ჩვენს სახლშიო.

„მე არ მინდა!? მე არ მინდა?!“ ტირილის ხმაზე ამბობდა ლელიკო, „ჯერ ახლავე ფეხები მეკეცება სიარულის დროს და მერე რალა იქნება, ალბათ, ფეხზე ვეღარ დავდგები, რა უნდა გაჩნდეს, იქნებ ვერც ენა ამოიდგას, ვერც ფეხი აიდგას, და ეს გინდა, ესა? „მართლა რა უფლება მაქვსო“, სიმწრით ფიქრობ-



და შალვა, „თითებმორღვეული ბანრის ხელ-  
თათმანებით ზის როიალთან და ელიზბარის-  
თვის ერთი მამალო ვერ გვიყიდიო“. და ისევ  
და ისევ ბრალითა და დანაშაულის გრძნობით  
ივსებოდა. მაშინ იყო სწორედ საბოსტნე რომ  
შეარჩია თავიანთ დიდ ეზოში, ჯერ ჭინჭარი  
დაკრიფა, — ახლად ამოღერილი, ნორჩი ჭინ-  
ჭარი იყო, — გარეცხა, ქვაბში ჩაანყო და მო-  
სახარმად მოამზადა, მერე კი ფარდულიდან  
ბარი გამოიტანა და ბარვას შეუდგა... ორი-  
ოდ წელიწადში კარგი მებოსტნე დადგა, მაგ-  
რამ გარჯას კი მოითხოვდა, ბოსტანი დროსა  
და გარჯას, განსაკუთრებით წყალი ჭირდა,  
ფერდებილა ჰქონდა ჩანყვეტილი დიდი სათ-  
ლებით წყლის ზიდლით. თან ყველაფერი  
მოსწრებაზე იყო, რომ არსად დაჰგვიანებო-  
და, არც გაკვეთილებზე, არც ლექციებზე,  
მუზეუმშიც აუცილებლად შეერბინა, დირექ-  
ტორი მაშინ შესანიშნავი პიროვნება, მუზე-  
უმისთვის თავდადებული სანდრო მამულაშ-  
ვილი იყო, და ყველანაირად უწყობდა ხელს  
თავის თანაშემწეს. ახლაც შესვენებაზე  
მოირბინა, კიტრი და პამიდვრები უნდა მო-  
ერწყა, საღამოს ლელიკოს სამხედრო ქალაქ-  
ში, „გოროდოკში“, კონცერტი ჰქონდა, იჯდა  
ეხლა და შოპენის პოლონებს უკრავდა...  
შალვაც აუცილებლად უნდა ნაჰყოლოდა  
ელიზბართან ერთად. კონცერტის შემდეგ  
მადლიერი სამხედროები ლელიკოს მცირეო-  
დენ ძღვენს მოართმევდნენ ხოლმე, ბურღუ-  
ლული იყო, პერლოვკა და ფეტივი, კვერცხის  
ფხვნილი და ჰერკულესი, ერთხელ კი, — ოჰო-  
ჰოჰო, რა გაიხარა ელიზბარმა, — ნახევარკი-  
ლოიანი ქილით შედედებული რძეც გამოა-  
ტანეს, ტლიკა და ტლიკა, თან პატარა მუშტს  
გულზე იბაგუნებდა სიამოვნების ნიშნად.  
ჰოდა, შალვას აუცილებლად უნდა მოესწრო  
ბოსტნის მორწყვა, სანამ ინსტიტუტში გაიქ-  
ცეოდა და სტუდენტებს კეისრის ბრძოლებზე  
ჩაუტარებდა ლექციას. ორი კვალელია ჰქონდა  
დარჩენილი, პამიდვრებს კარგად ესხა, უკვე  
შემრეშილიც იყო და ერთ კვირაში კიდევაც  
მოინეოდა. რა კარგია, თავზე საყრელად გვექ-  
ნებო, გამოტანე მარილი, მონყვიტე, გადა-  
ხეჩე და მიირთვიო, გაიფიქრა სიამოვნებით  
და მაშინვე კეისრის ის ზუსტი შეფასება გა-  
ახსენდა, გადამწყვეტი ბრძოლის დროს პომ-  
პეუსის მარცხის მიზეზისა, როცა პომპეუსის  
გაქცევის შემდეგ მისი ძვირფასად მორთული  
კარავი ნახა: როგორც ჩანს, პომპეუსს გამარ-  
ჯვებაზე უფრო მეტი უფიქრია და უოცნებია,  
ვიდრე უშუალოდ ბრძოლაზეო. ასე და ამრი-  
გადო, განაგრძო ფიქრი როიალის აკორდე-  
ბისა და სარწყავი წყლის წკაპანკუპების  
თანხლებით, სანამ ადამიანი არსებობს, ომსა  
და ბრძოლას არა და არ შეეშვებაო, ამასობა-

ში დედამინა თუ უსასრულო სივრცეში არ  
დაინთქმებაო... და სწორედ ამ დროს ელიზბა-  
რის ძახილი შემოესმა, შეშინებული ეძახდა:  
იქ ნამდვილი საფრთხობელა დგასო. შალვამ  
სარწყავი დადგა და ჭიშკრისკენ წავიდა,  
შემოღებულ პატარა კართან მართლა საფ-  
რთხობელა იდგა, ძვალი და ტყავი, ანონილი  
და რუხ, ლამის ძონძებად ქცეულ შარვალ-ხა-  
ლათში ჩაკარგული. თითქოს თვალებსაც დაჰ-  
კარგოდათ მოძრაობის უნარი, გაშეშებული,  
უმოდრაო მზერით მისჩერებოდა შალვას, რო-  
მელიც მაშინვე მიხვდა, რომ ეს საფრთხობე-  
ლა გერმანელი ტყვე იყო, და თავი დაუქნია,  
მიესალმა. „ოოო“ თქვა საფრთხობელამ, თვა-  
ლები როგორც იყო დაახამხამა, უფრო სწო-  
რედ, ჩახუჭა და გაალო, თქმით კი რაღაცას  
ამბობდა, ისე ჩუმად, ლამის უხმოდ, შალვას  
თავიანთი ბებერი კატა გაახსენდა, პირს რომ  
აღებდა და ველარ კნაოდა. მაგრამ შეუძლე-  
ბელია გერმანელი ტყვე ბებერი ყოფილიყო,  
თუმცა ასაკიც თითქოს დაკარგული ჰქონდა,  
ვერ შეატყობდით რა ხნისა იყო. შალვამ სმე-  
ნა დაძაბა და ბოლოს გაიგო. „ბიტე... ვასერ...“  
„ელიზბარ“, მიუბრუნდა თავის პატარა ბიჭს,  
რომელიც მამის გვერდით, ახლა უკვე ცნო-  
ბისმოყვარედ მისჩერებოდა საფრთხობელას,  
„გამოარბენინე პატარა სურა და ჭიქა...“ და  
სანამ ელიზბარი დაბრუნდებოდა, კაცი ისევ  
შეაჩერდა შალვას და ერთი ნიუანსით ხმამალ-  
ლა თქვა „ოოო, პიანოფორტე... კლავირ...“

შალვა სკოლაში გერმანულს სწავლობდა,  
ბეჯითადაც სწავლობდა და ასე ვთქვათ, ქვეშ  
ნაყარი გერმანული ასე თუ ისე იცოდა: „მაინე  
ფრაუ... ისტ პიანისტ...“

„ოოო... ოოო...“ კიდევ უფრო მოემატა ხმა  
კაცს, „იჰ აუხ... იჰ აუხ...“ და კბილები დაკრიჭა  
გალიმების ნიშნად. საშინელი იყო, ნამდვილ  
ნილაბს დაემსგავსა, დაკრეჩილ ნილაბს. კი-  
დევ კარგი, ჰოსპიტალში მუშაობას თავი გა-  
ვანებეო, გაიფიქრა შალვამ, არადა, როგორც  
ლამის ყარაულს, ოთხ დღეში ერთხელ ვახშა-  
მიც ეკუთვნოდა, დილის საუზმეც და მცირე  
ხელფასიც. ვახშამი და საუზმე, რა თქმა უნ-  
და ბიდონით სახლში მოჰქონდა, ესეც რაღაც  
იყო, რაიმე ფაფა, პურის ნაჭერი, სახარინის  
ორი აბი. მაგრამ, რაც უფრო ფრონტი წინ მი-  
ინევდა, ჩვენი დაჭრილებიც კლებულობდნენ  
და ორმოცდაოთხის ბოლოს ჰოსპიტალი სულ  
დაიცალა დაჭრილებისაგან. და სწორედ მა-  
შინ მოიყვანეს გერმანელი ტყვეები, და შალ-  
ვამ რომ დაინახა მათი შემზარავი სახეები,  
აღარ მოინდომა ჰოსპიტალში დარჩენა.

ვისაც ჯერ კიდევ ფეხზე დგომა შეეძლო,  
მათ ამუშავებდნენ და შალვამ იცოდა, რომ  
ესენი გიგოსგორაზე ფიჭვის ნარგავებს აშე-  
ნებდნენ. წყალი რომ დალია, შალვამ შემოიყ-

ვანა ეზოში, გუდა ლელვი მნიფდა, სახლში მაინცდამაინც არაფერი ჰქონდათ, დღევანდელი პურის ულუფა ჯერ არ მოეტანათ, ფეტვის ორი-სამი კოკორია ეგდო და რამდენიმე მოხარშული კარტოფილი თავიანთი ბოსტინისა. შალვამ სინით კოკორია და კარტოფილები გამოუტანა, ლელვის ქვეშ სკამიც დაუდგა, ჯერ კარტოფილი მიირთვით და მერე ლელვი დააყოლებო. კაცი კი სულ „ოოო, ოოო-ს“ იძახდა, და საერთოდაც ყოველ წინადადებას ამ ოო-თი იწყებდა. ამასობაში ლელიკოც გამოვიდა და მანაც გაიცნო ეს უცხო სტუმარი. ლელიკოს მთლად გერმანული სკოლა ჰქონდა დამთავრებული და კარგი გერმანულის გაგონება ესიამოვნა, გაუკვირდათ, ისე ფაქიზად ჭამდა, გეგონებოდათ სულ არ არის დამშეულიო, სინზე პატარა ლუკმებად ჭრიდა კარტოფილისა და ფეტვის კოკორიას, სიხარბის ნატამალი არ ეტყობოდა. ელიზბარი აგზავნეს ლელვზე, დაუკრიფეო. და ლელვსაც ისე ლამაზად ფტქვნიდა ორი თითით. მომღერალი იყო თურმე, ბარიტონი, ამავე დროს დიდგვაროვანი ოჯახიდან, არისტოკრატი და ოტო შტაინი ერქვა. ფრონტან შორიახლოს ჯარისკაცებისთვის კონცერტს მართავდნენ თურმე და ყველანი, მთელი საკონცერტო ბრიგადა ტყვედ ჩავარდა. კაცი უცებ დაფაცურდა, ჩვენი შესვენება სადაცაა დამთავრდებო... გამოთხოვებისას კი დიდი მადლობა გადაუხადა და თითქოს მობოდიშებით დაამატა, თან ლელიკოს უყურებდა ფართედ გახელილი, უფრო დაჭყეტილი, მონაცრისფერო თვალებით: „ოოო... დამიჯერეთ, პურზე უფრო სიმღერა მენატრებაო, მეო ომამდე ერთი წლით ადრე დრეზდენის ოპერის თეატრში მიმიღეს და დონ-ჟუანიც კი ვიმღერეო.“

„იციოთ,“ აღენთო მაშინვე დახმარების სურვილით ლელიკო, „შესვენებაზე მოდით ხოლმე, გიგოსგორა ხომ აქვია, მე კონსერვატორიაში ანსამბლის გაკვეთილებზე შუმანისა და შუბერტის სიმღერები და რომანსები დამიკრავს მომღერლებთან ერთად, ნოტებიც მაქვს, სხვათა შორის, მალერის „მოხეტიალე შეგირდის სიმღერებიც!“

„ოოო...“ აღმოხდა მწუხარედ ამ საცოდავ კაცს, „ჩვენ ხომ მტრები ვართ,“ და მაშინვე იმ თავისი საშინელი ვითომ ღიმილით დაამატა: „ოფიციალურად.“

„მტრები კი არა, კოლეგები, კოლეგები!“ შესძახა მეგობრულად ლელიკომ და ხელი გაუწოდა. ამ ოტომ კი რაღაც უცნაურად გამოიწოდა ხელები, მიტყუპული ხელისგულებით ზევით, თითქოს უნდოდა ეჩვენებინა მასპინძლებისთვის ხელში არაფერი მაქვსო, მერე კი ორივე მტევანში მოიქცია ლელიკოს მარჯვენა და „ოოო, ზერ დანკეო,“ წარმოთ-

ქვა, „წარმოგიდგენია, შალვა, რა უღმობლად, რა ველურად უნდა მოექცე ადამიანს, რომ ასე დასცე და გაანადგურო?!“ — ეუბნებოდა ლელიკო თავის ქმარს გერმანელის ნასვლისთანავე. „შენ მე გამაგიჟებ, თავის ხალხს ექცევა ჩვენი ქვეყანა უღმობლად და გინდა ტყვის მიმართ გამოიჩინოს ლმობიერება?! ორი კვალა და მარჩა მოსარწყავი, სასწრაფოდ უნდა დავამთავრო და გავიქცე.“ და შალვა გაჩქარებული ბოსტინისკენ წავიდა, ლელიკო უკან გაჰყვა: „მაგრამ რადგან ჩვენ ხელისუფლება არა ვართ, ჩვენ უნდა მოვიფიქროთ რაღაც...“ „ჩვენ რა შეგვიძლია, ადამიანო, რაა?!“ შალვამ სარწყავს წამოავლო ხელი. „იცი, შალვა,“ პათეტურად წარმოთქვა ლელიკომ, „ადამიანს ყოველთვის რაღაც შეუძლია, თუ არ დაიზარებს და ხელს არ ჩაიქნევს!“ შალვამ გაიცინა: „ყოჩაღ, ჩემო ძვირფასო და საყვარელო, ასეთი დიდებული აფორიზმისთვის, ყოჩაღ!“ „შენ გაიცინე და, მე უკვე მოვიფიქრე!“ გამოჯავრებით თქვა ლელიკომ, „მომეცი ეხლა ეგ სარწყავი და შენ გაიქცე...“ „ფეხებზე არ დაისხავ?“ „არავითარ შემთხვევაში!“ „ბარემ მითხარი რა მოიფიქრე და წავალ.“ შალვამ სარწყავი დადგა კვლებს შორის, იქვე ბოსტინის განაპირას რკინის დიდი კასრიდან თუნგით წყალი ამოიღო სარწყავში ჩასასხმელად... ლელიკოსთან მივიდა, სველი ხელი მოუსვა სახეზე: „მოდით და ნუ ეყვარები ადამიანს ასეთი გიჟმაჟი,“ ცხვირზე აკოცა, „რატომ არ მეუბნები რა მოიფიქრე? ეჭვი გეპარება, რომ მეც შემეცოდა ის საწყალი კაცი?“

„ჩვენ ხომ ამ წლების განმავლობაში რამდენი კონცერტი გვაქვს ჩატარებული ჰოსპიტალში, ჩვენს სკოლასაც, მეც ჩემი მოწაფეებით, ჰოდა, რა იქნება, ვთხოვოთ ჰოსპიტლის უფროსს, რომელიც სულ არ არის ცუდი და გაუგებელი ადამიანი, ტყვეებისთვისაც მოვამზადოთ კონცერტი, უშუალოდ ამ კაცის მონაწილეობითაც, რომელსაც თურმე პურზე მეტად სიმღერა მოენატრა, ცხადია, ესტრადაზე სიმღერა... მე მგონი, არაფერი კრიმინალი ამაში არ არის, ხომ ასეა?!“ მართლაც ასე გამოდგა. ჰოსპიტლის უფროსთან რომ მივიდნენ მეორე დღესვე ლელიკო და შალვა, მას გაუხარდა კიდე, საბჭოთა მთავრობა ასეთ რამეებს ხელსაც უწყობსო, მითუმეტეს თუ არაფერი ეხარჯებაო, ეს ერთგვარი ლმობიერების გამოხატულებაა იმ დროს, როცა წარმოუდგენლად არის შემცირებული მომარაგება, ყველანაირი, სასურსათოც, მედიკამენტებიც და ფაქტიურად ცარიელი ხელეებით შევყურებთ ამათ ტანჯვა-წვალებასო. რამდენჯერ ჩვენ ყველას სახლიდან მოგვაქვს მცირეოდენი რაღაც, მაგრამ „პაიოკის“ პურით ვის რას გაანვდენ?! ისე თქვენც იცით,

ალბათ, საბჭოთა ბანაკები მოფენილია დრამ-  
წრეებითო... ისე რომ, ძალიანაც კარგი იქნე-  
ბა კონცერტის ჩატარება, ოღონდ, ეს ოტო  
შტაინი თქვენთან სახლში ნუ ივლის, ხომ  
იცით ჩვენი თვალთვალის ამბავი, პირიქით  
თქვენ მოდით ხოლმე და დარბაზში იმეცადინ-  
ეთ, თქვენ თვითონ, როცა შეძლებთ და მო-  
გეხერხებათო...


ლელიკოს შესანიშნავი ბიბლიოთეკა  
ჰქონდა, იმავე სალამოს მონახა შუბერტის  
სიმღერების რვეულები, შუმანის ცნობილი  
რომანსები „მე არ გინყრები“ და „სიზმარში  
მწარედ ვტიროდი“, ბეთჰოვენის „მინიონის  
სიმღერა“, „შორეულ სატრფოს“ და ორი-სა-  
მი დღის შემდეგ ჰოსპიტალში რომ წავიდა,  
ოტოს გადასცა, რასაც კონცერტისთვის  
ამოარჩევთ, დანიშნეთ და ის დავამუშაოთო.  
ოტომ სანოტო ქალაღი სთხოვა, ვოკალის  
პარტიებს კლავირიდან ამოვიწერდიო. კიდეც  
კარგი სანოტო ქალაღი, როდიდან დარჩენი-  
ლი, მოეძევებოდა ლელიკოს, და სულ მალე  
რეპეტიციებს შეუდგნენ. აღმოჩნდა, რომ  
ოტო შტაინს სანიშნავი ხმა ჰქონდა, დიდი  
დიპაზონის, ყველა რეგისტრში თანაბრად  
და სრულფასოვნად მჟღერი, და თან შესანიშ-  
ნავი ტემბრით. რაც მთავარია, მანერა მისი  
სიმღერის კეთილშობილებით იყო სავსე, მომ-  
ხიბლავი და გულში ჩამწვდომი. ლელიკოც  
არ ჩამოუვარდებოდა უტყუარი მუსიკალური  
ფრაზის, ფსიქოლოგიური ნიუანსების, დინა-  
მიური აქცენტების სწორად დასმით. ერთი  
სიტყვით, ორივენი კარგი მუსიკოსები იყვნენ  
და ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს, და მათ-  
მა გაკვეთილებმა, თუ რეპეტიციებმა სულ  
მალე წარმტაცი ხასიათი მიიღო. „ოო, თქვენ  
უბადლო პიანისტი ხართ...“ პაუზის დროს  
ეუბნებოდა ოტო ლელიკოს, „და თქვენი ად-  
გილი აქ არ არის...“ „გთხოვთ დააფასეთ ეს  
ადგილი,“ სიცილით უპასუხებდა ლელიკო,  
„ეს მეფე ერეკლეს საელჩო დარბაზია და მე-  
ფე ერეკლეზე, ხომ გითხარით უკვე ფრიდრიხ  
დიდმა რაც თქვა?!“ და ორივენი იცინოდნენ  
და სიამოვნებით განაგრძობდნენ იმეცადინეო-  
ბას. ოტოს ძირითადად ამოერჩია სიმღერები  
შუბერტის „ზამთრის გზის“ ციკლიდან, პირ-  
ქუში, ტრაგიკული განწყობილებით რომ გამო-  
ირჩევა, ბალადებიდან „ტყის მეფე“ აელო, და  
შუმანის სევდით სავსე ორი რომანსი ჰაინეს  
სიტყვებზე. და ყველაფერს, რასაც მღეროდა  
და ერთად ამუშავებდნენ, თავისი ქვეყნის ავ-  
ბედით მდგომარეობასა და თავის ბედკრულ  
ანწყობს უკავშირებდა, „ოოო, ეს მოხეტიალე  
მგზავრი მე ვარ, ზამთრის ბურუსსა და უამინ-  
დობაში რომ არ იცის თავი სად მიაყუდოს და  
ბოლოს გზის დასასრული სასაფლაოზე მიიყ-  
ვანს...“ „გთხოვთ, ოტო, ასე ნუ გააიგივებთ

თქვენთან შუბერტის პერსონაჟს, დამიჯე-  
რეთ, არსებობს ერთი მშვენიერი დღე, თქვენ-  
თვისაც რომ გამოზრწყინდება... მანამდე კი  
ჩვენი ბალის ხილი მოგიტანეთ, მიერთვით და  
განვაგრძოთ მუშაობა.“ თანაგრძობითა და  
დაყვავებით ეუბნებოდა ლელიკო. მართლაც,  
მათ ბალში ადრეულა ატამიც მოინია, ხომარ-  
დულიც, ლელვს ხომ ბლომად ესხა, და ყოველ  
მისვლაზე, თავის ჩანთაში, ნოტების გვერ-  
დით ხილით სავსე ქალაღის პარკს ჩადებდა  
ხოლმე. „ოოო, არსებობს ღმერთი,“ ამბობდა  
ოტო და თავის ნაცრისფერ თვალებს, არა მა-  
შინდელივით სასონარკვეთისა და შეძრწუნე-  
ბისაგან დაყვლეფილსა და საშინელს, არამედ  
გამოცოცხლებულს, იმედითა და ალერსით  
სავსეს, ლელიკოს შეანათებდა, „მე თქვენთან  
უფალმა მომიყვანა.“

ზოგჯერ კი ლელიკო სიცილს ვერ იკა-  
ვებდა ოტოს უცნაური ასოციაციებისა და  
დაუკავშირებელი მოვლენების ერთმანეთთან  
დაკავშირების გამო. ბალადა „ტყის მეფე-  
ზე“ მუშაობისას კი ოტო წარმოუდგენლად  
მღელვარებდა, სუნთქვა ეკვროდა, ხელებს  
იმტვრევდა, ზოგჯერ ერთი წამით შეჩერდე-  
ბოდა, უსასოოდ გადახედავდა პარტიაში  
ჩართულ თავის მშფოთვარე ლელიკოს, რო-  
მელიც თავს აიღებდა, რა მოგივიდათო, შეე-  
კითხებოდა, არაფერი, არაფერიო, დარცხვე-  
ნით იტყოდა ოტო, განვაგრძოთო... მაგრამ  
ბოლომდე რომ მივიდოდნენ, როგორც კი წარ-  
მოთქვამდა რეჩიტაციით იმ ტრაგიკულ სიტყ-  
ვებს „დას ქინდ ვარ ტოტ“ და გაისმოდა როია-  
ლის ბოლო, შიშველი აკორდი, თვალები ცრემ-  
ლით აევსებოდა... ერთხელ კი დაჯდა სკამზე,  
აიფარა სახეზე ხელები და ტირილი დაიწყო.  
ლელიკომ ცოტა დააცადა, მერე კი უთხრა:  
„ოტო, მოდით დავანებოთ თავი ამ ბალადას,  
რადგან თქვენ ასე მღელვარებთ, შეუძლებე-  
ლია ამისი კარგად დამუშავება, მართლა, რა  
ძალაა, ავდგეთ და სხვა რამით შევცვალოთ,  
თუნდაც ბეთჰოვენის „მინიონის სიმღერით“,  
კარგით?“ „ოო, არა! აუცილებლად ეს უნდა  
ვიმღერო... თქვენ... თქვენ რა შესანიშნავად  
უკრავთ, რა ზუსტად გადმოსცემთ განწყობი-  
ლებას, მოტორიკაც რა მშფოთვარეა...“

„კარგით რა, ოტო, ფორტეპიანოს პარტი-  
ას მართო ხომ არ დავუკრავ, თქვენც ხომ  
გრძნობთ, რომ იმ მღელვარებით არ ღელავთ,  
რა მღელვარებაც ბალადის შესასრულებლად  
არის საჭირო, „ტყის მეფე“ ხომ კომპოზიციუ-  
რად სრულქმნილი ნაწარმოებია და ჩვენ თუ  
ვერ მივალნივით მჭიდრო ერთობლიობას, ურ-  
ყვე გაძჭოლ ხაზს, ნაწილებად დაგვეშლება,  
ამას კი ის ღმერთი არ გვაპატიებს, რომელ-  
მაც თქვენ ჩვენთან მოგიყვანათ...“

„ოოო... თქვენ რომ იცოდეთ, მე ჩემს გა-



ნადგურებულ ქვეყანას ვტირი... დაღუპულს, დაღუპულს... ამ პატარა ბიჭვით... და ეს ტყის მეფე, ეს ხომ ნამდვილი ქარიზმატული ლიდერია, ჰიტლერი, ნამდვილი ჰიტლერი!”

ლელიკომ ერთბაშად გადაიკისკისა, მაგრამ ოტოს საყვედურითა და სასონარკვეთით სავსე თვალების დანახვაზე მაშინვე გაჩერდა: „მაპატიეთ, ოტო შედევი ყოველთვის დამუხტულია განზოგადების მუხტით და ალბათ, შესაძლებელია ასეთი ბანალური ალეგორიაც კი წარმოვიდგინოთ...“ ოტომ უარყოფის ნიშნად თავი გაიქნია და ისევ თავისი განაგრძო: „ოო, ჰიტლერი ძალიან მომხიბლავი ადამიანი იყო, — თქვენ იმ ამოკრეფილი კადრების მიხედვით ნუ იმსჯელებთ, — და სწორედ ეს არის შემზარავი, — როგორც ტყის მეფე, გვირგვინი რომ ადგას თავზე, თილისმით რომ არის სავსე, სიკვდილით მოჯადოების თილისმით... გოეთეს ეს ლექსი ხომ ყველა ქრესტომათიაშია შეტანილი, ბავშვობიდან ვსწავლობთ და ვამბობთ და ერთხელ სახლში დავდგით კიდეც პატარა წარმოდგენა... შუბერტის სიმღერაც, სირთულის მიუხედავად, კონსერვატორიაში მაქვს ნამღერი, და არასოდეს არ მიფიქრია ასე... მაგრამ იმ ჯოჯოხეთის შემდეგ, რაც გამოვიარე, მე ამ ბალადას ისე განვიცდი, როგორც გერმანიისა და ჰიტლერის სამკედრო სასიცოცხლო კავშირს, ისევე როგორც ტყის მეფისა და პატარა ბიჭისა“. წარბებს ქვევიდან მორცხვად და ალერსიანად შეხედა ლელიკოს, თითქოს ნათქვამმა შეაკრთო და ბოდიშობსო, მართლაც ასევე დაამატა: „ოო, მაპატიეთ... მაგრამ მინდოდა მე ეს თქვენთვის მეთქვა.“ „მადლობთ, რომ მითხარით, მით უმეტეს, მე ეს იმედს მისახავს, რომ ამიერიდან უფრო მეტად ვეცდებით მივუახლოვდეთ იმ სრულყოფილებას, რაც გოეთემ და შუბერტმა შექმნეს, თქვენ ხომ უკვე ისე შესანიშნავად მღერით „ზამთრის გზის“ სიმღერებს.“

„ო, თქვენი ნყალობით... თქვენი მეცადინეობით... მე უკვე ჩამკვდარი მქონდა ყველაფერი, მე უკვე აღარც კი ვიცოდი ვინ ვიყავი... თქვენ მომაგონეთ... თქვენ აღმადგინეთ... თითქმის... თითქმის... და ეს გზა აღდგენის ისეთი მომხიბლავია... ისეთი მომნუსხავი, მომაჯადოებელი... თქვენს გვერდით...“

„შუბერტის მუსიკაა მომაჯადოებელი... მოდით ახლა შევეუდგეთ ჩვენს წმინდა საქმეს.“

ბოლოს კონცერტის დღეც დადგა. დარბაზი აჩრდილებით აივსო, ვისაც ჯერ კიდევ შესწევდა მოძრაობის უნარი... თუმცა ამბობდნენ, ბევრი საწოლიდანაც ახანხალდა კონცერტის მოსასმენადო. წინა რიგები კი ჰოსპიტლის მედპერსონალმა და სხვა თანამ-

შრომლებმა დაიკავეს. შალვაც ელიზბართან ერთად პირველი რიგის განაპირას იჯდა. ლელიკომ შალვას ერთ — ერთი თეთრი პერანგი, — ამ წლების განმავლობაში ყველა დაძველებული და განყალბებული იყო, — შეარჩია, აქა-იქ დაკემსა, გარეცხა, დააუთოვა და ოტოს წამოუღო საკონცერტოდ. პროგრამა კი ისე გაანანილა, რომ პირველ განყოფილებაში თვითონ და ორი თავისი მოსწავლე უკრავდნენ, მეორეში კი ოტო მღეროდა ლელიკოს აკომპანიმენტის თანხლებით. კონცერტს ლელიკო ხსნიდა ბეთჰოვენის „ავრორათი“. ადაჯიოს შესრულებისას შალვამ შემთხვევით გვერდზე გაიხედა და რამდენიმე რიგის მოშორებით, კედელთან მიდგმულ სკამზე ოტო შტაინი დაინახა. მას თავი ოდნავ გადაენია, ხელები ზევით მკერდზე გადაეჯვარედინებინა, წარბები მტკივნეულად შეეკრა, სახეზე ღრმა სასოება ჰქონდა აღბეჭდილი, ოდნავ მონკურული თვალებით ლელიკოს გაჰყურებდა... აღარავითარი საფრთხობელა აღარ იყო. გადანყვიტეს შესვენების გარეშე ჩაეტარებინათ კონცერტი და სცენაზე რომ ავიდა, პატარა ელიზბარმა ვეღარც იცნო, რა კარგი კაციაო, თქვა. მართლაც ძალიან იყო შეცვლილი, დიდი, ნაცრისფერი თვალები აღარც ჩამქრალი ჰქონდა, აღარც ჩაცვნილი, პირიქით, რაღაც უცნაურად გაბრწყინებოდა შინაგანი შუქით, სახე ცოტა შევსებოდა, ყბები აღარ ჰქონდა შევარდნილი, თეთრი პერანგიც შეენოდა, ერთი სიტყვით, ყოვლად სიმპათიურად გამოიყურებოდა. ხოლო რაც შეეხება სიმღერას, ისეთი ხმა ჰქონდა და ისეთი შთაგონებით მღეროდა, შუბერტის შესრულების დროს ისე იყო სავსე ტრაგიკული პათოსით, იტყოდით, რა შთამბეჭდავი გარეგნობის კაცია ეს მომღერალიო და, სხვათა შორის, რომანტიული მიმზიდველობაც არ აკლიაო. მაგალითად შუმანის რომანსის შესრულებისას ღრმა სევდით გამსჭვალული ამოთქვამდა „სიზმარში მე მწარედ ვტიროდი,“ ლამის გეგონებოდათ, რომ სიზმრის ცრემლები თვალებზე ჯერაც არ შემორობოდა... ტაშის გრიალით დააჯილდოვეს „ტყის მეფეც“... ეკუთვნოდა კიდეც: უტყუარი ინტონაციით იყო გადმოცემული ყოველი ფსიქოლოგიური ნიუანსი, მამის შემფოთება, ბიჭის შიში და ტყის მეფის დათაფლული დაპირებები... ბიჭის უკანასკნელი რეპლიკა განწირულების ზღვარზე ფდერდა... და ეს იყო ისეთი შერწყმა მუსიკალური ინტონაციის და სიტყვის, გეგონებოდათ გოეთეს სიტყვები და შუბერტის მუსიკა ერთდროულად დაიბადნენო, ეს კი აღძრავდა ესთეტური სრულყოფილების საწინტარო განცდას...

კონცერტის გამეორება მოითხოვა ყველამ ერთხმად. გადწყვიტეს ერთი კვირის შემდეგ გამეორებინათ. ჰოსპიტლის ადმინისტრაციამ მადლობა გამოუცხადა ლელიკოს, თქვენ გარდა იმისა, რომ შესანიშნავი მუსიკოსი ხართ, ამასთანავე ნამდვილი კულტურტრეგერი ბრძანდებითო, და ჰოსპიტლისავე ბაღში დაკრეფილი ვარდების თაიგულიც მიართვეს. ოტო კი ჩუმი მრეღვარებით იყო მოცული, შალვამ რომ მიულოცა, „ოო-ს“ მეტი არაფერი უთქვამს, მხოლოდ გამოთხოვებისას ლელიკოს სთხოვა, შემდეგი კონცერტისთვის იქნებ საბისო ნომერი შევარჩიოთო. „კარგით,“ დაეთანხმა მაშინვე ლელიკო, „ბეთჰოვენი ავიღოთ, შუბერტისაგან განსხვავებით ბეთჰოვენი ხომ უდიდესი ოპტიმიზტია, მედგარი და შეუპოვარი... ორ-სამ დღეში მოვალ და მოვილაპარაკოთ, კარგით?“

„ოოო...“ და ლელიკოს მუდარით შეხედა, „თქვენს მოლოდინში ვიქნები...“

ელიზბარი მამალოებით დაასაჩუქრეს, გახარებული და გაბედნიერებული, მამალოს წუნით ხან წინ გაიქცეოდა, ხან ისევ მიიბრუნდა სახლისკენ სეირნობით მომავალ მშობლებთან ახალი მამალოს გამოსართმევად. ლელიკო კონცერტის შთაბეჭდილებებს უზიარებდა თავის ქმარს, შალვა კი, ჩაჩუმებული გაფანტულად უგდებდა ყურს.

„რა იყო, შალვა, რას ფიქრობ?“ ლელიკოს ხმაში საყვედური ისმოდა, „რატომ არ მეუბნები როგორ დავუკარი?“ „შესანიშნავად... როგორც ყოველთვის“, თქვა შალვამ და მცირე პაუზის შემდეგ დაუმატა: „იცო, ლელიკო, ოტოს შენ უყვარხარ...“

„კარგი რაა შალვა“, გაიცინა ლელიკომ, „აქამდე ამას ფიქრობდი? შენ მგონი ეჭვიანობა გალაპარაკებს...“ „არავითარ შემთხვევაში,“ მტკიცედ თქვა შალვამ, „შენ გგონია, შემძლია ვიეჭვიანო ასეთ ორფევესზე? რომელიც თან ძალიან მეცოდება? უბრალოდ ეს ისეთი ბუნებრივია, მეტი რომ არ შეიძლება, საკვირველი ის იქნებოდა, ასე რომ არ იყოს...“ „მასეც რომ იყოს, რაა მერე, ეგ ხომ სათქმელიც არ არის...“ თქვა ლელიკომ უკმაყოფილოდ. „რატომ ვითომ?! სნობი ხომ არა ხარ, რომ ასეთი მომღერლის სიყვარული არაფრად ჩააგდო, აქაოდა ის ტყვეა?!“ „ღმერთო ჩემო! მე დავრწმუნდი, რომ ქართველ კაცს ეჭვიანობა ღირსების გრძნობადაც კი მიაჩნია...“ „ჰო, ჰო,“ გაიცინა შალვამ და ლელიკოს მხარზე მოხვია ხელი, „თავს უნდა დაგესხა თვალების ბრიალით და მუშტების ტრიალით... ისე, ხელზე რომ გემთხვია, მეგონა წელს ვეღარ წამოსწევდა.“

„ეხუმრები ასეთი კონცერტის სიმღერას?!

რა დიდ ენერგიას მოითხოვს, როგორც ფიზიკურს, ასევე ემოციურს, მართლა ყოჩაღ მის ნიჭსა და გამძლეობას, მე ალტაცებული ვარ მისი შესრულებით, „ტყის მეფის“ ბოლო ფრაზები ხომ განწირულების ზღვარზე უღერდა, და დიდი ნიჭის გარეშე ვერც შესძლებდა ამდენი ძალის მოკრებას.“

შალვას უნდოდა ეთქვა, სიყვარულმა შეაძლებინაო, შენმა და სიმღერის სიყვარულმაო, მაგრამ აღარაფერი უთხრა. ისე კი შალვა მართალი გამოდგა, და ლელიკო ორიოდ დღის შემდეგ დარწმუნდა, ჰოსპიტლის დარბაზში რომ მივიდა საბისო ნომრების ასარჩევად და დასამუშავებლად. გამონვდილ ხელში შაშვისპირები ეჭირა, გალავნის ძირას მოწყვეტილი და მთვარეულივით მოდიოდა ლელიკოსკენ.

„მადლობო, მადლობო,“ თქვა ლელიკომ და შაშვისპირები როიალზე დადო.

„ოო, ამ უბრალო ყვავილების კი არა, თქვენ დაფნის ღირსი ხართ...“ როიალის კიდეს იდაყვებით დაეყრდნო და კლავიატურასთან მიმჯდარ ლელიკოს მიაპყრო მზერა.

„ჩვენ ისლა დაგვრჩენია ერთმანეთი ვაქოთ და ვადიდოთ...“ გაიცინა ლელიკომ.

„ოო, რა თქმა უნდა, სათქმელი უნდა ითქვას, თქვენ ხომ შესანიშნავი კონცერტმაისტერი ხართ, ჩვენი მუშაობის დროს მე ამას ყოველ წუთს ვგრძნობდი და მაცებდა კიდევ, უკანასკნელ ნიუანსამდე რომ ძალგიდთ შეიგრძნოთ და გადმოსცეთ... მაგრამ სოლო შესრულება სხვაა... და თქვენ... თქვენ... თურმე რა შემსრულებელი ყოფილხართ, რა მუსიკოსი?! რა დახვეწილი პიანისში, რა მუსიკალობა... და რაც მთავარია, და ასე იშვიათი, როგორი არტისტულობა?! რა ღრმად გესმით ყველაფერი, როგორი მასშტაბური იყო ბეთჰოვენი, ამ ორი გიგანტური დო — მაჟორიანი ნაწილების დაპირისპირებით თავსა და ბოლოში, ფინალის ბრწყინვალე ბენიშრობით, და მათ შუა ეს ადაჯიო მოლტო, ასეთი სიღრმით და სინატიფით შესრულებული... მე კარგად მესმის როიალი, ბავშვობიდან ვსწავლობდი და მომნიფების ასაკში ჩემი ხმა რომ არ ამოფრქვეულიყო, ალბათ, პიანისტი გამოვიდოდი... და თქვენი მოსმენისას, ალტაცებასთან ერთად, აღშფოთებით და სინანულით ვივსებოდი, ასე მეგონა არავინ, არავინ, არავინ არ იცის თქვენი ფასი, თორემ თქვენ ხომ დიდ ესტრადაზე უნდა იყოთ, გაბდღვრიალებულ საკონცერტო დარბაზებში... ან ეს თქვენი მონაფეები, ცუდი ბავშვები არ არიან, გოგონამ ურიგოდ არ დაუკრა მოცარტის სონატა, მაგრამ განა ღირდნენ იმად, რომ ამდენი შრომა, თქვენი ძვირფასი

დრო მათთვის დაგეხარჯათ... არა, არა, არ გქონდათ უფლება თქვენი მონოდებისთვის გელაღატათ!" ლელავდა, შედეგობდა ხოლმე, ღრმად ამოისუნთქებდა, თითქოს ჰაერი არ ჰყოფნისო, ზომაზე მეტად გაფითრებულიც იყო, ეტყობა ვერ გრძნობდა თავს კარგად. „გთხოვთ, დამშვიდდით,“ დაყვავებით უთხრა ლელიკომ, „მოდით, აქ დაჯექით, სული მოითქვით... ჩემზე კი ნუ იღელვებთ, მე ბედნიერად ვცხოვრობ ჩემს ქმართან...“ „ოო, ადამიანებმა ხშირად არ იციან სად არის მათი ნამდვილი ბედნიერება...“ სკამი მიინია, დაჯდა და დაეჭვებით შეხედა ლელიკოს, „მაპატიეთ, მაგრამ უნდა გითხრათ არავინ და არაფერი არ ღირს იმად, რომ ადამიანმა თავის მონოდებას უღალატოს...“

„ოტო, თქვენ მგონი გავიწყდებათ, რომ მე ოპერის მომღერალი არა ვარ, რომ აუცილებლად დიდ ქალაქებში, დიდ სცენაზე გამოვიდე, ასეთი ამბიციებისაგან მე დიდი ხანია გავთავისუფლდი, და სულ არ მიმაჩნია, რომ ჩემს მონოდებას ვუღალატე. იცით, ჩემი იდეალი ალბერ შვაიცერია, დიდი პიროვნება, შესანიშნავი მუსიკოსი, ფილოსოფოსი და მუსიკის მკვლევარი, იქნებ ნაგიკითხავთ კიდევ მისი სქელტანიანი ნიგნი ბახის შესახებ. ჰოდა, ალბერ შვაიცერი ხომ აფრიკაში წავიდა და ლებროზოზორიუმში კეთროვანებისთვის ორგანზე უკრავდა, და თავის ყველაზე დიდ მონოდებად სწორედ ამას სთვლის, რომ დავრდომილები და დაჩაგრულები, ბედისაგან დასჯილები მშვენიერებას აზიაროს... მე მის ფრჩხილად არ ვღირვარ, ჩემი მონაფეები სიცოცხლით სავსე, ცქრიალა ბავშვები არიან, და ჩემი ქმარი უკეთილშობილესი ადამიანია, სწორედ მან სთხოვა ჰოსპიტლის უფროსს, რომ კონცერტი ჩაგვეტარებინა. აქ მე ჩვენი დაჭრილებისთვის ხშირად ვმართავდი კონცერტებს, და ეს სიხარულს და სიამოვნებას მანიჭებდა, ისევე როგორც თქვენთან ურთიერთობამ, იმან, რომ თქვენ, ასეთ მდგომარეობაში შესძელით შეუძლებელი და ჩვენ ყველას გაგვიმართლეთ, და ჩვენ ეს სანყალი ხალხი მშვენიერებას მივაახლოვეთ. თქვენი აზრით, რა არის ეს?“ „ოოო, ჩემთვის ბედნიერება... მაგრამ მე გული მწყდება, რომ თქვენ ათასები არ გისმენენ, რომ არა ხართ მოსილი განთქმული სახელით...“

„გარნმუნებთ, მაგისტვის ნამდვილად არ ღირს გულის დანყვეტა, მაგრამ თქვენ რომ ამ დღეში ხართ და თქვენი შესანიშნავი ქალაქი, კულტურის ცენტრი, სულ ტყუილბრალოდ, არაფრის გულისთვის დანგრეულია, აი, ეს არის გულსატკენი და შესაზარი!“

„ოოო, როგორ მიყვარხართ!“ აღმოხდა,

თითქოს სულიც ამოატანა, სკამის საზურგეს მიეყრდნო, თავი გადასწია და თვალები დახუჭა. ლელიკომ მწუხარედ გაიფიქრა „ვაითუ, ეს შემოდგომა ვერც გადაიტანოსო...“ როდის-როდის გაახილა თვალები და თავი წამოსწია: „ეს კონცერტი დიდი დატვირთვა იყო ჩემთვის, მერე ოცდაოთხი საათი მეძინა, სამაგიეროდ ეს ორი ღამე ძილი გამიკრთა, სულ თქვენზე ვფიქრობდი, სულ თქვენ გელაპარაკებოდით... მაღლობას გიხდიდით, რომ გამინათეთ წყვიდადი... რომ დამიბრუნეთ სიმღერა... რომ ამავსეთ სიხარულით... აი, ასეთი მაღალი სტილით მოგმართავდით და ვიცოდი, რომ გამიგებდით... რადგან ჩემი გრძნობა თავისუფალია ყოველგვარი ხორციელი მისწრაფებებისაგან, ყოველგვარი ფლობის სურვილისაგან, ასე მგონია ჩემგან მხოლოდ სული დარჩა, თქვენით სავსე... თქვენი ნიჭიერებით... თქვენი ჰაეროვნებით... თქვენი მშვენიერებით... როგორ წარმოვიდგენდი, რომ მე, სრულიად გაცამტვერებული, ამ უცხო მხარეში, თქვენ შეგხვდებოდით, თქვენ გიპოვიდით, როგორც სიცოცხლის წყაროს... მე მინდა როგორმე ძალა მოვიკრიბო და ჩვენ ბეთჰოვენის სიმღერები დავამუშაოთ „შორეული სატრფოსადმი,“ და ეს სიმღერები თქვენ მოგიძღვნათ.“ „მაღლობთ, ოტო, მაღლობთ,“ გაუღიმა ლელიკომ თბილად, ალერსიანად, მაგრამ შეცოდებამ გული შეუკუმშა და უნდოდა ეთქვა რალაც გამამხნეველები, „ყველაზე რომანტიული სიმღერები, რაც კი ბეთჰოვენს ვოკალის სფეროში შეუქმნია, გინდათ მიუძღვნათ... თან ეს ამალღებული სიტყვებიც... არ მგონია ყოველ ნაბიჯზე ესმოდეთ ქალებს... დიდი ჯილდოა ეს ჩემთვის... ახლა მთავარია თქვენ კარგად დაისვენოთ, ტყუილად გვეგონა, რომ რამდენიმე დღეში გავიმეორებდით კონცერტს ერთი საბისო ნომრის დამატებით... „შორეული სატრფოსადმი,“ აქ ხომ ექვსი სიმღერაა, თუმცა თვითონ ბეთჰოვენი ამ სიმღერებს ერთ ნაწარმოებად სთვლიდა. მე თქვენ დაგიტოვებთ ამ სიმღერების რვეულს და თქვენ, როცა შეგეძლებათ გადახედეთ ხოლმე, ხმით არც გინდათ, გუნებაში გაიმეორეთ, ერთ ათ დღეში იქნებ კიდევაც აღიდგინოთ ძალები და ჩვენც მაშინ შევუდგეთ მუშაობას, კარგით?“ „მეტი რა გზაა, კარგით... მხოლოდ ძალიან მინდა ახლა, გამოთხოვებისას, მე ხომ მთელი ათი დღე ველარ გნახავთ, — ნახევარი ხმით „მინიონის სიმღერა“ გიმღეროთ, ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა ეს სიმღერა, მე და დედა ვმღეროდით ხოლმე, და ის ქვეყანა, თუ მხარე ოცნების ბაღად წარმომედგინა... ახლა კი თქვენს ბალს ვიგულისხმებ, სადაც მშვენიერი ხეხი-

ლი ხარობს, და მე იქ დაფნის ბუჩქიც შევნიშ-  
ნე, სახლის გვერდით, ხომ ასეა?"

„მეც ძალიან მიყვარს „მინიონის სიმღერა,“  
ამ რვეულშიც არის, ჰოდა მეც ნახევარი ხმით  
აგყვებით.“ თქვა ლელიკომ ღიმილით. ოტო  
კი ისევ წამოდგა, როიალთან დადგა, პირით  
ლელიკოსკენ, და დაბალი ხმით, გულში ჩამ-  
წვდომად დაიმღერა: „ქენსტ დუ დას ლანდ,  
ვო დი ციტრონენ ბლუუნ, იმ დუნკელნ ლაუბ  
დი გოლდ ორანჟენ გლუუნ...“

მეორე დღეს ლელიკო და შალვა სამი-  
ოთხი დღით თბილისში წავიდნენ, ლელიკოს  
მშობლებმა შემოთვალეს ქვიშხეთში მივდი-  
ვართ და ელიზბარი გვინდა წავიყვანოთო.

იქიდან რომ დაბრუნდნენ, ლელიკომ დაკ-  
რიფა პამიდორი, კიტრი, მწვანელი. გულაბი  
უკვე კარგად იყო მოწეული და შავი ქლიავიც,  
ყველაფერი პარკში ჩააწყო ჰოსპიტალში წა-  
საღებად. „ბოლოს რომ ვნახე, მეტისმეტად  
იყო გადანათებული, ცოტა სულს მოითქვამს,  
და თან გავიგებ ბეეთჰოვენის რვეულზე  
მუშაობას როდიდან შესძლებსო.“ უთხრა  
შალვას, მაგრამ ლელიკო ჰოსპიტალში არ შე-  
უშვეს, გუშინდლიდან უმკაცრესი კარანტი-  
ნია გამოცხადებულიო... თურმე ჰოსპიტალ-  
ში პარტახტიანმა ტიფმა და დიზენტერიამ  
იფეთქა... მაშინ იქ შესანიშნავი რენდგენო-  
ლოგიც გარდაიცვალა პარტახტიანი ტიფით,  
თელავის ძირძველი ოჯახის შვილი შალიკო  
დეკანოზიშვილი, ახალგაზრდა, ჯანღონით  
სავსე კაცი... და გასაცოდავებულ, გადამ-  
ღვრძვალ ტყვეებს რა დაემართებოდათ!? რა  
დაემართებოდათ და, ერთიანად გაიფუფუნენ.  
ნადიკვრის ქუჩაზე თუ მოგიხდებოდათ დი-  
ლით ადრე გავლა, ან გადასახვევით, სასაფ-  
ლაოსკენ მიმავალ გზაზე, აუცილებლად დაი-  
წახავდით ჭრიალით მიმავალ დიდ ფურგონს,  
დაზინულს მკვდარი ტყვეებით... გადაფარე-  
ბული ბრეზენტიდან შეიძლება აქა-იქ გამოშ-  
ვერილი ხელი ან ფეხი კიდევაც დაგენახათ.  
მიჭრიალებდა ფურგონი, მიჭრიალებდა და  
ქართველების სასაფლაოს განაპირას, გიგოს-  
გორის გადაღმა, იქ, სადაც სასაფლაოს შეუ-  
ლობავი კიდე პირდაპირ ერთვოდა ღორღიან  
სიმწვანესა და ჯაგნარს, გრძლად გათხრილ  
ორმოში ჩაიფლებოდა.

ახლა კი იდგა შალვა, გაბრუებული და  
გრძნობამორეული და ასფალტს დაჰყურებ-  
და... მაშინ ამ ადგილას ხის დიდი ჯვარი დას-  
ვა, დაე ნიშანი მაინც იყოსო... თან სულ თა-  
ვისი უმცროსი ძმა აგონდებოდა, სულ რომ  
პატარა ეგონა და ვის გამოც ტკივილი მთელი  
სიცოცხლე გაჰყვა... ესენი მაინც ასე თუ ისე  
სასაფლაოზე არიან და ჩემი საწყალი ძმა,  
ჩემი მამუკა, ვინ იცის სად ჩაკლეს და სად

ჩაფლესო. და ზოგჯერ განსაკუთრებით თუ  
დალუელი იყო და გრძნობამორეული წარმო-  
იდგენდა, რომ ისიც ამათში ერია. დედაც ხომ  
ფაქტიურად შვილის დარდს გადაჰყვა, სულ  
იმას ჩიოდა, ნეტავი გამაგებინა, რა დავაშა-  
ვეთ ასეთი, ან ჩვენს წინაპრებს რა ცოდვა  
უნდა ჰქონოდათ, რომ ასე ვისჯებითო, ჯერ  
ელიზბარი და ახლა მამუკაო...

მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ქვედა ქუ-  
ჩა გამოაგრძელეს, ამოიყვანეს სასაფლაოს  
გვერდით და ზევით, ახალი დასახლებისკენ,  
სასაფლაოს გადაღმა თავისუფალი ტერიტო-  
რია გაჯაგეს, გაასუფთავეს და მედქალაქი  
გააშენეს. და ცხადია, ახლა უკვე აღარც ჯვა-  
რი იყო და აღარც ბალახი... ოოო, რა გულამოს-  
კვით ტიროდა მაშინ ლელიკო... სანამ ცოცხ-  
ალი იყო და სიკვდილს ებრძოდა, ნაცნობი  
ექიმის ხელით გამამხნეველ ბარათებს და  
პატარა ამანათებს შეუგზავნიდნენ ხოლმე...  
მერე კი შალვა გულში იკრავდა თავის ცოლს  
და ამშვიდებდა, მაინც რაღაც ბედი ჰქონია იმ  
საწყალ კაცს, რომ სიკვდილის წინ იმღერა კი-  
დეც და უყვარდა კიდეცო, გამიხარდებოდა,  
რომ ჩემი საწყალი ძმაც ასე წასულიყოვო.  
„იცი, შალვა,“ ეუბნებოდა ლელიკო და სახეზე  
ღვიარება ჩამოსდიოდა, „შენ მართალი იყავი,  
ასე მითხრა ბოლო შეხვედრისას, ჩემი მადლო-  
ბა თქვენდამი სიყვარულიაო...“ ახლა კი, ამ  
ასფალტთან, ლელიკოს სიტყვების გახსენე-  
ბისას, ისე ცოცხლად დაუდგა თვალწინ ოტო,  
საიდან სად გადმოსროლილი ორფეხის... რომ  
აქ, თელავის სასაფლაოს განაპირას ეპოვა  
თავისი უკანასკნელი თავშესაფარი.

შალვას კინალამ დაავიწყდა რისთვის იყო  
დღეს სასაფლაოზე მოსული, „ღმერთო ჩემო-  
ვო,“ ამოიოხრა, მიბრუნდა და პირდაპირ შუ-  
აგული სასაფლაოსკენ, თავისი მშობლების  
საფლავებისკენ აიღო გეზი. მაგრამ მაინც  
ვერ ითმენდა, რომ გზად ნაცნობი ძეგლების-  
თვის თვალი არ შეეველო, ხოლო ვისაც გან-  
საკუთრებით მიამტკივნებდა გულს, წამი-  
ერად მაინც არ შეჩერებულიყო. რა არის ეს,  
რა მემართებო, ფიქრობდა, ეტყობა ნიკოს  
მოსვლამა და კონიაკმა დამაყენა ასეთ გუნე-  
ბაზეო, რომ მინდა ყველა მოვიგონოვო... განა  
რა გვრჩება ხსოვნისა და მოგონების მეტო...  
აი, თუნდაც ესენი, ეს საცოდავები უომრად  
დახოცილები, ამათ ხომ არავინ, აქ მაინც  
არავინ არა ჰყავთ მომგონებელიო და შალვა  
შეჩერდა ფანერის საღებავგადაცლილ პირა-  
მიდასთან, წვერზე ფანერისავე ვარსკვლავი  
რომ ჰქონდა დაკოსებული და ბრტყელ ზედა-  
პირზე რუსული გვარები ეწერა, და თუმცა  
ლურჯი საღებავი გადაცრცნილი იყო, მაინც  
თავისუფლად იკითხებოდა „მელენტიევი,

ტორმინო, კრივოშევი, პანტელეიმონოვი.“  
ესენი ხომ საფრენოსნო სკოლის ახალბე-  
და მონაფე-მფრინავები იყვნენ, ომის დროს  
სახელდახელოდ რომ ამზადებდნენ, ისინი  
კიდევ პანტაპუნტით ცვიოდნენ... ასეთი საფ-  
ლავები რამდენიმეც იყო თელავის სასაფ-  
ლაოზე. „მეცოდებით, ბიჭებო, ოჰ, როგორ  
მეცოდებით“ მიმართავდა თავის გუნებაში ბა-  
ტონი შალვა ფანერის პირამიდაზე მიწერილ  
გვარებს, „მაგრამ სამწუხაროდ, ისიც სათქმე-  
ლია, თქვენი დასამარებით ვინ იცის რამდენი  
ქალაქი, რამდენი სოფელი და რამდენი მშვი-  
დობიანი მოსახლეობა გადარჩაო.“ თავი აიღო  
და მიიხედ-მოიხედა, ჩამავალი მზის შუქზე  
ცაცხვების ქორები ოქროსფრად იყო განა-  
თებული, მთელი მიდამო მზის ლაქებით იყო  
მოფენილი და შალვამ გაიფიქრა, რა მიმზიდ-  
ველი და შვების მომგვრელია შუქ-ჩრდილში  
გახვეული მდუმარე სასაფლაოო.

და უცებ თვითონაც რომ არ მოელოდა,  
ბოლოსა და ბოლოს თვითონაც რომ ეგონა,  
ნიკოს მოსვლა გაფრთხილების ისეთი ზარი  
იყო, ყოველგვარ ცდუნებასა და ეგრეთ წოდე-  
ბულ სიყვარულს ჩაახშობდა და ჩააყურსებ-  
და, სრულიად ანაზღად და მოულოდნელად  
ისე მოენატრა სწორედ სიყვარული, ისე მო-  
ეძალა ურთიერთობის სურვილი, იქვე, გვერ-  
დით საფლავის ლოდზე ჩამოჯდა და თავი  
ხელეებში ჩარგო. „სირცხვილი მე... სირცხვი-  
ლი...“ ლულულულებდა... თავბრუ ეხვეოდა და  
თვლემ აერეოდა... კიდევაც ჩათვლიმა... და  
უცნაური სიზმარი ნახა, ვითომ უკაცრიელ,  
უდაბურ მინდორზე იდგა, ძველმანები ეცვა,  
ხელში ბალიში ეჭირა და მატარებელს უცდი-  
და, იცოდა, რომ სადაცაა მატარებელი უნდა  
გამოჩენილიყო, რადგან შორიდან შეუწყვეტი  
გუგუნი ისმოდა, თვითონ ამღვრეულ გუნე-  
ბაზე იყო, შფოთავდა, რატომ ჩავიცვი ეს  
ძველმანებო და თან თავს ირწმუნებდა აბა,  
რღაში დამჭირდება გამოსასვლელი ტან-  
საცმელიო, სჯობია ელიზბარმა ჩაიცვას და  
მოიხმაროსო, მე ესლა ბალიშზე მეტი აღარც  
არაფერი მენდომება და ბალიში აი, მიმაქვს  
კიდევო, თან ვითომ ეშინოდა, ვაითუ მა-  
ტარებელი არ გაჩერდეს ან ისე მცირე ხნით  
შედგეს, ასვლა ვერც მოვასწროვო. გრიალი,  
გუგუნი და ორთქმავალის შეკივლება კი ახ-  
ლოვდებოდა, სივრცე ბორბლების ხმაურით  
ივსებოდა, თითქოს ჰაერიც კი თრთოდა... აი,  
გამოჩნდა კიდევ გაჩირადნებული მატარე-  
ბელი, და საოცარი ის იყო, შორიდანვე ისე  
მკაფიოდ ხედავდა ყველას და ყველაფერს,  
თვითონაც უკვირდა, და უხაროდა, ამ სიშო-  
რეზე რა კარგად ვხედავო, და რა საოცარია,  
რა კარგია, ახლობლები და ნაცნობები არია-

ნო... აგერ შიუკაშვილები, დამსახურებული  
პედაგოგები, თამარი და კატო, რა დიდი კვა-  
ლი გაავლეს თელავის კულტურულ ცხოვრე-  
ბას, უნდოდა, აპირებდა დღეს მათ საფლავ-  
ზე მისვლასაც, და რა კარგია, ჩამოვიღის  
მატარებელი და იქ ნახავს! და მარტო მათ?  
ღმერთო ჩემო, რამდენი ნაცნობი, დიდ, გაჩი-  
რადნებულ ფანჯარასთან, როგორც ეკრან-  
ზე, ისე ხედავს ძია კიკოს, როსტომაშვილს,  
თავისი უღვაშებით, ვაჟას მეგობარს, იმისი  
შვილი შოთა კიდევ სულაც ვაჟას ნათლულია,  
ძია კიკო, რა დიდებულად მღეროდა, თან რა  
სიტყვა-პასუხი, აღარც კი იცის შალვამ, მა-  
ტარებელში რომ ავა, ვისთან უნდა დაიკავოს  
ადგილი, იქვე, აგერ ისიც კარგი ნაცნობი და  
ახლობელი, მინა, ქარუხნიშვილი, სტალინ-  
თან ერთად რომ სწავლობდა სემინარიაში  
და სტალინმა მოიკითხა ორმოცდახუთის და-  
საწყისში, ნახვა მინდაო, ციმციმ წაიყვანეს  
მოსკოვში, მთელი ერთი თვე იქ იყო, იმიტომ,  
რომ სანამ სტალინთან მიიყვანდნენ, უთხრეს  
ძალიან გამხდარი ხარ და ძალიან ცუდად გაც-  
ვიაო. კაცო, საიდან უნდა ვიყო ან მსუქნად ან  
ჩაცმულ-დახურული, ამდენი ხანია ომიაო,  
ჰოდა, გვითხარი ესლა, რა გიყვარდაო, რას  
უფრო სიამოვნებით მიირთმევო, კატლეტო,  
და მთელი თვე სულ ნაირ-ნაირი კატლეტე-  
ბითა ჰკვებავდნენ, კარგი კოსტუმი, კარგი  
პალტოც მარენგოსი შეუკერეს და ისე მიიყვა-  
ნეს სტალინთან. მერე ხომ თელავში სკოლა  
არ დარჩენილა, არ მიენვიათ შთაბეჭდილე-  
ბის გასაზიარებლად და დამშეული ბავშვე-  
ბი პირველ რიგში იმას ეკითხებოდნენ, რით  
გაგიმასპინძლდათ ბელადიო, რაღა არ იყო  
სუფრაზეო, მაგრამ დიდებული ფლავი ჰქონ-  
დაო, რომელი, რომელიო, შილა თუ ფანტი-  
აო... მინას გვერდით უზის თავისი შვილიშვი-  
ლი საშიკო, რა ბიჭი, რა ბიჭი, ისე ცეკვავდა,  
ნაპერწკლებს აფრქვევდა, თან რა მომხიბლა-  
ვად აფოფინებდა თავის სხივიან თვალებს...  
და მათ გვერდით, იქვე მეორე პაპა და შვი-  
ლიშვილი, ალავერდის ეპისკოპოსი დავითი  
თავის შვილიშვილ დათოთი, ბურღულაძე-  
ები... ღმერთო, ყველა ახლობელი, ყველა,  
დათო და საშიკო ხომ შალვას მონაფეები  
იყვნენ, როგორ ნუხდა მაშინ, როგორ, ვისაც  
ჩვენთვის უნდა მოეყარა მინა, ვინც ჩვენი  
ჭირისუფალი უნდა ყოფილიყო, ისინი მიდია-  
ნო და აგერ სად სხედან, გაჩირადნებულ  
ვაგონში, ამ უდაბურ და უკაცრიელ მინდორ-  
ზე რომ მოჰქრის... დათო რაღაცას ღიმილით  
ეუბნება პაპას, რა მომღიმარი იყო, რა მომ-  
ღიმარი, წითელთავა და ჭორფლიანი. ომის  
შემდეგ, პირველად რომ გაიხსნა საკონდიტ-  
რო და ვიტრინაში დიდი ხნის უნახავი ტორტი





გამოჩნდა, თვალდაცეცებული ბიჭები დგანან თურმე, ტორტს შესცქერიან და ვერ მოუფიქრებიათ რა ქნან და რა იღონონ. დათოს ეთქვა: ისე მენატრება ტორტი, სანაძლეოზე მთელი შემოდლია შევჭამოვო... ვერ შეჭამო, შევჭამო, ვერ შეჭამო, შევჭამო... ეს არც ისეთი დიდია და მე ამაზე დიდსაც შევჭამდიო. ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს და კარგო, თუ შეჭამ, ჩვენ აი, ათნი ვართ, როგორმე შეგიგროვებთ ფულს და გადაგიხდითო, თუ არადა, დანარჩენს ჩვენ შევჭამთ და შენ მარტომ უნდა გადაიხადოვო. შევჭამ და არაფერსაც არ გადავიხდითო, ოღონდ მანონი უნდა შევატანოვო. შალვამ სწორედ იმ დროს გაიარა საკონდიტროსთან, როცა ბიჭები გარს შემოხვეოდნენ მაგიდას, დათო კი ტორტს ჭამდა... მაგრამ არამც თუ მთელი, არამც თუ ნახევარი ან მეოთხედი, ან მეექვსედი, მერვედიც ვერ შეჭამა, გადააგდო კისერი და ვაიმე, ერთი ლუკმაც კიდევ რომ ჩავიდო პირში, ჩემ სიცოცხლეში ტორტისკენ ველარ გავიხედავო, დაჯექით და თქვენ შეჭამეთო, მე კიდევ, რა ვქნა, წავალ პაპასთან და ვეტყვი ჩემს ამბავსო. ბიჭები ტორტს შემოუსხდნენ, დათო კი პირდაპირ ეკლესიისკენ წავიდა, თავის პაპა, მაშინ მამაო დავითთან, (ეპისკოპოსად რამდენიმე წლის შემდეგ აკურთხეს ალავერდში) შვილო, გენაცვალოს პაპა, დატუქსა დათო მეუფე დავითმა, ხომ სულ იმას გეუბნები და გიჩიჩინებ, რა არის ყველაზე დამღუპველი ადამიანისთვისო, და ნუთუ დაგავინწყდაო?! არა, პაპა, არ დამვინწყებიაო... აბა, მაშ, გაიმეორეო! მუცელღმერთობა და სიხარბეო, კენესით წარმოთქვა დათომ. ჰოდა, მაშ, წავიდეთ და სანამ საკონდიტროში მივალთ, სულ უნდა იძახო „ვგმობ მუცელღმერთობას და სიხარბეს... ვგმობ მუცელღმერთობას და სიხარბესო!“ და მართლაც მოდიოდნენ პაპა და შვილიშვილი, და დათო განუწყვეტილვ იმეორებდა ამ ფრაზას, მხოლოდ სთხოვა პაპას ხმადაბლა გავიმეორებო, მაგრამ ისე, რომ შენ გაიგონოვო. კარგო, დათანხმდა პაპა, თუმცა ღირსი ხარ მოედანზე გამოსულიყავი და იქ ხმამაღლა, ყველას გასაგონად დაგეძახაო! ეხლა კი მიჰქრის მატარებელი, მიჰქრის და ყველანი მიჰქრიან გაჩირაღდებული ვაგონებით, ჩაიქროლა ერთმა ვაგონმა, მეორემ, მესამემ, აგერ ბავშვები, რამდენი ბავშვი, რა ლამაზები, რა მშვენივრები, აგერ ანგელოზით აზალია, პატარა გოგო ყარაულაშვილებისა. თოჯინა უჭირავს ხელში და არწევს, აგერ გურამი, ფანჯარაში იყურება და შალვას ხელს უქნევს, და ის ბავშვებიც, სოკოთი რომ მოინამლნენ და მიცვალებულებსაც ვარდისფერი ფრჩხილები ჰქონდათ და ყველას

უკვირდა, ახლაც, ახლაც ხედავს შალვა, მათ ვაგონის ფანჯრიდან ხელები აქვთ გადმოყოფილი და ისინიც შალვას ხელს უქნევენ... ჩქარა, ჩქარა თორემ წავა მატარებელი და დარჩება ამ უკაცრიელ მინდორში ბალიშით ხელში... და უცებ შალვას გულმა რეჩხი უყო, არა, თვალი არ ატყუებდა, არა, უკანასკნელ ვაგონში დედა და მამა... დედას ისევ ის კაბა აცვია ბოლოს რომ ჩააცვეს, შავი აბრეშუმისა, ნაცრისფერ წკეპდებიანი, დედა, დედა, იძახის შალვა და ვაგონისკენ გარბის. შალვა! შალვა! ესმის შალვას დედის ძახილი და თვალს ახელს... „შალვა, შალვა“, ეძახის მოხუცი ელო და შალვას ჩაცვიებით მიშტერებია... გვერდით კი ის კაცი უდგას... შალვამ მაშინვე იცნო, ან კი როგორ, ამისთანა სპილენძისფერი სახე, ყინვისა და ქარისაგან გარუჯული, აქ არავისა აქვს, კაცმაც შალვას თავი დაუქნია. შალვა საფლავის ლოდიდან წამოდგა. გვერდით ჩამწკრივებულ საფლავებს გრძელი, გრებილი რკინის ზღუდე ერტყა, და ისინი სწორედ ამ ზღუდესთან იდგნენ მოპირდაპირე მხარეს, და ჩაცვიებით მოშტერებოდნენ შალვას.

„მართლა შენა ხარ? მე ვერცკი გიცანი, აი, იგნატმა თქვა ის არისო, შემეშინდა ცუდად ხომარ არის — მეთქი, ისე გქონდა თავი ჩაქინდრული.“ ამბობდა მოხუცი ელო.

„მადლობთ, დეიდა ელო, ეხლა არა მიშავს, ჩვენების საფლავზე მივდიოდი და თავბრუ დამეხვა...“ „მე კიდევ... ამ პატიოსანმა კაცმა წამომიყვანა... ზაურის მანქანით წამოვედით... მერე, როცა იქნები აქა, ნახე ერთი შენი თვალით, ნახე, რა სანიმუშოდ არის გაკეთებული ჩვენი საფლავები!“ მოხუცი ელოს მიხრწნილ ხმაში მანაც ისმოდა გამოჯავრება, თუ ნიშნის მოგება, „ძვირფასი ახალგაზრდა შევიძინე, შალვა, და შენ კი, ლამის საუკუნე ახლობლობის შემდეგ, ასე გვანწყენინე... მაგრამ იცოდე, მე მანაც იმედს არა ვკარგავ...“ მოხუცი ელო ფოსოებში ჩაკარგული თვალებით შეუბოვრად მისჩერებოდა შალვას, თითქოს მისი თვალებიდან მხოლოდ მზერა დარჩენილიყო, და შალვამ იფიქრა, რა კუდიანივით მიყურებსო. ამ ორ თვეში კიდევ უფრო დაბერებულიყო და მიხრწნილიყო, ლაპარაკის დროს თავსაც შეუჩერებლად არაცრაცებდა და ნიკაპი და გალეული პირიც უთრთოდა. შალვამ უაზრობად ჩათვალა მოხუც ქალთან შეპაექრება. მხოლოდ გაუღიმა და გამოთხოვებას აპირებდა, რომ კაცმა გაბადრული სახით გადმოსძახა: „მაშინ რომ გეუბნებოდით, რომ იცოდეთ, გადმოვასვენეთ ჩემი მეუღლე, წარმოგიდგენიათ, ბესარიონ ჯულაშვილის გვერდით მივაბარეთ მიწას, შეგიძლიათ მომილოცოთ, მეც როცა იქნება სტალინის მა-

მის გვერდით დავსაფლავდები!”

„კარგად ბრძანდებოდეთ, დეიდა ელო, თქვენც კარგად იყავით...“ თქვა შალვამ და ის იყო, უნდა მიტრიალებულიყო და წასულიყო, ელომ დაუძახა: „შალვა, შალვა, დაიცა, კაცო, მგზავრს ვეძებ, შალვა, სანდო მგზავრსა, ტატოსთანა მაქვს გასატანებელი რალაც და შენ ხომ არავინ იცი, ეხლა სწორედ ამის გამო მინდოდა მესაფლავე მენახა“. კაცმა თავი გადასწია მოხუცი ქალის უკან, საჩვენებელი თითი საფეთქელთან მიიძო და დაატრიალა... „მე გავიგებ-მეთქი, მაინც სასაფლაოზე მოვდიოდი და არაო, შენ აქაურები არ იციო, სულ ძალისძალით გამოძევა,“ თქვა კაცმა.

„როგორ არ გამოვეყვებოდი, სანდო წამსვლელი მინდა და თუ გაიგო ვინმე, უთუოდ შემატყობინე შალვა, კარგიი?!“ ლამის ვედრებით წარმოთქვა მოხუცმა ელომ. შალვამ თავი დაუქნია, აუცილებლადო და თავისიანების საფლავისკენ წავიდა. დიდი ცაცხვებით იყო დაჩრდილული შალვას მშობლების საფლავი, რკინის ზღუდესთან რკინისავე სკამი იყო გამართული... ყველაფერი წესიერად იყო გაკეთებული, მაგრამ არც თავიდან და არც მერე, შალვას არასდროს არ უყვარდა მშობლების საფლავზე სიარული, რატომღაც უხერხულობის გრძნობა ეუფლებოდა. მეტ ემოციას აღმიძრავენ ახლობელ-ნაცნობთა საფლავებში, ფიქრობდა, და იმიტომ, რომ მათი საფლავები აცოცხლებს მათ ხსოვნას, აღმიძრავს მოგონებას... მშობლები კი, და განსაკუთრებით დედა, ისე არიან ჩემს არსებაში დაბუდებული, ისე მუდმივად ცოცხლობენ ჩემში, რომ არ შემიძლია მინა, დაე, იყოს ეს საფლავის მინა, მათთან დავაკავშიროვო... და საერთოდ, რა კარგი იქნებოდა, ადამიანი მინად კი არ იქცეოდეს, იფერფლებოდეს და ჰაერის სტიქიას უერთდებოდესო... ახლა კი, ჩათვლემისა და სიზმრის შემდეგ, კონიაკიც რომ გამოუნელდა, კიდევ მეტად გრძნობდა უხერხულობას, ნიკომ კედელთან რომ მიმაცენა, ამიტომ მომივიდა ასეთი სულელური აზრიო, საფლავზე ფიცის დადებისო.

საფლავის ძეგლის ნიშაში, ლარნაკის გვერდით სანთლები ჰქონდა დატოვებული, ორი სანთელი დაანთო, ცოტა ხნით დაჯდა სკამზე, მაგრამ მალევე ადგა და წამოვიდა. არეულ გუნებაზე იყო, საწინააღმდეგო გრძნობებით გარემოცული, სახლში რომ დაბრუნდა, ლელიკოს მონაფე გაესტუმრებინა და ჩაისთვის ალაღებს აკეთებდა. შალვა სამზარეულოში შევიდა, საშინლად მწყურია წყალი და ონკანი მოუშვა.

„რა დაგემართა, შალვა, რა იყო?“ უთხრა ლელიკომ და სასწრაფოდ გადმოაბრუნა გაფუყული ალაღები, „აი, შენ რომ გიყვარს, ვიფიქრე დავახვედრებ-მეთქი... მაგრამ გუნებაზე ვერა ჩანხარ...“ „ზევით, სასაფლაოზე ვიყავი, რამდენი ხანია არ ვყოფილვარ და... რატომღაც ყველა გამახსენდა, და რომ იცოდე ვინ დამიდგა თვალწინ, ოტო შტიანი.“ „მაგრამ არა მგონია ოტო შტიანის გამო იყო ამ გუნებაზე, სახეზე ფერი არ გადევს.“ „რაო, შენი მონაფე არის მზად გამოცდისთვის? რა ვიცი, რაც შენ მაგას ამეცადინებ!“ „ჰოდა, იმიტომაც ვერ გამოვედი ნიკოსთან, უკანასკნელი კვირაა და ერთი წუთის გაცდენა არ შეიძლება.“ „მომეცი, მე გავაკეთებ ალაღებს, შენ სუფრა გაშალე.“ „დიდი სიამოვნებით.“ ლელიკომ შალვას ჩამჩა გადასცა და თვითონ სასადილო ოთახში წავიდა, მაგრამ კარებთან შემობრუნდა და დაეჭვებით იკითხა: „წნევა ხომ არ გაქვს, შალვა? ან ნიკომ ხომ არაფერი გითხრა იმისთანა?“

„გეტყვი... გეტყვი...“ ლამის კვნესით წარმოთქვა შალვამ, ტაფას ზეთი დაასხა და ჩამჩა მოიმარჯვა. უცებ საშინელი დაღლა იგრძნო. დიდი დღე გამოვიდა: რამდენი ხანია, მთელი გაზაფხული და აგერ უკვე გაგანია ზაფხულია, შეჰყურებდნენ ერეკლეს ეგრეთ წოდებულ სასახლეზე დაშენებული სართულების მოხსნას, და შალვას ეჭვი რომ არ ეპარებოდა, რომ ის ნაგებობა გუმბათოვანი იქნებოდა, ასეც აღმოჩნდა, მოხსნეს თუ არა უკანასკნელი აგურები და დულაბი და გამოჩნდა გუმბათის წვერი, შორიახლოს შეგროვილმა თანამშრომლებმა, მუშებმა, არქიტექტორ-რესტავრატორმა ტაში დასცხეს... მერე იყო თუმცა ხანმოკლე, მაგრამ არაჩვეულებრივად მღელვარე, სიყვარულითა და აღერსით სავსე შეხვედრა თიკოსთან, მერე ხომ ნიკო მოვიდა და დალიეს, მერე სასაფლაო, და ამ ყველაფერს, ასე ეგონა შალვას, სულ თან სდევდა ერთი სახელი, რომელიც აი, ახლა, ალაღების კეთების დროს, ტვინს უბურღავდა, და ეს სახელი „ოთარი“ იყო. და ამ ოთარისთვის თვითონაც უნდა გარჯილიყო, და რაც მთავარია, ჩამოჰკრა განშორების ზარმა და უკვე აღარ, აღარ, აღარ შეიძლებოდა მათი შეხვედრების გაგრძელება, ნიკო ისეთი შეუპოვარი იყო, თიკოს თვალთვალს დაუნყებდა და როგორც იმ სასიყვარულო ლექსს მიაკვლია, მათაც დღეს თუ ხვალ გამოიჭერდა.

/გაგრძელება იქნება/



ხანდახან ნაკლებს დავისხამ —  
ვხვდები, თანდათან ვთვრები.

წიგნიდან ამოვიხედავ,  
მერე თვალითაც ვზომავ:  
ისევ დგას დიშის ციხე და  
მეც მიხარია, რომ ვარ.

ზოგჯერ ქრელია კამათი  
და დანაღმულიც თითქოს;  
როცა ქესატი ჭამადის  
შემომატებას ვფიქრობთ:

გაგვახსენდება ჯოისი, —  
ბლუმის მარტივი ლხინი;  
ამ დროს შიშხინიც მოისმის —  
ნერწყვით ივსება პირი.

სხვებიც ყოფილან, რომ უყვართ  
ეს სააზიზო კერძი;  
კაცი კაცს ჩემს წინ მოუყვა  
და მე ვერაფერს ვერ ვცვლი:

„ნავეხალისეთ ჯერ მწვანისს,  
მერე — ქაბაბი ლულისს;  
ბოლოს — თირკმელი შემწვარი  
და ოდნავ — შარდის სუნი“.

ტაბლაზე ქლაკვი გვიწყვია  
და შავი პურის ყუა;  
ვევირი, საეჭვო სიცხება,  
მაგრამ ტყემალი ყრუა.

### ახალი

და ტოკავს ახლაც ლერწამი ტბორთან  
მესალამურე პატარა მწყემსი;  
ზამთარი მიდის და თითქოს მოთბა  
და თითქოს უფრო გნებდება ლექსიც.

ხე-კვიპაროსი — წინარე კაცი,  
ქალი-ლოტოსი — ისიც ასევე;  
„მე ვინ ვიყავი?!“ — იკითხავს ანწლი  
და მოკრძალებით თავს შეგახსენებს.

ფიქრი ძახველზე და ფიქრი ბზეზე,  
ფერაფერაზე — ფერში ნაზავზე,  
ჯერ თითო-თითოდ ალაგებ ხელზე  
და მერე თვალში ერთად ათავსებ.

იღვრება ციდან ფერადი სითხე,  
სითხიდან — შუქი, შუქიდან — ჩრდილი,  
ჯერ თითო-თითოდ ასხლტება სიმზე,  
ჯამდება მერე და ერთად ტირის.

და შედის ჩქამი, ჩქამი და ბგერა  
სიტყვაში — როგორც საკუთარ სახლში;  
შორს — წყალში ახლაც კანკალებს თხმელა —  
დედინაცვლისგან დასჯილი ბავშვი.

ხე-კვიპაროსი — წინარე კაცი,  
ქალი-ლოტოსი — ისიც ასევე;  
„მე ვინ ვიყავი?!“ — კვლავ გკითხავს ანწლი  
და მოკრძალებით თავს შეგახსენებს.

### უნივერსალური ვაქცინა

როცა გრიგალი ბრუნდება ქარში,  
ქარი — ნიავეში და ქრება ჩქამი:  
შენში თანდათან იღვიძებს ბავშვი  
და ბავშვის თვალთ უყურებ ამინდს.

აიყვან პეშვით ქოთქოთა წყაროს —  
რამე სიცივეს და რამე სითბოს:  
კაცმა რომ გკითხოს — წუხარ თუ ხარობ,  
წუხარ თუ ხარობ — კაცმა რომ გკითხოს.

ასეთ დროს ცისკენ მიიწევს ცეცხლი,  
ცეცხლიდან — ალი, ალიდან — ნისლი,  
ხოლო მიწაზე კვალს ტოვებს შეცვლილს,  
ღვინოში — წყალი და წყალში — სისხლი.

და შეცვლილ კვალზე რო გინდა გავლა  
და დათვლა მაჯის ამ დროს რო გიცემს, —  
გვალვებით უნდა ებრძოლო გვალვას  
და სიცხით უნდა ებრძოლო სიცხეს.

\*\*\*

გამო-გამოჩინარდა, დასანახი გახდა  
ძილის ანუ მცირედი მიცვალების ჟამი;  
ეს საღამოც დაიდგამს მალე წყვდიადს  
და საავდროდ გამზადილს შეიფერებს  
აბინდს.

ადევნებულ საფიქრალს უნებურად შეცვლი,  
თუ ხელდახელ აფხიზლებს მთვლემარ  
თავდავინწყებას, —  
სამონყალოდ გამონვდილ ხელს რო  
მოჰგავს ფესვი,  
მიწა რო შემოცლია და ჰაერზე ირწევა.

სისხლისა და ხორცის სიზმარეულ ყოფიდან,  
სიცოცხლეს რო ვეძახით, ვეძახით თუ ჰქვია,  
მგალობელი ფრინველი ეს-ეს არის  
მოფრინდა —  
თავის ოქრო ნისკარტით გამობმული ნიავეს.

## მორიელის ლანდი

ნიავეს ეკამათები თუ საკინძეს იხსნი,  
 ბორცვი ბორცვზე შემდგარი მთად  
 რომ გადაიზარდა,  
 ჭალა-ჭალა დაცურავს — ყანჩაა თუ ნისლი  
 და ფერადი ოცნება გაახლოვებს მიზანთან.

აგერ — რამე მდინარე, აგერ — ტბორი რამე,  
 ერჩი და უწონადო დაფარვატებს ჩრდილები;  
 ფეხაკრეფით მოიწვევს ახლა მართლა ღამე  
 თუ ტალღებზე ასხლეტილ ხილვებს  
 ემორჩილები:

ვიოლინოს პროფილი, მორიელის ლანდით,  
 საცეცები მოელის ხემის კაპრიზ შეხებას;  
 აჯანყდება თანდათან მუსიკოსი — დარდი  
 და თითებზე შემდგარი ღამე გაიტყუება.

## ორგანი სცენა

ცეცხლის ხორშაკით და ალის ქარით  
 დაყანებული ჭალები წუხან;  
 თანდათანობით დაწყლულდა თვალი  
 და სანიერზე აბოლდა მუხა.

და ბოლის სვეტზე დანდობილ ციდან  
 ხორშაკი თოვლის იწყება ცვენა;  
 სხვა რა ჩარაა — შეეწყო გინდა  
 ზართარ-ზაფხულის ამ ორმაგ სცენას.

სვენებ-სვენებით ატარო უნდა  
 ამ ორთა შორის დამლელი ტვირთი:  
 „იქიდან“ „აქეთ“ — ყინულის გუნდა,  
 „აქედან“ „იქით“ — სიცხე და ხვითქი.

## მინის დაბადება

მდორე დხნება... აქა-იქ ქაფი...  
 წყალზე თუ ითქმის — რონება წელის...  
 და იკერება სხივების ძაფით  
 გაღმა-გამოღმა ველები ვრცელი.

და იდუმალი ბგერა და ჩქამი,  
 და შეფარული თამაში სიტყვის:  
 ქმნიდა ყოველთვის სამყაროს ამინდს  
 ეს საამაყო და მძიმე ტვირთი.

ვინც აიმჩატა — ფაქიზი სმენით  
 და მონამებრივ რიდით და ხათრით;  
 და ბიბლიური მოთარგმნა ენის  
 სწორედ ამიტომ ღმერთამდე ადის.

ლექსიდან — ლექსი, მითიდან — მითი,  
 შუქიდან — შუქი, ხმებიდან — ხმები  
 ამოდის, როცა იშლება კვირტი  
 ღმერთის კარნახით და ღმერთის ნებით.

ჭორიკანობამ გახადა შავი  
 ყორანი თურმე — თავიდან თეთრი;  
 ხელზე მარცვლები გაყრია ჭვავის,  
 ჭვავის მარცვლები თუ მინის დენთი.

ცრემლიან თვალში წარსული ჩასვი  
 და ტყდება ნავსი — იმღვრევა ბნელი;  
 აგერა ხმელი ჩალა და ხავსი  
 და წყალი — ხანძრის თხევადი მტვერი.

ფორმიდან ფორმას მოირგებს ოთრქლი  
 და წყლიდან მოთქმით ამოდის მინა:  
 გრძელდება ასე — სიზმარში რო თქვი,  
 სიზმარში რო თქვი და ცხადად იქცა.

## მოყოლილის ლოცვა

ფოთლის ცივი ლეიბი... გაყინული ძვლები  
 ცურავს ტანზე საბანი — ღრუბლის  
 თალხი ჩრდილი:  
 დღეა უკვე მესამე — ფეხზე ველარ ვდგები,  
 უმიზეზოდ ვიცინი, უმიზეზოდ ვტირი.


ავსულებზე რაღა ვთქვა — რა  
 გამოლევს ირგვლივ  
 (გამოჩრილი ეშვები ეღვარებენ თვალწინ);  
 წუხანდელი ჩვენების ასაქცევად ხინვი  
 შემოვივლე თავზე და ამის მერე დავწვი.

რა ვქნა — სინამდვილიდან გაქცევას  
 რომ ვცდილობ,  
 რა ვქნა — სინამდვილეში გაბრუნებენ როცა;  
 ქარი შუბლზე მაფარებს ნისლის ძმრიან ტილოს  
 და აგრძელებს შეწყვეტილ  
 მოყოლილის ლოცვას.

## „ზამთრის მაჭარი“

ზამთრის ცრიატი ამინდია და თქორავს,  
 ყელზე დეკებერს შეწყვეტილი აქვს ღილი;  
 ტირის შიშველი ბია ტირის და ბუოლა  
 და ჭურისთავზე ტოკავს ღარიბი ჩრდილი.

გამოერევა ჭალარასავით თმაში  
 ნვიმას აქა-იქ თეთრი ფანტელი გალა,  
 და სურნელება კეცზე შემწვარი შამხის —  
 „ზამთრის მაჭარის“ დადის კარიდან კარად.



გოგოს  
 ბერძენისძე

## ბაზაფხუდი ბუჩიაში

ქალები ლალად მოაბიჯებენ ბოგაზე და ტკბილად მოიმღერებენ, წინ შავთმიანი გოგო მოუძღვით, წითელკაბიანი, ფეხშიშველა. პატარა, ლამაზი თავი გვერდზე გადაუხრია და მოკრიმანჭულობს მაღალ ხმაზე, ცას სწვდება ზარივით წკრიალა ხმა, ახალისებს ისედაც მხიარულ სიმღერას...

ჭალაში ქარი დაჰქრის და მდინარის აყოლებით, მწვანე მინდორზე, წყვილი თეთრი ცხენი მიჭენობს ფაფარაშლილი. მოქუხს ადიდებული მდინარე, მოიგრაგნება აქაფებული, მოაგრუხუნებს აგორებულ ქვებს და მდინარის გაბმულ ხრიალში შერთული, გაისმის ცხენების ძალუმი ჭიხვინი.

მთელი სოფელი გამოსულიყო შემის მოსაგროვებლად; ადიდებულ წყალს მოჰქონდა ძირიანად მოთხრილი ხეები, დაქცეული ნისქვილის ძელები, ნალის ბარჯგები, დამ-

ხრჩვალი საქონელი, ხმელი ხეები, — ნელა, მდორედ მოაცურებდა და ბიჭები ბანარზე გამობმულ რკინის ჭანგს ესროდნენ მდინარით ჩამოტარებულ ხეებს. ერთად შეყრილი, ერთიანი ძალით ეზიდებოდნენ ნაპირისაკენ, შემას სტაცებდნენ ლანქერს.

ქალების სიმღერას ახშობს მდინარის ხმაური. წითელკაბიანი გოგო ხმას უმაღლებს. მდინარის ქუხილს ერთვის სიმღერა. ბიჭები ველური ყიჟინით ეგებებიან ბოგაზე ქალების გამოჩენას. რამ გადარიათ? რა ემართებათ ამ ბიჭებს ან ქალებს, ბიჭებს სამუშაო მიუტოვებიათ და ყივილით მორბიან ხიდისკენ, რა აყვირებთ? ან ამ ქალებს რა წაეკიდათ, ასე ტკბილად რომ მოიმღეროდნენ, ახლა რა ეშმაკი შეუჯდათ, რა გიჟური სიცილი ასტეხიათ, რა თავშეუკავებლად იცინიან, რა აცინებთ ასე ხმამალა, ნამითურ დეკნებივით რომ ახტებიან ერთმანეთს, ჩქმეტენ, კუნტრუშობენ, წივიან, კივიან, იცინიან, სიცილ-კისკისით რომ გარბიან ბრმა სიხარულით ატაცებულნი. ხიდი მაღალია, გრძელი; ქვემოთ, ჭალაში, გამოდევნებულ ბიჭებს გზა მოუჭრა ადიდებულმა მდინარემ.

— ჩამოი, ცა, ჩვენთან, — ეხვეწებიან ბიჭები წითელკაბიან გოგოს.

— შენ ამოი, — პასუხობს დაცინვით გოგო. ქარი კაბას უფრიალებს. კაბა კოჭებამდე სწვდება გოგოს, ეტყობა ნასხვისარია კაბა, ქარი ხან თავზე წააფარებს კაბას, ხან ტანზე ატმანის, მაგრამ გოგო ამაზე თავს არ იწუხებს, ხელი არ გაუხმრევია მაღლა აფრიალებული კაბის დასაჭერად. ეტყობა სიამოვნებს, ქარი რომ ელამუნება ტანზე და ბიჭები რომ ყივიან; ქარი ხან აჩენს მის დაფარულ ნორჩ სილამაზეს, ხან ფარავს. ვინ იფიქრებდა, ასეთი გაჩხიკული გოგო, ასე სავეს რომ იქნებოდა ქალურობით? ბიჭები რალაცას უყვირიან გოგოს, მაგრამ მათ სიტყვებს მდინარის ხრიალი შთანთქავს. გოგო ხედავს მათ გაღებულ პირს, ნაპირზე ამოგდებულ ღორჯოსავით რომ აბჩენენ, ხედავს მათ მოძრავ ბაგეებს, ცხენის წურბელასავით რომ იკლაკნებიან, მაგრამ გოგო არ იმჩნევს მათ, მაღალ სახელურთან მიდის, მაღლა სწევს თავის გრძელ ფეხს ურცხვად, სახელურზე შემოდგამს და შიშველ ფეხისგულში ეკალს დაეძებს. ბიჭები ხარხარებენ, დაკუნთულ მკლავს მკლავზე იდებენ, იდაყვი ღუნავენ და გოგოს უჩვენებენ, მუქარით, ყივილით, მდინარე მიქუხს. ბიჭები უკან ბრუნდებიან. წითელკაბიანი გოგო არხეინად მიაბიჯებს ფეხშიშველა და თავისთვის იღიმება, უხმოდ იცინის.

ხიდს გამოღმა, კოდმესთან, ძველი, გამურული სამჭედლო დგას წაფერებული.

სამჭედლოდან გრდემლის წკრიალი მოისმის. ხიდი რომ მოთავდება, შარაგზა იწყება, სამჭედლოს წინ, გზის გადაღმა, ტყემლები ჰყვავიან. დიდგულა ხეზე შავი ცხენია მიბმული. ქარი მიაქროლებს აყვავებულ ტყემლის თეთრ ყვავილებს, ცა სავსეა ყვავილის მსუბუქი ფურცლებით; თუ მზეს არ ახედავდი ან გაზაფხულის ლურჯ ცას თვალს აარიდებდი და მხოლოდ შავი ცხენის წინ მიმქროლავ თეთრი ყვავილების ცვენას მიაყოლებდი მზერას, გეგონებოდა თოვსო. თოვლის თეთრ ფანტელებს ქარი მიაქროლებსო, მაგრამ სადა აქვს თოვლის ფიფქებს ასეთი სურნელი?

ჭალიდან ამოიჭრებოდა შხუილით ქარი, მოხვეტავდა თეთრ ყვავილებს და ხვავრივლად აფრქვევდა შავ ცხენს ფაფარსა და გავაზე. თეთრად დაპენტილი ცხენი, ფართო ფლოქვებით მყარად იდგა მიწაზე, ლაჯებს შორის ვეება, თავის ულაცობის ნიშანი გადმოეგდო და აბრიქინებულს მუცელზე ირტყამდა. ყვავილები ათოვდა ცხენს, თვალეები გაელურსა და ყვავილების სურნელით გაბრუებულს, თვალთავან სიამის ცრემლები დასდენოდა. ცხენის პატრონი, თეთრწვერა მოხუცი, გაჟინჟილებული, ფერხორციანი, ხალისიანი ბერიკაცი, სამჭედლოს წინ დაგდებულ წიფლის მორზე ჩამომჯდარიყო, თავის ცხენს გასცქეროდა და სიცილით იგუდებოდა. როცა სულს მოითქვამდა, მაშინ ცხენს საყვედურობდა: ცხენო, შენ სინდის-ნამუსიდან გარეცხილო, დამალე შენი საოხრე, სირცხვილია, აგერ ქალები მოდიან ხიდზე. ჰე, ჰე, ჰე, ვის უჩივი მე? შეხედეთ! უარესს შობა, შეგარცხვინა ღმერთმა, ამიზა გზარდე, ამიზა გადაგყევი ზედ, რომ თავი მომჭრა და შემარცხვინო? ჰაიტ, შენ მოგაჯდა ზურგზე მამალი მგელი, ჰე, ჰე, ჰე, რა ქნას, მისი ბრალი ხომ არაა.

მეც იმავე მორზე ვიჯექი. აღარ ვიცოდი რა მექნა მოხუცის ხათრით. მეც მრცხვენოდა, სიცილს ძლივს ვიკავებდი. მაგრამ თვითონ რომ არხეინად იცინოდა მჭედელთან ერთად? საყვარელი ბაბუა იყო, როცა იცინოდა, თავის შაბიამნისფერ თვალეებს ჭუტავდა და წითელ ლოყებზე ცრემლები სდიოდა. „ფუი შეგარცხვინა ღმერთმა, ცხენო!“

მოხუცი ლანძლავდა და აგინებდა თავის ცხენს, მაგრამ მე მეჩვენებოდა, რომ ეფერებოდა. მოხუცი გახედავდა ლაჯებში ცხენს და სიცილს ვერ იკავებდა: ჰოი, შენ აბდალავ, ეუბნებოდა მოხუცი ცხენს, მე შენ უფრო მორცხვი მეგონე, ელაპარაკე რამდენიც გინდა, უარესს შობა, ანაგებად რომაა, არ იცის სირცხვილი. არც ჩემი გრცხვენია, არც გამვლელ-გამომვლელის, არც ქალების, აგერ

ამ კაი ბალანას, ჰე, ჰე, ჰე, შეხედე, ბაბუა, პანაც და მიწას უწვდენს... ჰე, ჰე, ჰე. მე მოკუნტული ვიჯექი მორზე, გაყურებული. მეშინოდა და მრცხვენოდა, დედაჩემის ყურამდის არ მიეღნია ჩვენს საუბარს (ჩემი და მოხუცის საუბრის ამბავს). მუხლებზე წიგნი მედო („საიდუმლო კუნძული“, თუ?...). მეზღვაურის მუქლურჯი ფორმა მეცვა. მკლავზე და ბეჭებზე ოქრომკედით ამოქარგული ღუზა ბრწყინავდა. (როგორ ვთხოვდი, როგორ ვემუდარებოდი დედას, მეზღვაურის ფორმას ნუ ჩამაცმევ-მეთქი, იმიტომ, რომ სოფლის ბიჭები თვალს ვერ ამორებდნენ ოქროს მოელვარე ღუზას, მათ კი ჯვალს ტომრები ეცვათ, ანდა ნასხვისარი ტანსაცმელი და თმა აბურძგვილები, ფეხშიშველა დარბოდნენ). ძალიან მოკლე შარვალი მეცვა, თეთრი გეტრები მიფარავდა წვივებს და თეთრ გეტრებს მუხლს ქვემოთ თეთრი ფორცები ამშვენებდა. ფეხზე კი ბრტყელი, ჩაჩხვლეტილი სანდლები მეცვა. თმა გვერდზე მქონდა გაყოფილი და სუფთად გადავარცხნილი...

ახლა, მოცინარი მოხუცი ხიდზე მომავალ ქალებს გასცქეროდა.

— თუ იცი, ბაბუა, რამ გადარია ჩემი ცხენი?

მე მხრები ავიჩეჩე. მოხუცი გადმოიხარა ჩემსკენ და მიჩურჩულა: „ქალების ხმაი რომ გეიგონა, იმან გადარია“. ქალი ვის არ გადაარევს. ჩვენც ხომ გვინდა ქალი? მაგასაც უნდა. მაგას ჩვენზე მეტად უნდა, ე, ხომ ხედავ, ჰე, ჰე, პანა უკლია მიწამდის, ჰე, ჰე, სად უშონო ახლა მაგას ქალი. გადიაროს ჭალაში და მისით იშონოს ჭაკურა. ქალი რომ გვაშონინა... მიცინის მოხუცი, ჰე, ჰე, აგერ არ ვართ ჩვენ! ჰე, ჰე, ჰე, თუ შენთვის ჯერემ ადრეა, ჰე, ჰე, ჰე, ჯერ არ ჩამჯდარხარ მარტუა გვიმრებში? ჰე, ჰე, ჰე, თქვი სიმართლე, ჰე, ჰე, ჰე.

— დეეთხუე ბალანას, — თქვა მჭედელმა.

მჭედელი გამალებით სცემდა გახურებულ წითელ რკინაზე პანა ჩაქურს, ახტუნავებდა გვერდზე და ისევ გაბრტყელებულ რკინაზე ინაცვლებდა, მერე თითქოს ჩაქურს ფეხები აენვაო, გვერდზე ისკუპებდა გრდემლზე და იქ აგრძელებდა ერთ ადგილზე ხტუნვას და კაკუნს. გრდემლი წკრიალებდა. გამჭვარტლულ ბნელ სამჭედლოში ანათებდა მხურვალე რკინა. (მიყვარდა პატარა, გამურული სამჭედლო, ნაქცევავზე რომ იყო ნაფერდებული, მიყვარდა მოხუცი მჭედელი, ცალი თვალი თეთრი რომ ჰქონდა. მიყვარდა გრდემლის დგრიალი, მისი ხალისიანი წკრიალი. საბერველის ქშენა. ღველფში გახურებული რკინის ელვარება, მიყვარდა, ჩემს თვალწინ, ჩაქურის ქვეშ, რკინის წითელი ნაჭერი სახნი-

სად რომ იქცეოდა, აგიზგიზებული ცეცხლოვანი რკინა რომ გარდაიქმნებოდა ცულეხად, წალღობად, თოხებად, ბარებად, ცელეხად, მაგანებად, ნალეხად... მუდამ მეჩვენებოდა, რომ გახურებული წითელი რკინა ჩამავალი მზის ნატეხი იყო, ციდან ჩამოტანილი და მეგონა, რომ ჩემი მოხუცი რასაც მოისურვებს იმას გამოკვერავს-მეთქი, თუნდაც მზე რომ დაგეფინა გრდემლზე, (ის მზე, ყოველ საღამოს წითლად ანთებული რომ იძირება თხემლებს გადაღმა, შორს, მთებს იქით, ზღვაში). — იმასაც დასცხებდა უროს და ნაპერწკლებს გააყრევინებდა. ბეჭებში მოხრილი კი იყო მოხუცი, მაგრამ მკლავმაგარი იყო.

ქალებმა ბოგა გადმოიარეს. წითელკაბიანი გოგოს გრძელი მკლავები მაღლა აენია და კეფაზე აგრაგნილ თმას იკრავდა თხილის წკნელზე ახლერილ ნედლი ტყავით. გოგოებს ახლა ხნიერი ქალები მოუძღვებოდნენ და გოგოებიც მღუმარედ და შშვიდად მოჰყვებოდნენ. „იცოცხლეთ, ბატონო!“ შორიდანვე მიესალმნენ ისინი მოხუცებს. როცა ქალებმა დიდგულა ხეს ჩაუარეს და სამჭედლოს გაუსწორდნენ, უეცრად შეწყდა გრდემლის წკრიალი და გაისმა მჭედლის ხმა: ქალებო, შემიცადეთ ერთ წამს, საქმე მაქვს თქვენთან! ქალები შეჩერდნენ. მჭედელი გამოვიდა სამჭედლოდან და შორიასლო შეჩერდა, გამურული თითებით კეფა მოიქეჯა და ეუბნება ქალებს:

— ქალებო, ხუთფეხა ცხენი თუ გინახავთ, ან თუ გაგიგონიათ?

მოულოდნელი შეკითხვით დაბნეულმა ქალებმა ერთმანეთს გადახედეს და უნებლიეთ მოხუცი მჭედლის შეკითხვა გაიმეორეს: — ხუთფეხა ცხენი? — ხნიერი ქალები შეტრიალდნენ და წავიდნენ, ბაგეებზე დოღბანდი აიფარეს, თითქოს სიცილს მალავდნენ და შორიდან დაუძახეს გოგოებს: წამოით, გამოადგით ფეხი! მაგრამ ისინი მჭედელს მისჩერებოდნენ გაცხებულნი.

— არა, — ამბობდნენ გოგოები, — არ გვინახავს, მაგფერი არაფერი არც გვინახავს და არც გაგიგონია.

— მაი არ იქნება სიმართლე, — ამბობს წითელკაბიანი გოგო. უტიფრად შესცქერის მჭედელს, — სამასხრო შინ გეყოლება.

— ცავ, გააჩერე ენა! — ეუბნებიან გოგოები წითელკაბიანს ჩურჩულით.

— არ გჯერათ, აბა, ხომ? — ამბობს მოხუცი და სიცილს ძლივს იკავებს.

— არ იქნება მაი სიმართლე, — ყველა ერთად პასუხობს მჭედელს.

— ა, აგერაა და ნახეთ თქვენი თვალით, — ამბობს მჭედელი და გოგოების ზურგს უკან, შავი ცხენისაკენ იშვერს გამურულ ხელს, არც

ახლა დეიჯერებთ?!

გოგოებმა, ყველამ ერთდროულად მიიხედა უკან, დიდგულა ხეზე მიბმული ცხენისკენ და როცა ლაჯებს შუა გამოკიდული, მინამდის დაშვებული აბრიქა, აადგო ცხენმა და მუცელზე აიკრა, ისინი ერთმანეთს მიანყდნენ წივილ-კივილით.

ცაში აიჭრა მათი ხმამალალი, ხალისიანი კისკისი. ზოგი მინაზე გორავდა, ზოგს მუცელი ეკავა ხელებით, უსირცხვილოდ ხარხარებდნენ, ერთმანეთს ეპოტინებოდნენ, რომ არ წაქცეულიყვნენ. ცხენის მოხუცი პატრონი ხარხარებდა, მჭედელი კი ხმამალლა გაიძახოდა: არც ახლა დეიჯერებთ? ხომ ნახეთ თქვენი თვალით! მჭედელი, სამჭედლოს შეფარებული, შორიდან შეჰყურებდა ატეხილი გოგოების თავაშვებულ მხიარულებას. წითელკაბიანი გოგოს აბურდული შავი თმა ჩამოშლოდა სახეზე, გულიანად კისკისებდა, აელვარებდა შავ თვალებს და თეთრ კბილებს, წკრიალა ხმით იცინოდა. სიცილის დროს ხან ერთ ფეხს სწევდა მაღლა, მუხლში მოღუნულს და თან უკან იზნიქებოდა და ტაშს სცემდა, ხან მოინაცვლებდა ფეხს და ახლა მეორე ფეხს სწევდა მუხლში მოღუნულს. კაბა ხან ერთ ფეხზე ჩამოუცურდებოდა, ხან მეორეზე; დახტოდა მხიარულად, გაუთავებლად კისკისებდა, სანამ, ღონემიხდილი, მესრის ძირას არ მიწვა გულაღმა, ყვავილებით მოფენილ მინაზე, მკლავები თავქვემ ამოიწყო, მე ვიცოდი, მკლავებზე წვრილი ხალები რომ ჰქონდა დანიწკლული. პატარა მკერდი აუღჩაუდიოდა, მერე წამოხტა ფეხზე, სადაა, სად იმალება? შე ყიამყრალო ბერიკაცო, გამოიგარეთ, სიტყვა მაქვს შენთან. აბურდულ შავ თიმებში თეთრი ყვავილები შერჩენოდა. ლოყები ანითლებოდა და ნაჭენებ კვიცივით ქშინავდა ნესტოებდაბერილი, გოგოები ერთად იკრიბებოდნენ წასასვლელად, მაგრამ ფეხი ვერ მოეცვალათ ადგილიდან, სიცილით დაოსებულებს. ცხენის პატრონი ხმამალლა ესაუბრებოდა თავის ცხენს: „რა ქენი, აი, ცხენო, რეიზა გადამირიე ქალები?“ გოგოები ერთად შექუჩდნენ. წითელკაბიანმა გოგომ ერთი — ორჯერ ჩემსკენ გამოიხედა თავისი ელვარე, შავი თვალებით. ქალიშვილებმა სული მოითქვეს, მოთენთილები იდგნენ ერთ ადგილზე. სიჩუმე ჩამოვარდნილიყო ამდენი ხმაურის მერე და უეცრად ეს წამიერი სიჩუმე შესძრა ცხენის მძლავრმა ჭიხვიმმა.

გოგონებს თითქოს ახლა გაახსენდათ, რაზეც იცინოდნენ. მივიწყებულმა ულაყმა შეახსენა ყველას თავისი არსებობა, ყველამ ცხენს გახედა, ისევ იფეთქა სიცილმა, ისინი ადგილიდან მოწყდნენ, სიცილ-კისკისით და



წივილ-კივილით გარბოდნენ, გზადაგზა ისევ აწყდებოდნენ ერთმანეთს, წითელკაბიანმა გოგომ წკრიალა ხმით გამოსძახა მჭედელს: ბერიკაციო, მაგ ცხენს რომ დაჭედავ, მეხუთე ფეხის დაჭედვა არ დაგავინწყდეს!

— კარგს იზამ, თუ წამეხმარები და დამიკავებ, — პასუხობს მჭედელი. გოგოს თვალე-ბი უელვარებს, მიიჩქარის თმების სწორებით და შორიდან ეძახის მჭედელს:

— მაი დააკავებიე, შინ რომ კუნკურება მა-ლაზონი გიზის, მოუხდება, არ აწყენს, ეყოფა მგონია.

— იმიზა რაფერ იმეტებ, ცა! — ეუბნება მჭედელი გოგოს, მაგრამ ის უკვე აღარ მოჩანს, ქალები თვალს მიეფარენ, მაგრამ მათი სიცილის ხმა მაინც აღწევდა სამჭედლომდის.

მხიარულმა მოხუცმა, ცხენის პატრონმა, გული რომ იჯერა სიცილით, მჭედელს ეუბნება: კაი, აი ცხენია და მეტი არ მოეთხოვება, მარა შენ რამ გადაგრია აი ბერიკაცი, რამ გათქმია ქალებიზა ამფერი სიაბდლე. ჰე, ჰე, რაც გინდა იყოს, ქალიშვილები არიან, ეგერ კიდომ ხალხი იყო, აგერ უცხო ბაღანა. ვისი ხარ, ბაბუა, შენ? ქალაქიდან იქნები, წიგნი გიკავია. ჩვენს ბაღნებს წიგნს დააკავებიე ხელში?!

მჭედელმა სიცილით მიუგო მოხუცს: მაგინს შენი და ჩემი დანახვა კი არ გაუხარდებათ, რაც გაუხარდებოდათ, კი დავანახვე და ხომ ნახე შენი თვალთ, რა წაეკიდათ და რაფერ გაიხარეს, რაფერ იცინეს.

აბა! — წამოიძახა მოხუცებულმა, — აბა! მართალი ხარ, — და თეთრ წვერზე ჩამოისვა ხელი. — თუ არ გადაირეოდნენ არ მეგონა, შევშინდი. გაქცევა დავაპირე, ვიფიქრე, არ მეტაკონ აი გადარეული ქალები-მეთქი. კაი, ერთი რომ იყოს, კიდომ არაფერი, აუთავდები, მარა აგინს, რომელ ერთს გინდა, რომ მოუარო, ჰე, ჰე, ჰე, კარგად გადავრჩით, ჰე, ჰე, ჰე. — აბდალო! — შესძახა ცხენს, — შენი გულიზა კალამ დევილუპეთ, ასე დამიფასე ამაგი? ცხენმა დაიფრუტუნა. „არ გიშველის თავის მართლება. მივალთ შინ და გაგცემ პასუხს“.

მოხუცმა შემომხედა, დაჟინებით დამაცქერდა, თითქოს პირველად შემნიშნაო, თან უხმოდ მიცინოდა. „თუ ხედავთ ამას აგერ!“ — წამოიძახა გაკვირვებით, დამჯდარა მარტო და ჩუმად რომ იცინის, რა გაცინებს, ბაბუა, არ მეტყვი? დანახე წითელი კაბა რომ ეცვა, იი ციცა რაფერ გინევდა ფეხს მაღლა და რაფერ კირკიცობდა?

მე ყვითელ პეპელას გავაყოლე თვალი. მოხუცმა გაიცინა და მჭედელს მიუბრუნდა: ხედავ, რაფერ განითლდა, რა დაგემართა, ბა-

ბუა, აფერი არაა აქანე სასირცხვო და დასამალი. ქალი იმიზაა გაჩენილი ქვეყანაზე, რომ გააგორო უნდა მინაზე და დაათვლევინო ცაზე ვარსკვლავები, შენც იმიზა ხარ კაცად გაჩენილი, რომ...

— კაი, დეეთხუე ბაღანას, — თქვა მჭედელმა.

— კაი, აფერს აღარ ვჩივი, — თქვა მოხუცმა, — მერე მისით მიხვდება, ცხოვრება ანი შენია, ჩემო ბაბუა.

მოხუცი სიყვარულით მიმზერდა, მერე მოვიდა და თავზე ხელი გადამისვა: კაი ბაღანა ხარ შენ. ახლა კი წავალ შინ.

— მიხვალ? — ჰკითხა მჭედელმა.

— წასული არ ვარ! — უპასუხა მოხუცმა ხითხითით, მხიარულად.

— მაი არაფერი, — თქვა მჭედელმა, — ყველა წავალთ, დრო რომ მოაწევს. — მოხუცი გამოემშვიდობა მჭედელს.

— ჰე, მიდი, უზანგი დაუკავე, — მითხრა მჭედელმა. წიგნი მორზე ჩამოვდე და მოხუცისკენ გავიქეცი. მოხუცმა ცხენი ახსნა, შუბლზე ხელი დაუსვა, მოეფერა.

— ხო, ახლა დამალე, ქალები რომ წევიდნენ, ხომ? — უთხრა ცხენს.

მე უზანგი ჩავბლუჯე ორივე ხელით, მოხუცი რბილად დაეშვა უზანგირზე, მე წიგნისთვის გამოვიქეცი, მორიდან ავიღე და ილღიაში ამოვიჩარე. მჭედელს გამოვემშვიდობე და მოხუცს დავენიე. ქვეითად მოვყვებოდი და ასე მივსაუბრობდით.

მოხუცმა ხიდზე ცხენი გააჩერა. ქარი უბერავდა და შავ ცხენს ყვავილებს აცლიდა. მხოლოდ ფაფარზე ჰქონდა შერჩენილი თეთრი ყვავილი, გავა კი ლურჯად ბზინავდა.

— შეხედე, — მითხრა მოხუცმა და მოკეცილი მათრახი გაიშვირა ჭალისაკენ. „იმ ცხენებს ხომ ხედავ? ეგერ, მინდორში, გეგონება ქარი მიაქროლებსო, ისე მიფრინავენ, ასე იჭენებენ გათენებამდის, მერეც, შუადღეზეც, საღამოს, სანამ არ დაენევა და არ მოაჯდება ზურგზე, არ მოისვენებს! არ უნდა ჭაკს, გაურბის, ვაყა მისდევს მაინც, ერთ წამს არ ტოვებს მარტო, სწორს შობა. თვალი რომ მოაშოროს და გვერდზე გაიხედოს წამით, ჭაკურა სხვას მონახავს... ქალი არაა სანდო...“

არ ვიცი ქარისაგან, თუ სიხარულით, მოხუცს ცრემლები მოერიო. ატირდა, ხელისგულით ინმენდა თვალებს და თავისთვის გაიძახოდა: „კაია ყველაფერი, კაია რაცაა და რაფერიცაა“. აი, რასაც ვხედავთ, ყველაფერი, რაც იმან შექმნა, იმან, — თითი ცისკენ აიშვირა, — ჩვენზე მეტი იცის! მთაში ისევ წვიმს, ე, აიშალა ნისლები. შეხედე, რა ლამაზად მიჭენობენ. ეგება ჭაკს ვაყაზე მეტად უნდა, მარა

გაურბის, აწვალებს, მოწონს, ჭიხვინით რომ დასდევს ვაყა, გახურებული! უყვარს, მისი ქმენა რომ ესმის კუდის ძირში, ჰე, ჰე, ჰე!

ხმამალალი ყაყანიტა და სიცილ-კისკისით, უკან მობრუნებულმა ქალებმა გადაგვისწრეს. დაკარგული დეკნები ეპოვნათ და შინ მიდენიდნენ. ჩვენს წინ მიმხიარულობდნენ. ხუჭუჭთმიანმა ლამაზმა გოგომ ხმამალლა უთხრა მის გვერდით მიმავალ მწითურ გოგოს: ცა, თვლაი კი ვიცი, მარა ამ ცხენს ოთხი ფეხი დავუთვალე, რაცხა ხომ არ მეშლება.

— იი მჭედელთან დაგიტოვეს, მიი ხვალ და წამოიღე შინ.

— მაი მასე რომ იყოს, შენ ვერაკაცი ვერ მოგასწრებდა. — ქალებმა სიცილი ასტეხეს, მოხუციც იცინოდა, მერე გადმოიხარა უნაგირიდან და მიჩურჩულა: იი ციცა არ ჩანს, რე-იქნა ნეტა, გრძელი ენა კი ქონდა, მარა ხომ ნახე რამისილამაზე იყო.

მე გვერდზე გავიხედე. ხავსიან ყორებში ბზიკების ბუდეს მივაშტერდი. ცხენის გვერდით მომავალი გოგები სიყვარულით ასცქეროდნენ მოხუცს. მოხუცი ხედავდა სინორჩით აყვავებულ სახეებს, მათ ღიმილს, აფრი-

ალებულ თმებს, ერთ ლამაზ გოგოს ლოყაზე მოუთათუნა მოფერებით ხელი, მეორეს ლამაზი თმები აუშალა, ხან აქეთ იხრებოდა უნაგირიდან, ხან იქით და თან ღიღინებდა:

„ყველა ხეი აყვავილდა, შენ რას შობი ატამო?

ჩემდა თუ არ გემეტება, გამოგაბდევნა კატამო“.

ჭალაში, მდინარის პირას, მინდორში, აშრილებულ, ამწვანებულ ხეების ქვეშ მიჰქროდა ფაფარაშლილი ფაშატი და მიჰყვებოდა ჭენებით და ჭიხვინით ულაცი, კისერს იგრძელებდა, რომ მისწვდენოდა ფაშატს და ეკბინა გავაზე. ჭალაში, დაფეთებულმა ბატებმა ფრთა გაშალეს და წყალს გაღმა გადაფრინდნენ. დაბალზე მიფრინავდნენ... ულაცი წამოეწია ფაშატს, დაკბინეს ერთმანეთი, მერე ერთმანეთის გვერდიგვერდ მიჭენობდნენ, თავი თავს მიდებულნი, ფაფარში ჩაკარგულნი. მიჰქროდნენ მდინარის პირას ჭიხვინით, ფლოქვების თქარუნით, მოქუხდა აქაფებული მდინარე. ქარი კი მიაქროლებდა აყვავებულ ტყემლების თეთრ ყვავილებს...

2002 წელი.





# მარინა ხმელაძე

## გოდება ქართული მიწისა

ჩემს მკერდზე ისევ გაჩნდა ჭრილობა!  
 გიჩვენოთ, გული მოვიღიავო?  
 აღარ მოგბეზრდა ეგ ორპირობა?  
 რა დაგიშავე, ადამიანო?!  
 შეხედე, ნაპრაღს მოსდევს ნაპრაღი,  
 გაჯერდა გული სისხლით და ლეშით,  
 ოდესღაც ვიყავ ცვარით ნაბანი,  
 ახლა ვინთქმები ღვარძლში და გესლში.  
 რად მომიძულეთ?  
 მე ხომ მიყვარდით,  
 გიფერადებდით კორდებს იებით,  
 მე ქაოსიდან ამოვიზარდე  
 თქვენთვის...  
 და მწამდა, მაპატიებდით  
 იმ გულჩვილობას, როს შიშველ ტყეებს  
 გიფერადებდით მწვანე სიმშვიდით  
 და როს ხომლები შუქს დაანთხევენ  
 ტბებში — ჩემს ობოლ ცრემლში,  
 გითვლიდით,  
 რომ მალე განწმენდს ტბა იგი, მტკნარი  
 მაგ თქვენი გულის მლაშე ჭაობებს,

ვიყავი თქვენთვის ნიქარა ხარი  
 და რქას ვალენდი გულქვა თაობებს!  
 ვაი, ამაოდ!..  
 აქ, რაღაც, გულთან  
 უღვთოდ მტკივა და მეწვის, ქართველო;  
 ადამიანი!..  
 მას ერთი უნდა:  
 დანვას,  
 დანაცროს,  
 ფეხქვეშ გათელოს,  
 რათა გალაღდეს, რათა აღზევდეს  
 და ლეში თვისი შესდოს კვარცხლბეკზე.  
 უფალო, რატომ უნდა ბადებდე  
 სიტყვას, რომელიც ღვთიურ საკმელზე  
 აყრის გესლსა და არყოფნის ნაცარს,  
 სიტყვას, რომელის გაცემს იესოს,  
 ვილაცა ხნულში ჩამიგდებს მარცვალს  
 და მეტყვის - უკვე გაპატიესო!  
 მაინც რა, ღმერთო?  
 იქნებ, სიცოცხლე  
 და ერთგულება კაცთა მოდგმისა,  
 იქნებ ღიმილი,  
 იქნებ სიმორცხვე,  
 იქნებ თაყვანი ალალ ოფლისა  
 და ალალ სისხლის,  
 იმ წმინდა სისხლის,  
 ჩემს სიყვარულში რომ დანთხია,  
 მე მახსოვს ყველა და მე ქედს ვიხრი  
 მათ წინ, ვინაც ჯერ ისევ იციან,  
 რომ ღმერთი აძლევს მოკვდავს სიცოცხლეს  
 და მხოლოდ უფალს ძალუძს წართმევა!  
 მზევ, დაილოცა შენი სიცხოვლე,  
 განა სუყველას ძალუძს დათმენა  
 შენი შუქისა?  
 სინათლე ნათლის  
 არის ძალა და ალბათ, მიზანიც  
 და, რა თქმა უნდა, მხოლოდ სიმართლით  
 აღსდგება ქართლი, დასაფიცარი,  
 აღსდგება ტაო, რაჭა, ეგრისი,  
 დავითიანი დროშა აღსდგება,  
 ჩააგდეთ ხნულში მარცვალი სიმწრის  
 და სიყვარული დათავთავდება!  
 ჯერ კი, შენც ხედავ, ლაღდება მაცილ  
 და ხეობებში სისხლი ხმიანობს,  
 საოცარია სამართალ კაცის,  
 რად არ გიყვარვარ, ადამიანო?!

## უნძრახნი ვარსკვლავები

ჰოი, ვარსკვლავნო, მექენით მწედ და  
 მეც დამაზომეთ ზეცას, ხომლიანს,  
 რად მენატრება ვარსკვლავნო, დედა,  
 დედა - რომელიც არა მყოლია?..  
 ყველა სიტყვასთან,

ყველა სათქმელთან  
დავდე ზავი და დავრჩით მარტონი  
მე,  
ხსოვნა ჩემთა ტკბილთა, მწარეთა,  
და ცაზე ირმის შმაგი ნახტომი.  
ჰოი, ვარსკვლავნო,  
რარიგ ძნელია  
რომ არასოდეს არა ინანო,  
სიოს ჩურჩულად შერჩე ლელიანს,  
მერე მიჩუმდე და მიინავლო,  
და არ ახსენო...  
შენ კარგი, არ და...  
გაგახსენებენ უთუოდ სხვები,  
სარკმლიდან მთელი სამყარო ჩანდა,  
ჩახველ ძირსა და... შენივე ნებით  
დაივიწროვე სამზერი, სივრცე,  
ალბათ ამიტომ არ ტოვებთ ზეცას  
ვარსკვლავნო,  
გვიან გაგიგეთ, გიცნეთ,  
კარგი კი იყო, ადრევე მეცნა  
თქვენი ნაფიქრი, წადილი თქვენი  
და ცოდნის, სიბრძნის, უთქმელი სევდა,  
ო, ღმერთო,  
მაინც რად კივის გენი,  
რამ გამახსენა უცნობი დედა?...  
მაინც რა ბევრი თეთრი ხომლია,  
შუბლზე მელვრება შუქი, ელამი,  
ვისაც არასდროს არვინ ჰყოლია,  
ალბათ მას უფრო ახსოვს ყველანი...  
ვარსკვლავნო...  
თუმცა, მე წავალ ახლა,  
ძნელია, დიდხანს სინათლის ახლოს,  
ისე...  
რომ სხედხართ უნძრახნი მალლა,  
მადლია, ერთხელ თქვენც შემეძრახოთ!

### ქვიშნარი

ალმურდაყრილი ქვიშნარი...  
მზეზე ტანს ითბობს გველი,  
მაცდური და უშიშარი,  
წევს...  
ალბათ ისიც ელის!  
დუმს,  
ან ჩქამს როგორ გაბედავს,  
ვინმეს ტანი და ხელი,  
მიტოვებული ღამე და  
პირდაფრენილი ხერელი...  
ქვიშნარი...  
იყო,  
აქ იყო!  
მზეს ასდენია მტვერი,  
რა გინდათ, იწვეს და იყოს,  
ეგების გათბეს გველი!

### როგორ არ გტკივათ

გადასხვაფერდით,  
თითქოს ბოლოს ღმერთიც ინამეთ,  
ერისკაცებად დათითოვდით ამ ბეჩავ ხალხში,  
ისე ლამაზად ლაპარაკობთ დიად მიზანზე  
ლამის გერნმუნოთ,  
მაგრამ ერთი არ მაძლევს საშველს:  
როგორ არ გტკივათ მათხოვარი  
ქართულ მიწაზე  
და ისიც...  
ბავშვი?

### ლექსო, იმისთვის მინდისარ...

განა იმისთვის მინდისარ  
ლექსო, სულ მღერით იდინო?  
კიდევაც უნდა ილალო  
და დარდიც შემომქვითინო.  
სათქმელიც უნდა შენა სთქვა,  
სათმენიც შენ დაითმინო,  
დასაწყევარი დასწყევლო  
და საცინარზე იცინო.  
თუ წამაქციეს,  
თუ მძლიეს,  
დაჯდე და მოთქმით მიტირო!

### ვარსკვლავთციხნა

მემატებოდა დამღუპველი სიბრძნე და ხანი,  
არვის ვახსოვდი,  
დაბრუნებულს არვინ მიცდიდა  
და ვარსკვლავები —  
მოელვარე, ცეცხლოვან ტანით  
ამოდოდნენ დავინწყებულ,  
დამშრალ სიზმრიდან.

ცოტაა სივრცე,  
სიყვარული და ფიფქი თეთრი,  
ცოტაა მიწაც, —  
ძირი შენთა ტკბილთა, მწარეთა,  
სანამ ცოცხალ ხარ, ყველაფერი  
ცოტაა შენთვის,  
მიხვალ და  
მხოლოდ ეს სოფელი გეცოტავება.  
დღეს კი,  
დღეს სხვაა...  
დღეს კვლავ მითრთის ხმელი თითები,  
ძველი წადილით  
დღეს კვლავ ვირგებ გაცრეცილ ვუალს,  
დღეს მოვალ თქვენთან და დახლეჩილ,  
დადლილ ფილტვებით  
უკანასკნელად ამოვიქშენ საძულველ უარს  
და აიძლება შეკავებულ რიცხვით შორეთი,



არ მიპატივებს მოღალატეს თქვენი გენები  
და როგორც უნინ,  
როგორც ყველგან,  
როგორც ყოველთვის,  
თქვენს ხსოვნაშიაც დაისივით ჩავესვენები!  
კი, მომემატა საძულველი სიბრძნე და ხანი,  
მაგრამ რა?

ჯერაც ვერ გავიგე რა მსურს, რა მინდა  
და ვარსკვლავები, —  
მოელვარე, ცეცხლოვან ტანით  
მიჯრით წყდებიან ამოშრეტილ,  
ღამეულ ციდან...

### ყვავილეების გაზარი

ყვავილები, ყვავილები,  
ტანზე ნამის ცრემლები,  
სიყვარულით დაიღლები,  
დაიღლები ფერებით  
და თუმც კდემით დახლებს ავსებ,  
თვალში მაინც ბინდია:  
ყიდულობენ სილამაზეს,  
სილამაზეს ჰყიდიან...

### როცა სამშობლოს აღარ სჭირდება...

ორმოცს გადასცდი,  
ცხოვრების ნიგნში  
წაგმალეს, როგორც ხსოვნა ღირსების,  
სიცოცხლე — მხოლოდ უსაზღვრო შიში:  
სამშობლოს უკვე აღარ სჭირდება!  
გაირღვა დროის, სივრცის ჯებირი,  
ქარს მიაქვს ფერფლი დამწვარ ხიდების,  
აღარ გაღელვებს ორპირ — ერთპირი,  
სამშობლოს უკვე აღარ სჭირდება!  
არც რამ სიკეთეს,  
არც ბოროტებას,  
არც თანადგომას აღარ მპირდება,  
გაბუნდოვანდა ცნებაც და მცნებაც,  
სამშობლოს უკვე აღარ სჭირდება!  
აღარც შვეულ გზის,  
აღარც ქარაფის,  
არც გათენების,  
არც დაბინდების,  
არ გეშინია უკვე არაფრის:  
შენ შენს სამშობლოს აღარ სჭირდება!  
არ გესმის თხოვნა,  
აღარც ძახილი  
და ამღვრეულიც არ ინმინდება,  
დაღლილა ხორცი,  
სულიც დაღლილა,  
სამშობლოს უკვე აღარ სჭირდება!  
ღალატი — ავი და შემზარავი,

გზად დაბნეული ხიბლი დიდების,  
არა, არ გიყვარს უკვე არავინ,  
როცა სამშობლოს აღარ სჭირდება!  
სამყარო უკვე ბანგით მთვრალია,  
შენ ეშაფოტზეც არ იბინდება,  
გარდაცვლილი ხარ დიდი ხანია —  
სამშობლოს უკვე აღარ სჭირდება!

### არ მახკლათ!

არ მახკლათ ლაჩარ-ჯაბანი  
არ ღირან თქვენდა ისრადა,  
არ გასწორდების მთა-ბარი,  
ცოდვას ნუ იღებთ კისრადა.  
არ მახკლათ ლაჩარ-ჯაბანი,  
ლაჩარ ცოცხლადაც კრულია,  
სადღა აქვს მინას საბანი  
იმათი დასახურია?  
სადა აქვს, სისხლით განბანილს  
ბალღამი ისეც ყოფნისა,  
არ მახკლათ ლაჩარ-ჯაბანი,  
სუნი წაგვახდენს მძორისა!

### დ რ ო


ვაი, რა ხშირად ამბობენ  
ზოგ-ზოგნი, რომ დრო ფულია,  
მოდღვრავენ ბეჩავ თაობებს,  
უგულოდ ხდიან გულიანს  
და აღარა აქვს გარჩევა  
უფესვოსა და ფესვიანს,  
დრო მუდამ ფული არ არის,  
დრო ზოგჯერ კარგი ლექსია!

\*\*\*

უიმედობა შავია,  
იმედს ზურმუხტი ჰყვინია,  
ოცნება ცაა ლაყვარდი,  
ცასავით მშვენიერია;  
ბედნიერება?  
რა გითხრათ, —  
თავისუფლების ფერია...

\*\*\*

ღმერთო სიყვარულს მიეცი სივრცე,  
უკიდევანო ფორმა და ფერი,  
და სიყვარულით სიცოცხლის ღირსებს—  
ძალა... კლდის ფხაზე  
ბალახის ღერის!



დავით  
 წახაძე

\*\*\*

კარენინა ვრონსკისთვის  
 შეუქმნია შემოქმედს,  
 ზოგი ანა ორდენად  
 დაეკიდა ყელსაბამს,  
 კაცი თუ ხარ, ერთხელაც  
 შესაძლოა შემოგხვდეს,  
 არვინ იცის ეს გრძნობა  
 ვისგან იღებს დასაბამს.  
 კიდეც არის ნესტანი,  
 ოფელია, ძიძია,  
 ფიქრი ყოფნა-არყოფნის,  
 თავგანწირვა, სიკვდილი,  
 სიყვარულის ბილიკზე  
 მხოლოდ ერთი ხიდია,  
 ხიდზე გავლა ერთხელ აქვს  
 ყველა სატრფოს მისჯილი.  
 არ ღირს მონანიებად,  
 არც სათქმელად არა ღირს,

დალოცვილი შეგრძნება  
 განა ყველას ხვედრია,  
 სხვისი გაქილიკება  
 არ უსმინო არავის,  
 რაც შენ არ განგიცდია  
 იმას როცა გეტყვიან.  
 წერს კანონებს მოკვდავი,  
 წერს რომ მერე უარყოს,  
 ყელზე დაკიდებული  
 მოიხმაროს ორდენი,  
 თუ ღმერთი გწამს მითხარი,  
 როგორ ვენდო ჭკუათმყოფს,  
 თუ არ მოსწონს ხელების  
 სიყვარული როდენის.

\*\*\*

მერამდენედ დაათენდა მამალს,  
 „მუქთად ჭამო!“ — დააყვედრა კაცმა,  
 ლუნი ტყვია დაახალა ფრთამალს,  
 „—ახიო—“ კბილებს შუა გასცრა.  
 შემეცოდა მოდარაჯე დილის,  
 გაუცუდდა ნაღვანი და გარჯა,  
 სიფხიზლე ხომ წლებთან ერთად მიდის,  
 უბლაგვდება მჭრელი პირი ხანჯალს.  
 თუ კი ყველა დაბერებულ მამალს,  
 ტყვიას ვესვრით, დაუვინყებთ ნაშრომს,  
 ვერ ვიპოვით იმ ერთადერთ ნამალს,  
 სინანულის ცრემლს რომ თვალზე აშრობს.  
 უმადურთან არ დაფასდა მადლი,  
 ეს სიმართლე მწარეა და სწორი,  
 ჭასთან გდია ცარიელი სათლი,  
 ნაგებულზე დაგვიდვია ფსონი.

\*\*\*

გაჭედოდა კოლექტორი,  
 სუნი დგას მძაფრი,  
 ვიღაცას პური ენატრება,  
 ვიღაცას თაფლი,  
 მური იცინის გულსაკლავად,  
 ჩუმად ზის დარდი,  
 ყვავილთა შორის პირველობას  
 ძნელად თმობს ვარდი.  
 ქუჩა ივსება სატკივარით,  
 ბობოქრობს ხალხი,  
 ღრუბელი მზის სხივს არ ატარებს,  
 ზეიმობს თალხი,  
 უცხომ იყიდა შთამომავლის  
 მამული, სახლი,  
 ძუძუს ამარა დარჩენილა  
 უმნიკვლო ბაღლი.

თივასთან ასანთს აწვალევენ,  
— ჩურჩულებს დენთი,  
თოფის ლულები დამშეულან,  
სვავეები ძრწიან,  
ცუდი სპექტაკლის მოლოდინში  
იღვიძებს ღმერთი,  
სპექტაკლის, სადაც მთავარ გმირად  
ინრთობა ტყვია.  
მეხანძრეს სძინავს მეფურ ძილით,  
სიზმარი ათრობს,  
ზღვაში გასულ გემს არ ელიან  
არცერთ ნაპირთან,  
კაცობრიობას თვის წარსული  
ბუნდოვნად ახსოვს  
და მიდის ასე, თავის ნებით  
ცოდვილ ვამპირთან.

### ბალაკტიონი

რიონის პირას ცაცხვები,  
ცაცხვების გვერდით ოდა,  
ზვარაკად გაჩენილი კაცები,  
გადარეული დრო და...  
სიტყვას ზეცისკენ მიყვები,  
ლექსებს ანთხევ და ბოდავ,  
კუნძულზე ცარიელი სახლები,  
აფეთქებული რტო და...  
ხინკალი, ლუდის კათხები,  
ხშირად არაყსაც სცოდავ,  
ნიგნებზე ახორხილი დახლები,  
თავბრუ, რეტი და ხო და...  
მერე აზრების ბახლები,  
ფიქრი ფიფქებად თოვდა,  
წლებმა განსაჯეს მართლები,  
ქარი ქროდა და ქროდა...

\*\*\*

ძნელი არ არის მიმიხვდე სათქმელს,  
ცოდვის მარყუჟზე ბრალი ჰკიდა,  
კრწანისის ველზე ერეკლე გასთქვეს,  
დღესაც ერთგულთა დეფიციტია.  
ენამ და ტვინმა სათქმელი არ თქვეს,  
გულმა კი ბოლმა ვერ დაიტია,  
კვლავ საიდუმლო ნიშანი დასთქვეს,  
რადგან ერთგულთა დეფიციტია.  
ჭორებმა წრფელი წილებად აქნეს,  
სული სხეულში ციდა ჩიტია,  
ძნელად თუ ვინმეს ენდობი საქმეს,  
რადგან ერთგულთა დეფიციტია.  
ქარი ხანდახან ქარიშხალს დასთესს,  
ზოჯერ ჭკვიანიც მიაპიტია,

სიყვარულს ხშირად ორგული დასდევს,  
რადგან ერთგულთა დეფიციტია.  
ვდგავარ და შუბლით ვეყრდნობი სარკმელს,  
ცაზე ბებერი მთვარე ჰკიდა,  
კარგი გამგონე სჭირდება კარგ მთქმელს,  
რადგან ერთგულთა დეფიციტია.  
მერანი რკინის აღვირით მართეს,  
დღესაც სინიდის ვერცხლზე ჰყიდიან,  
ვერ ენდობიან თუნდაც კარგ მმართველს,  
რადგან ერთგულთა დეფიციტია.  
ასჯერ ნაქები ათასჯერ დაგმეს,  
ბოლო დროს შურმა შემოგვიტია,  
დაუთმობელი ადვილად დასთმეს,  
რადგან ერთგულთა დეფიციტია.  
ძველი სცენარით სპექტაკლი დადგეს,  
დღეს რეჟისორი ძალზედ „ბიტია“,  
ყვიჩალს თხოულობს დიდგორის საქმე,  
რადგან ერთგულთა დეფიციტია.  
წუხილი წუთით სამძიმრად ადგეს,  
ღირსება სახელს მიძივად ჰკიდა,  
მუხის მაგივრად ტირიფი დარგეს,  
რადგან ერთგულთა დეფიციტია.  
სიმაძღრე მარტო მიირთმევს საქმელს,  
ფიალამ რუმბი ვერ დაიტია,  
სეირი ართობს აბეზარ მნახველს,  
რადგან ერთგულთა დეფიციტია.  
დუმილი ოქროს სთავაზობს არ მთქმელს,  
სიბრძნე გონებას მხარზე ჰკიდა,  
ძველი ანბანი დოლაბში დაფქვეს,  
რადგან ერთგულთა დეფიციტია.  
მხოლოდ დრო იტყვის თავის წილ სათქმელს,  
ვინ „კიტია“ და ვინაც „ბიტია“,  
მთვარე მოადგა ჩემს სახლის სარკმელს,  
ვაგლახ, დროც თურმე დეფიციტია.

\*\*\*

ჩამორჩენილ მგზავრებს,  
ჩემს ბავშვობის წლებს,  
უკვე დამცხრალ ტალღებს,  
ექოდ ქცეულ ხმებს,  
მიტოვებულ ბალებს,  
გამოშიგნულ ტყეს,  
ჩამოღარულ სახეს,  
გაკვირდები დღეს.  
დამდეგს სევდა ღვინით,  
მენატრება ზღვა,  
დაიღალა ტვინი,  
ვთქვა, თუ არა ვთქვა?  
გაიცრიცა ფირი,  
გადათეთრდა თმა,  
ბოთლში ჩარჩა ჯინი,  
ვინ მიშველის სხვა.

\*\*\*

ორ მივიწყებულ სიტყვას დავეძებ,  
დავბერდი ბედის ძებნა—ლოდინში,  
თავის ადგილზე მინდა დაბრუნდეს,  
სიტყვა მადლობა, სიტყვა ბოდიში.  
მე ერთხელ, ალბათ უკვე ვიყავი  
და იმ ცხოვრებას ერქვა გართობა,  
ქვეყნად მეორედ მიტომ მოვედი,  
მეთქვა ბოდიში, მეთქვა მადლობა.

\*\*\*

გზა არსაითკენ, გზა არსაიდან,  
ცაში ვარსკვლავი თავის ბედს ეძებს,  
კოცნა ცხოვრებას იწყებს თავიდან,  
გაუმართიათ დუელი ვერძებს.  
დააქვს სიყვარულს ამბორი უბით,  
ქარი გაფანტულ ნალველს აგროვებს,  
უარი ცხელ გულს გააპობს შუბით,  
იშტა კამათელს ცივად აგორებს.  
ვინ შეამშრალებს გალუმპულ თვალებს,  
ვინ გაიმეტებს ამბორს უბიდან,  
ვინ გადაიხდის ქალების ვალებს  
და ვინ ჩამონმენდს ცივ სისხლს შუბიდან.  
გზა არსაიდან არსაით მიდის,  
ნალვლიან თვალებს ცრემლები სცვივით...  
ცაზე ღრუბელი დაცურავს დიდი,  
გაიელვებს და... წამოვა წვიმა...

\*\*\*

კარგია, როცა გეტყვიან კის,  
ცუდია, როცა გეტყვიან არას,  
მთესველი სწორედ დათესილს მკის,  
მწყემსი უძალლოდ ვერ უვლის ფარას.  
მარცხი ცერა თითს თავდაღმა ხრის,  
ტყუილი მართალს ალიყურს სძალავს,  
ზოგი ახალ წელს ძველმანებს ჰყრის,  
ზოგიც სიყვარულს ლექსებში მალავს.  
ჭორი სხვის ხელით სამარეს თხრის,  
ორგულს ერთგულის სიმტკიცე ზარავს,  
ღამე მზის სხივის ხილვისას თრთის,  
სხეულს სამოსი თვალისგან ფარავს.  
ყრუს არ აღელვებს ტკივილი ხმის,  
არ იწმენდს ლანჩი მიჩვეულ ტალახს,  
ბედი შესაღებ კარებთან ზის,  
სულ არ აშინებს თმის ფერი დალაქს.  
ნება შეუვალ ცხრაკლიტულს ხსნის,  
აბრუნებს კაცი ცხოვრების ჯარას,  
მადლის მთესველი სიკეთეს მკის,  
რწმენა ნერგისთვის ბრძენ მიწას ბარავს.

\*\*\*

უძირო თვალებს ცა ჩაუყლაპავთ,  
თვალუნვდენელი სივრციდან გიმზერ,  
მზე ცისარტყელას წვიმისგან ხატავს,  
ოცნება ხედავს ვარდისფერ სიზმრებს.  
დაცურავს გედი მოღერილ ყელით,  
ცა იმზირება ცისფერ თვალებით,  
არ გააფუჭო ნახატი ხელით,  
ტილოზე დარჩნენ ამორძალები.


\*\*\*

მო-ნ-ი-ნ-ებით მო-ნ-კრიალებს ნ-ყარო,  
ნ-იალიდან ნ-ყალი ნ-ვეთავს ნ-რფელი,  
ნ-უთისოფელს ვა-ნ-ვალეზთ და ვ-ნ-ვალობთ,  
მოუ-ნ-ნიათ ნ-ამებს ნ-უთად ნ-ნელი. \*  
დაე-ნ-აფეთ მო-ნ-ამებრივ ნ-ესებს,  
ნ-რეში ნ-იგნებს ნ-აემატა ნ-ონა,  
ნ-აბილ-ნ-ული ნ-ალდით გადალე-ნ-ეს,  
ნ-ონვის ნ-ესი უ-ნ-ერია მ-ნ-ონავს.  
დანა-ნ-იხლებ სა-ნ-ოლებში ვ-ნ-ევართ,  
უ-ნ-მინდურებს ას-ნ-ევით ნ-არბი,  
ნ-ამოსასხამს ვინა-ნ-ილებთ, ვ-ნ-ელავთ,  
ნ-ამო ნ-უთო! ნ-არუმლელში ნ-ადი.  
დაე-ნ-ვეთა მ-ნ-ვადის ნ-ვეთი ნ-ალამს,  
სა-ნ-ნახელი ნ-არაფს ნ-ურავს ნ-ვეთად,  
გამონა-ნ-ერს ნუ გამო-ნ-ერ ნ-ამალს,  
უ-ნინარეს ნ-ესი გ-ნ-ამდეს ნ-ესად.

\*\*\*

ბიჭო, არ დატოვოთ ქალაქი მარტო,  
ქალაქს უხდებიან ყოჩები,  
ნიაზ და ასტამურ, თაობა გნატრობთ,  
იმ ქვეყნად გართობას როდის მორჩებით.  
ტვინი დაემგვანა სტომაქის ბატონს,  
სუფრას დაეძენდა ფოჩები,  
გული ჯიუტად სიყვარულს არ თმობს,  
გამოცარიელდნენ ქუჩები.  
ბახუსი ასხამს საოცარ სათრობს,  
ყანწებით ქეიფობენ ურჩები,  
ვერ გუობს ბოთლი მორგებულ საცობს,  
ტკივილს ჩურჩულებენ ტუჩები.  
თავს წლები თეთრად ფიქრებად ათოვს,  
სატრფონი რჩებიან ნორჩები,  
ბიჭო, არ დატოვოთ თბილისი მარტო,  
თბილისს უხდებიან ყოჩები.





ნაცვალთმცოდნეობის  
 ინსტიტუტი

## ახეობი\*

### სივრცის გავლენა რუსულ სულზე

ბევრი რამაა ენიგმური რუსეთის ისტორიაში, რუსი ხალხისა და რუსული სახელმწიფოს ბედში. დამოკიდებულება რუს ხალხს, რომელსაც სლავიანოფილები ადიდებდნენ როგორც უსახელმწიფო ხალხს, და უზარმაზარ რუსულ სახელმწიფოს შორის, დღემდე ჩვენი ისტორიის ფილოსოფიის გამოცანად რჩება, თუმცა არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ რუსეთის ბედში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა გეოგრაფიულ ფაქტორებს, მის მდებარეობას დედამიწის ზურგზე, მის უკიდევანო სივრცეს. რუსეთის გეოგრაფიული მდებარეობა ისეთი იყო, რომ რუს ხალხს ძალაუზნებურად უნდა შეექმნა უზარმაზარი

სახელმწიფო. რუსეთის თვალუწვდენ ტრამალებზე უნდა ჩამოყალიბებულიყო დიადი აღმოსავლეთ-დასავლეთი, გაერთიანებული და ორგანიზებული მთელი. უსაზღვრო სივრცეები ადვილად ეძლეოდა რუს ხალხს, მაგრამ მისთვის ასევე ადვილი როდი იყო ამ სივრცეების ორგანიზება მსოფლიოს უდიდეს სახელმწიფოდ, მასში წესრიგის დამყარება და დაცვა. რუსმა ხალხმა ამას შეაღია თავისი ძალის დიდი ნაწილი. რუსული სახელმწიფოს გრანდიოზულობა რუსი ხალხის წინაშე აყენებდა უძნელეს ამოცანებს, რაც მისგან მოითხოვდა ძალების ზღვრულ დაძაბვას. ასე რომ, თავისი სახელმწიფოს შექმნისა და დაცვის ურთულეს საქმეში იწრიტებოდა რუსი ხალხის ძალა. სახელმწიფოს მოთხოვნები ძალიან ცოტას თუ ტოვებდა თავისუფალი ძალის ნაშთებს. რუსი ადამიანის მთელი გარეგნული საქმიანობა სახელმწიფოს სამსახურს ხმარდებოდა, რამაც თავისი უსიხარულო დალი დაასვა მის ცხოვრებას. რუსებს თითქმის არ შეუძლიათ სიხარულით ტკბობა. მათ არ გააჩნიათ შემოქმედებითი თამაშის ძალა. რუსული სული დათრგუნვილია უსასრულო რუსული ველებით და უნაპირო რუსული თოვლით; ის ინთქმება და ითქვიფება ამ უსასრულობაში. რუს ადამიანს უჭირდა ფორმის ყალიბში მოექცია თავისი სული და თავისი შემოქმედება. ფორმის გენია რუსული გენია არ არის; მას გაჭირვებით თუ შეუთავსებ სივრცის გავლენას სულზე. და რუსებისთვის თითქმის სრულიად უცნობია ფორმის სიხარული.

უკიდევანო რუსული სივრცის დაუფლებას სახელმწიფოს მიერ თან სდევდა საშინელი ცენტრალიზაცია, მთელი ცხოვრების დაქვემდებარება სახელმწიფოს ინტერესებისადმი და პირადი თუ საზოგადოებრივი ძალების დათრგუნვა. რუსებში ყოველთვის სუსტი იყო პირადი უფლებების შეგნება და კლასების თუ ჯგუფების ავტონომიური ქმედითობა. ადვილი როდი იყო მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოს შენევა და, თანაც, იმ ხალხის მიერ, რომელსაც არ გააჩნდა ფორმალური მორგანიზებული გენია. მას დიდხანს მოუხდა რუსეთის დაცვა ყოველი მხრიდან მოზღვავებული მტრებისაგან. აღმოსავლეთისა თუ დასავლეთის ტალღები წალეკვას უქადდნენ რუსეთს. მან გაუძლო „ტატარაშინას“, გაუძლო ძნელბედობას და საბოლოოდ განმტკიცდა, გაძლიერდა და კოლოსად იქცა. მაგრამ რუსეთის უკიდევანო სივრცეები მძიმე ტვირთად დაანვა რუსი ხალხის სულს. მის ფსიქიკას შეერწყა როგორც რუსული სახელმწიფოს, ისე

\* დასასრული. დასაწყისი იხ. „ლიტერატურა და ხელოვნება“ №8.

რუსული ველების უსაზღვროება. რუსული სული მონყლულია უსასრულობით და ვერ ხედავს საზღვრებს. მაგრამ ეს უსაზღვროება კი არ ათავისუფლებს, არამედ იმონებს მას. და, აი, რუსი ხალხის სულიერი ენერგია შიგნით ჩაბრუნდა, ჭვრეტად და გულითადობის ნიმუშად იქცა. მას არ შეეძლო ისტორიისკენ მოქცევა, რომელიც ყოველთვის ფორმირებას და გზას უკავშირდება, რითაც აღინიშნება საზღვრები. რუსული სახელმწიფოს ფორმები ამორფულს ხდიდნენ რუს ადამიანს, ვისი თვინიერებაც მის თვითგადარჩენად იქცა. ისტორიულ და კულტურულ შემოქმედებაზე უარის თქმას მოითხოვდა რუსული სახელმწიფო, მთელი მისი მცველებით და მფარველებითურთ. უკიდევანო სივრცეები, ყოველი მხრიდან გარს რომ ერტყმიან და ავინრობენ რუს ადამიანს, მისი ცხოვრების გარეგან, მატერიალურ კი არა, შინაგან, სულიერ ფაქტორად გვევლინებიან. ეს უკიდევანო რუსული სივრცეები თვით რუსულ სულში გადადიან და უზარმაზარ ზემოქმედებას ახდენენ მასზე. რუსი ადამიანი, მინის ადამიანი, თავს უმწეოდ გრძნობს, რადგანაც ამ სივრცეების დაუფლება და მათი ორგანიზება არ შეუძლია. ის საბოლოოდ მიეჩნია ცენტრალურ ხელისუფლებას გადააბაროს მათი ორგანიზება, იმ ხელისუფლებას, რომელიც თითქოს ტრანსცენდენტურია მის მიმართ. და ის საკუთარ სულში გრძნობს ამ უკიდევანობას, რომელსაც თავს ვერ გაართმევს. ფართოა რუსი ადამიანი, როგორც რუსული მიწა, რუსული ველებივით ფართო. სლავური ქაოსი ბოხოქრობს მასში. რუსული სივრცის უკიდევანობა ხელს არ უწყობდა მასში თვითდისციპლინისა და დამოუკიდებელი ქმედითობის გამომუშავებას, ის თითქოს ითქვიფებოდა სივრცეში. და ეს იყო რუსი ხალხის გარეგანი კი არა, შინაგანი ბედი, რადგანაც ყოველივე გარეგნული სიმბოლოა შინაგანისა. გარეგნული, პოზიტიურ-მეცნიერული თვალსაზრისით, უზარმაზარი რუსული სივრცეები რუსეთის ისტორიის გეოგრაფიულ ფაქტორად წარმოგვიჩნდებიან. მაგრამ უფრო ღრმა, შინაგანი თვალსაზრისით, შეიძლება თვით ამ სივრცეებს განვიხილავდეთ რუსული ბედის შინაგან, სულიერ ფაქტად. ეს რუსული სულის გეოგრაფიაა.

II

რუს ადამიანში არ არის ევროპელის შეზღუდულობა, სულის პატარა სივრცეზე რომ ახდენს თავისი ენერგიის კონცენტრირებას, არ არის ეს ხელმომჭირნეობა, სივრცისა და დროის ეკონომია, კულტურის ინტენსივობა.

სიფართოვის ზემოქმედება რუსულ სულზე დასაბამს აძლევს რუსული თვისებებისა და რუსული ნაკლოვანებების მთელ წყებას. ამასთანაა დაკავშირებული რუსული მცონარება, ინიციატივის ნაკლებობა, პასუხისმგებლობის სუსტად განვითარებული გრძნობა. რუსული მინისა და რუსული სულის სიფართოვე ზენოლას ახდენდა რუსულ ენერგიაზე და საშუალებას აძლევდა მას ექსტენსიურობის მიმართულებით ემოძრავა. ეს სიფართოვე არ მოითხოვდა ენერგიისა და კულტურის ინტენსივობას. უკიდევანო რუსული სივრცეები რუსული სულისაგან მოითხოვდნენ მსხვერპლს და თვინიერებას. თუმცა იგივე სივრცეები ევლინებოდნენ მცველად რუს ადამიანს და უსაფრთხოების განცდას უნერგავდნენ მას. ის ყოველთვის უზარმაზარი სივრცეებით გარშემორტყმულად გრძნობდა თავს და აღარ ეშინოდა რუსეთის წიაღში. უზარმაზარ რუსულ მიწას, ფართოს და ღრმას, ყოველთვის გამოჰყავს რუსი ადამიანი გასაჭირიდან და მხსნელად ევლინება მას. ის ყოველთვის მთელი არსებით ენდობა რუსულ მიწას და დედა-რუსეთს. ის ყოველთვის ერთმანეთში ურევს და აიგივებს თავის მშობლიურ მიწას და ღვთისმშობელს, მას ეყრდნობა და მისი ქომაგობით სულდგმულობს. რუსი ადამიანი კი არ მბრძანებლობს რუსულ მიწაზე, პირიქით, ეს უკანასკნელი მბრძანებლობს მასზე. დასავლეთევროპელი ადამიანი თითქოს ისრისება სივრცის სიმცირით და სულის ასეთივე პატარა სივრცით. მას ჩვევად ექცა ეყრდნობოდეს თავის ინტენსიურ ენერგიას და ქმედითობას. მის სულში ხალვათობა კი არა, სივინროვეა, ყველაფერი ანონ-დანონილი და ზუსტად განაწილებული უნდა იქნეს. თავის ადგილზე ორგანიზებული მიჯაჭვულობა განაპირობებს დასავლეთევროპელი ადამიანის მემჩანობას, ყოველთვის ასე გამაოგნებელსა და საძულველს რუსი ადამიანისათვის. ევროპული კულტურის ეს მემჩანური ნაყოფი ინვევდა გერცენის აღშფოთებას და კ. ლეონტიევის ზიზლს. ყველა ჭეშმარიტად რუსული სულისთვის უამურია ეს ნაყოფი.

ავილოთ გერმანელი. ის ყოველმხრივ შეზღუდულად გრძნობს თავს, როგორც სათაგურში, სიფართოვე არც მის ირგვლივა და არც თვითონ მასში. ის თავის საკუთარ ორგანიზებულ ენერგიაში, თავის დაძაბულ ქმედითობაში ეძებს ხსნას. გერმანელს ყველაფერი თავის ადგილას უნდა ჰქონდეს, ყველაფერი განაწილებული უნდა იყოს. თვითდისციპლინისა და პასუხისმგებლობის გარეშე გერმანელს არსებობა არ შეუძლია. ის ყველგან საზღვარს ხედავს, ყველგან ზღვარს ავლებს.



გერმანელი უსაზღვროებაში ვერ იარსებებს. მისთვის უცხოა და საძულველი სლავური უნაპირობა. ის მხოლოდ ენერჯის დიდი და-ძაბვით თუ ისურვებდა თავისი საზღვრების გაფართოებას. გერმანელს უნდა ეზიზღებო-დეს რუსი ადამიანი იმის გამო, რომ მას არ შე-უძლია ცხოვრება, ვერ ახერხებს დალაგებუ-ლი და ორგანიზებული ცხოვრების შექმნას, არ იცის არაფრის ზომა და ადგილი და ვერ აღწევს იმას, რისი მიღწევაც შესაძლებელია. რუსს კი უნდა სძულდეს გერმანული პათოსი ცხოვრების მეშქანურად მოწყობისა. გერმა-ნელი გრძნობს, რომ მას ვერ იხსნის გერმა-ნია, მან თვითონ უნდა იხსნას იგი. რუსი თავს არასდროს არა გრძნობს ორგანიზატორად, პირიქით, ის ნაჩვევია სხვის მიერ იყოს ორგა-ნიზებული. და თვით ამ საშინელ ომშიც, როცა რუსული სახელმწიფო განსაცდელშია, რუსს უჭირს ამ განსაცდელის გაცნობიერება, რაც მასში გააღვიძებდა პასუხისმგებლობას სამ-შობლოს ბედზე და, ამრიგად, დააძაბვინებდა ენერჯიას: რუსი თავს ინუგეშებს იმით, რომ მის ზურგსუკან კვლავაც იშლება უსასრულო სივრცე, რომელიც იხსნის მას, და ამიტომ არც ისე ძალიან ეშინია. რუსი გაჭირვებით მიდის იმის შეგნებამდე, რომ აუცილებელია მთელი მისი ენერჯიის მობილიზება. საკითხი ინტენსიური კულტურის შესახებ, დაძაბულ ქმედითობას რომ მოითხოვს, ჯერ კიდევ არ ქცეულა მისთვის სიცოცხლისა და ბედის სა-კითხად. ის იძირებოდა თავის წიაღში და თავის სივრცეებში. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ რუსი ადამიანის ყოველგვარ თვითმოქ-მედებას და აქტივობას გზას უღობავდნენ გა-დაულახავი წინააღმდეგობანი. უზარმაზარ, თვითმკმარ ძალად ქცეულ რუსულ სახელ-მწიფოებრიობას აშინებდა რუსი ადამიანის ყოველგვარი თვითმოქმედება და აქტივობა; ის რუს ადამიანს მხრებიდან ხსნიდა რუსე-თის ბედზე პასუხისმგებლობის სიმძიმეს და მას სამსახურს აკისრებდა, მორჩილებას და თვინიერებას მოითხოვდა მისგან. რუსული სახელმწიფოებრიობის ისტორიული წყობის შედეგად თვით რუსული სივრცეები ზღუდავ-დნენ რუსი ადამიანის ყოველგვარ საპასუხის-მგებლო თვითმოქმედებას და შემოქმედებით აქტივობას. და რუსი ადამიანის, ისევე, რო-გორც მთელი რუსი ხალხის ეს დამონება მარ-თლდებოდა რუსული სივრცეების დაცვითა და მოწესრიგებით.

III

მოთხოვნებმა, რომლებსაც რუსეთს წაუ-ყენებს მსოფლიო ომი, რუსი ადამიანის ცნო-

ბიერებისა და მისი ნების მიმართულების რადიკალურ ცვლილებამდე უნდა მიგვიყვანოს. ის, ბოლოს და ბოლოს, უნდა განთავი-სუფლდეს სივრცეთა ზეგავლენისაგან და თვითონვე დაეუფლოს მათ, ისე, რომ ოდნავა-დაც არ შეცვალოს ამით რუსულ უსაზღვრო-ებასთან დაკავშირებული რუსული თავისე-ბურება. ეს ნიშნავს რადიკალურად განსხვავ-ებულ დამოკიდებულებას სახელმწიფოსა და კულტურისადმი, იმისგან განსხვავებით, რაც აქამდე ჰქონიათ რუსებს. სახელმწიფო რუსი ხალხის შინაგან ძალად, მის საკუთარ დადებით ძალად, მის იარაღად უნდა იქცეს, და არა მის გარეგან საწყისად და მის მბრძა-ნებლად. კულტურა კი უფრო ინტენსიური უნდა გახდეს, აქტიურად რომ ეუფლება რუ-სეთის წიაღს თუ სივრცეებს და აქტიურადვე ამუშავებს მათ რუსული ენერჯიის წყალო-ბით. ამნაირი შინაგანი ძვრის გარეშე რუს ხალხს შეუძლებელია ჰქონდეს მომავალი, შეუძლებელია გადავიდეს თავისი ისტორიუ-ლი არსებობის ახალ ეტაპზე, ჭეშმარიტად ის-ტორიული არსებობისა, ხოლო თვით რუსულ სახელმწიფოს დაშლის საფრთხე დაემუქრე-ბა. თუ აქამდე რუსულ სახელმწიფოს სურ-და თავისი ხალხის პასიურობით ესარგებლა, ამიერიდან ის მხოლოდ ხალხის აქტიურობით თუ შეიძლება არსებობდეს. სივრცეებმა ვერ უნდა დააშინონ რუსი ხალხი, მათ უნდა გააღ-ვიძონ ენერჯია, გერმანული კი არა, რუსული ენერჯია. უგუნურია ყველა, ვინც რუსულ თვითმყოფობასა და თავისებურებას უკავში-რებს ტექნიკურ და ეკონომიურ ჩამორჩენი-ლობას, სოციალური თუ პოლიტიკური ფორ-მების ელემენტარულობას და სურს რუსული სულის პასიურობის წყალობით შესძლოს რუ-სული იერსახის შენარჩუნება. შეუძლებელია თვითმყოფობა უკავშირდებოდეს სისუსტეს, განუვითარებლობას და ნაკლოვანებას. რუ-სული სულის თვითმყოფი ტიპი უკვე ჩამოყა-ლიბებულია და საუკუნოდ დამკვიდრებული. რუსული კულტურა და რუსული საზოგადო-ებრიობა შეიძლება იქმნებოდეს მხოლოდ რუსული სულის სიღრმითა და მისი თავისთა-ვადი შემოქმედებითი ენერჯიის მეოხებით. მაგრამ რუსული თვითმყოფობა, ბოლოს და ბოლოს, უარყოფითად კი არა, დადებითად, ძლიერებაში, შემოქმედებასა და თავისუფ-ლებაში უნდა გამოვლინდეს. ნაციონალური თვითმყოფობა არც მხდალი უნდა იყოს, არც თავისი თავის იჭვნეულად დამცველი და არც შებოჭილი. ხალხის ისტორიული არსებობის სიმწიფის პერიოდში თვითმყოფობა თავი-სუფლად გამოხატული უნდა იყოს, ქმედითი და უკან კი არა, წინ მიმართული. ცალკეული

მოსლავიანოფილები ჩვენს უსიხარულო დღე-ეგში ფიქრობენ, რომ თუ ჩვენ, რუსები აქტიურები გავხდებით სახელმწიფოსა და კულტურასთან მიმართებით, მფლობელებს და წესრიგის დამფუძნებლებს დავემგვანებით, თუ ჩვენი სულის სიღრმიდან დავინწყებთ როგორც ახალი საზოგადოების, ისე ჩვენთვის აუცილებელი მატერიალური იარაღის შექმნას და ტექნიკური განვითარების გზას დავადგებით, მაშინ ყველაფერში გერმანელებს დავემგვანებით და ჩვენს თვითმყოფობას დავკარგავთ. მაგრამ ეს ნიშნავს ურწმუნოებას რუსი ხალხის სულიერი ძალმოსილების მიმართ. თვითმყოფობა, რომელიც შეიძლება შენარჩუნებულ იქნას მხოლოდ ჩამორჩენილ და ელემენტარულ მატერიალურ ფორმებზე მისი მიჯაჭვით, ჩალადაც არ ღირს და მასზე ვერაფერს დააფუძნებ. მცველებს ყოველთვის ნაკლებად სწამთ ის, რასაც იცავენ. ჭეშმარიტი რწმენა კი მხოლოდ ქმედითა და თავისუფალთა გულებში ღვივის. რუსულ თვითმყოფ სულიერ ენერგიას შეუძლია შექმნას მხოლოდ თვითმყოფი ცხოვრება. დროა აღარ ვაშინებდეთ რუს ადამიანს სახელმწიფოს გრანდიოზულობით, სივრცის უსასრულობით და კვლავინდებურად მონობისთვის ვწირავდეთ მას. დამონებული რომ იყო, რუს ადამიანს სწორედ მაშინ ედგა ქედზე „ნემეტჩინის“ უღელი, რამაც თავისი დალი დაასვა რუსული სახელმწიფოებრიობის მთელ წყობას. რუსული ხალხური სულის განთავისუფლება და მისი წარმართვა რუსული სივრცეების აქტიური დაუფლებისა და მათი ფორმირების გზით, — აი, რა გაათავისუფლებს რუს ხალხს გერმანელთა მონობისაგან და განამტკიცებს მის შემოქმედებით თვითმყოფობას. ნუ გვგონია, თითქოს რუსული თვითმყოფობა ისაა, რომ რუსები სხვისი, თუნდაც გერმანული აქტივობის მონები უნდა იყვნენ, გერმანელებისაგან განსხვავებით, რომლებიც თვითონვე არიან აქტიურნი! ღმერთმა დაგვიფაროს ამნაირი თვითმყოფობისგან, გარდუვალ დაღუპვას რომ გვიქადის! რუსი ხალხის სულზე სივრცეთა ბატონობის ეპოქა მთავრდება. ის თავისი ისტორიის ახალ პერიოდში შედის, როცა თვითონ უნდა იქცეს თავისი მიწა-წყლის ბატონპატრონად და თავისი ბედის მჭედლად.

### რუსეთის სული

მსოფლიო ომი მწვავედ სვამს საკითხს რუსული ნაციონალური თვითშეგნების შესახებ. რუსული ნაციონალური აზრი გრძნობს

მოთხოვნილებას და მოვალეობას, გამოიცნოს რუსეთის გამოცანა, გაიგოს რუსეთის იდეა, განსაზღვროს მისი ამოცანა და ადგილი მსოფლიოში. ყველა გრძნობს დღევანდელ დღეს, რომ რუსეთი დიადი მსოფლიო ამოცანების წინაშე დგას. მაგრამ ამ ღრმა გრძნობას თან ახლავს განუსაზღვრელობის, ამ ამოცანების თითქმის განუსაზღვრელობის შეგნება. დიდი ხნისაა წინათგრძნობა, რომ რუსეთს რაღაც დიადის აღსრულება აკისრია, და რომ ის განსაკუთრებული ქვეყანაა, მსოფლიოს ყველა სხვა ქვეყნისგან განსხვავებული. რუსული ნაციონალური აზრი რუსეთის ღვთივრჩეულობისა და ღვთისმტვირთველობის გრძნობითაა ნასაზრდოები, რაც მოსკოვის როგორც მესამე რომის ძველი იდეისგან იღებს დასაბამს და სლავიანოფილებიდან დოსტოევსკის, ვლადიმერ სოლოვიოვისა და ნეოსლავიანოფილებს გადაეცემა. ამნაირ იდეებს ბევრი სიყალბე და სიცრუე მიეკრა და მიეტმასნა, თუმცა მათში აისახა რაღაც ჭეშმარიტად ხალხურიც, ჭეშმარიტად რუსულიც. შეუძლებელია ადამიანი მთელი სიცოცხლის განმავლობაში გრძნობდეს რაღაც განსაკუთრებულს და ყველაზე დიდი სულიერი აღმავლობის პერიოდებში მძაფრად იცნობიერებდეს ამას, თუ ეს ადამიანი არავითარი მნიშვნელოვანი მისიისთვის არ არის ხმობილი და მონოდებული. ეს ბიოლოგიურად შეუძლებელია. შეუძლებელია მთელი ხალხის ცხოვრებაშიც.

რუსეთს ჯერ კიდევ არ უთამაშია გადამწყვეტი როლი მსოფლიოს ცხოვრებაში, და ჯერ მთლიანად არც ევროპის ცხოვრებაში შეუდგამს ფეხი. დიდი რუსეთი კვლავაც განკერძოებულ პროვინციად რჩება ევროპისა და მსოფლიოს ცხოვრებაში. მისი სულიერი სამყარო ადრეც განკერძოებული იყო და კარჩაკეტილი. რუსეთს ჯერ კიდევ არ იცნობს მთელი მსოფლიო, დამახინჯებულად აღიქვამს მის ხატს და მცდარად და ზედაპირულად მსჯელობს მასზე. რუსეთის სულიერი ძალები ევროპის კულტურული ცხოვრების მიმართ ჯერაც არ გამხდარან იმმანენტურნი. დასავლეთის კულტურული საზოგადოებისათვის რუსეთი ჯერ კიდევ რჩება სრულიად ტრანსცენდენტურ, რაღაც უცხო აღმოსავლეთად, ხან რომ იზიდავს მის ყურადღებას, ხან კი აფრთხობს თავისი ბარბაროსობით. თვით ტოლსტოი და დოსტოევსკი დასავლელ კულტურულ ადამიანს იზიდავენ როგორც ერთგვარი ეგზოტიკური, მათთვის უჩვეულოდ ცხარე საქმელი. დასავლეთში ბევრზე მომწუსხველად მოქმედებს აღმოსავლეთის იდუმალი სიღრმე. ჯერ კიდევ არ დამდგარა

დრო იმისა, რომ ქრისტიანული აღმოსავლეთის სულიერი ცხოვრება დასავლეთის სულიერი ცხოვრების ტოლად და სწორად სცნონ. დასავლეთში ჯერაც ვერ უგრძენიათ, რომ რუსეთის სულიერ ძალებს შეუძლიათ განსაზღვრონ და გარდაქმნან დასავლეთის სულიერი ცხოვრება; რომ ტოლსტოი და დოსტოევსკი დასავლეთს მის აზრთამპყრობელთა შემცველებად ევლინებიან. აღმოსავლეთით მომავალ ნათელს მხოლოდ ძალიან ცოტა რჩეული ინდივიდუალობანი თუ ხედავენ. რუსული სახელმწიფო უკვე რა ხანია აღიარეს დიდ სახელმწიფოდ, რომელსაც ანგარიშს უნდა უწევდეს მსოფლიოს ყველა ქვეყანა და რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო პოლიტიკაში. მაგრამ რუსეთის სულიერ კულტურას, რომელთან მიმართებითაც თვით სახელმწიფო ზედაპირული გარსი და იარაღია, ჯერ კიდევ არ უჭირავს მსოფლიოში თავისი დიდმპყრობლური ადგილი. რუსულ სულს ჯერ კიდევ არ შეუძლია უკარნახოს ხალხებს ის პირობები, რომელთა კარნახიც შეუძლია რუსულ დიპლომატიას. სლავურ რასას ჯერ კიდევ არ უჭირავს ის ადგილი მსოფლიოში, რაც ლათინურ თუ გერმანულ რასებს. აი, რა უნდა შეიცვალოს ძირეულად ამჟამინდელი დიდი ომის შემდეგ, რომელიც გვივლენს დღემდე არნახულ ისტორიულ ურთიერთმეხებას და ურთიერთკავშირს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. რუსეთის შემოქმედებითი სული, ბოლოს და ბოლოს, თავის დიდმპყრობლურ ადგილს დაიჭერს მსოფლიოს სულიერ კონცერტში. ის, რაც ხდებოდა რუსული სულის წიაღში, ახლა უკვე პროვინციულ, განკერძოებულ და კარჩაკეტილ მოვლენად კი არ დარჩება, არამედ საყოველთაო, ზოგადსაკაცობრიო, არა მარტო აღმოსავლურ, დასავლურ ფენომენადაც იქცევა. საამისოდ უკვე რა ხანია მომწიფდა რუსეთის პოტენციური სულიერი ძალა. 1914 წლის ომს უფრო ღრმად და მძლავრად შეჰყავს რუსეთი მსოფლიო ცხოვრების მორევში და უფრო მჭიდროდ აკავშირებს ევროპულ აღმოსავლეთს ევროპულ დასავლეთთან, ვიდრე 1812 წლის ომი. უკვე წინასწარ შეიძლება განვჭვრიტოთ, რომ ამ ომის შედეგად რუსეთი იმდენად გახდება საბოლოოდ ევროპული, რამდენადაც ევროპა აღიარებს რუსეთის სულიერ გავლენას თავის შინაგან ცხოვრებაზე. უკვე რეკავს მსოფლიოს ისტორიის ის საათი, როცა სლავურ რასას, რუსეთის მეთაურობით, მიიხმობენ განმსაზღვრელი როლის შესასრულებლად კაცობრიობის ცხოვრებაში. მონინავე გერმანული რასა თავის თავს გამოფიტავს მილიტარისტულ იმპერიალიზმში.

სლავიანობის მონოდებას წინასწარ გრძნობდნენ დასავლეთის გულისხმიერი ადამიანები. მაგრამ რუსეთის მსოფლიო ამოცანების განხორციელება არ შეიძლება ისტორიის სტიქიურ ძალთა თვითნებობას ჰქონდეს მინდობილი. აუცილებელია ნაციონალური გონისა და ნაციონალური ნების შემოქმედებითი ძალისხმევა. და თუ დასავლელი ხალხები იძულებულნი იქნებიან, ბოლოს და ბოლოს, დაინახონ რუსეთის ერთადერთი სახე და აღიარონ მისი მონოდება, ჯერხნობით ის მაინც გაურკვეველი რჩება, ჩვენ თვითონ თუ გვესმის, მაინც რა არის რუსეთი და რისთვისაა ხმობილი. თვით ჩვენთვის რუსეთი კვლავაც გამოუცნობ ენიგმად რჩება. ის წინააღმდეგობრივია, ანტინომიური. რუსეთის სული არავითარი დოქტრინებით არ იფარება. ტიუტჩევმა თქვა თავის რუსეთზე:

Умом России не понять,  
Аршином общим не измерить:  
У ней особенная статья,  
В Россию можно только верить.

და მართლაც, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთი მიუწვდომელია გონებისათვის და დოქტრინებისა თუ მოძღვრებების არშინით განუზომელი, რწმენით კი რუსეთი ყველას თავისებურად სწამს და რუსეთის წინააღმდეგობებით სავსე ყოფაში ყველა პოულობს ფაქტებს თავისი რწმენის დასამტკიცებლად. შეიძლება მიადგე რუსეთის სულში დაფარული საიდუმლოს ამოხსნას, თუ დაუყოვნებლივ აღიარებ მის ანტინომიურობას და ამაზრზენ წინააღმდეგობრივ ბუნებას. მაშინ რუსული თვითმეგნება თავისუფლდება ცრუ და ყალბი იდეალიზაციისა თუ საზარელი კვეხნისაგან, ისევე, როგორც უნიათო კოსმოპოლიტიკური უარყოფისა და უცხოელთა მონობისაგან.

რუსული ყოფის წინააღმდეგობანი ყოველთვის პოულობდნენ ასახვას რუსულ ლიტერატურასა და რუსულ ფილოსოფიურ აზრში. რუსული სულის შემოქმედება ისევე ორდება, როგორც მისი ისტორიული ყოფა, რასაც ნათლად გვიჩვენებს ჩვენს ნაციონალურ იდეოლოგიათა შორის ყველაზე სპეციფიკური იდეოლოგია — სლავიანოფილობა, ისევე, როგორც ჩვენი უდიდესი ნაციონალური გენია — დოსტოევსკი, ურუსესი რუსთა შორის. რუსული ისტორიის მთელი პარადოქსულობა და ანტინომიურობა სლავიანოფილებსა და დოსტოევსკიზეა აღბეჭდილი. დოსტოევსკის სახე ისევე ორდება, როგორც სახე თვით რუსეთისა და ურთიერთსაპირისპირო გრძნობებს იწვევს. უძირო სიღრმე და მიუწვდომელი სიმაღლე უცნაურად ერწყმის

ერთგვარ სიმდაბლეს, უკეთურებას, უღირსობას და მონობას; ადამიანის სიყვარული, ჭეშმარიტად ქრისტესმიერი სიყვარული — კაცთმოძულეობას და სისასტიკეს; თავისუფლების აბსოლუტური, ქრისტიანული წყურვილი (დიდი ინკვიზიტორი) — მონურ მორჩილებას. განა ასეთი არ არის თვითონ რუსეთი?

რუსეთი ყველაზე არასახელმწიფოებრივი, ყველაზე ანარქიული ქვეყანაა მსოფლიოში. რუსი ხალხი კი ყველაზე აპოლიტიკური ხალხია, ვერასოდეს რომ ვერ შესძლო მოენესრიგებინა თავისი ქვეყანა. ჩვენი ჭეშმარიტად ეროვნული რუსი მწერლები, მოაზროვნეები, პუბლიცისტები, — ყველანი არასახელმწიფოებრივი, თავისებური ანარქისტები იყვნენ. ანარქიზმი რუსული სულის მოვლენაა. ის სხვადასხვაგვარად ნიშნეულია როგორც ჩვენი უკიდურესი მემარცხენეების, ისე ჩვენი უკიდურესი მემარჯვენეებისთვისაც. სლავიანოფილები და დოსტოვესკი, არსებითად, ისეთივე ანარქისტები არიან, როგორც მიხეილ ბაკუნინი და კროპოტკინი. ამ ანარქისტულმა რუსულმა ბუნებამ თავისი ტიპური გამოსატყულება ჰპოვა ლევ ტოლსტოის რელიგიურ ანარქიზმში. რუსული ინტელიგენცია, თუნდაც ზერელე პოზიტივისტური იდეებით დასწეულებული, თავისი არასახელმწიფოებრიობით პირნიშნადად ანარქისტული ინტელიგენცია იყო. თავისი უკეთესი, ჰეროიკული ნაწილით ის ესწრაფოდა აბსოლუტურ თავისუფლებას და სიმართლეს, არანაირ სახელმწიფოებრივ ფარგლებში რომ არ თავსდებოდა. ჩვენი ხალხოსნობაც სპეციფიკურად რუსული, დასავლეთ ევროპისათვის უცნობი მოვლენაა, არასახელმწიფოებრივი სულის მოვლენა. და ჩვენი ლიბერალებიც ყოველთვის ჰუმანისტები უფრო იყვნენ, ვიდრე სახელმწიფოებრიობის დამცველნი. არავის არ უნდოდა ხელისუფლება, ყველა ისე უფრთხოდა მას, როგორც უწმინდურებას. თვითმპყრობელობის ჩვენეული, მართლმადიდებლური იდეოლოგია ასეთივე მოვლენაა არასახელმწიფოებრივი სულისა, ხალხისა და საზოგადოების უარი სახელმწიფოებრივ ცხოვრებაზე. სლავიანოფილებს შეგნებული ჰქონდათ, რომ მათი მოძღვრება თვითმპყრობელობის შესახებ თავისებური ფორმით სახელმწიფოს უარყოფა იყო. ყოველგვარი სახელმწიფოებრიობა პოზიტივისტურად და რაციონალისტურად წარმოედგინათ. რუსულ სულს წმინდა საზოგადოებრიობა, ღვთივრჩეული ხელისუფლება სურს. რუსი ხალხის ბუნება ცნობიერდება როგორც ასკეტური, მინიერ საქმეთა და მინიერ სიკეთეთა უარყოფელი ბუნება. ჩვენი მემარცხენე და რევოლუცი-

ური მიმდინარეობანი სახელმწიფოსადმი დამოკიდებულებით არც ისე ღრმად განსხვავდებიან მემარჯვენე და სლავიანოფილური მიმდინარეობებისგან, — მათში არის მნიშვნელოვანი დოზა სლავიანოფილური და ასკეტური სულისა. სახელმწიფოს ისეთი იდეოლოგიები, როგორც კატკოვი და ჩიჩერინი, ყოველთვის არარუსებად, რუსულ ნიადაგზე ამოზრდილ ერთგვარ უცხოელებად ჩანდნენ, ისევე, როგორც ყოველთვის არარუსული ჩანდა სახელმწიფო საქმეთა გამრიგე ბიუროკრატია, რამდენადაც სახელმწიფო საქმეთა კეთება საერთოდ არ აღიქმება რუსულ საქმიანობად. რუსულ ისტორიას საფუძვლად უდევს უცხოელ ვარიანთა მოწვევა რუსული მინა-წყლის სამართავად: „ჩვენი მინა დიდია და უხვი, მაგრამ წესრიგი არ არის მასში“. რა ზუსტად ახასიათებს ეს რუსი ხალხის უუნარობას და მის სურვილს, როგორმე თავი დააღწიოს იმას, რომ თვითონვე მართოს თავისი ქვეყანა და წესრიგი დაამყაროს მასში. რუს ხალხს თითქოს იმდენად სახელმწიფოს თავისუფლება თუ სახელმწიფოში თავისუფლება კი არა სურს, რამდენადაც სახელმწიფოსაგან და ამქვეყნიური ცხოვრების მოწესრიგებაზე ზრუნვისაგან თავისუფლება. რუს ხალხს არა სურს იყოს ვაჟკაცურად მხნე მშენებელი, მისი ბუნება განისაზღვრება როგორც ქალური, პასიური და სახელმწიფო საქმეებში მონა-მორჩილი. პასიური, რეცეპციული ქალურობა სახელმწიფო ძალაუფლებასთან მიმართებით ისე დამახასიათებელია რუსი ხალხისა და რუსული ისტორიისთვის. მრავალტანჯული რუსი ხალხის მოთმინებას არა აქვს ზღვარი. სახელმწიფო ხელისუფლება არასახელმწიფოებრივი რუსი ხალხისთვის ყოველთვის გარეგნული პრინციპი იყო და არა შინაგანი; ის მის მიერ კი არ იქმნებოდა, არამედ თითქოს გარედან მიდიოდა მასთან, როგორც სასიძო მიდის სასძლოსთან. ამიტომ ხელისუფლება ძალიან ხშირად უცხოური, თითქოს გერმანული ბატონობის შთაბეჭდილებას ტოვებდა. რუსი რადიკალები და რუსი კონსერვატორები ერთნაირად ფიქრობდნენ, რომ სახელმწიფო „ისინი“ არიან და არა „ჩვენ“. ძალზე ნიშანდობლივია, რომ რუსეთის ისტორიაში არ ყოფილა რაინდობა, ეს ვაჟკაცური საწყისი. ამასთანავე დაკავშირებული პიროვნული საწყისის არასაკმარისი განვითარება რუსულ ცხოვრებაში. რუს ხალხს ყოველთვის მოსწონდა ცხოვრება კოლექტივის სიტობოში, ერთგვარი გათქვეფილობა მინის სტიქიაში, დედის წიაღში. რაინდობით იჭედება პიროვნული ღირსების გრძნობა და ინართობა პიროვნება. ამ პიროვნულ წრთობას ვერ განა-

პირობებდა რუსეთის ისტორია. რუსი ადამიანისათვის ნიშნეულია უნიათობა და მომავეულობა, რუსული ხასიათისთვის უცხოა მკვეთრად გამოკვეთილი და ნაქანდაკარი პროფილი. ტოლსტოის პლატონ კარატაევი მრგვალია. რუსული ანარქიზმი ქალურია და არა მამაკაცური, პასიური და არა აქტიური. ბაკუნინის ჯვანყიცი ქაოტურ რუსულ სტიქიაში დანთქმია. რუსული არასახელმწიფოებრიობა თავისუფლების მოპოვება კი არა, თვითგვემა, აქტიურობისაგან განთავისუფლებაა. რუს ხალხს სურს მინა იყოს, რომელიც სასძლოობს, სასიძოს ელის. ყველა ეს რუსული თვისება საფუძვლად დაედო ისტორიის სლავიანოფილურ ფილოსოფიას და სლავიანოფილურ საზოგადოებრივ იდეალებს. მაგრამ ისტორიის სლავიანოფილურ ფილოსოფიას რუსეთის ანტინომიურობის გაგონებაც არ უნდა, ის რუსული ცხოვრების მხოლოდ ერთ თეზისს უწევს ანგარიშს. მაგრამ მასში არის ანტითეზისი. და რუსეთი არ იქნებოდა ასე იდუმალი, მასში რომ არ იყოს ის, რაზედაც ახლა ვლაპარაკობდით. რუსეთის ისტორიის სლავიანოფილური ფილოსოფია ვერ გვიხსნის რუსეთის უდიდეს იმპერიად ქცევის გამოცანას, ან ძალზე გამარტივებულად გვიხსნის. და სლავიანოფილების ყველაზე მძიმე ცოდვა ის იყო, რომ რუსული სტიქიის ბუნებრივ-ისტორიული ნიშნები მათ ქრისტიანულ სიქველედ აღიქვეს.

რუსეთი ყველაზე სახელმწიფოებრივი და ყველაზე ბიუროკრატიული ქვეყანაა მსოფლიოში; აქ ყველაფერი პოლიტიკის იარაღი ხდება. რუსმა ხალხმა შექმნა მსოფლიოში უძლიერესი სახელმწიფო, უდიდესი იმპერია. ივანე კალიტადან მოყოლებული თანდათანობით იკრიბებოდა და იზრდებოდა რუსეთი, რომელმაც იმნაირ განზომილებებს მიაღწია, რომ გამოგნებლად მოქმედებს მსოფლიოს ყველა ხალხის წარმოსახვაზე. ძალა ხალხისა, რომელზედაც უსაფუძვლოდ როდი ფიქრობენ, რომ მთელი მისი არსება შინაგანი, სულიერი ცხოვრებისკენაა მიმართული, სახელმწიფოებრიობის კოლოსს ხმარდება, თავის იარაღად რომ აქცევს ყველაფერს. უზარმაზარი სახელმწიფოს შენების, განმტკიცებისა და დაცვის ინტერესებს სრულიად განსაკუთრებული და დომინანტური ადგილი უჭირავს რუსეთის ისტორიაში. რუს ხალხს თითქმის აღარ დარჩა ძალა თავისუფალი შემოქმედებითი ცხოვრებისათვის, მთელი სისხლი სახელმწიფოს დაცვასა და განმტკიცებას ხმარდებოდა. კლასები და ნოდებები სუსტად იყვნენ განვითარებულნი და ვერ ასრულებდნენ იმ როლს, რასაც ისინი ასრულებდნენ დასავლუ-

რი ქვეყნების ისტორიაში. პიროვნება დათრგუნვილი ჩანდა სახელმწიფოს უზარმაზარი განზომილებებით, დაუძლეველ მოთხოვნებს რომ უყენებდნენ მას. ბიუროკრატიის სიმრავლემ წარმოუდგენელ მასშტაბებს მიაღწია. რუსულ სახელმწიფოებრიობას საგუშაგო და თავდაცვითი პოზიცია ეკავა. ის იჭედებოდა „ტატარაშჩინასთან“ ბრძოლაში, შფოთიან ეპოქაში, უცხოელთა შემოსევებში. და ის თვითმკმარ განყენებულ საწყისად იქცა. ის თავისი ცხოვრებით და თავისი კანონით ცხოვრობს, არ ნებაავს ხალხის ცხოვრებისადმი დაქვემდებარებული ფუნქციის როლი შეასრულოს. რუსული ისტორიის ამ თავისებურებამ უსიხარულობისა და დათრგუნვილობის ბეჭედი დაასვა რუსულ ცხოვრებას. შეუძლებელი იყო ადამიანის შემოქმედებით ძალთა ლალი თამაში. ბიუროკრატიის ძალაუფლება რუსულ ცხოვრებაში „ნემეტჩინის“ შინაგანი შემოსევა გახლდათ. „ნემეტჩინა“ თითქმის ორგანულად შეერწყა რუსულ სახელმწიფოებრიობას და დაეუფლა ქალურსა და პასიურ სტიქიას. რუსულმა მინამ სხვა აღიქვა თავის საბედოდ, საქმროში შეცდა. რუსმა ხალხმა უამრავი მსხვერპლი გაიღო რუსული სახელმწიფოს შესაქმნელად, ზღვა სისხლი დაღვარა, თვითონ კი თავის უკიდევანო სამშობლოში უუფლებოდ დარჩა. რუსი ხალხისთვის უცხოა იმპერიალიზმი ამ სიტყვის დასავლური და ბურჟუაზიული გაგებით. მაგრამ ის მორჩილად სწირავდა თავის ძალას იმპერიალიზმის შექმნას, რაშიაც დაინტერესებული არ იყო მისი გული. აქ მარხია რუსული ისტორიისა და რუსული სულის საიდუმლო. ისტორიის ვერავითარმა ფილოსოფიამ, ვერც სლავიანოფილურმა და ვერც დასავლურმა, ვერ გამოიცნო დღემდე, რატომ შექმნა ყველაზე არასახელმწიფოებრივმა ხალხმა ყველაზე უზარმაზარი და უძლიერესი სახელმწიფო, რატომაა ყველაზე ანარქიული ხალხი ბიუროკრატიის ესოდენ მონა-მორჩილი, რატომაა, რომ სულიერად თავისუფლების მოყვარე ხალხს თითქმის არ სურს თავისუფალი ცხოვრება? ეს საიდუმლო რუსულ ხალხურ ხასიათში მდებარულ და მამრულ საწყისთა თავისებურ თანაფარდობას უკავშირდება. იგივე ანტინომიურობა გასდევს მთელ რუსულ ყოფასაც.

იდუმალი წინააღმდეგობაა ნაციონალიზმისადმი რუსეთისა და რუსული ცნობიერების მიმართებაში. ესაა მეორე ანტინომია, რომლის მნიშვნელობა სულაც არაა უფრო მცირე, ვიდრე მიმართება სახელმწიფოსადმი. რუსეთი ყველაზე არაშოვინისტური ქვეყანაა მსოფლიოში. ნაციონალიზმი ჩვენში ახდენს რაღაც არარუსულის, მონატმანის,

ერთგვარი „ნემეტჩინის“ შთაბეჭდილებას. გერმანელები, ინგლისელები, ფრანგები შოვინისტები და ნაციონალისტები არიან, მასობრივად, ნაციონალური თავდაჯერებულობითა და თვითკმაყოფილებით სავსენი. რუსებს კი თითქოს რცხვენიათ, რომ რუსები არიან. მათთვის უცხოა ნაციონალური სიამაყე და, ვაი რომ, ხშირად, — ნაციონალური ღირსებაც. რუსი ხალხისთვის სრულიად უცხოა აგრესიული ნაციონალიზმი, მიდრეკილება მოძალადური რუსიფიკაციისადმი. რუსი არ იფხორება, არ ამპარტანობს, ზიზღით არ უყურებს სხვებს. რუსულ სტიქიაში არის ერთგვარი ნაციონალური უანგარობა და ზვარაკობა, რაც უცხოა დასავლელი ხალხებისათვის. რუსული ინტელიგენცია ყოველთვის ზიზღით უყურებდა ნაციონალიზმს და, როგორც ერთგვარ უწმინდურებას, თავს არიდებდა მას. ის მხოლოდ და მხოლოდ ზენაციონალური იდეალებს აღიარებდა. და რაგინდ ზედაპირული, რაგინდ ბანალურიც არ უნდა ყოფილიყო ინტელიგენციის კოსმოპოლიტური დოქტრინები, მაგრამ, თუნდაც დამახინჯებულად, მათში მაინც ირეკლებოდა რუსი ხალხის ზენაციონალური, ზოგადასაკაცობრიო სული. ვაი-ინტელიგენტები გარკვეული აზრით, უფრო ნაციონალისტები იყვნენ, ვიდრე ჩვენი ნაციონალისტი ბურჟუები, სახის იერიით ყველა სხვა ქვეყნის ბურჟუებს რომ ჰგვანდნენ. სხვა, არაინტელიგენტური სულის ადამიანი — ნაციონალური გენია ლევ ტოლსტოი — ჭეშმარიტად რუსი იყო თავისი რელიგიური ნყურვილით, გადაელახა ყოველგვარი ნაციონალური შეზღუდულობა, ნაციონალური ხორცის მთელი სიმძიმე. არც სლავიანოფილები ყოფილან ნაციონალისტები, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. მათი მიზანი იყო ერწმუნათ, რომ რუს ხალხში ფეთქავს ზოგადადამიანური ქრისტიანული სული, რისთვისაც ცაში აჰყავდათ რუსი ხალხი მისი თვინიერების გამო. დოსტოვესკიმ პირდაპირ გამოაცხადა, რომ რუსი ადამიანი უნივერსალური ადამიანია, რუსული სული კი — სამყაროს სული; ხოლო რუსეთის მისია ისე როდი ესახებოდა, როგორც ნაციონალისტებს. უახლესი ყაიდის ნაციონალიზმი რუსეთის უეჭველი ევროპეიზაციაა, კონსერვატიული „მედასავლეთეობა“ რუსულ ნიადაგზე. ნაციონალიზმის იდეოლოგი კატკოვიც „მედასავლეთე“ იყო; არასოდეს ყოფილა რუსული ხალხური სულის გამომხატველი. კატკოვი რომელიდაც უცხო სახელმწიფოებრიობის, რომელიდაც „განყენებული საწყისის“ მონა და აპოლოგეტიც იყო. ზენაციონალიზმი, უნივერსალიზმი ისეთივე არსებითი თვისებაა რუსული ნაციონა-

ლური სულისა, როგორც არასახელმწიფოებრიობა, ანარქიზმი. რუსეთში ნაციონალურია სწორედ მისი ზენაციონალიზმი, უნივერსალიზმი, მისი თავისუფლება ნაციონალიზმისგან; რუსეთი ამითია თვითმყოფი და ყველა სხვა ქვეყნისაგან განსხვავებული. რუსეთი ხალხების განმათავისუფლებლადაა მოწოდებული. ეს მისია მის თავისებურ სულში ძევს. და რუსეთის მსოფლიო ამოცანების სამართლიანობა უკვე წინასწარ განსაზღვრულია ისტორიის სულიერი ძალებით. რუსეთის ეს მისია ახლანდელ ომში ვლინდება. რუსეთს არა აქვს ანგარებიანი მიზნები.

ასეთია რუსეთის ერთი თეზისი, რაც სამართლიანად უნდა გამოგვეხატა. მაგრამ არის არანაკლებ არსებითი ანტითეზისიც. რუსეთი ყველაზე ნაციონალისტური ქვეყანაა მსოფლიოში, არნახული ნაციონალისტური ექსცესების ქვეყანა, რუსიფიკაციით რომ თრგუნავს მის ძალაუფლებას დაქვემდებარებულ ნაციონალობებს, ნაციონალური ბაქიობის ქვეყანა, სადაც ყველაფერი ნაციონალიზებულია თვით ქრისტეს მსოფლიო ეკლესიამდე, ქვეყანა, ერთადერთ ხმობილად რომ მოაქვს თავი და ზიზღით უყურებს, მისი აზრით, დასალუჰად განწირულ მთელ ევროპას, როგორც ხრწნილებას და ემშაკის ნასხლექს. რუსული თვინიერების უკუმხარეა უჩვეულო რუსული ამპარტავნება; სწორედ ყველაზე თვინიერია ყველაზე დიადი, ყველაზე ძლიერი, ერთადერთი ხმობილი. სწორედ ყოველივე „რუსულია“ ალაღმართალი, კეთილი, ჭეშმარიტი, ღვთაებრივი. რუსეთი წმინდაა. რუსეთი ცოდვილია, მაგრამ ცოდვაშიც წმინდა ქვეყნად, წმიდანთა ქვეყნად რჩება, სინმინდის იდეალებით რომ სულდგმულობს. ვლადიმერ სოლოვიოვი დასცინოდა რუსული ნაციონალიზმის თავდაჯერებულ ბაქიბუქს — ყველა წმიდანი რუსულად ლაპარაკობდაო. თვით დოსტოვესკი, უნივერსალური ადამიანის მოქადაგე და მსოფლიო სულის მმართ მხმობელი, იმავდროულად ქადაგებდა აღვირახსნილ ნაციონალიზმს, გააფთრებით სდევნიდა პოლონელებს და ებრაელებს და დასავლეთს უკიჟინებდა — ვინ მოგცა იმის უფლება, რომ ქრისტიანულ სამყაროდ იწოდებოდეო. რუსული ეროვნული ამპარტავნება ყოველთვის იმაში ვლინდება, რომ რუსეთი თავის თავს მიიჩნევს არა მარტო ყველაზე ქრისტიანულ, არამედ მთელ მსოფლიოში ერთადერთ ქრისტიანულ ქვეყნად. კათოლიციზმი საერთოდ არ მიიჩნევა ქრისტიანობად, და სწორედ ეს იყო პოლონეთის საკითხისადმი მცდარი დამოკიდებულების ერთ-ერთი სულიერი წყარო. რუსეთი, თავისი სულით



ხალხების განმათავისუფლებლად ხმობილი, ძალიან ხშირად გვევლინება მათ დამთრგუნველად, და ამიტომაც თავს იტყვის მტრობას და იჭვს, რაც დღესდღეობით ჯერ კიდევ უნდა დავძლიოთ.

რუსული ისტორია გვივლენს სრულიად განსაკუთრებულ სურათს — ქრისტეს ეკლესიის სრულ ნაციონალიზაციას, ეკლესიისა, მსოფლიო ეკლესიად რომ მოაქვს თავი. ეკლესიური ნაციონალიზმი სპეციფიკური რუსული მოვლენაა, რომლითაც გაუღენთილია ჩვენი ძველი სარწმუნოება. მაგრამ იგივე ნაციონალიზმი მბრძანებლობს გაბატონებულ ეკლესიაშიც; იგივე ნაციონალიზმი განწონის სლავიანოფილურ იდეოლოგიასაც, რომელიც „სრულიად მსოფლიურს“ ყოველთვის ცვლიდა „რუსულით“. ქრისტეს სამყაროული სული, მამაკაცური მსოფლიო ლოგოსი ტყვექმნილია ქალური ნაციონალური სტიქიით, რუსული მიწითა და მისი წარმართული პირველქმნილობით. ასე ჩამოყალიბდა დედა-მიწის ნიაღში, კოლექტიურ ნაციონალურ სტიქიასა და ცხოველურ სიტბოში გათქვეფილ-გაზავებული რელიგიურობა. რუსული რელიგიურობა ქალური რელიგიურობაა, კოლექტიურ-ბიოლოგიური, მისტიურ სიტბოდ განცდილი სარწმუნოება. მასში სუსტადაა განვითარებული პიროვნული რელიგიური საწყისი; მას ეშინია გამოსვლა კოლექტიური სიტბოდან სიცივეში და პიროვნული რელიგიურობის ცეცხლში. ამნაირი რელიგიურობა უარყოფს მამაკაცურ, აქტიურ სულიერ გზას. ეს იმდენად ქრისტეს რელიგია როდია, რამდენადაც ღვთისმშობლისა, დედა-მიწის, ქალური ღვთაების რელიგია, ნათელს რომ ჰფენს ხორციელ ყოფას. ვ.ვ. როზანოვი თავისებურად გენიალური გამომხატველია გვაროვნული ხორცისა, გამრავლების და სიმყუდროვის ამ რუსული რელიგიისა. დედა-მიწა რუსი ხალხისთვის რუსეთია, ღვთისმშობლად გარდასახული რუსეთი, ღვთისმტვირთველი ქვეყანა. ამნაირი ქალური, ნაციონალურ-სტიქიური რელიგიურობა კისრად უნდა ედოს სულიერი აქტივობის მთელი სიმძიმისა და ჯვრის მტვირთველ მამაკაცებს, ხალხის სულიერ წინამძღოლთა როლს რომ ასრულებენ. რუსი ხალხი თავის რელიგიურ ცხოვრებაში მინდობილია წმიდანებს და მხცოვან ბერებს, რომელთა წინაშეც, ისევე, როგორც ხატების წინ, მხოლოდ მუხლმოყრა მართებს. რუსი ხალხი იმაზე ფიქრსაც კი ვერ ბედავს, რომ შეიძლება მიჰბაძო წმიდანებს, და რომ წმიდანობა შინაგანი გზაა სულისა, — ეს იქნებოდა მეტისმეტად მამაკაცური სითამამე. რუს ხალხს იმდენად წმიდანობა როდი

სურს, რამდენადაც მუხლმოყრა და მოწინება სინმიდის წინაშე, მსგავსად იმისა, როგორც ძალაუფლება კი არა სურს, არამედ ის, რომ მას ემსახუროს და მასვე გადააბაროს არსებობის მთელი სიმძიმეც. რუსი ხალხი მცონარაა რელიგიური აღმასვლისათვის, მისი რელიგიურობა საველეა და არა სამთავორე. კოლექტიური თვინიერება უფრო ადვილია მისთვის, ვიდრე პიროვნების რელიგიური წრთობა და ნაციონალური სტიქიური ცხოვრების სიტბოსა და სიმყუდროვის განწირვა. რუსი ხალხი თავისი თვინიერების სანაცვლოდ იღებს ჯილდოდ კოლექტიური ცხოვრების ამ სიტბოს და სიმყუდროვეს. ასეთია რუსეთში ნაციონალიზაციის ხალხური ნიადაგი. ამაში არის უზარმაზარი მინარევი რელიგიური ნატურალიზმისა, წინ რამ უსწრებდა სულის თავისუფლებისა და პიროვნების რელიგიას. თვით ქრისტიანულმა სიყვარულმა, რომელიც, არსებითად, სულიერია და სისხლხორცეულ კავშირთა საპირისპირო, ნაციონალიზაცია განიცადა ამ რელიგიურობაში და „თავისი“ ადამიანის სიყვარულად იქცა. ასე მტკიცდება სულის კი არა, ხორცის რელიგია, ასე იცვება რელიგიური მატერიალიზმის ციხე-სიმაგრე. უკიდევანო რუსულ ტრამალებზე ყელყელაობენ ეკლესიები, ზე ინვენ ბერები და წმიდანები, მაგრამ ტრამალის ნიადაგი ჯერ კიდევ ნატურალისტურია, ყოფა კი კვლავაც წარმართული.

დიდ საქმეს, რაც ვლადიმერ სოლოვიოვმა გააკეთა რუსული ცნობიერებისათვის, უწინარეს ყოვლისა, უნდა ვხედავდეთ იმ დაუნდობელ კრიტიკაში, რასაც ის თავს ატყვის საეკლესიო ნაციონალიზმს, მის მუდმივ მოწოდებაში ქრისტეს მსოფლიო სულის მიმართ, ნაციონალური თუ ნატურალური სტიქიის ტყვეობიდან ქრისტეს სულის გამოსახსნელად. საეკლესიო ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისას ვლ. სოლოვიოვი ზედმეტად იხრებოდა კათოლიკობისკენ, მაგრამ მის ძირითად მისწრაფებათა და მოტივთა დიდი სიმართლე უეჭველია და რუსეთისაგან ჯერ კიდევ თავის აღიარებას ელის. ვლ. სოლოვიოვი არის ქმედითი ძალა რუსული ყოფის ნაციონალისტური ანტითეზისის წინააღმდეგ. მისი ქრისტიანული სიმართლე პოლონური და ებრაული საკითხის გადანყვეტაში ყოველთვის უნდა უპირისპირდებოდეს დოსტოევსკის უმართლობას. საეკლესიო ნაციონალიზმს სახელმწიფოს მიერ ეკლესიის დამონებამდე მივყავდით. ეკლესია, რომელიც არის სულიერი, მისტიური ორგანიზმი, პასიურად ექცეოდა გერმანული ყაიდის სინოდალური ძალაუფლების ქვეშ. რუსეთის ენიგმური

ანტიონომიურობა ნაციონალურობასთან მიმართებით კვლავაც მამრულ და მდედრულ სანყისთა იმავე უთანაბრო თანაფარდობას, პიროვნების განუვითარებლობას და პასიურობას უკავშირდება, ქრისტეს მიერ შობილი პიროვნებისა, ვინც იმისთვის იქნა ხმობილი, რომ ყოფილიყო თავისი მიწის სასიძო, ნათელმოსილი ქმარი ქალური ნაციონალური სტიქისა, და არა მონა მისი.

რუსეთის ასეთსავე ენიგმურ ავტონომიურობას შეიძლება ყველაფერში გავადევნოთ თვალი. შეიძლება დავადგინოთ ურიცხვი რაოდენობა თეზისებისა და ანტითეზისებისა რუსული ნაციონალური ხასიათის შესახებ, შეიძლება გამოვავლინოთ რუსული ხასიათის უამრავი წინააღმდეგობა. რუსეთი სულის უსასრულო თავისუფლების ქვეყანაა, ყარიბობისა და ღვთაებრივი სიმართლის მაძიებელი ქვეყანა. რუსეთი ყველაზე არაბურჟუაზიული ქვეყანაა მსოფლიოში; მისთვის უცხოა ის ღრმად ფესვგადგმული მეშჩანობა, რაც რუსებს ასე სძაგთ და ეზიზღებათ დასავლეთში. დოსტოვესკი, ვისი მიხედვითაც შეიძლება შევისწავლოთ რუსული სული, თავისი გამაოგნებელი ლეგენდით დიდი ინკვიზიტორის შესახებ, წინასწარმუხყებელი იყო ისეთი თამამი და უსასრულო ქრისტესმიერი სიყვარულისა, რისი მსგავსის მტკიცებაც მსოფლიოში ჯერ არავის არ გაუბედავს. სულის თავისუფლების მტკიცება, როგორც რაღაც სპეციფიკურად რუსულისა, ყოველთვის გვევლინებოდა სლავიანოფილების არსებით თავისებურებად. სლავიანოფილები და დოსტოვესკი რუსი ხალხის შინაგან თავისუფლებას, მის ორგანულ რელიგიურ თავისუფლებას ყოველთვის უპირისპირებდნენ დასავლელი ხალხების შინაგან არათავისუფლებას და მათ გარეგნულ მონობას. რუს ხალხში ჭეშმარიტად არის სულის თავისუფლება, რაც ეძლევა მხოლოდ იმას, ვინც არ შთაუნთქავს ამქვეყნიური სარფისა და კეთილდღეობის სურვილს. რუსეთი ყოფითი თავისუფლების ქვეყანაა, რაც უცხოა დასავლეთის მონინავე, მეშჩანური ნორმებით გათანგული ხალხებისათვის. მხოლოდ რუსეთში არ არის ბურჟუაზიულ პირობითობათა დამთრგუნველი ძალაუფლება და არც მეშჩანური ოჯახის დესპოტიზმი. რუსი ადამიანი სულის უჩვეულო სიმსუბუქით სძლევს ყოველგვარ ბურჟუაზიულობას, თავს აღწევს ყოველგვარ ყოფითობას და ნორმირებულ ცხოვრებას. ყარიბის ტიპი ისე ნიშნულია და მშვენიერი რუსეთისათვის. ყარიბი ყველაზე თავისუფალი ადამიანია დედამიწის ზურგზე. ის დაიარება მიწაზე, მაგრამ მისი სტიქია ჰაეროვანია; ის მიწას როდი

ჩაზრდია, მისთვის უცხოა მიწიერება. ყარიბი თავდახსნილია „ქვეყნისაგან“ და მიწისა თუ მიწიერი ცხოვრების მთელი სიმძიმე ზურგზე მოგდებულ პატარა აბგაზე დაიყვანება. რუსი ხალხის სიდიადე და უზენაესი ცხოვრების მიმართ მისი ხმობილობა ყარიბის არსებაშია კონცენტრირებული. ყარიბის რუსულმა ტიპმა გამოხატულება ჰპოვა არა მარტო ხალხურ, არამედ კულტურულ ცხოვრებაშიც, ინტელიგენციის უკეთესი ნაწილის ყოფაშიც. აქ ჩვენ ვხედავთ თავისუფალი სულის მსხემებს, არაფერზე რომ არ არიან მიჯაჭვულნი, უხილავი ქალაქის მაძიებელ მარადიულ მოგზაურებს. მათ ამბავს შეიძლება გავეცნოთ დიდ რუსულ ლიტერატურაში. ყარიბებს კულტურულ, ინტელიგენტურ ცხოვრებაში ხან რუსულ მიწაზე მოხეტიალე მანანალებს ეძახიან, ხანაც გარენრებს. მათ უკვე ვხედავთ პუშკინისა და ლერმონტოვის, შემდეგ კი ტოლსტოისა და დოსტოვესკის შემოქმედებაში. სულიერი ყარიბები არიან მთელი ეს რასკოლნიკოვები, მიშკინები, სტავროგინები, ვერსილოვები და თავადი ანდრეი თუ პიერ ბეზუხოვი. ყარიბებს არა აქვთ თავიანთი ქალაქი, ისინი მომავლის ქალაქს ეძებენ. ვლ. სოლოვიოვი ამ მიწის მკვიდრ მეშჩანად კი არა, უსახლკარო მსხემად და ყარიბად გრძნობდა თავს. ასეთი იყო სკოვოროდაც XVII საუკუნეში, ხალხის წიაღიდან გამოსული ყარიბი ბრძენი. სულიერ ყარიბობას ვხედავთ ლერმონტოვში, გოგოლში, ლევ ტოლსტოისა და დოსტოვესკიში, მეორე მხრივ კი — რუს ანარქისტებსა და რევოლუციონერებში, თავისებურად რომ მიელტვოდნენ რაღაც აბსოლუტურს, რომელიც უკან იტოვებდა პოზიტიური და ხილული ცხოვრების ზღვარს. ამასვე ვხედავთ რუსულ სექტანტობაში, მისტიურ ხალხურ წყურვილსა თუ შმაგ სურვილში, რათა „ზღვად მოსკდეს სული“. რუსეთი სულიერი თრობის ქვეყანაა, შოლტების, თვითმკვლელების, „დეუბობორების“, კონდრატე სელივანოვისა და გრიგორი რასპუტინის, თვითმარქვეებისა და „პუგაჩოვშჩინის“ ქვეყანა. რუსულ სულს ერთ ადგილზე ვერ მოუსვენია, ეს მეშჩანური თუ ლოკალური სული როდია. რუსულ სულში არის ერთგვარი უსასრულო ძიება, ძიება უხილავი სახლის, უხილავ ქალაქ კიტეჟისა. რუსული სულის წინაშე იშლება უსასრულო სივრცე და სულიერი მზერა ვერსად ღანდავს მკაფიოდ მოხაზულ ჰორიზონტს. რუსული სული ინვის, რათა სიმართლე, აბსოლუტური და ღვთაებრივი სიმართლე მოუპოვოს ყველას და ახალი ცხოვრებისთვის აღადგინოს ისინი. ის დღენიადავ ვალალებს ხალხისა და მთელი მსოფლიოს ტანჯვა-წამების გამო და



მის ურვას არ უჩანს ბოლო. ის გამუდმებით ჩაჰკირკიტებს წყეულ კითხვებს, აქვს თუ არა აზრი სიცოცხლეს. ეს სული მემბოხება და დაუცხრომელი, მას არ აკმაყოფილებს არაფერი, რაც წარმავალია, ფარდობითი და პირობითი. სულ უფრო და უფრო შორს უნდა წახვიდე, ზღვრისა და დასასრულისკენ, რათა გასცდე ამ ქვეყანას, ამ მიწას, ყოველივე ადგილობრივს, მეშხანურს და მიწას მიჯაჭვულს. არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ თვით რუსული ათეიზმიც კი რელიგიურია. ჰეროიკულად განწყობილი ინტელიგენცია სასიკვდილოდ სწირავდა თავს მატერიალისტური იდეების გულისთვის. ეს უცნაური წინააღმდეგობა გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მატერიალისტური გარსის მიღმა ის მიელტვოდა აბსოლუტურს. სლავური ჯანყი მგზნებარე, ცეცხლოვანი სტიქიაა. და ბაკუნინიც, მსოფლიო ხანძრის მისეული შმაგი წყურვილით, ხანძრისა რომელსაც ყველაფერი უნდა გადაეხუტა, რუსი იყო, სლავი, მესიანისტი. ასეთია რუსეთის სულის ერთი თეზისი. რუსი ხალხის ცხოვრებაც, მისი მისტიური სექტებით, რუსი მწერლების საზარელი ბედიც, ისევე, როგორც ბედი ნიადაც მონყვეტილი და, იმავდროულად, ასე სპეციფიკურად ნაციონალური რუსული ინტელიგენციისა, ყველაფერი გვაძლევს იმის უფლებას, რომ ვამტკიცოთ თეზისი, რომლის თანახმადაც, რუსეთი უსაზღვრო თავისუფლებისა და უსასრულო სივრცეების ქვეყანა, ყარიბების, მანანალეების, მაძიებლების, თავისი სტიქიურობით, თავისი ხალხური დიონისიზმით, მემბოხე და გამაოგნებელი ქვეყანაა, ფორმის გაგონება, რომ არ უნდა.

მაგრამ, აი, ანტითეზისიც. რუსეთი — არნახული სერვილიზმისა და ამაზრზენი მორჩილების ქვეყანაა, რომლისთვისაც უცხოა პიროვნების უფლებათა შეგნება და მისი ღირსების დაცვა; ინერტული კონსერვატიზმის, სახელმწიფოს მიერ დამონებული რელიგიური ცხოვრების, გახევებული ყოფისა და მძიმე ხორცის ქვეყანა; კონსერვატული, ჩლუნგი მომხვეჭელებისა და ხორცის სიმძიმეში ჩაფლული ვაჭრების ქვეყანა, რომლის ჩინოვნიკებიც არასოდეს არ გადადიან ჩაკეტილი და ჩამკვდარი ბიუროკრატიული სამეფოს საზღვრებს, ხოლო გლეხებს, პირნიმინდად გარეგნულად, ანგარების კარნახით რომ იღებენ ქრისტიანობას, არაფერი არა სურთ, გარდა მიწისა; მატერიალურ ყოფაში ჩაძირული სამღვდლოების, უსულგულო რიტუალების, თავისი აზრით ინერტული და კონსერვატული, ყველაზე ზედაპირული მატერიალისტური იდეებით დასნეულებული


ინტელიგენციის ქვეყანა. რუსეთს არ უყვარს მშვენიერება, რომელსაც ისე უფრთხის, როგორც მეტისმეტობას. რუსეთს ადგილიდან ვერ დაძრავ, ისეა დამძიმებული, ისეთი ინერტული, ისე მცონარა და მატერიალური დანთქმული, ისე ადვილად ეგუება თავის ცხოვრებას. არცერთ ჩვენს წოდებას, ჩვენს მამაპაპურ ფენებს — თავადაზნაურობას, ვაჭრებს, გლეხობას, სამღვდლოებას, ჩინოვნიკებს — ერთსულოვნად არა სურს და არ უყვარს აღმასვლა. ყველას ურჩევნია დაბლა, ტრამალზე დარჩეს, იყოს „როგორც ყველა“. პიროვნება ყველგან ითრგუნება ორგანულ კოლექტივში. ჩვენი მამაპაპური ფენები მოკლებულნი არიან მართლშეგნებას და თვით ღირსებასაც, ყოველთვის იმის იმედი აქვთ, რომ სხვები გააკეთებენ მათ საქმეს. ჩვენი პოლიტიკური რევოლუციონიზმიც რალაცნაირად შებოჭილია, უნაყოფო და აზრით ინერტული. რუსული რადიკალურ-დემოკრატიული ინტელიგენცია, როგორც კრისტალიზებული ფენა, სულიერად კონსერვატიულია, ასე რომ, ჭეშმარიტი თავისუფლება უცხოა მისთვის; ის მექანიკური თანასწორობის იდეით უფროა გატაცებული, ვიდრე თავისუფლებით. ზოგს ჰგონია, რომ რუსეთი მონობისთვისაა განწირული და თავისუფალი ცხოვრების გზა მოჭრილია მისთვის. კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ პიროვნებას ჯერ კიდევ არ გაუღვიძნია არა მარტო კონსერვატულ, არამედ რევოლუციურ რუსეთშიც, და რომ ის კვლავ რჩება უპიროვნო კოლექტივის ქვეყნად. მაგრამ უთუოდ უნდა გვახსოვდეს, რომ დასაბამიერი რუსული კოლექტივიზმი მხოლოდ ბუნებრივი ევოლუციის საწყისი სტადიაა და არა მარადიული მოვლენა სულისა.

როგორ გავიგოთ რუსეთის ეს ენიგმური წინააღმდეგობა, ეს ერთნაირი ერთგულეობა ურთიერთგამომრიცხავი თეზისების მიმართ? აქაც, ისევე როგორც ყველგან, რუსეთის სულის თავისუფლებისა თუ მონობის, ყარიბობისა თუ უძრაობის საკითხში, ჩვენ ვანყდებით მამრულ და მდედრულ საწყისთა იმავე ფარულ თანაფარდობას. ამ ღრმა წინააღმდეგობის ფესვი რუსულ სულსა და რუსულ ხასიათში მამაკაცურ და ქალურ საწყისთა ურთიერთშეუთავსებლობაში უნდა ვეძიოთ. უსასრულო თავისუფლება უსასრულო მონობად იქცევა, მარადიული ყარიბობა — მარადიულ უძრაობად, იმიტომ, რომ მამაკაცური თავისუფლება ვერ ეუფლება რუსეთის შიგნით, მის სიღრმეში, ქალურ ნაციონალურ სტიქიას. მამაკაცურ საწყისს აქ ყოველთვის გარედან ელიან, პიროვნული საწყისი ვერ იშლება საკუთრივ რუს ხალხში. აქედან —

მუდმივი დამოკიდებულება უცხოეთზე. ფილოსოფიური ტერმინებით ეს ნიშნავს, რომ რუსეთი თავისი თავის მიმართ ყოველთვის გარეგნულად, ტრანსცენდენტურად გრძნობს მამრულ სანყისს, და არა იმმანენტურად. ამასთანაა დაკავშირებული ის, რომ ყოველივე მამაკაცური, განმათავისუფლებელი და მაფორმირებელი რუსეთში თითქოს არარუსული, ფრანგული თუ გერმანული იყო, ან კიდევ, ძველად, — ბერძნული. რუსეთი თითქოს უმწეოა თვითონვე მოახდინოს თავისი თავის ფორმირება თავისუფალ არსებობაში, უმწეოა თავისი თავიდან შექმნას პიროვნება. თავის საკუთარ ნიადაგთან, თავის ნაციონალურ სტიქიასთან დაბრუნება რუსეთში ისე ადვილად იძენს დათრგუნვილობის ხასიათს, ისე ადვილად იქცევა უძრაობად და რეაქციად. რუსეთი სასძლოობს, სასიძოს ელის, რომელიც სადღაც ზემოდან უნდა მოვიდეს, მაგრამ საბედო კი არა, გერმანელი ჩინოვნიკი მოდის და ეუფლება მას. სულის სიცოცხლეში მას ფლობენ: ხან მარქსი, ხან კანტი, ხან შტაინერი ან ესა თუ ის უცხოელი კაცი. რუსეთი, ესოდენ თავისებური, ესოდენ უჩვეულო სულის ქვეყანა, ყოველთვის მონურად ემორჩილებოდა დასავლეთ ევროპას. კი არ სწავლობდა ევროპისგან, რა იყო მისთვის კარგი, და არც ევროპულ კულტურას ეზიარე-

ბოდა, არამედ მონურად ემორჩილებოდა დასავლეთს, ანდა ველური ნაციონალური რეაქციით ანგრევდა მას და სპობდა კულტურას. აპოლონ ღმერთი, ღმერთი მამრული ფორმისა, არა და არ ჩამოდიოდა დიონისურ რუსეთში. რუსული დიონისიზმი ბარბაროსულია და არა ელინური. ურთიერთსაპირისპირო სანყისები შეიძლება სხვა ქვეყნებშიც ნახო, მაგრამ თეზისი მხოლოდ რუსეთში იქცევა ანტითეზისად. ბიუროკრატიული სახელმწიფოებრიობა დასაბამს იღებს ანარქიზმიდან, მონობა — თავისუფლებისგან, უკიდურესი ნაციონალიზმი — ზენაციონალიზმისგან. ამ გამოუვალისწიდან არსებობს მხოლოდ ერთი გამოსავალი: თვით რუსეთის წიაღში, მის სულიერ სიღრმეში, მამაკაცური, პიროვნული, მაფორმირებელი სანყისის გაშლა, თავისი საკუთარი ნაციონალური სტიქიის დაუფლება, და მამაკაცური, სხივოსანი ცნობიერების იმმანენტური გამოვლილება. და მე მინდა მწამდეს, რომ ახლანდელი მსოფლიო ომი გამოიყვანს რუსეთს ამ გამოუვალისწიდან, რუსეთის მამაკაცურ სახეს უჩვენებს მსოფლიოს და სათანადო შინაგან თანაფარდობას დაამყარებს ევროპულ აღმოსავლეთსა და ევროპულ დასავლეთს შორის.

თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ





კიკია ბუაჩიძე

ნოდარ  
ქაბიძე

## სიმაღლე მნახილისა

პიროვნების დახასიათებისას ინდივიდუალური თვისებების ჩვენება-კვალიფიკაციით არ ვიფარგლები. ვცდილობ ჩავწვდე გენეტიკურ კოდს, გავარკვიო საიდან მოდის უმთავრესი და რამდენად უკავშირდება ეროვნულ სანყისს.

ამჯერადაც არ ვლაღატობ ამ ჩვენას და ვასკვნი:

ბატონი კიკია ბუაჩიძის გაუტყხელობა ქართველი ხალხის ხასიათის გამოვლენაა (მრავალი წელი ციხესა და გადასახლებაში დაჰყო და მაინც არ დაითრგუნო, ჩახმახივით იყო შემართული).

ბატონი კიკია ბუაჩიძის სიკეთე ჩვენი წინაპრების ერთ-ერთი უმთავრესი თვისების განფენაა (თავად ნახევრად შიმშილობდე და სხვებს უნაწილებდე ლუკმას).

ბატონი კიკია ბუაჩიძის იუმორი ქართუ-

ლი სულის სილაღისა და განონასწორებულობის დასტურია (საკუთარი უპირატესობის წარმოჩენით სხვათა ამალგებას ესწრაფვოდე).

ბატონი კიკია ბუაჩიძის...

და მივყვები გორგალიდან დაცურებულ ძაფს. არც ის მავიწყდება, რომ ცხრაშვილიანი ოჯახიდანაა.

.....

აი, დავამთავრე კითხვა თითქმის რვაას-გვერდიანი ნაშრომისა — „ხალხის მტრის ჩანაწერები ნახევარი საუკუნის მანძილზე (1929-1979წ.)“.

ეს წიგნი კიკია ბუაჩიძის მეუღლის, ქალ-ბატონ თინა ბარამიძის რუდუნების შედეგიც არის.

შთაბეჭდილება მძაფრია. გონების თვალთ შორს ვიხედები და ავტორისადმი კიდევ უფრო დიდი სიმპათიით ვიმსჯელები.

„ჩანაწერები“ მნიშვნელოვანია მწერლის მხოფლმხედველობისა და პუბლიცისტურ-მხატვრული ოსტატობის წარმოსაჩენად, ასევე ეპოქის ხასიათის შესამეცნებლად.

წიგნი ვერ ეტევა მხატვრული ტილოს ჩარჩოებში; მხოლოდ პუბლიცისტიკის საზღვრებში მოქცევაც არ იქნებოდა გამართლებული; მემუარული ლიტერატურისთვის მიკუთვნებაც პროკრუსტეს სარეცელზე მოთავსებას დაემსგავსებოდა. არადა, საკმაოდ შეიცავს სამივე სფეროს ნიშან-თვისებებს.

მოდით, დავკმაყოფილდეთ ავტორის განსაზღვრებით: „ეს — არის კრებული ათასგვარი დაკვირვებისა და ამბებისა“ და „უანრობრივი“ სპეციფიკის გარკვევა მომავლისათვის გადავდოთ. ნურც იმას დავივინყებთ, რომ საქმე გვაქვს მწერლის ლაბორატორიასთან.

შემოქმედის სამზარეულო ნაირგვარი მასალის ერთობას გულისხმობს. აქ გვერდიგვერდ გვხვდება თეთრი და შავი. ამიტომაც მოულოდნელი არ არის ცალკეულთა ამორფულობა.

შექუჩებული ფაქტებისაგან ბევრის ზუსტი ადგილი ჯერ გაურკვეველია. უცნობია, რომელი რა დროს ამოტივტივდება და რისი საფანელ-საფუძველი გახდება, რომელ სახეს თუ განწყობას ესაფეხურება.

მასხენდება ლ. ტოლსტოის, გ. ფლობერის, გალაკტიონის ჩანაწერები და მათი მონარჯვების შემთხვევები. ზოგჯერ ფაქტებს შორის კავშირის დადგენა თითქმის შეუძლებელია და, ავტორის მინიშნება-კომენტარი რომ არა, ურთიერთგანპირობებულობის სათავეს ვერც კი დავლანდავდით.

ერთიც: შეიძლება არ გავიზიაროთ ავტორის ზოგიერთი დებულება; შეიძლება ესა თუ

ის ჩანანერი ნაკლებმნიშვნელოვანადაც მოგვეჩვენოს; არც ის არის გამორიცხული, გულგრილად წავიკითხოთ ცალკეული აბზაცები, მაგრამ ეს როდია გადამწყვეტი. მთლიანობაში ჩვენს ხელთაა მდიდარი და მრავალმხრივ ღირებული მატრიანე.

„ხალხის მტრის ჩანანერები“, უპირველეს ყოვლისა, ყელყელაობს ეპოქის დასურათხატებით, შერჩეულია ტიპური და მეტყველი მაგალითები.

მწერლის პოზიცია გამჟღავნებულია როგორც პირდაპირ, ასევე ირიბად, ქვეტექსტებით. ცნებით — ლოგიკური და სახეობრივი აზროვნების ფორმები ურთიერთს ენაცვლებიან და ავსებენ.

„სტალინმა ჯაგლაგად მიგვიჩნია. ფერდები შეგვიღენა და უზანგებში სალდათის ჩექმები წვალებით შეატია, მაგრამ მაინც ხომ შეატია და... სავირე მათრახები ორივე ხელით უჭირავს, ზარბაზანი წინ მიუძღვის. შავი პურის ნატეხი რა არის, — იმისთვისაც შორიდან გვაყურებინებს და... შენ მოერევი სტალინს?! ჩემი ჩემიაო და შენიც ჩემიაო, მინა თქვენო, მოსავალო ჩვენო; ზღვები თქვენო, თევზი ჩვენო!.. კურდღელს მოკლავ — ხორცი ჩვენო, ტყავი თქვენო. მელას მოკლავ — ხორცი თქვენო, ბენვი ჩვენო!..“

ჩანაფიქრის ხორცშესხმისათვის ნაირგვარი გზაა დაძებნილი. ზოგჯერ წინ იწევს მკვეთრი შედარება. ეს ხერხი განსაკუთრებით მაშინ არის მომგებიანი, როცა მხარეები დიამეტრალურად გამიჯნულია. ავტორი დიდ ადგილს უთმობს ციხის ამბებს. საგანგებოდ ჩერდება საკანში გამომწყვდეული „რამკიანი“ ქურდებისა და პოლიტპატიმრების ურთიერთობაზე, პირველნი ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან გარკვეული მხარდაჭერითაც კი სარგებლობდნენ. და აი, ერთი პასაჟის დასრულების შემდეგ გულამღვრეული იტყვის; „ასეთ ნაძირლებთან ვისხედით ჩვენ — „კონტრრევოლუციონერები“; იმ „სულძაღლი“ ცარიზმის დროს კი მეფე პოლიტიკურს, თუნდაც მისი წინაპრის მკვლელს, ქურდთან ერთად ერთ საკანში როგორ შეაგდებდა!“

სხვა შემთხვევაში ბიოგრაფიული დეტალებით, თვითდახასიათებით არის გამჟღავნებული არსებული ატმოსფეროს სისასტიკე და მისდამი ზიზღი.

„1937 წელს, სტუდენტობისას, მარცხენა ხელი განგებ ბინტით შევიხვიე და კისერზე ჩამოვიკიდე, როგორც ვითომ მტკივანი, რომ ტაში არ დამეკრა სტალინის ხსენებისას.“

ამით არა მხოლოდ კიტა ბუაჩიძის პლატფორმა ცნაურდება, არამედ დაგეშილი დამსმენების გარემოცვაც ხასიათდება. ფაქტი

პოლიინფორმაციულია.

არცთუ იშვიათად დაფიქსირებულია ისეთი ამბები, რომლებიც ყოველგვარი კომენტარის გარეშე ქმნიან სატირულ განწყობას. მაგალითად, ქუთაისში „გასაბჭოების პირველ წლებში არსებობდა თურმე „წითელ მეკუბოვთა“ არტელი „გზა სოციალიზმისაკენ!“

სიცილს აპირობებს მიზნისა და მისი მიღწევის საშუალებათა შეუსაბამობა, კავშირის აბსურდულობა.

„ხალხის მტრის ჩანანერები“ გამორჩეულია ბიოგრაფიული მონაცემებითაც. რაც მთავარია, ისინი მარჯვედ არიან დაკავშირებულინი საზოგადოებრივ პრობლემებთან.

თავად რომ არ გაეხმიანებინა, ჩემთვის უცნობი იქნებოდა ერთ-ერთი პირველი კომედიის „აურიე რგოლის“ ისტორია. სეზონის გახსნამდე აფიშაზე ავტორად მხოლოდ კ. ბუაჩიძე მოიხსენიებოდა. შემდეგ თეატრის სასცენარო განყოფილების გამგის გვარიც გაჩნდა. და ბოლოს კი ამ პიროვნებამ თავისი პიესების კრებულში „აურიე რგოლი“ ისე უტიფრად შეიტანა, რომ აღარც „თემის“ ავტორის გვარი დაუსახელებია“.

ამ წიგნით ახალგაზრდა დრამატურგის მნიშვნელოვანი წარმატებებიც ცნაურდება. „პირველ კურსზე სწავლა ახალი დაწყებული მქონდა, როცა ფოთის თეატრში დაიდგა ჩემი „სიძე“, „ფაქიზი განცდების“ და „ვარდი ასფურცლოვანის“ პირველი ვარიანტი. ჩემთვის ეს ორმაგი პრემიერა იყო. ფოთში პირველად ვნახე ზღვა და პირველად გამოვედი სცენაზე... მომდევნო წელს „სიძე“ ჭიათურაში დაიდგა. იქ არ ჩავსულვარ, მაგრამ მითხრეს, ზოგიერთი მაყურებელი ორ-სამჯერ ნახულობს სპექტაკლს და ხუმრობით ერთმანეთში პიესიდან ამოკრეფილი ფრაზებით ლაპარაკობენო“...

ასევე საინტერესოა „პირთეთრი ქალიშვილის გრძნობათა სამყაროს“ თუ „ასი ძაღლის“ ისტორია; საერთოდ, თეატრთან ურთიერთობის პერიპეტიები.

წიგნთა ბეჭდვასაც მივადევნოთ თვალი. როგორი მოხერხებულობა, შეუპოვრობა იყო საჭირო, რომ კრიტიკული აზრები გაეპარებინა. სისხლის ფასად უჯდებოდა ცალკეული ნაწარმოების გამოქვეყნება.

„ჩანანერებით“ კ. ბუაჩიძე კიდევ ერთხელ წარმოჩინდა პირუთვნელ პიროვნებად.

მას შეუძლია გაბატონებული თვალსაზრისის წინააღმდეგ გაილაშქროს, მით უფრო, თუ ამ თვალსაზრისში ბანგის თვისებებს ამჩნევს.

არსებითია ისიც, რომ დასკვნები შეპირობებულია ლოგიკური წინამძღვრებით,

დამაფიქსირებელი მინიშნებებით.

გავიხსენოთ ანა ანტონოვსკაიას შვილის დახასიათება: „ბორის ჩორნი — საექვო ნიჭის მომწერლო სცენარისტი. მოსკოვიდანაა. პოზიორი. დედას თქვენობით ელაპარაკება. ქუჩაში მკლავგაყრილს ატარებს იმგვარად, იფიქრებს, ეს მოხუცი ქალი სატრფო ხომ არ არისო.“

სახკინმრეწვეში ერთხელ ჰონორარის მიცემა დაუგვიანეს და ერთი ვაიუშველებელი ატეხა — „Я потерял пять творческих дней, Я протестую, товарищи!“.

კიდევ უფრო მკაცრია ზოგიერთი ქართველი მოღვაწის მიმართ. მისი ეპითეტ — მეტაფორების საფუძველზე ავტორიტეტები პიედესტალიდან ყირავდებიან.

სულო ცოდვილო, ბევრის შესახებ შენც ასე ფიქრობდი, მაგრამ დადუმდი, გამბედაობა არ გყოფნიდა, თანაც ობივატელის ფარს იფარებდი: — რა მნიშვნელობა აქვს ახლა გარდაცვლილთა განქიქებასო.

როგორც ითქვა, „ხალხის მტრის ჩანაწერები“ საყურადღებოა არა მხოლოდ თემებით, პასაჟებით, დეტალებით, არამედ მათი გამოყენების გზებსა და შემთხვევებზე მინიშნებებითაც.

დავესესხოთ ტექსტს: „სჯობს დიდი კაცის ლაქია იყო, ვიდრე სადმე ვირების უფროსი“, „ქალაღდა და ქალს ერთნაირად უნდა მოვლა და გაფრთხილება“. „იმერულ ჩურჩხელასავით გამხდარი ქალი“, „სპილოს ძვალვით მკვრივი და თეთრი ძუძუები“. „ძილს რომ სიზმარი არ ამშვენებდეს და სინამდვილეს ოცნება, ცხოვრება აუტანელი იქნებოდა“. „ავი და ბოროტი სიდედრი ხანძარზე უარესია“ და ა.შ.

ბევრს შენარჩუნებული აქვს დიალექტის ფორმა, კუთხური გამოთქმის ნირი, რაც ზრდის მის ეფექტურობას. „ვინ ითხოვს ამას? რაფერ გამოუყვლეფია თვალეები!“ „გლეხი ქალის წყევლა (ანცი ბიჭისადმი): ნუ გამხეთქე გულზე, შენ გაგხეთქა ლობიომ!“ „იმე, ამდენ წყალს რომ სვამ, მოხრაკული თაგვი ხომ არ გიჭამია“.

ყოველივე ეს მოაზრებული უნდა იქნეს, როგორც საშენი მასალა. ხელსაყრელ სიტუაციაში ისინი შეიძლება უცვლელად ან მცირეოდენი ტრანსფორმაციით ლიბოდ დაედოს სახეს, ეპიზოდს, კონფლიქტს... არც ის არის გამორიცხებული, იმპულსის ფუნქცია შეასრულონ.

არცთუ იშვიათად ხაზგასმულია კიდევ მათი როლი. „თავის განსწავლულობის დასამტკიცებლად ახლად კურდამთავრებულ ექიმს ჩვეულებად აქვს, იგინოს ლათინური სიტყვე-

ბით — ამა თუ იმ სენის სახელწოდებით. მაგალითად — მომშორდი აქედან, შე „Angina skarlatinosa!“ ქვემოთ მინერილია: „გამოვიყენე „პლატონში“.“

მეორე მაგალითი: „დოცენტ ბურკაძეს პარტილეთი პერანგს შიგნით, ქისაში გახვეული ჯვარივით კისერზე ჰკიდია: ეშინია, არ დაეკარგოს. (ასეთი „მორნმუნეც“ კი 37-ში გააქრეს, როგორც ხალხის მტერი. დეტალი — პარტილეთი-ჯვარი — „პლატონში“ გამოვიყენე)“.

სხვა ამონარიდების ქვემოთ: „გამოვიყენე „ოქროს კავში“, „გამოვიყენე „პოლიხრონ ჩიჩიაში“.“

შეხვედებით ასეთ რემარკებსაც: „ფრაგმენტი კომედიისათვის“, „ფრაგმენტი პიესისთვის“, „გაყრისთვის“, „პიესისთვის“, „საგიჟეთი ან ოჯახი“...

მწერალს ჩანიშნული აქვს მომავალ ნაწარმოებთა სათაურებიც: „ბრახუნი კარზე“, „შიშის სახელმწიფოში“.

ყოველივე ეს მოსამზადებელი სამუშაოა დიდი ტილოების შესაქმნელად.

იმასაც დავსძენ, რომ ზოგიერთი ჩანაწერი ნოველის თუ პატარა მოთხრობის პირველ ვარიანტად შეიძლება ჩაითვალოს („დონ-ჟუან კონია გ-ძის თავგადასავალი“, „ზინა“ და სხვა).

„ხალხის მტრის ჩანაწერებზე“ შედარებით ვრცლად შეჩერება მოტივირებულია იმიტომ, რომ მასში კ. ბუაჩიძის, როგორც მწერლისა და მოქალაქის, მოსაზრებები ვრცლად და ოსტატურად არის განფენილი.

ისე არ გამიგოთ, თითქოს ხსენებულ ნიგნს ბატონი კიტას შემოქმედების მწვერვალად ვთვლიდე. ვფიქრობ, იგი ვერ უტოლდება მის გახმაურებულ დრამატულ და პუბლიცისტურ-პოლემიკურ თხზულებას, მაგრამ ვერც იმას უარვყოფ, რომ თავისებური მოვლენაა, დიდებული სასინჯა ქვა.

.....

80-იანი წლების ბოლოს დავახლოვდით. კომუნიკაბელური გახლდათ, სასიამოვნოდ მოუბარი. მოლხენაც იცოდა და გაბმული შრომაც. ჟინიანობაც ჩვეოდა (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით), დასახული მიზნიდან არ გადაუხვევდა. ამის დასტურად ჩემთვის გამოგზავნილი ეპისტოლეც გამოდგება. მომაქვს ყოველგვარი კუპირების გარეშე.

„ბატონო ნოდარ!“

გიგზავნით პატივისცემის ნიშნად ჩემს ბოლო ორ ბარათს ჯუმბერ პატიამვილისადმი. პირველი ეხება ასტაფიევს, მეორე კი ჩვენს ყველაზე დიდ ეროვნულ უბედურებას. რაკი პირდაპირ მისაწვდენად სხვა გზა ვერა

და ვერ გამოვნახე, ჩემი კორესპონდენცია გუშინნინ ცეკას კომენდატურაში მივიტანე და ჩემი „დასაფსები“ თვალებით დავინახე, რა არხეინად ჩააგდო იგი მორიგემ ვეებერთელა ტომარაში, რომელიც შუამდე უკვე სავსე იყო...

ასე რომ, კაცმა არ იცის, ამ საჩივრების ტომარას როდის გაარჩევენ-დაახარისხებენ და, თუ საერთოდ მიუვა, როდის მიუვა იგი ჯ. პატიაშვილს...

პასუხის მსგავს რაღაცას ერთ თვემდე დაველოდები, მერე კი ამ „თხზულებათ“, ცხადია, თახჩა-სკივრში არ შევინახავ და მკითხველ საზოგადოებას წარვუდგენ: მე, საერთოდ არაფერს არ ვწერ ისეთს, რომ იგი მარად საიდუმლოდ დარჩეს.

13 ოქტომბერი, 1988 წელი.

კიტა ბუაჩიძე“.

ხუთი დღის შემდეგ უნივერსიტეტში ბატონი ალექსანდრე (საშა) პაპავა მხვდება.

ღირიკული გადახვევა. ამ პიროვნებაზე არ შეიძლება გულგრილად უბნობა. სულით არისტოკრატი. ულამაზესი ვაჟკაცი, განათლებული და დიდბუნებოვანი. მკლავის გაშლაც შეძლო და მომაკვდავი თანამემამულის სასთუმალთან ღამეების გათენებაც.

1936 წელს დააპატიმრეს ქუთაისის პედინსტიტუტის ახალგაზრდა დირექტორი. ვარკუტა, ვიატკა და ა.შ. მთელი ოცი წელი — მკვლევებთან და კაციჭამიებთან ერთად იჯდა და არასდროს დაუკარგავს ღირსება. გრძნობდნენ მის სიძლიერეს და უპირატესობას. უსმენდნენ და მიჰყვებოდნენ. ბევრი, ძალიან ბევრი სიკეთე გააკეთა იმ შავბნელ დროში და ველურ გარემოცვაში. იმასაც ამბობდნენ, ერთი ფრიად გახმაურებული რომანის მთავარი ჰერსონაჟის პროტოტიპიაო.

...ღიახ, მხვდება ბატონი ალექსანდრე და მეუბნება — კიტა ბუაჩიძე დაგეძებს. დავუკავშირდი. ბატონი კიტა ანთებულია. დიდი

წიგნი გავასრულე. გამომცემლობაში რეცენზიებს მთხოვენ. ხომ არ დაწერდი?

ერთ კვირაში მივართვი. და აი, 1989 წელს გამოვიდა კიდევ „Такое длинное, длинное письмо Виктору Астафьеву и другие послания с картинками в черно-белом цвете“

წიგნი 100 000 ტირეჟით დაისტამბა და მთელ მსოფლიოში გავრცელდა.

.....

ჩემს არქივში ინახება ამონარიდი აბიტურიენტ მარეხ გრიგოლაძის თხზულებიდან (შიფრი 580). იმ წელს ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ვიყავი უნივერსიტეტში. ჩანს, თხზულების სწორებისას ქვემომოტანილ ფრაგმენტს ჩემი ყურადღება მიუპყრია და ამიტომაც ამომინერია. აი, ისიც „მე მახსენდება კიტა ბუაჩიძე — ცნობილი დრამატურგი, თუმც არც ისე ცნობილი, როგორც ბატონი კიტას ნიჭსა და მამულიშვილობას ეკადრება. ბატონმა კიტამ, როგორც თვითონ წერს თავის „შავ წიგნში“, დიდი ხნის ოცნება აისრულა: თავისი ჰონორარი მრავალშვილიან ოჯახებს დაურიგა...“ და ასე შემდეგ.

ეს, ხალხის მიერ სიკეთის დანახვის მაგალითია, და, რაც მთავარია, კარგად მეტყველებს იმ დიდ ავტორიტეტზე, რითაც კიტა ბუაჩიძე სარგებლობა და სარგებლობს.

რა ტონითაც დავინწყე, იმავე ტონით მინდა დავამთავრო.


სიკდილის წინ ჩვენი წინაპრების უპირველესი საფიქრალი ის იყო, რომ ხმალი ჟანგს არ შეეჭამა. ამიტომაც მოუხმობდნენ ღირსეულ ძეს და სისხლში გამოწრთობილ გორდას ხელის კანკალით გადასცემდნენ.

და აი, ბატონი კიტა ბუაჩიძეც ასე იქცევა: ცრემლით და იმედით გვიტოვებს „ხალხის მტრის ჩანაწერებს“.

ვინდლო არ დაგვჟანგებოდეს.







სულეიმან  
გუმბაშვილი


სიხყვა "ნესის" ეტიმოლოგიის  
ინსტიტუტისათვის

ისტორიულად ცნობილია, რომ ქართველები და ვაინახები ერთი წარმომავლობისაღნი არიან. ამას ამტკიცებს მსოფლიოს მეცნიერთა დიდი პლეადა, ამაზე წერენ თვით ქართველი და ვაინახი ისტორიკოსები, ენათმეცნიერები.

ეთნოგრაფიულად და გენეტიკურად მონათესავე ქართველები და ვაინახები (ჩეჩნები, ინგუშები, წოვა-თუშები — ბაცბები), როგორც ისტორიკოსები ამტკიცებენ, მოდიან შუამდინარეთიდან და დაბინავებულან კავკასიაში ერთმანეთის მეზობლად. ამას მოწმობს მათი დღევანდელი ეთნოგრაფიული ყოფა. მათ ბევრი რამ ჰქონიათ საერთო: ენა, ადათნესები ზნე-ჩვეულებები, ყოფა-ცხოვრება, ტოპონიმები ანთროპოლოგია თუ სხვა. ამიტომ ენათმეცნიერებმა ქართველური (ქართუ-

ლი, მეგრულ-ჭანური, სვანური) და ვაინახური (ჩეჩნური, ინგუშური, ბაცბური) ენები მიაკუთვნეს იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფს, როგორც სხვა კავკასიური ენები, რადგან ისინი განასხვავდებიან სხვა ენებისაგან ერთი კონსტრუქციის ქონით. ერთმანეთის გვერდიგვერდ მოსახლე ქართველები და ვაინახები (ქისტები) ძლიერ იყვნენ დაკავშირებული ერთმანეთთან და დღეს ბევრ საერთოს ვპოულობთ მათ ენებში. ენის ლექსიკური ფონდი ხშირ შემთხვევაში შეუცვლელად გადადიოდა ქართული ენიდან ვაინახურში ანდა პირიქით, ვაინახურიდან — ქართულში. ასეთი სიტყვებია: „ქათამი-ქოათამ, მოძღვარი-მუოზღარ, საყდარი-საღდარ, სანთელი-სენტალ, ჯვარი-ჟეყარ (ჯუარ), დიაცი — დეეცი, არწივი-ერზუ (ერძა), ქორი — ქუ:არა, ხერხი-ხიერხ, ჩარხი-ჩარხ, ხარჯი — ხარჯ, ლომი-ლუმომ, ვირი-ვირ და სხვა. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა სიტყვა „ნესის“ ეტიმოლოგია, რომელიც ქართულ ენაში მტკიცედ არის დამკვიდრებული და გააჩნია შესატყვისი სინონიმები: სამართალი, კანონი, ზნე-ჩვეულება, თვისება, უფლება, ნება, ტრადიცია.

დღემდე დადგენილი არ არის სიტყვა „ნესის“ წარმომავლობის (ეტიმოლოგიის) საკითხი და არ არსებობს არანაირი მეცნიერული გამოკვლევა. სიტყვა „ნესი“ ქართულ ენა-



ში შესული უნდა იყოს ვაინახური ენებიდან, რადგან იგი შედგება ორი კომპონენტისაგან: „წე“-სახელი, „სი“(სიი)-ღირსება, აქედან „სახელი-ღირსება“.

კავკასიელთა ყოფა-ცხოვრებაში ძველად და ახლაც გაბატონებული იყო და არის სახელის გაუმხელობისა და ღირსების შეუღლებლობის (დაცვის) საქვეყნო, სახალხო ხასიათის ტრადიცია. კაცსა და ქალს ბავშვიბიდანვე ევალეზობდა, ე.ი. კანონად ჰქონდა დაწესებული მამა-პაპათა მიერ შინ და გარეთ გაფრთხილებოდა როგორც სახელს, ასევე ღირსებას. ვინც ცხოვრების წესს დაიცავდა, ის კაი ყმა იყო, ნაღდი ვაჟკაცი, ღირსეული ქალიშვილი, სახელიანი დიაცი, სოფლად თუ ქალაქად დამკვიდრებული კავკასიელთა რტადიცია ცხოვრებაში ხორციელდებოდა და დაუნერელი კანონის სახით ყალიბდებოდა ჟამთა მსვლელობაში. ამიტომ გვხვდება ჩვენში ამჟამად ფართოდ გავრცელებული სალხური ანდაზები: „სახელის გატეხვას, თავის გატეხვა სჯობია“. „გაუფრთხილდი სახელსა და ღირსებას“. ასევე საინტერესოა რუსთაველის აფორიზმი: „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოვლისა მოსახვეჭელსა“ და სხვა. ასეთივე შინაარსის ანდაზებია გავრცელებული ვაინახურ ენებში, სადაც „წე“-სახელი და „სი“(სიი)-ღირსება ეროვნული ხასიათის მატარებელ კანონად არის ქცეული. ორივე სიტყვა ერთად იხმარება და დეფისით არის გაყოფილი: „წე-სიი მა დააღლაჰ“ — სახელი და ღირსება არ დაკარგო. „წე-სიი ლარიღლაჰ“ — სახელსა და ღირსებას გაუფრთხილდეს. „წე-სიი ლარიენარგ ყუონახ ხირ ვუ“ — სახელისა და ღირსების დამცველი ვაჟკაცი იქნება. „წე-სიი ვალალც ლარო დიეზა“

— სახელი და ღირსება სიკვდიმდე უნდა დაცვა და ა.შ. ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითებში რთული სიტყვა „წე-სიი“ ფორმას არ იცვლის ვაინახურ ენებში და იხმარება ერთად. მაგრამ არის შემთხვევები, რომ ისინი ცალცალკე იხმარება თავიანთი მნიშვნელობისდა მიხედვით. „წე“-სახელს და „სიი“-ღირსებას, რადგან კანონად დამკვიდრდა ვაინახებში და ქართველებში, შეეძლო ფორმაუცვლელად გადასულიყო ერთი ენიდან მეორე ენაში, ე.ი. ვაინახური ენებიდან ქართველურ და კანონად — წესად მიეღო ქართველ ხალხს. ამით კიდევ ერთხელ დგინდება ქართველებისა და ვაინახების ნათესაობა და ერთობა, რაც მრავალ მეცნიერთა აზრს ესადაგება და ეხმიანება. ტერმინ „წესის“ წარმომავლობა გვაუწყებს, რომ ქართველები და ვაინახები სისხლით და ხორციით მინათესავე ხალხებია.

ზემოთ აღნიშნული მაგალითებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართულ ენაში სიტყვა „წესი“ გადამოსულია ვაინახური ენებიდან ანდა ერთად ყოფნის დროს, როცა ჭირი და ლხინი, ქართველებსა და ვაინახებს ერთი ჰქონდათ, მაშინ არის შექმნილი, მიღებული და დღემდე შემორჩენილი.

ამდაგვარად, ჩვენ სრული მნიშვნელობა დავადგინეთ ქართული სიტყვის „წესის“ ვაინახური ენების მეშვეობით, დავამტკიცეთ მისი ეტიმოლოგია და დღემდე გაურკვეველი საკითხი. ყველასათვის ნათელი გავხადეთ ამით ქართველური და ვაინახური ენების ერთიანობა და ძირძველი ნათესაობა, რაც ყველა ჩვენთაგანის საკვლევი და საძიებო სამუშაო გახლავთ დღეისათვის.





ბოდბის მონასტერი

# ნიკოლოზ ნიკოლოზიძე რამაზ მუნჯეთია

## ნოიხ ნინოს ბახიასვანიების მიზანი

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ახალი, სინური ვერსიის, აღმოჩენა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტია XX ს-ის ქართველოლოგიაში. სამწუხაროდ, დღესდღეობით, სპეციალისტთა არცთუ ფართო წრეს მიუწვდება ხელი სინ-50 ხელნაწერის ლუვენის უნივერსიტეტის უელ ფაქსიმილურ გამოცემაზე (*Le nouveau manuscrit Georgien Sinaitique N SIN 50, Edition en fac-simile, Introduction par Z. Aleksidze, Traduite du Georgien par J.-P. Mahe, Louvain, In Aedibus Peeters, 2001.*). ეს ხელნაწერი უძველესად ითვლება (X ს-ის I ნახ.) „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს დღეს უკვე კარგად ცნობილ შატბერდულ (X ს-ის 70-იანი წლები) და ჭელიშურ (XIV ს-ის II ნახ.) ხელნაწერებთან შედარებით (ზ. ალექსიძე, ახალი ცნობა „რუფისთაველთა სახლის“ შესახებ, ლიტერატურული საქართველო, 14, 1991.).

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს სინური რედაქ-

ცია საშუალებას გვაძლევს, გავასწოროთ მთელი რიგი იმ ბუნდოვანი ენობრივ-ლექსიკური და ისტორიული ხასიათის უზუსტობებისა, რომლებსაც შეიცავენ შატბერდული და ჭელიშური რედაქციები. გარდა ამისა, სინური რედაქცია შეიცავს ჩვენთვის დღემდე უცნობ კონკრეტულ ფაქტებსაც წმ. ნინოს ცხოვრების შესახებ, რომელთაგან ერთ-ერთს ეძღვნება წინამდებარე სტატია — საქმე ეხება ქართლის განმანათლებლის გარდაცვა-

ლების მიზეზსა და ვითარებას.

როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-დან ჩანს, წმ. ნინო იერუსალიმში ჩასულა თორმეტი წლისა, სადაც ორი წელი ემსახურა დვინელ მიაფორს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ბიძის, პატრიარქ იობენალის ლოცვა-კურთხევით ქალწული თოთხმეტი წლისა წასულა ქრისტიანობის საქადაგებლად. ამის შემდეგ წმიდანს კიდევ ორი წელი დაუყვია რიფსიმეს სახლში, რის შემდეგაც ისინი სხვა ქალწულებთან ერთად გამოქცეულან სომხეთში, სადაც უმრავლეს მათგანს მონამეობრივად დაუსრულებია სიცოცხლე, ხოლო სასწაულებრივად გადარჩენილი ნინო შემოსულა ქართლში. გამოდის, რომ წმ. ნინო ქართლში მოსვლისას ყოფილა 16 წლისა ( $12+2+2=16$ ). (წმ. ნინოს ცხოვრების ქრონოლოგიის შესახებ დანვრ. იხ. ნ. ნიკოლოზიძე, „ზაბილონიდან მირიანამდე“, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, საისტორიო აღმანახი „კლიო“, 17, 2003, გვ. 3-67).

შატბერდული რედაქციის ცნობის მიხედვით, ქართლის განმანათლებელი გარდაცვლილა ქართლში მოსვლიდან მეთხუთმეტე წელს: „და შეჰვედრა სული თჳსი ჴელთა ღმრთისათა ქართლად მოსვლითგან მეათხუთმეტე წელსა“ (შატბერდის კრებული, თბ. 1979, გვ. 324). ჭელიშურ რედაქციაში „მეათხუთმეტე“-ს ნაცვლად ვკითხულობთ „ოც და მე[ა]თხუთმეტ[ე]სა წელსა“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები,

I (V-X სს.), თბილისი, 1963, გვ. 90). შესაბამისად, რადგან წმ. ნინო ქართლში მოსვლისას 16 წლის იყო, იგი, შატბერდული რედაქციის თანახმად, გარდაცვლილა 31 წლის ასაკში (16 + 15 = 31), ხოლო ჭელიშურის თანახმად — 51 წლის ასაკში (16 + 35 = 51). ჩვენ მიგვაჩნია, რომ ამ შემთხვევაში შატბერდული რედაქციის თარიღი უნდა იყოს სწორი, რადგან თუ გავითვალისწინებთ, რომ წმ. ნინოს ქართლში შემოსვლიდან მეშვიდე წელს მოუქცევია მირიანი, წარმოუდგენელია, რომ ჯვრების აღმართვას, ეკლესიათა საფუძვლების ჩაყრას (ნინოს გარდაცვალების დროს მაყვლოვანში მშენებარე ქვის ეკლესია ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული) დაარაგვის, ალაზნისა და ივრისპირეთში ქადაგებას წმიდა ქალწულმა 28 (35-7=28) წელი მოანდომა. უფრო სანდო ჩანს შატბერდული რედაქციის ცნობა, რომლის მიხედვითაც, ყოველივე ამ საქმიანობისთვის წმ. ნინოს 8 (15-7=8) წელი დასჭირვებია.

წმ. ნინო რომ მართლაც ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო ქართლში შემოსვლისას, ეს ჩანს იქიდანაც, რომ ქართლში მოსვლამდე ორი თუ სამი წლით ადრე, რიფსიმესთან ყოფნისას, იგი დახასიათებულია, როგორც „შუენიერი“ და „ქმნულ-კეთილი“ (შატბ. კრებ. გვ. 322; ძეგლ., I, გვ. 83). ეს ეპითეტები აშკარად მიუთითებენ ნინოს ახალგაზრდულ ასაკზე.


რაც შეეხება სიტყვას „დედაკაცი“, რომლითაც, აქაც და შემდგომშიც, ხშირად მოიხსენიება წმ. ნინო, აქ არაფერია გასაკვირი, რადგან ძველი ხალხების და მათ შორის ებრაელთა ტრადიციით, ქალი ითვლებოდა სრულწლოვნად 14 წლის შესრულებისას და ამავე ასაკში უნდა გათხოვილიყო და შეექმნა საკუთარი ოჯახი (Сказания о земной жизни Пресвятой Богородицы, М., 1904, ст. 59). ეკლესიის მამათა გადმოცემების მიხედვით ღვთისმშობელი მაცხოვრის დაბადებისას 15 წლისა უნდა ყოფილიყო. (იქვე, გვ. 191). რომის იმპერიის სამოქალაქო სამართლის მიხედვით, მამაკაცის სრულწლოვანების ასაკად ითვლებოდა 14 წელი, ხოლო ქალისად — 12 წელი. მოგვიანებით, მარკუს ავრელიუსის ხანის რომაული კანონმდებლობით ორივე სქესისთვის დადგინდა, რომ 7 წლამდე ასაკი ითვლებოდა ბავშვობის ასაკად, 14 წლამდე კი — მცირეწლოვნად. (Энциклопедический словарь Брокгауз-Ефрон, Возврат в гражданском праве, т. 12, ст. 905-907).

ასე, რომ იერუსალიმის დატოვებისას წმ. ნინო უკვე უნდა ყოფილიყო 14 წლის, ანუ სრულწლოვანი ასაკისა, რაც უჩვეულოდ ჟღერს ჩვენი დროისთვის, მაგრამ არა ძველი ხალხებისთვის და კერძოდ, III საუკუნის რო-

მის იმპერიისთვის.

ამ შემთხვევაში, ერთი შეხედვით, თითქოსდა გაკვირვებას იწვევს წმინდანის ასეთ ადრეულ, 31 წლის ასაკში გარდაცვალების ფაქტი, მაგრამ საქმე ისაა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობით, იგი რალაც უცნობი სწეულებით გარდაცვლილა. შატბერდულ ხელნაწერში ვკითხულობთ: „ვითარ მოინია ქუეყანასა კხოეთისასა, დაბასა ბუდს, დასწეულდა სწეულებითა მით, რომლითა-ცა მო-ცა-კუდა“. (შატბერდის კრებული, გვ. 327). შესაბამისად ადგილას ჭელიშურ და სინურ რედაქციებში ამ უცნობ, მომაკვდინებელ დაავადებას „დიდი სწეულება“ ეწოდება: „დასწეულდა სწეულებითა დიდითა, რომლითა-ცა შეისუენა“ (ჭელიშ.); (ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, I, გვ. 104). „დასწეულდა სწეულებითა დიდითა, რომლითა-ცა მოკუდა“ (სინ.). (Le nouveau manuscrit Georgien Sinaitique N SIN 50, p. 102).

საინტერესოა, რომელი დაავადებაა ეს „დიდი სწეულება“? ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების ტერმინები — „დიდი სწე-



წმიდა ნინოს საფლავი

ულება“, „დიდი სენი“, „დიადი სენი“ და ა. შ., შეიძლება ორგვარად იქნას გაგებული: ერთი, როდესაც ეპითეტი „დიდი“ გამოხატავს ზოგადად ავადმყოფობის სიმძიმეს და პროგნოსტულ პესიმას და მეორე, როცა ის რაიმე კონკრეტული დაავადების გამოხატველია. ამ

შემთხვევაში, უფრო დაზუსტებით ვერაფერს ვიტყვით, რომ არა „მოქცევა ქართლისა“-ს ახლად აღმოჩენილი სინური ხელნაწერი.

მართალია, სინურ რედაქციას აკლია ის ადგილი, სადაც წმ. ნინოს გარდაცვალების თარიღზეა საუბარი, მაგრამ სამაგიეროდ, ამ რედაქციამ შემოგვინახა წმიდანის გარდაცვალების მიზეზის, მისი სწეულების რაობის შესახებ უნიკალური ცნობა, რომელიც არ მოიპოვება არც შატბერდულ და არც ჭელიშურ რედაქციებში: შატბერდულში საერთოდ არ მოიპოვება ის პასაჟი, სადაც წმიდა ნინოს სწეულების რაობაზეა საუბარი, ხოლო ჭელიშურში იგი აშკარად გვიანდელი რედაქტორის მიერ უნდა იყოს სახეცვლილი.

კერძოდ, სინურ რედაქციაში ვკითხულობთ: „მაშინ მოვლო (ასეა!) წიგნი წმიდისა ნინ[ო]ასი (პეროჟავრი სიგნიელმა; ნ. ნ; რ.შ.) მიმართ მთავრისა, იოვანე ებისკოპოსისა მიმართ და მეფისა, დაბით ბოდისით, რამეთუ მიწვეულ იყო მუნ და იყო სწეულ სიცხისა და ჯურვებისაგან, რომელიცა ექმნა მას საღმობა სასიკუდინე“. (იქვე, გვ. 91.).

ჭელიშურში ამ პასაჟს ასეთი ბუნდოვანი სახე აქვს მიღებული: „მაშინ მოილო დედოფალმან (აქაც იგულისხმება პეროჟავრი სიგნიელი; ნ. ნ; რ.შ.) წიგნი წმიდისა ნინო[ა]სი წინაშე მეფისა და იოანე მთავარ-ეპისკოპოსმან ბოდისით დაბით, რამეთუ უწინარეს მიწვეულ იყო მუნ წინაშე წმიდისა ნინო[ა]სისა“. (ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ. ძეგლები, I, გვ. 100.).

ამ პასაჟის ორი რედაქციული ვარიანტის შედარებისას აშკარაა, რომ სინურს მეტი უპირატესობა უნდა მიენიჭოს რამდენიმე მიზეზის გამო:

1. სინური რედაქცია მოლწეულია მნიშვნელოვნად ადრინდელი ხელნაწერის სახით (X ს-ის I ნახ.), ვიდრე ჭელიშური (XIV ს-ის II ნახ.);

2. საზოგადოდ ცნობილია, რომ ჭელიშური ხელნაწერით მოლწეული რედაქცია საკმაოდ შერყვნილია რედაქტორ-გადამწერების მიერ;

3. ჭელიშური რედაქციის ჩვენთვის საინტერესო წინადადების დეტალური ანალიზიდან ჩანს, რომ იგი გვიანდელი რედაქტორის მიერაა გადაკეთებული რაღაც მიზეზით, რამაც წინადადების თავდაპირველი აზრის დამახინჯება გამოიწვია, კერძოდ, წინადადებიდან ჩანს, თითქოს წმ. ნინოს დასწეულების დროს იოანე მთავარეპისკოპოსი ბოდისში იმყოფებოდა, მაგრამ მთლიანი პასაჟის ანალიზისას ირკვევა, რომ იგი იმ დროს მცხეთაში ყოფილა და სხვა დიდებულებთან ერთად მხოლოდ მაშინ ჩასულა ბოდისში, როცა წმიდანის სასიკვდილო სწეულების ამბავი შეუტყვია.

მაშასადამე, „მოქცევა ქართლისა“-ს სინური რედაქციიდან ვიგებთ, რომ წმ. ნინოს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში თავისი ხანგრძლივი მისიონერული მოღვაწეობის დროს შეპყრია რომელიღაც „დიდი სწეულება“, წმიდანს მოუღწევია დაბა ბოდისამდე, სადაც მისი დაავადება სასიკვდილოდ გამწვავებულა, რაც ძლიერ „სიცხესა და ჯურვებაში“ გამოიხატა: „იყო სწეულ სიცხისა და ჯურვებისაგან, რომელიცა ექმნა მას საღმობა სასიკუდინე“.

არავითარი საფუძველი არ გვაქვს, სინური რედაქციის ამ ცნობის სისწორეში რაიმე ეჭვი შევიტანოთ. რომ დავაზუსტოთ, კონკრეტულად თუ რა „სასიკუდინე“ სწეულება უნდა იგულისხმებოდეს სიტყვებში — „სიცხე და ჯურვება“, უპირველეს ყოვლისა უნდა გავარკვიოთ ამ ტერმინის მნიშვნელობა.

ახალი აღთქმის ბერძნულში ქართულ ტერმინს — „ჯურვება“ შეესაბამება πῦρσως = ცეცხლი, სიცხე, სითბო, ხოლო ლათინურში — ინცენდო = წვა, დანვა (იოან. აპოკალ. 18: 9, 18). ქართულ ტერმინს — „სიცხე“ ბერძნულში შეესაბამება კაუ'მა = მაღალი ტემპერატურა, სიცხე, ხოლო ლათინურში — აესტუს = ძლიერი ციებ-ცხელება (იოან. აპოკალ. 7: 14).

ორივე ამ ტერმინის ერთობლიობაში ხმარება ისევე, როგორც ეს „მოქცევა ქართლისა“-ს სინურ რედაქციაშია — „სიცხე და ჯურვება“, დადასტურებულია ლათინურ მწერლობაშიც, კერძოდ, ვირგილიუსთან იხსენიება კონკრეტული დაავადება ინცენსი აესტუს, სადაც ეს ტერმინი ციებ-ცხელებას აღნიშნავს. (И. Дворецкий, Латинско-русский словарь, М., 1976, с. 505, incendio.). ქართული სამედიცინო ტრადიციითაც „ჯურვება“ მაღალ ტემპერატურას აღნიშნავს, ხოლო „სიცხე“ (ცხრო) — ციებ-ცხელებას. (მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი, საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ. III, ნან. I, თბ., 1956, გვ. 50, 86.).

ციებ-ცხელება ორგანიზმის დაცვით-შეგუებითი რეაქციაა მავნე, ე. წ. პიროგენულ აგენტებზე, რაც ვლინდება სხეულის ტემპერატურის აწევით. იგი შეიძლება თან ახლდეს როგორც არაინფექციურ, მაგ. სიმსივნურ დაავადებებს, ასევე, და უფრო ხშირადაც — ინფექციურ დაავადებებს. აქედან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სენზე შეიძლება ვიფიქროთ, ქართული სამედიცინო წერილობითი წყაროების შესწავლის გამოცდილების საფუძველზე ტერმინი „სიცხე და ჯურვება“ უპირველესად ეჭვს მალარიაზე აჩენს.

აღმოსავლეთ საქართველო (და არა მხოლოდ დასავლეთი) საუკუნეების განმავლობა-

ში იყო და არის მალარიის კერა. „შუშანიკის წამებაში“ აღწერილი ცნობილი პასაჟი პირდაპირ მიუთითებს იმ კლიმატურ-გეოგრაფიულ გარემოზე, რომელიც მოგვიანებით მალარიის სახელით ცნობილი დაავადების კერა უნდა ყოფილიყო: „უამსა ზაფხულისასა ცეცხლებრ შემწული იგი მჭურვალებაჲ მზისაჲ, ქარნი ხორშაკნი და წყალნი მავნებელნი, რომლისა მკვდრნი-ცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვთლებულნი, დანერტილნი და დამჭნარნი და დამლიერებულნი, ჩარადოვანნი, პირ-მსივანნი და დღემოკლედ ცხორებულნი; და მოხუცებული არავინ არს მათ ქუეყანათა“. (მ. სააკაშვილი, ა. გელაშვილი, საქართველოს მედიცინის ისტორია, ტ. III, ნაწ. I, თბ., 1956, გვ. 50, 86.). ამ მედიკურ-ტოპოგრაფიული აღწერით ეჭვი არაა, რომ ჰავიოგრაფიულ ძეგლში ლაპარაკია მალარიისაზე.

ბროკჰაუზ-ეფრონის ენციკლოპედიაში, რომელშიც XIX საუკუნის მეორე ნახევრის ვითარებაა ასახული, ვკითხულობთ: „Лихорадки злокачественные и осложненные заболеванием различных внутренних органов встречаются, по преимуществу, в тропических странах, хотя и в нашем государстве на Кавказе, в Закаспийском крае - наблюдаются подобия заболевания (აქაც და შემდგომაც ხაზი ჩვენია; ნ. ნ., რ. შ.). Особенно заслуживают внимания лихорадки поражением нервной системы, нередко, в короткий срок, ведущая к смертельному исходу“. (Энциклопедический словарь, Брокгауз-Ефрон, т. 36, СПб., 1896, ст. 512.).

ქართულ სამედიცინო წყაროებში მალარიის დაავადება ფართოდაა წარმოჩენილი: იგი შეტანილია სიცხიან („ცხროიან“) დაავადებათა ჯგუფში. (მიხ. შენგელია, ქართული მედიცინის ისტორია, თბ., 1980, გვ. 154.). ძველმა ქართველმა მედიკოსებმა მისი მრავალი სახეობა იციან: ორდლიანი, სამდლიანი, ოთხდლიანი და ა. შ.; აქვთ სათანადო წამლეულობაც და მიუხედავად მისი მძიმე და უსიამოვნო მიმდინარეობისა, მოურჩენელ დაავადებად არ თვლიან. როგორც ცნობილია, ჩვეულებრივ, ადგილობრივ მოსახლეობას

ენდემური დაავადების მიმართ შეგუებადობის, გარკვეული იმუნიტეტის შექმნის უნარი აქვს, მაშინ როდესაც მოსული უცხოელების შემთხვევაში ეს დაავადება უფრო ხშირად ლეტალური შედეგით სრულდება. ამასთან დაკავშირებით, იგივე ენციკლოპედია აღნიშნავს, რომ კავკასიაში, მალარიის კერებში (უპირატესად, მთის მდინარეების დაბლობებში) განლაგებული რუსული არმიის ქვედანაყოფთა ჯარისკაცების უმრავლესობა 3-4 წლის განმავლობაში მთლიანად ამომწყდარა. (Энциклопедический словарь, Брокгауз-Ефрон, т. 36, СПб., 1896, ст. 512-513.).

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია ის კლიმატურ-გეოგრაფიული გარემო, სადაც სიცოცხლის ბოლო წლების განმავლობაში წმ. ნინოს უხდებოდა მისიონერული მოღვაწეობა. ეს ადგილებია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი და კახეთ-კუხეთი, კერძოდ კი ივრისა და ალაზნის ხეობები: ერწუ-თიანეთი, კანარეთი, ჟალეთი, სოჯეთი, ბოდისი, ქცელ-დაბა, ყუარა. ამ მდინარეთა დაბლობი ტაობები დღესაც კახეთში მალარიის გავრცელების საშიშ კერას წარმოადგენენ.

აქედან გამომდინარე, თითქმის უეჭველად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქართლის განმანათლებელი წმიდა ნინო უნდა დასწეულეულიყო და გარდაცვილიყო ივრისა და ალაზნის ხეობების არეალში გავრცელებული სენით, მალარიით, ანუ, როგორც მას „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს სინური ვერსია უწოდებს — „სიცხისა და ჭურვებისაგან“.

როგორც ზემოთ ვთქვით, ქართული სამედიცინო ტრადიცია მალარიას მოურჩენელ სენად არ თვლის, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმ დროს, როცა წმ. ნინო მოღვაწეობდა, 31 წლის მისიონერი ქალწულის ცხოვრების უკიდურესად ასკეტურ წესსა და მისი ორგანიზმისთვის უცხო და მძიმე ადგილობრივ კლიმატს, მაშინ სრულიად გასაგები ჩანს, თუ რატომ გახდა მალარია ქართლის განმანათლებლისთვის ლეტალური შედეგის გამომწვევი, რის გამოც მან „მიიძინა ძილი იგი სანატრელი და აწ მეოხ არს ჩუენთჳს წინაშე ღმრთისა“.





დავით კაკაბაძე, ავტოპორტრეტი სარკეში.

ქეთევან  
 ცინჭურაშვილი

## მოქალაქის ავანგარდში

დავით კაკაბაძე

1911 წლის შემოდგომაზე, პეტერბურგში, ვასილიევის კუნძულზე, თბილისელი კირილე ზდანევიჩი, დედით ქართველი და მამით პოლონელი, იმ დროს პეტერბურგის სამხატვრო აკადემიის სტუდენტი, შეხვდა ლევ დმიტრიევ-კავკაზსკის — ცნობილ მხატვარს და კოლექციონერს, რომელმაც კავკასიის სიყვარულით დაუმატა საკუთარ გვარს ფსევდონიმი — კავკაზსკი. მოხუცმა მხატვარმა საუბარში ახსენა ნიჭიერი ქართველი სტუდენტი, გვარად კაკაბაძე, რომელიც მის სტუდიაში სწავლობდა. კირილე მეორე დღესვე მივიდა დავითთან შესახვედრად და შემდეგ იგი ლე დანტიუსთან დაპატიჟა — ფრანგული წარმოშობის ახალგაზრდა რუს მხატვართან, რომელიც პეტერბურგის სამხატვრო აკადემიიდან „მემარცხენე“ მიდრეკილებების გა-

მო გარიცხეს. კვირა დღეს, დავითი, კირილე და მისი ძმა — ილია მიხეილ ლე დანტიუს ესტუმრნენ. საუბარში დავითი რეალისტურ აკადემიურ პრინციპებს იცავდა, მისი ახალი მეგობრები კი ალტაცებით მოუთხრობდნენ უახლეს ხელოვნებაზე. ის ინტერესით ათვალიერებდა ლე დანტიუს კუბო-ფუტურისტულ ტილოებს (კირილე ზდანევიჩი, *მოგონებები*, ხელნაწერი). სამხატვრო სახელოსნოს პარალელურად, კაკაბაძე იმ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე სწავლობდა, ერმიტაჟში კი ძველი ოსტატების ტილოების ასლებს ასრულებდა.

დავით კაკაბაძე იმერეთის ბუნებამ გახადა მხატვარი. ბუნებიდანვე სწავლობდა, მაგრამ სეზანის, კანდინსკის და ზოგიერთი სხვა მხატვრის მსგავსად, უფრო ღრმად სწვდებოდა მას, ვიდრე ამის საშუალებას მხოლოდ გარეგნული აღქმა იძლევა. ეს იმიტომ, რომ მას სინათლე, სივრცე, ხაზი და ფერი უფრო შთააგონებდა, ვიდრე კონკრეტული გამოსახულება. მაგრამ შემოქმედების ადრეულ ეტაპზე ყველაფრის სწორედ კონკრეტულად ხილულთან შენონასწორებას ცდილობდა. მან არ იცოდა, თუ სადღაც, ბავარიაში ვასილ კანდინსკი უკვე მიუახლოვდა აზრს, რომ ორი სამყარო — ხელოვნებისა და ბუნების, ერთმანეთისგან დამოუკიდებელია, რომ ხელოვნებას თავისი დამოუკიდებელი კანონები აქვს, რამაც აბსტრაქციონიზმის ერთ-ერთ მამამთავარს განსაკუთრებული თავისუფლება შესძინა.

პეტერბურგის სამხატვრო ცხოვრებამ კაკაბაძის მხატვრად ფორმირებისათვის გადამწყვეტი როლი შეასრულა. აქ დაეუფლა იგი ხატვის აკადემიურ საფუძვლებს. აქ ეზიარა სიმბოლიზმს და არ ნუვოს. რუსეთი იმ დროს მსოფლიო ავანგარდული ხელოვნების ერთ-ერთ ცენტრს წარმოადგენდა. პეტერბურგში ფუტურიზმის მამამთავარი — მარინეტიც ჩავიდა. ახალგაზრდა მხატვრები „მირ ისკუსტვოს“ ტრადიციებს მოძველებულად თვლიდნენ და ახალ გზებს ეძებდნენ. იქმნებოდა ახალი გაერთიანებები. მოსკოვშიც ცოცხალი სამხატვრო — საგამოფენო მოძრაობა იყო გაშლილი. შჩუკინის და მოროზოვის კოლექციების წყალობით, საზოგადოება ფოვიზმსა და კუბიზმსაც კარგად იცნობდა.

მოდერნიზმი დიდ მეტროპოლიებში იშვა. ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის გარეშე მისი გავრცელება შეუძლებელი იქნებოდა, რადგან ეს არც მიმდინარეობაა, არც სტილი. ეს ეპოქისადმი დამოკიდებულების გამოხატვის ფორმაა.

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც 1910-იანი წლების პეტერბურგმა შესძინა მსოფლიო ავანგარდულ ხელოვნებას, კაზიმირ მალევიჩის სუპრემატიზმია, ხოლო ეს უკანასკნელი ორგანულად ამოიზარდა მის მიერვე შექმნილი კუბო-ფუტურიზმიდან. ლე დანტიუ სწორედ ამ სტილის მიმდევარი იყო. როგორც ჩანს, მასთან სტუმრობის შემდეგ გაჩნდა კაკაბაძის ჩანახატების ალბომში ორი ესკიზი, რომლებიც სულ მალე მის კუბისტურ ავტოპორტრეტს დაედო საფუძვლად. დავითმა ახალ ძიებებს მხარი აუბა. ზდანევიჩების და ლე დანტიუს წრეში იხილა მან ფიროსმანის ნამუშევრებიც. 1914 წელს კი, პეტერბურგის „ფანატიკოსმა ავანგარდისტმა“ (ჯ. ბოულტი) — პაველ ფილონოვმა სწორედ კაკაბაძესთან ერთად შექმნა ე. წ. „ფერმწერთა და მხატვართა ინტიმური სახელოსნო.“


დავით კაკაბაძემ პეტროგრადის უნივერსიტეტი ბიოლოგის დიპლომით დაასრულა და 1918 წელს საქართველოში დაბრუნდა. მალე, ქართველ ხელოვანათა საზოგადოების გამო-

ცია ძალიან ძლიერია.

1919 წელს, დამოუკიდებელმა საქართველოს მთავრობამ დავით კაკაბაძე, ზოგიერთ სხვა ახალგაზრდა მხატვართან ერთად, პარიზში გააგზავნა. მას უახლესი მხატვრული მიმდინარეობების შესწავლა და მათში საკუთარი თავის გამოცდა ჰქონდა დასახული მიზნად. მხატვარმა მუშაობა კუბიზმის განხრით დაიწყო, რაც პეტერბურგში დაწყებული ექსპერიმენტების გაგრძელებაც იყო. მას უფლება ჰქონდა თავი პარიზული მხატვრული ცხოვრების სრულყოფილებიან წევრად ეგრძნო არა მხოლოდ იმიტომ, რომ პარიზი ყველას უღებდა კარს, არამედ იმიტომ, რომ მხატვარი თვალს უსწორებდა დროს, რომელსაც თავად „მაშინიზმის და კინემატოგრაფის“ ეპოქა უწოდა. კინო-ფილმების ცქერისას მას არ აკმაყოფილებდა, რომ მათში სამი განზომილება არ აღიქმებოდა. მოდერნისტებს უკვე დიდი ხანია უარი ეთქვათ გეომეტრიულ პერსპექტივაზე, ფერის პრობლემებზე მხატვართა არაერთი თაობა მუშაობდა და კაკაბაძეც შეუერთდა ძიებათა პროცესს.

1921 წელს, ბრეტანში, დავითმა წყალზე მდგარი ნაგებობის ჯერ რეალისტური, შემდეგ კი, კუბისტური და ბიომორფული გამოსახულებები შექმნა. ყველა სერია აკვარელით არის შექმნილი და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ის განსაკუთრებულად იყენებს ამ ტექნიკას. ძირითადად იგი სიბრტყეზე სივრცის ასახვის პრობლემით არის დაკავებული, რომელსაც ჩინური და იაპონური გრაფიკის გავლენით წყვეტს, რაც დამახასიათებელია მოდერნისტული აზროვნებისათვის. ამ სერიებში ის თანდათანობით წყდება ხილულ სინამდვილეს და აბსტრაქციების გზას ადგება. თუ გავითვალისწინებთ ბიომორფულ ფორმებს სერიაში — „აბსტრაქციები ყვავილების ფორმებით“ და მათი შექმნის დროს, შეიძლება ვთქვათ, რომ კაკაბაძე ერთ-ერთი პირველი ქმნის ორგანულ აბსტრაქციას.

მხატვარს სულ თავში უტრიალებს სამგანზომილებიანი კინოს შექმნის იდეა. 1922 წელს ის ქმნის უსათვალლო სტერეო-აპარატს, რისთვისაც პატენტებს იღებს ამერიკიდან და ევროპის მრავალი ქვეყნიდან. იქმნება სააქციო საზოგადოება, რომელიც დავითს ტექნიკური აპარატის შექმნის და პირველი გამოსახულებების მიღების საშუალებას აძლევს, მაგრამ არასაკმარისი დაფინანსების გამო საქმე ბოლომდე ვერ მიჰყავს. შემდგომ, ამ ძიებების საფუძველზე, დავითი ქმნის კოლაჟებს, რომლებიც სახვით ხელოვნებაში მის განსაკუთრებულ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. კოლაჟის ენას 12 წლით ადრე მიაგ-



ფენაზე მან თავისი ფუნდამენტური ტილოები წარმოადგინა: „იმერეთი — დედაჩემი, „იმერული ნატიურმორტი, „იმერეთის პეიზაჟები“. ამ სურათებში შემოქმედი გვევლინება როგორც ჭეშმარიტად ეროვნული მხატვარი, რომელიც ერთსა და იმავე დროს კლასიციზტიც არის და მოდერნისტიც. მის კომპოზიციებში ყველა დეტალი გააზრებულია. არაფერი მერყეობს. მაგრამ შინაგანი რიტმი, პულსა-



ნო პიკასომ. ასევე ერთი დეკადით ადრე დუშანმა პირველი მზა ნაწარმი — რედი მეიდი შესთავაზა მაყურებელს. დადაისტები უკვე აქტიურად მიმართავდნენ ორივე ხერხს. კაკაბაძის კოლაჟები ორიგინალურია. ის იყენებს ლითონის ნაწილებს, ლინზებს, სარკეს, ხეს. ამ საშუალებებით შექმნილი მხატვრული გამოსახულებები ემბრიონალურ ფორმებს უახლოვდება. მხატვარი აქ ერთ-ერთი პირველი მიმართავს პულვერიზატორს ფონის დასაფერად. კომპოზიციების უშუალო ნაწილს წარმოადგენს ორიგინალური ჩარჩოები — ხის ან ლითონის, სხვადასხვა დეტალით გაფორმებული. ზოგიერთ კომპოზიციას უკანა მხრიდან ელექტრო-ნათურა აქვს მიერთებული. სარკე და მინა სიღრმის ახლებურად ასახვას ემსახურება და თანაც ამრეკლავი ელემენტები უფრო დინამიკურს ხდიან კომპოზიციას. მოციმციმე ნათურა ასევე დინამიკური ელემენტია. ამავე დროს, კომპოზიტიურად კოლაჟები ისევე კონცენტრირებული და განონასწორებულია, როგორც კაკაბაძის ნებისმიერი ნამუშევარი.

1924-25 წლებში დავით კაკაბაძე ძირითადად ბიომორფულ აბსტრაქციებს ქმნის. მათში ორგანული, მცენარეული და ემბრიონალური ფორმები სჭარბობს.

იზოლირებული მრუდხაზოვანი ფორმებით, თავისუფალ სივრცეში ერთი მონოლითური სილუეტის კონცენტრირებით, მისი ბიომორფული აბსტრაქციები ყველაზე მეტად ჰანს არპის ნამუშევრებს უახლოვდება. ფერების მონაცვლეობით სიბრტყეზე სიღრმის ილუზიის შესაქმნელად კაკაბაძე ღრმად შეისწავლის ჰელმჰოლცის და მაქსველის სამეცნიერო შრომებს და დიაგრამებს.

დავით კაკაბაძე არასოდეს ყოფილა არც დადაისტების და არც სიურეალისტების გაერთიანებათა წევრი. მაგრამ მისი კოლაჟები და ბიომორფული აბსტრაქციები ორივე მიმდინარეობას უახლოვდება. ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ სიურეალიზმის ადრეულ ეტაპს, როდესაც მირო, ერნსტი, მენ რეი, მასონი, არპი — მანამდე დადაიზმის ლიდერები, — სიურეალისტურ აბსტრაქციებს ქმნიან. კაკაბაძე ორგანულად აღმოჩნდა იმ ნაკადში, რომელმაც შემდგომ სიურეალიზმს ზურგი შეაქცია და განავითარა უკიდურესი აბსტრაქცია.

1926 წელს, ამერიკელი კოლექციონერი და მხატვარი, ავანგარდული ხელოვნების აპოლოგეტი ქეთრინ დრაიერი უახლესი ხელოვნების ნიმუშების შესაგროვებლად ევროპას ეწვია. უფრო ადრე, 1920 წელს, მან მარსელ დუშანთან და მენ რეისთან ერთად,

შექმნა ე.წ. ანონიმური საზოგადოება, რომლის მიზანიც სწორედ ავანგარდული ხელოვნების განვითარებისათვის ხელშეწყობა იყო. პარიზში, დამოუკიდებელთა სალონში, დრაიერმა კაკაბაძის სკულპტურა შეიძინა და სახელოსნოში ეწვია მხატვარს. ასე მოხვდა ბრუკლინის საერთაშორისო გამოფენაზე, რომელიც იმავე 1926 წელს მოეწყო ნიუ-იორკში, ქართველი მხატვრის ნამუშევრები. ამ გზით აღმოჩნდა ისინი იელის უნივერსიტეტის სამხატვრო გალერეის კოლექციაში. ანონიმური საზოგადოების და დრაიერის ძღვენი იელში, მოდერნული ხელოვნების უმდიდრეს კოლექციას წარმოადგენს. 1020 ნიმუშიდან, უმრავლესობა 1920-იანი წლების ავანგარდული ხელოვნების შედეგებია. კოლექციაში შედის მონდრიანის, გაბოს, კანდინსკის, დუშანის, მენ რეის, ბრანკუსის, პევზნერის, ბოჩონის, მოჰოლი-ნაგის, მალევიჩის და სხვათა ნამუშევრები. აქვეა წარმოდგენილი კაკაბაძის სკულპტურა — „Z, განგმირული თევზი“ (1926) და მისივე 16 აკვარელი (1921). აღნიშნულ მხატვრებთან ერთად, იელის კოლექციაში კაკაბაძე თანადროული მსოფლიო ხელოვნების ავანგარდში დგას და ეპოქას წარმოაჩენს.

სკულპტურის შესაქმნელად კაკაბაძე ისევე ხეს, ლითონს, ლინზებს და სადა, ორგანულ ფერებს იყენებს. სიბრტყეზე მიგნებული ფორმები სივრცეში გააქვს. დიაგონალი, რომელიც სიბრტყეზე სიღრმეს მიანიშნებს, სკულპტურას ისრის სახით აქვს მორგებული და ფორმას გარემოს დინამიკურ ნაწილად აქცევს. თავისი სრულყოფილი ფორმით „Z“ ახალი მხატვრული ეპოქის ორნამენტად შეიძლება მივიჩნიოთ — იმ ეპოქის, რომელმაც მეოთხე განზომილება შემოიტანა ცნობიერებაში და შეცვალა დამოკიდებულება დროისა და სივრცის მიმართ.

იმავე 1926 წელს, დავით კაკაბაძემ კიდევ ერთი სკულპტურა შექმნა, მაგრამ მისი ბედი უცნობია. ფოტოს მიხედვით, ეს ასევე აბსტრაქტული ქანდაკებაა. ემბრიონალური ფორმა აქაც სახეზეა. ის უფრო გამოხატულად ჰგავს თევზს, ვიდრე დრაიერის მიერ თევზად წოდებული „Z“. ეს სკულპტურაც ხის უნდა იყოს. აქაც გამოყენებულია ლითონის დეტალები და სარკისებრი ლინზები. თუმცა, ფორმაც და ნახატიც ამ შემთხვევაში უფრო დანაწევრებულია. სკულპტურის „მკერდი“ აბსტრაქტული ნახატიც არის დაფარული, რომელიც კაკაბაძის იმავე პერიოდის აბსტრაქტულ კომპოზიციებს უახლოვდება.

დავით კაკაბაძის მიერ 1926-27 წლებში, პარიზიდან წამოსვლის წინ შექმნილი ფერწე-

რული აბსტრაქციები ნათლად ამჟღავნებენ, რომ ავტორი არის მეცნიერი — ბუნებისმეტყველი. კომპოზიციები კოსმიურ პეიზაჟებს ან მიკროსკოპში დანახულ პლაზმას მოგვაგონებენ. ზოგი დეტალი დღევანდელ ექო-გამოსახულებებსაც ემსგავსება. წინა პერიოდის აბსტრაქციებთან შედარებით, აქ ნახატი უფრო დანვრილმანებულია. გარეგან ჩარჩოს, მის პარალელურად, მიუყვება საღებავის ხაზით შემოფარგლული შიდა ჩარჩო, რომელიც მაორგანიზებელ ფუნქციას ასრულებს მაშინაც, როდესაც ნახატი სცილდება ამ შიდა ზღვარს. ფერადოვანი კომპოზიციები, ერთსა და იმავე დროს, როგორც ცის კაბადონთან, ისე ბიოლოგიურ უჯრედთან სიახლოვით, გვიჩვენებენ, რომ ბუნებაში მაკრო- და მიკრო- სამყაროები ერთსა და იმავე წესრიგზეა დაფუძნებული. ეს ის წესრიგია, კოსმიურ ქაოსსაც კი გარკვეულ ორგანიზაციულ წყობას რომ ანიჭებს. კაკაბაძის შემოქმედება სწორედ ამ მყარ ნიადაგზე დგას. ის ბუნებაში ჰპოვებს შთაგონებას და შეიძლება ე.წ. კონკრეტული



ხელოვნების წინამორბედად ჩაითვალოს. ეს მიმდინარეობა 1931 წლიდან განვითარდა ევროპაში, როდესაც სამშობლოში დაბრუნებული კაკაბაძე უკვე მონყვეტილი იყო ხელოვნების განვითარების ლოგიკურ გზას. კონკრეტული ენოდა უკიდურესად აბსტრაქტულ ხელოვნებას, რომელსაც არ ახასიათებს ობიექტურ რეალობასთან თუნდაც მცირე ნატურალისტური მსგავსება, მაგრამ იმავე ჰარმონიაზეა დაფუძნებული, რაზეც უნივერსალური სამყარო. „აბსტრაქტული ხელოვნება ათავსებს ახალ სამყაროს, რომელსაც ერთი შეხედვით არაფერი აქვს საერთო რეალობასთან, რეალური სამყაროს გვერდით. უფრო ღრმად, მას „კოსმიური სამყაროს“ კანონები მართავს. და ამგვარად, „ხელოვნების ახალი სამყარო“ „ბუნების სამყაროსთან“ არის გადა-

ჯაჭვული. ეს „ხელოვნების სამყარო“ ისევე რეალურია, როგორც კონკრეტული. ამიტომ ვამჯობინებ ე.წ. „აბსტრაქტულ ხელოვნებას“ ვუნოდო „კონკრეტული ხელოვნება“, — წერს კანდინსკი (Kandinsky, by Hajo Duchting, Taschen, 2000, p. 86). მასთან ერთად, 1930-40-იან წლებში კონკრეტული ხელოვნება განავითარეს არჰმა, მირომ, გაბომ და სხვებმა.


დღევანდელი ტექნოლოგიები ადამიანის ორგანიზმში შეღწევის და ემბრიონის განვითარების ფაზების დაკვირვების საშუალებას გვაძლევენ. კაკაბაძის დროს, იმის მსგავსი ფერადი და თანაც სამგანზომილებიანი გამოსახულებები, როგორსაც დღევანდელი აპარატები იძლევა, არ არსებობდა. მაგრამ მისი თვალის თითქოს ამ შესაძლებლობებს ფლობდა, ორგანულ ფერებს და ფორმებს ჭვრეტდა. როგორც ჩანს, ფსიქოანალიზმმა, ქვეცნობიერში შეღწევის სურვილმა მხატვრებს არა მხოლოდ ადამიანის აზროვნებაში, არამედ მის სხეულში ვირტუალური მოგზაურობის უნარიც მისცა. კაკაბაძემ — ბუნებისმეტყველმა, ნაუმ გაბოს მსგავსად, რომელიც განათლებით ინჟინერი იყო, მუშაობის პროცესში გამოიგონა აბსტრაქტული ფორმები, რომელთაც ანალოგი არ აქვთ ბუნებაში, მაგრამ მათ მსგავსს ხშირად ვხედავთ დღევანდელი კომპიუტერული აპარატების ეკრანებზე.

გასაბჭოებულ საქართველოში მხატვარს ისეთი სიტუაცია დახვდა, რომელსაც ვერ წარმოიდგენდა. კოლეგები ნამუშევრებში გამოყენებულ „რალაც კუბებს და მინებს“ უწუნებდნენ, კრიტიკოსები თავს ესხმოდნენ. სანამ არსებულ მდგომარეობაში გაერკვეოდა, დავითი თეატრის და კინოს დიზაინზე გადაერთო და ალღუმების გაფორმებაშიც იღებდა მონაწილეობას. საქართველო ამ დროს უკვე კომუნისტური ბანაკის ნაწილი იყო. ზოგი მოდერნისტული „გადმონაშთი“ ინერციით კიდევ განაგრძობდა არსებობას, მაგრამ თანდათანობით ახლოვდებოდა ის დრო, როდესაც „რკინის კარი“ საბოლოოდ ჩაირაზა და საბჭოთა რესპუბლიკები ხელოვნურად მონყვეტეს დანარჩენ სამყაროს. 1932 წლიდან სოცრეალიზმი დაკანონდა, როგორც ერთადერთი დაშვებული სტილი ხელოვნებაში. კაკაბაძემ იმ დრომდე თეატრში მოასწრო ისეთი ნოვატორული ნამუშევრის შექმნა, როგორც არის სპექტაკლის — „ჰომ-ლა, ჩვენ ვცხოვრობთ“ (ე.ტოლერის პიესა, ქუთაისი — ბათუმის თეატრი, რეჟისორი კ. მარჯანიშვილი, 1928) — გაფორმება. აქ მან კოლაჟებში მიღებული ხერხები სასცენო სივრცეში გადაიტანა. სპექტაკლში ჩართული კინო-ფრაგმენტები, განათების ეფექტები, — ყველაფე-

რი მოქმედებაში მონაწილეობდა და თამაშის პირობასაც განსაზღვრავდა.

1929 წელს დავითმა გააფორმა მ. კალატოზიშვილის მუნიცი ფილმი „სვანური მარილი.“ მისი ნამუშევარი ამ ფილმში კინოს მხატვრობის ნამდვილი შედეგია. სინათლის ზემოქმედებით, აქ განსაკუთრებული დატვირთვა ეკისრება ხაზს და რიტმს, შავის და თეთრის კონტრასტებს, სივრცეს.

1930-იანი წლებიდან დავით კაკაბაძე კვლავ დაუბრუნდა პეიზაჟის თემას. მოთხოვნები რომ დაეკმაყოფილებინა, იმერეთის „ხალიჩისებრ“ პეიზაჟებში მან ელექტროსადგურის გამოსახულებაც ჩართო. არც ეს მოუწონეს — სოციალიზმის მშენებლები არ ჩანანო. ერთ-ერთ სურათში, იმერეთის მთის ქვეშ, დემონსტრანტები წარმოადგინა, ტრანსპარანტებით („მიტინგი იმერეთში“, 1942), რომლებზეც ლენინი, სტალინი და ბერია იყვნენ გამოსახული. სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც ხრუშჩოვმა ბრძოლა გამოაცხადა „პიროვნების კულტის“ წინააღმდეგ,



ამ ტილოზე ბერიას და სტალინის პორტრეტები საღებავებით გადაფერეს.

წლების განმავლობაში მხატვარი თბილისის სამხატვრო აკადემიაში ასწავლიდა, მაგრამ 1948 წელს, მოსკოვის კომისიის გადაწყვეტილებით, კაკაბაძეს შრომის წიგნაკში ჩაუწერეს, რომ მას არ შესწევდა სტუდენტების სოციალისტური რელიზმის პრინციპებით აღზრდის უნარი. „ფორმალისტი“ მხატვარი სამსახურიდან დაითხოვეს. უხეღფასოდ დარჩენილი, ის სხვადასხვა მმართველობით ორგანოს თუ საგანმანათლებლო დაწესებულებას (მათ შორის, საშუალო სკოლებს) მიმართავდა, რათა საპენსიო სტაჟის შესავსებად, სამი წლით მაინც მიეცათ რომელიმე დისციპლინის, მაგალითად, ხატვის, ხაზვის, ბიოლოგიის, ფიზიკის ან ფრანგული ენის

სწავლების საშუალება. წერილებზე არავინ პასუხობდა.

სიტუაციიდან რაციონალური პროფესიული გამოსავლის მიკვლევის სურვილმა მხატვარი კვლავ ავანგარდულ შემოქმედებით აღმოჩენამდე მიიყვანა. მან სტალინის მოცულობითი პორტრეტის შექმნა გადაწყვიტა. 1950 წელს მან გამოიგონა ფოტოდან ან სხვა სახის ბრტყელი გამოსახულებიდან მოცულობითი გამოსახულების მიღების ნოვატორული მეთოდი. დავით კაკაბაძის სახელოსნოში შემოინახა როგორც ამ ჩანაფიქრის თეორიული აღწერილობა და ნახაზი, რაც გამოქვეყნებულია პ. მარგველაშვილის მიერ, ისე მის მიერ მინაზე შესრულებული მცირე ზომის (9სმ X 12სმ) ესკიზები. ჩანაფიქრი შემდეგში მდგომარეობს: ფოტოზე არსებული გამოსახულება ნანევრდება ურთიერთპარალელურ ვერტიკალურ მკვეთავ სიბრტყეებად — წინა პლანზე არსებული ნაკვთიდან (კერძოდ, ცხვირის წვერო) და შემდეგ, მონაცვლეობით, თვლების და ყურების გავლით, თმების ჩათვლით, უკანა ხედვით პლანამდე. თითოეული შერჩეული სეგმენტი უნდა გადაღებულ (ან დახატულ) იქნას გამჭვირვალე მინაზე. დავით კაკაბაძეს რამდენიმე ვარიანტი აქვს შესრულებული და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, 12 მინა აქვს გამოყენებული. შემდგომ, თითოეული მინა, იმავე თანმიმდევრობით და ერთმანეთისაგან ისეთი დაშორებით განლაგდება, როგორც რეალობას შეეფარდება და კონსტრუქცია გამჭოლად ნათდება. მიღებული გამოსახულება რეალისტურად აღიქმება, ამასთან, სამ განზომილებაში. პროექტის ესკიზები სრულიად ნათელს ხდის, თუ რამდენად შთამბეჭდავი იქნებოდა დიდი ზომის მინის ფილებიდან შექმნილი, სათანადოდ შენათებული მოცულობითი გამოსახულება. ეს უნდა ყოფილიყო ნოვატორული კონსტრუქცია, ახალი სიტყვა ხელოვნებაში. პირადად დავით კაკაბაძის შემოქმედებაში ეს მისი მხატვრული ძიებების და გამოგონებების ლოგიკური გაგრძელება იქნებოდა. ტექნიკური თვალსაზრისით, ეს ჩანაფიქრი ლაზერამდელი ჰოლოგრაფის, ხოლო მხატვრული თვალსაზრისით, ლაით (სინათლის) და საიბერ (კიბერნეტიკული) არტის წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ პოლიტიკური სიტუაციის გამო დიდი ქართველი ავანგარდისტის ჩანაფიქრი ჩანაფიქრად დარჩა. სულ მალე ის გულის ინფარქტით გარდაიცვალა.



დავით კაკაბაძე

თაბთა  
შავკუნიძე

## მომხიბლავი ახიობა და სისხლად ალახ ახის

გასული საუკუნის ოცდაათიან წლებამდე პერიოდი (ვიდრე სოცრეალიზმის დიდი მითი ამოქმედდებოდა) ჩვენი კულტურისათვის გარე სამყაროსთან პირისპირ დგომის დიდ ეპოქად ჩამოყალიბდა. 900-იან წლებში, ეროვნული გონისათვის უკვე დამთავრდა მხოლოდ რუსული კულტურული კოდით ტრანსკრიფციურებული ევროპული კულტურული მოდელების ათვისებისა და მხოლოდ მონაფის როლით გაპირობებული დიდი ღუმლის ეპოქა. საუკუნეთა მიჯნაზე, სამოციანელთა ენერგიით ნაკვებმა და ეროვნული პოტენციის თვითკმარობის განცდით აღჭურვილმა ქართულმა კულტურამ დიდ სამყაროსთან თანაბარი დიალოგის სურვილი გაამჟღავნა.

ცხადია, ეს სურვილი, უპირველესად, მცირერიცხოვანი ერების კულტურებისთვის დამღუპველი, პროვინციულად თვითკმაყოფილი,

სხვის მიერ ჩვენთვის და ჩვენს ნაცვლად გარკვეული გზის დათმობისა და სიმშვიდის გარემოდან დიდი სამყაროს მუდმივი ძიებების ქაოსის, „პერმანენტული დეკონსტრუირებისა“ და ტრაგიკულობით აღბეჭდილი ოპტიმიზმის ფონზე მოქმედების სურვილში ტრანსფორმირდა.

ამიტომ, ამ ეპოქის ლიტერატურა და ხელოვნება მუდმივად მოიაზრება როგორც ახალ დროში, ახალი ქართული ცნობიერების „ჩანერისა“ თუ თვითიდეინტიფიცირების საწყისი წერტილი. შესაბამისად, ამ წლების მწერალთა (დ. კლდიაშვილი, მ. ჯავახიშვილი, ჭ. ლომთათიძე, გალაკტიონი, ცისფერყანწელები, მოგვიანებით კი კ. გამსახურდია, ნ. ლორთქიფანიძე და სხვები) თუ მხატვართა („პარიზელი ქართველები“ თუ სხვები) შემოქმედებაში, რაც არ უნდა პარადოქსულად ყდერდეს, ღმერთის სიკვდილისა და შესაბამისად, სამყაროს ალოგიკურობით მდგომარეობადაკარგული ადამიანის თემა (სხვა „ევროპეიზებული“ თემების გვერდით) გაყდერდა არა როგორც ჩვენს სინამდვილეზე „განფენილი“ მოდური, ლიტერატურული ან ფერწერული (იმ წლების უშფოთველობისა და მხოლოდ „მოდური ტკივილების“ ილუსტრაციად გ. გაბაშვილი და აშულური პოეზიაც გვეყოფა) ტკივილი, არამედ ცდად იმისა, რომ ჩვენივე, ჩვენთვის თურმე უცნობი, ალოგიკური სამყაროს ქაოტურობაში როგორ შეიძლება მოინახოს და გამთლიანდეს ახალი, XX საუკუნის ევროპისაკენ მზირალი პიროვნება.

უფრო მეტიც, ამ წლებში მოღვაწე შემოქმედთა უპირველესი საზრუნავი ისიც იყო, რომ არა მხოლოდ დაეფიქსირებინა მოულოდნელად (თუ კანონზომიერად) შეცვლილი, რომანტიკოსთა და რეალისტთა მიერ „ლაკირებული“ გარე და შიდა ფსევდოსამყაროების მიღმა „აღმოჩენილი“, დარღვეული სამყაროს, არამომზიდველი სახე, არამედ გამონახულიყო სულიერი თვითორგანიზაციის მაქსიმალურად ოპტიმალური ფორმები ისე, რომ ადამიანის თვალსაწიერი მეტად აღარ დატვირთულიყო მატერიალისტური სიმულაკრებით თუ მექანიკურად ტრანსპლანტაციურებული სახელოვნებო თუ სააზროვნო მულაყებით.

შესაბამისად, ეთნომენტალობის ახალ პარამეტრებში მოაზრებისა და გარე სამყაროსთან სრულფასოვანი თავსებადობისათვის წარმოებული ძიებები, რომლის სახელითაც ხდებოდა არა მხოლოდ ძველი ღირებულებების გადაფასება, არამედ ახლის დამკვიდრებაც, იმ ეპოქის ქართულ რეალობაში რამდენიმე „ნაკადად“ გაფორმდა, სადაც ჩვენთვის

პრიორიტეტული, ბუნებრივია, რეალობის ვირტუალური (ლიტერატურა) და ვიზუალური (ფერი და ფორმა) კოდებისა და ნიშნური სისტემებისაგან შედგენილი ბინარული სამყაროა.

ამიტომ შევეცადეთ, რომ ფრთხილი ვარაუდებისა და „სილუეტური“ მონიშვნების ფარგლებში ვაჩვენოთ ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ნიშნური სისტემებით (ვიზუალური და ვირტუალური) ჩამოყალიბებული ერთი და იმავე ისტორიულ-გეოგრაფიული ლოკალის „იმერეთის“ სხვადასხვა დროში შექმნილი, სხვადასხვა ღირებულებების მქონე სამყაროები. აქვე აღვნიშნავ, რომ დ. კლდიაშვილის მიერ მოდელირებული იმერეთი თავის თავში შეიცავს როგორც XIX საუკუნის რეალისტური ლიტერატურის ტრადიციულ კანონებზე დამყარებულ, მასობრივ მოთხოვნებს, ისე ელიტარულ-ინტელექტუალურ ნაკადებს, რომლის მიმართება მკითხველისადმი, პირველი ნაკადისგან განსხვავებით, ბევრად რთულია და ემყარება როგორც ისტორიულ-კულტურულ გამოცდილებას, ისე გამახვილებულ კულტურულ ინტუიციას (მარტო „შერისხვა“ და „როსტომ მანველიძე“ რად ღირს).

რაც შეეხება ზემოთ ხსენებული ნაკადების მეორე „მონაწილეს“, ფერწერას, ამთავითვე უნდა ითქვას, რომ დ. კაკაბაძის იმერეთის კოდი თუ სემიოსქემები იმთავითვე ინტელექტუალზე იყო გათვლილი და იგი ბინარული, მისი თანამედროვე ქართულ-ევროპული კულტურული მიმართებებისა (ამის მშვენიერ მაგალითად შალვა ქიქოძეც გვეყოფა) და ისტორიულ-კულტურული გამოცდილების (მხოლოდ „დედა, იმერეთიც“ იქნებოდა საკმარისი) კონტექსტის მატარებელია.

დ.კაკაბაძე, თავისი „იმერული პეიზაჟებით“ თუ დ. კლდიაშვილი „შემოდგომის აზნაურების“ ხასიათების ტრაგიკული ხატოვანებით პრაქტიკულად სხვადასხვა სამყაროების პარადიგმას ქმნიან, სადაც „იმერეთისა“ და „იმერლების“ ფუნქციას, უკვე სუბკულტურულ არტექსტად ქცეული „იმერეთის“ და „იმერელის“ ნილაბი ასრულებს.

ეს გარემოება განსაკუთრებით საჩინოვდება იმით, რომ დავით კაკაბაძესთან იმერეთი უმთავრესად იმერლების გარეშეა წარმოდგენილი („იმერული პეიზაჟების“ სერია, პრაქტიკულად პერსონალიების გარეშეა ფიქსირებული), ხოლო დავით კლდიაშვილთან, იმერლები იმერული ანტურაჟის მიღმა არიან დარჩენილნი (იგი იშვიათად იყენებს პეიზაჟის აღწერას). შესაბამისად, ამ ორი დიდი ხელოვანის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ერთობლივი პროექტის“ ვირტუალური და ვიზუალური

პლასტიკის დეკონსტრუირებისას, მათი გამაერთიანებელი, ლორკასეული, მაგრამ ყველასათვის საერთო „დუნედეს“ „გასაქართულებლად“ ავტორს ბალანსირება ამ ავტორთა ფერწერთადაბგერწერთ „კონსტრუირებული ნილბის“ გამყოფ (შიდა –დ. კლდიაშვილი, გარე დ. კაკაბაძე)ზღვარზე მოუწევს.

ცხადია, ჩვენი ავტორები მკითხველზე თუ მნახველზე, ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული ინსტრუმენტარით სხვადასხვა დროში, მაგრამ ერთი და იმავე ღირებულებით – იმერეთით ზემოქმედებენ. ეს მარბიექტივირებელი გარემოება კი აერთიანებს, როგორც ავტორის, ისე მისი მკითხველის თუ მნახველის სუბიექტურ-ლირიულ „საყრდენებს“, ამუკანასკნელის ღირებულებრივ პარამეტრებსაც ამ კულტურული თუ სუბკულტურული გარემოსთვის თვითკმარ მენტალურ ღირებულებად ჩამოყალიბებული ირონიული და თვითირონიული განწყობები განაპირობებენ.

ასეთი კლიშირებული წარმოდგენების მიუხედავად, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში მაინც შევეცდებით მოვნიშნოთ, დ. კლდიაშვილისა და დ. კაკაბაძის „იმერეთების“ მაინტეგრირებელი ფაქტორები, რომელთაგან ერთ-ერთი უმთავრესი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ნილაბია.

## ნილაბი

„ერთი-ორი შეპატიჟებით რავა დარჩებოდა, შე ქალო! გადამთიელი ხომ არ არი, ჩვენებური ჩვეულება არ იცოდეს...“ დავით კლდიაშვილის ეს ფრაზა ნებსით თუ უნებლიეთ ჩამოყალიბდა როგორც XIX საუკუნის ბოლო პერიოდის „იმერლის“ უმეტესად, აზნაურის მენტალური საფუძვლების ჩამომყალიბებელი და ქართულ კულტურულ სივრცეში ირონიითა თუ თვითირონიით კონსტრუირებული კონფიგურაციის მაკონსტიტუირებელ ფაქტორად.

როგორც მხატვარმა, ისე მწერალმა, ერთ სუბკულტურაზე, ერთ იდეაზე აგებული „იმერეთის“, „იმერლობის“ იდეა, ევროპიდან „იმპორტირებული“ ტრანსკულტურული კონცეპტებით როგორც უკვე აღვნიშნეთ, ერთიან ქართულ კულტურაში თავისებურ სუბკულტურულ მარკერად, ანუ ნილაბად ჩამოაყალიბებს. თუ დავით კაკაბაძისთვის ტრანსკულტურულ კონცეპტთა სისტემა კონსტრუქტივიზმში კონცენტრირდა, დავით კლდიაშვილისთვის და საერთოდაც იმ წლებების ქართული მწერლობისათვის (მ. ჯავახიშვილი, ნ.ლორთქიფანიძე, კ. გამსახურდია და

ა.შ.) ეს სისტემა ღმერთის სიკვდილის იდეაში ტრანსფორმირდა.

შესაბამისად, იმერეთი, როგორც მონო-კულტურული მთლიანობის აღქმა და იმერელი, სივრცეში მოძრავი მონოპიროვნება დაიშალა. სამყაროს „ნაკითხვა“ უკვე დიფერენცირებული კულტურული ღირებულებებით და დაშლილი ფსიქიკით მოხდა. ხოლო დაშლილი სამყაროს მწვავე პრობლემები ირონიისა და თვითირონიით კონსტრუირებული ნიღბით (ანუ ფართი) იქნა მოგერიებული.

ჩვენი მხატვრისა და მწერლის მიერ სამყაროს ამგვარ კონტექსტში აღქმას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ევროსივრციდან „მოზიდული“ ტრანსკულტურული არქეტიპები უდევს საფუძვლად, რომელთა ფართოდ გამოყენებამ, მათთან შემოქმედებით წარმატებებთან ერთად, სამუდაოდ დაკარგულ ეროვნულ ღირებულებათა გამო გაუსაძლისი სევდა გამოიწვია.

### იმერეთი იმერლავის გარეშე?

კაკაბაძისა და კლდიაშვილის პეიზაჟები ერთნაირი ლაკონიზმით გამოირჩევა. დავით კაკაბაძე, ფერადოვანი ლოკალებით და მკვეთრი კონტურებით გამოყოფს ერთმანეთისგან მიწის მცირე მონაკვეთებს და მათივე მეშვეობით აკონსტრუირებს მთელ პეიზაჟს.

მისი კოლორიტის თავისებურებას და დრამატული აქცენტების სწორედ ფერის მეშვეობით გამოკვეთას ოდნავ ქვემოთ შევხებით, ახლა კი აღვნიშნავ, რომ მის „იმერულ პეიზაჟებში“ თითქმის არსად ფიგურირებს ადამიანი. თითქოს ადამიანს აღარ გააჩნია რესურსები და ნება, რათა კვლავ იბატონოს სამყაროზე (დ. კლდიაშვილი „როსტომმანველიძე“, „ქაშაშაძის გაჭირვება“), სწორედ ის მომენტი რომ „დ. კლდიაშვილის გმირებს მკვიდრად აღარ უდგათ ფეხი ნიადაგზე – რომ ისინი ებლაუჭებიან მას“ (ა. განერელია), აიძულებს ადამიანს გაქრეს თვალსაწიერიდან.

„იმერეთი“ კაკაბაძესთან მხოლოდ სახელმინიჭებულ გეოგრაფიულ ფიქციად იქცა, და ადამიანისგან დაიცალა. კაკაბაძესთან ვიზუალურად დასრულდა ის პროცესი, რაც კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურებთან“ აზრობრივად დაიწყო, ადამიანი ნელ-ნელა „დაპატარავდა“, დაკარგა ბედნიერების განცდა და არსებობის მოსაპოვებელ ბრძოლაში დაუნდობელი და ღმერთმკვდარ სამყაროს უსუსტეს რგოლად გადაიქცა.

კლდიაშვილის „პატარა ადამიანებს“ თან ახლავს ტრაგიკული აუდიოფონი, რომელიც პერსონაჟთა ფიქრებში, ეჭვებში და შიშებშია

გამოვლენილი (კაკაბაძესთან სრულიად ქრება აუდიოფონი და მისი პეიზაჟები ბუნების შიშისმომგვრელი სიჩუმით არის გაჯერებული).

თუმცაღა, სამართლიანობის გამო უნდა აღინიშნოს, რომ დ. კაკაბაძეს „იმერული პეიზაჟის“ სერიაში რამდენიმე კომპოზიციაში, სადაც მხატვარი „კომპრომისზე“ წავიდა და პეიზაჟი მაინც „დატვირთა“ ადამიანური ელემენტით („იმერეთი“, 1915 წელი), ანდა მისი ანალოგიით შედარებით გვიანდელი „სვანეთი, მადნის დამუშავება“ 1949 წელი, „მიტინგი“ 1934 წელი, სადაც ყველა და ყველაფერი უსუსური და უმნიშვნელო ჩანს საკუთარ სიდიადეში ჩაკეტილი და ადამიანისადმი გაგულგრილებული ბუნების ფონზე. ამ კომპოზიციებში პეიზაჟის დრამატიზმი გაძლიერებულია დ. კაკაბაძის მიერ წითელი ფერის (რომლის სიმბოლიკა სხვა დანარჩენთან ერთად აქტიურად მოიცავს ჩასაფრებულ და გაუჟღერებელ, მაგრამ ამკარად მოსალოდნელ საშიშროებას) სხვადასხვა ტონალობების ხშირი ვარირებით.

### „გზა და უზგოზა“

1918 წელს შესრულებულ ტილოში „წითელი გზა“, გზის ქრონოტოპი ცენტრალური სააზროვნო სისტემაა, რომლითაც კონსტრუირებულია არა მხოლოდ დავით კაკაბაძის უკაცრიელი, არსად მიმავალი გზები, არამედ დავით კლდიაშვილის ახმაურებული, მუდამ ბრეგაძეებში (ანუ წარუმატებლობის მანდალაში) მიმავალი გზები. ეს სიმბოლიზებული ქრონოტოპი თავისი აურატული ენერჯით სწორედ გზაზე მოძრავი პლატონ სამანიშვილისა და გზაზე ვერ გამოსული დავით კაკაბაძის უსახელო გმირის მაკონსტრუირებელი ფენომენია. ეს თეზა (დ. კლდიაშვილი) და ანტითეზა (დ. კაკაბაძე) გზაზე მუდმივად მოძრაობენ, რადგანაც გზა მათთვის ერთადერთი ტრაგიკული მედიუმია საკუთარ სივრცესა და სხვა დანარჩენ სამყაროებს შორის. პერსონაჟების არსებობის სიტუაციური დრამატიზმი სწორედ იმაში ვლინდება, რომ გზა როგორც კლდიაშვილთან, ასევე კაკაბაძესთან – სივრცეში არა განგრძობადი და შესაბამისად იმიტაციური მოვლენაა, რომელიც ან საწყის ნერტილს უბრუნდება (დ. კლდიაშვილთან) ან კიდევ, უსაწყისოდ სრულდება (დ. კაკაბაძესთან). ასე იქმნება ის უხილავი და მოჯადოებული წრე, რომლის გარღვევა აპასფეროვით განწირულ „შემოდგომის“ არცერთ აზნაურს (ანუ წელიწადში ერთხელ შემდგარ პიროვნებას) არ შეუძლია.

## დიალოგური მონოლოგები

სწორედ გზას „დაადო“ კაკაბაძემ წითელი ფერი და სწორედ წითელი ფერით გაამძაფრა ის ფარული საშიშროება, რომელსაც გზის, როგორც იდეის პოტენცია შეიცავს (რომელი გზის, გოლგოთისა ხომ არა?). ამგვარმა უგზო გზამ დაკარგა ადამიანის მიზნისკენ გადამყვანისა და მედიატორის ფუნქცია და იქცა მახედ, რომელსაც თავს ვერაფერს დააღწევს. ეს სავსებით ლოგიკურია, რადგან „შერისხვის“ გმირებმა (თუ უგმირო ტრაგედიის უხმო და ჩუმმა მონაწილეებმა?) დაკარგეს ღმერთი და შესაბამისად, მათთვის გზა, როგორც ვერტიკალის გამომვლენი მედიუმი გაუქმდა. გზის გაქრობასთან ერთად გაქრა ის, ვინც ამ გზას ქმნიდა და ვინც გზის ბოლოს ელოდებოდა.

ღმერთი დაიკარგა.

ღმერთის სიკვდილის ტრაგიკულობაში ორივე შემოქმედი იძულებული გახდა სუბლიმირება დუმილში მოეხდინათ და ამიერიდან მათი ყველაზე „ხმაურიანი“ და მნიშვნელოვანი პერსონაჟი დუმილია. იგი დასახლდა დავით კაკაბაძის „იმერულ პეიზაჟებში“, რომელთაგან ერთ-ერთი მათგანი „იმერეთი ომის დღეებში“ (1941-1942 წწ.) განსაკუთრებულია. სტანდარტულად ფერმხიარული იმერული კლიშე ფერმწერმა აქ დუმილის ტრაგიკულ იდუმალებად „დაშალა“. ამიერიდან იმერეთის „მადეკოდირებლად“ მხატვარმა დუმილი აქცია.

რატომ?

აუტანელი დუმილითაა გაჯერებული რუხი ცა, რომელიც ზემოდან დამთრგუნველად „კეტავს“ მაღლა მსწრაფველ ყვითელ და წითელ ფერებში „აჯანყებულ“ პეიზაჟს და ანიველირებს ოდესღაც მრავალხმიან აუდიოფონს. ასეთივე თავზარდამცემი და ყოვლისმომცველი დუმილის მსხვერპლია კაცია საგინაშვილიც (დ. კლდიაშვილის „შერისხვა“), რომელმაც მის სიმძიმეს ვერ გაუძლო და მდუმარედ გაეცალა მასშივე დამსხვრეულ ქვეყანას.

დუმილი კი ქრისტიანულ ფილოსოფიაში (რომელიც აღმოსავლურ ქრისტიანულ ხატუნერაშიც გამოვლინდა) ღმერთამდე მისასვლელ აუცილებელ გზად მოიაზრებოდა, რომელიც უკვე დ. კლდიაშვილისა და დ. კაკაბაძისეულ „მდუმარე ნაწარმოებებში“ ღმერთმკვდარი ეპოქის მდუმრებაში ტრანსფორმირდა. ამ ამოუვსები სიცარიელით გამონვეული გაოგნება, როგორც დ. კაკაბაძის „იმერულ პეიზაჟების სერიაში“, ისე დ. კლდიაშვილის იმერულ მოთხრობებში შინაგან მონოლოგად ჩამოყალიბდა, რომელმაც პარადოქსული დიქხოტომია – დიალოგური მონოლოგები წარმოშვა.

დავით კაკაბაძის პეიზაჟები მაყურებლისგან გაუცხოებულია – არადიალოგური და ჩაკეტილია. მხატვარსა და მნახველს შორის ემოციურ-აზრობრივი, უფრო მეტიც, სივრცული დისტანცირება ფაქტორთა მთელი მწკრივით არის გაპირობებული, რომელთაგან რამდენიმეს ქვემოთ შევხებით.

კაკაბაძის პეიზაჟები თვითკმარი მიკროკოსმოსებია, რომელთაგან თითოეულის კომპოზიციური სტრუქტურა და კოლორიტული კონცეპტები მხატვრის მთლიანი ესთეტიკური და მსოფლმხედველობრივი კონცეფციის ნაწილია.

„ხაზის, როგორც დროის ელემენტის გამოყენება მრავალგვარად შეიძლება, რადგან სიგრძე დროის კონცეფციაა და დროის კონცეფცია ხაზში უფრო ძლიერია, ვიდრე, მაგალითად წერტილში“ (ვ. კანდინსკი). დავით კაკაბაძის იმერულ პეიზაჟებში მოკლე ხაზებისგან კონსტრუირებულ გეომეტრიულ ფორმებს თავისი კოლორიტულ-ფუნქციონალურად განსხვავებული და რამდენიმე რეგისტრით ჩამუქებული ხაზები „აჩარჩობენ“. ამგვარი კოლორიტულ-გეომეტრიული ოპუსები კანდინსკის ხაზისა და დროის გამაერთიანებელი კონცეფციის შესაბამისად, დ. კაკაბაძის შემოქმედებაში, კერძოდ კი იმერულ პეიზაჟებში შედეგებული, ზოგ შემთხვევაში კი შეჩერებული პერცეპტებით კონსტრუირებული დროა აკუმულირებული. სწორედ ასე შემდორებული დრო და ზოგ შემთხვევაში პასიური სივრცე აპირობებს იმ ემოციურ-აზრობრივი ინფორმაციის სიმწირეს, რომელზე დაყრდნობითაც, სხვა შემთხვევებში, ყალიბდება დიალოგი მაყურებელთან. ერთადერთი და უმთავრესი ინფორმაცია, რომელზეც შეიძლებოდა ფუნდამენტური დიალოგი გამართულიყო, ყველასთვის „მაშინაც“ და „ახლაც“ ტრაგიკულად ნაცნობი და განცდილი სამყაროს გაუცხოებისა და ღმერთის სიკვდილის თემაა, როგორც დ. კლდიაშვილთან ისე დ. კაკაბაძესთან და შესაბამისად, მათი შინაგანი მონოლოგები, ჩვენს კულტურაში აყალიბებენ ამ „შიდა“ მონოლოგებით ფორმირებულ დიალოგურ დიქხოტომიას, რომელიც საბოლოო ჯამში, პარადოქსულ „დიალოგურ მონოლოგში ტრანსფორმირდება“. სწორედ ასეთივე „დიალოგური მონოლოგია“ დამახასიათებელი კლდიაშვილის შემოქმედებისთვისაც. იგი სავალდებულო ეტიკეტსა და რეალურ განწყობებს შორის გაჩენილი ბზარია. ბზარი, რომელმაც მწერალთან „უხმო თამაშის“ ფორმა მიიღო.

„უხმო თაბაში“

P.S. კოშკი, ანუ ნაწყვეტი მომავალი ნა-  
რილიდან დ. კაკაბაძეზე

ა. განერელია, კლდიაშვილის იმერული სერიის კვლევისას, აღნიშნავს, რომ მისი პერსონაჟების აუდიოფონი შევსებულია აზრს მოკლებული ბგერებითა და სიტყვებით, ხშირად მკვლევარი მათ „რუდიმენტულ და აკვირებულ“ სიტყვებად იხსენიებს (მაგალითისთვის იმერლის მეტყველებისთვის დამახასიათებელი - „კაი დაგემართოსთ“; „ისემც კაი დაგემართოსთ“; „ბიძიკო“; „რას იზამ“ და ა.შ.) ჩვენი აზრით კი იმერულ დიალექტში უკვე დამკვიდრებული ეს კლიშეები ფრაზები და მიმართვები მოსაუბრისადმი კეთილგანწყობის დასტური და პოზიტიური ემოციის ფართო დიაპაზონის შემცველი იყო.

დ. კლდიაშვილის გმირებთან ვერბალური ნარატივი არამცთუ სემანტიკურ საწყისსაა მოკლებული, არამედ მან - ხმაურიანი დუმილის უნარიც შეიძინა და ამით სამყაროსთან და სამყაროში თაბაშის ელემენტს შინაგანი სიფაქიზე და დიპლომატიური დახვეწილობა შემატა.

თავად სამყარო კი ჩაკეტილი და გაუხეშებულია, იმერელი აზნაურის ადრინდელი გულლიაობა, დარდიმანდობა და ხელგაშლილობა უკვე სავალდებულო საურთიერთო ეთიკის ფარგლებშია მოქცეული და თავისდა უნებურად ნიღბის სახე მიუღია, ნიღბისა, რომელიც არ არსებული კეთილგანწყობის, ხალისის და კიდევ რამდენიმე უკვე გაყინული და გამქრალი განცდის ნარჩენებისგან არის შეკონინებული. მას უკვე აღარაფერი აქვს საერთო ჭემ-მარიტი ადამიანის სახესთან, მის ნამდვილ განცდებსა და პრობლემებთან.

დ. კლდიაშვილის გმირებთან უკვე იგრძნობა შეუთავსებლობა ობიექტურ გარემოსა და იმ დაუნერეულ კანონებს შორის, რომელიც მათი ურთიერთობების მარეგულირებელია. მაგრამ ეთიკური ვალდებულება („შევეპატიჟე, ვალი მოვიხადე, ისე ხომ ვერ გავუშვებდი, ასე არ ნეთქვა“) გარემოსთან შეუსაბამობის გამო ნიღბად ჩამოყალიბდა.

რასაკვირველია, ამ მცირე მოცულობის ნერილს არ შეიძლება ამ ორი დიდი შემოქმედის მემკვიდრეობისადმი არამცთუ ამომწურავი, არამედ კონცეპტუალური მიდგომის პრეტენზია ჰქონდეს. იგი იმ პრობლემათა სავარაუდო წრის მონიშვნაა, რომლის უფრო სრული კვლევა, თანამედროვე ეპოქაში დინამიურად მიმდინარე კულტურული პროცესების კონტექსტში აუცილებლად მივიჩინეთ.

უცნაური და თავისებური სტილური ეკლექტიზმით გამოირჩევა დ. კაკაბაძის იმერული პეიზაჟების უმრავლესობა. მხატვართან ძირითადად სიბრტყე პრევალირებს და მასზე კონცენტრირებულ ფერწერულ ფენას მკვეთრად გამოსახულ, მუქი ფერის კონსტრუქციულ „ბადებს“ ადებს. მის იმერულ სერიაში ძალიან იშვიათად შეხვდებით პერსპექტივის გახსნის მცდელობას, გახსნილი პერსპექტივა კი საკმაოდ პირობითი ხასიათისაა და მეორე და მესამე პლანიც, როგორც წესი შევსებულია მთის ფონით (ამავე სერიაში, შეიძლება ცალკე გამოვყოთ პეიზაჟები, რომლებშიც მხატვარი ხსნის სივრცეს, შემოაქვს ცა, მაგრამ ეს განსხვავებული ანალიზის ობიექტია და მას მოგვიანებით დავუბრუნდები). საინტერესოა, რომ სწორედ ასეთ რაციონალურად ნაგებ და პირობითი ნიშნებით კონსტრუირებულ პეიზაჟებში, ვხვდებით ისეთ სივრცულ გამოსახულებას, როგორცაა კოშკები და ციხე-სიმაგრეები. როგორც წესი ყოველ პეიზაჟში თითო კოშკია გამოსახული, შესაძლოა მათ ერთგვარი სემანტიკური დატვირთვაც გააჩნიათ და პირობითი პეიზაჟს ქართულ სივრცეზე, სწორედ ქართული არქიტექტურული სტილისთვის დამახასიათებელი ნაგებობებით (ციხე-სიმაგრე, კოშკი) ამაგრებს. „იმერეთი“ 1918 წელი, „იმერეთი“ 1919, „წითელი მთა“ 1944. 1947 წლის „იმერეთი“ და სხვ.

იმერეთის პეიზაჟების ციკლში ორგანულ მოტივად ჩართული კოშკების მოცულობით-მატერიალიზებული საყრდენები კატეგორიულად ტრანსპოზიციონირებს ამ პეიზაჟების კონსტრუქტივისტულად იმატერიალიზებულ და ჩაკეტილ ფონურ სივრცეებთან და როგორც მასში ჩართული უცხო ტექსტი, ჰეტეროგენულ ერთობას აყალიბებს. ცხადია, ამ ხელოვნური პარადიგმით ვერ კონსტრუირდებოდა არა მხოლოდ ახალი ფერწერული ცენტრი, არამედ ჩვენი წინააღმდეგობრივი სამყაროს ტკივილების თანაგანმცდელი ფერწერულ-ემოციური მარკერები. ვერ შეიქმნებოდა ადამიანის ახალი, მეორე, უკვე გონისმიერი სამშობლო (კაკაბაძის მიერ შექმნილი სამშობლოს რაციონალური, რაფინირებული და გონისმიერი პეიზაჟების საკუთარ სამშობლოდ გააზრება კი, მხოლოდ ინტელექტუალთა ხვედრი აღმოჩნდა, რის გამოც დ. კაკაბაძის საქართველოს პეიზაჟებზე გვირად უფრო პოპულარული უჩა ჯაფარიძისა და სხვათა, ბევრად ნაცნობი სამშობლოს სამანების მომნიშვნელთა პეიზაჟები გახდა).





თამარ ნულუკიძე

ნათელა  
ურუჭაძე

## სსოვნის სახეში

### თამარ ნულუკიძე

ისინი, ვინც სსოვნის სარკეში ირეკლება, ერთმანეთისგან მრავალი ნიშნით განსხვავდებიან: ასაკით, განვლილი ცხოვრებით, იმ დროითა და ადგილით, სადაც ეს ცხოვრება მიედინებოდა. დროს ვერაფერს მოსწყვეტ.

განსხვავდებიან სამოღვაწეო ასპარეზითაც — ზოგს ასეთი მხოლოდ ერთი აქვს, ზოგს არაერთი, როგორც, მაგალითად, ცნობილ ქართველ მსახიობ, ქალბატონ თამარ ნულუკიძეს. ის მსახიობიც იყო, თოჯინების თეატრის შემქმნელიც (შორეულ ჩრდილოეთში პატიმრობისას), იყო ავტორი მოთხრობების, საჟურნალო წერილებისა და მოგონებებისა. რადგან მისი შემოქმედებითი ცხოვრება მსახიობობით დაიწყო, ჩვენც ამით დავიწყებთ.

მსახიობის შემოქმედებითი სვე-ბედი ცნო-

ბილია: გენიოსის შემოქმედებაც მუდმივ დაბადება-გაქრობაშია — იბადება ფარდის გახსნასთან ერთად და ქრება მაშინვე, როგორც კი ის დაიხურება. ამის შემდეგ დანიშნული იმავე წარმოდგენის ფარდის გახსნამდე ის არ არსებობს. როცა წარმოდგენა აღარაა რეპერტუარში, მისი არსებობაც დასრულებულია. თამარ ნულუკიძის სცენური ქმნილებანი გაფანტულ ანარეკლებში ცოცხლობს.

ეს გაფანტული ანარეკლები გვაუწყებენ: 1903 წელს დაიბადა. 1926 წელს გახდა რუსთაველის თეატრის მსახიობი, 1934 წელს მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის საპატიო წოდება, 1936 წელს რეპრესირებული იქნა როგორც სანდრო ახმეტელის „ფაშისტური ჯგუფის“ წევრი, 1956 წელს (20 წლის შემდეგ!), ბრალდების უსაფუძვლობის გამო, რეაბილიტირებული.

რუსთაველის თეატრის სცენაზე ს. ახმეტელის სპექტაკლებში მან განასახიერა: ილტანი ა. გლეზოვის „ზაგმუკში“, ქსენია ბ. ლავრენიოვის „რღვევაში“, ლამარა გრ. რობაქიძის „ლამარაში“, ამალია ფ. შილერის „ყაჩაღებში“ და სხვა.

სტრიქონები მის სცენურ ქმნილებათა შესახებ დაწერილიდან:

„ბუნებისგან უხვად იყო დაჯილდოებული სცენური მიმზიდველობით, ქალური სინაზით, ლამაზი ლირიკული ხმით და არაჩვეულებრივი გრაციით... რა როლიც უნდა ეთამაშა, ყოველთვის იგრძნობოდა მსახიობის კულტურა და ნიჭი. ყოველ როლს ახალი ხერხებით ამუშავებდა. მისი სცენური სახეები ერთმანეთს არ ჰგავდნენ“ (თ. ბაქრაძე. სცენაზე ახმეტელთან ერთად. გაზ. „კომუნისტი“. 1984 წ. 19 იანვარი).

1991 წელს, როდესაც თამარ ნულუკიძე წავიდა ჩვენგან, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკამ“ (23 თებერვალი) გამოსათხოვარი გვერდი დაუთმო. ჩვენი სახელოვანი ნინო რამიშვილი ამ სიტყვებით ეთხოვებოდა — „მშვიდობით, თეატრალურო სასწაულო!.. დრომ ვერ გააქრო თქვენი მომხიბვლელობა, თქვენი ნათელი გონება და ძლიერი, მაღალი სული. მხოლოდ ასეთი სულის ადამიანს შეეძლო შეექმნა სულის აღმძვრელი ნიგნი.“

სიტყვები „თეატრალურო სასწაულო“ იმ წლებს ეკუთვნის, როდესაც თამარ ნულუკიძე ბრწყინავდა თავისი სცენური ქმნილებებით და იყო უბედნიერესი როგორც პირად, ისე შემოქმედებით ცხოვრებაში. შეიძლებოდა იმის წარმოდგენა, რაც ელოდა მას ახლო მომავალში? უბედურება ჯერ მხოლოდ ახლოვდებოდა...

ცხოვრებაში გადაღებულ მის სურათებს

თანმიმდევრულად თუ დავალაგებთ, ბევრს გვიამბობენ ფოტოანარეკლები: ერთი ბორჯომშია გადაღებული ს. ახმეტელთან ერთად — უსაზღვრო ბედნიერების ხანა! მეორე — შინსახკომში გადაღებული პატიმარ მსახიობისა — უსაზღვრო უბედურებათა დასაწყისი!

ეს სურათი გადასახლებიდან სამშობლოში დაბრუნებულ ქალბატონ თამარს ერთმა კეთილმა და გულადმა ადამიანმა მისცა. თავგანწირვას უდრიდა მაშინ ამგვარი საბუთის გაცემა ყველაზე საიდუმლო და ყველაზე საშინელი საცავიდან. ამ ადამიანის ვინაობა მას, რა თქმა უნდა, არ გაუმჟღავნებია. არც მე მიკითხავს. ახლა ვნანობ...

...უბედურება 1936 წლის 19 ნოემბერს მოვიდა. შემოქმედებით წარმატებათა მწვერვალზე მყოფი სანდრო ახმეტელი, როგორც ჩვეულებრივ, ღამით წაიყვანეს სახლიდან. 1937 წლის 28 ივნისს შეწყვიტეს მისი სიცოცხლე. ნადგურდებოდა მისი სურათები. ჯგუფურ სურათებში მისი სახე იყო ამოფხეკილი. თუ სადმე იყო ნახსენები ახმეტელის სახელი — „ხალხის მტრისა“ — წაშლილი იყო მოუცილებელი შავი საღებავით. ქართული თეატრის ისტორიის შესწავლისას, იგნორირებული იყო. ვითომ არც ყოფილა მისი სპექტაკლები, არ ყოფილან მისი მონაწილეები, მათ შორის თამარ წულუკიძეც!

ის ამ დროს შორეულ ჩრდილოეთშია, ქალთა ბანაკში. როლებს ვერ თამაშობს, მაგრამ სასცენო შემოქმედების თანდაყოლილი ნიჭი გამოვლენას ითხოვს და პატიმარი თამარ წულუკიძე ხსნის თოჯინების თეატრს. ამის შესახებ გავიგე შემთხვევით, როდესაც ნავიკითხე მ. ტუროვსკაიას მონოგრაფია გამოჩენილი რუსი მსახიობის, მარია ბაბანოვას შესახებ. ამ წიგნის 339 გვერდზე გამოქვეყნებულია იმ დროს აგრეთვე პატიმარ ვლადიმერ დასმანოვის წერილი მარია ბაბანოვასადმი, რომელიც 1945 წლის 28 დეკემბერს მიუწერია. ალბათ, ძალიან ძნელია იმის წარმოდგენა, რომ ეს წერილი რაიმე კავშირშია თამარ წულუკიძესთან, მაგრამ არის — გაფანტული ანარეკლები! აი, ისიც, მომყავს სრულად, რადგან ბევრის მთქმელია მისი შინაარსი:

### წერილი ზლაპარზე

ღრმად პატივცემულო ქალბატონო მარია! პირველ ყოვლისა, დაწვრილებით უნდა აგისხნათ ვინ გწერთ ამ წერილს.

არა მგონია გახსოვდეთ. მრავალი წლის განმავლობაში ტონმეისტერად ვმუშაობდი რადიოში და არაერთხელ წამიყვანია გადაცემა თქვენი მონაწილეობით. ბედმა მარგუნა



სანდრო ახმეტელი და თამარ წულუკიძე

ის, რომ ექვსი წლის წინ აღმოვჩნდი აქ, ჩრდილოეთში, შორეული კომის ავტონომიურ რესპუბლიკაში. ახლა უკვე თითქმის ორი წელია ვმუშაობ ჩრდილო-პეჩორის მაგისტრალის თოჯინების თეატრის მუსიკალური ნაწილის გამგედ და კომპოზიტორად. თოჯინების ეს თეატრი შევქმენით მე და ხელოვნებაში ჩემმა ახლობელმა თამარ გიორგის ასულმა წულუკიძემ. წარმოუდგენელი სიძნელეების გადალახვით, ბოლოს და ბოლოს მოვახერხეთ შეგვექმნა ნამდვილად მხატვრული დონის დიდად საჭირო თეატრი, რომლისთვისაც არ ვიშურებთ მთელს ჩვენს ნიჭს, ცოდნასა და სულიერ ძალებს. ჩრდილოეთ პეჩორის, რესპუბლიკა კომის ბავშვები და უფროსები იცნობენ ჩვენს თეატრს და უყვართ იგი. ჩვენი ჩასვლა მუდამ სიხარულს ჰგვრის დათოვლილი ტუნდრისა და ტაიგის უშორეს, ყრუ სოფლების მოსახლეობას. ჩვენ კი, მსახიობებს, ეს სიამაყის გრძნობით გვაკვსებს.

შარშან ქალბატონმა თამარმა და მე ჩავიფიქრეთ ანდერსენის ზლაპარის „ბულბულის“ დადგმა. არაერთი თვე დაიხარჯა წიგნის მოძიებასა და შემოქმედებით კამათზე. და აი, ერთხელ, საღამოს ჩვენი კლუბის ახლო მიმავალთ, ბოძზე მიმაგრებულ რადიორეპროდუქტორიდან შემოგვესმა დიქტორის ხმა — ის აცხადებდა, რომ ახლა თქვენი შესრულებით შეგვიძლია მოვისმინოთ ანდერსენის ზლაპარი „ბულბული.“ ადგილზე გავშემდით. ხელი ჩავკიდეთ ერთმანეთს და ასე, ქუჩაში მოვისმინეთ ბოლომდე. ვცდილობდით იმ ქარბუქში არ გამოგვჩენოდა თქვენი ნიჭიერი შესრულების არც ერთი ბგერა, არც ერთი ინტონაცია. რამდენი ახალი აზრი გავვიჩნდა მას შემდეგ, რაც თქვენ მოვისმინეთ. ახლა ეს ზლაპარი „ბულბული“ ჩვენ თეატრში ბრწყინავს როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარი. მანდ, შორეულ მოსკოვში ვერც კი წარ-



თამარ ნულუკიძე „შინ. სახ. კომში“ 1936წ.

მოიდგენთ, როგორ მოგვეხმარეთ.

გავიდა ერთი წელი. ჩვენ ავენთეთ სურვილით დაგვედგა ანდერსენის კიდევ ერთი ზღაპარი „ოლე — ლუკოიე.“ და აი, საოცარი დამთხვევა: კომის ავტონომიური რესპუბლიკის ერთ-ერთ სოფელში გასტროლების დროს ვემზადებით თოჯინური წარმოდგენის დაწყებისათვის. მაყურებელი გველოდებოდა. სცენაზე გასვლის დრო მოვიდა და უცებ დიქტორი რადიოთი აცხადებს „ოლე — ლუკოიეს“ ... და ისევ თქვენი შესრულებით, — ეს უკვე ბედისწერაა! — და აი მაშინ გადავწყვიტეთ მოგმართოთ უდიდესი თხოვნით: გამოგვიგზავნეთ ამ ზღაპრის ტექსტის თქვენეული მონტაჟი. მოგვეხმარეთ უმძიმეს პირობებში მომუშავე სანყალ მსახიობებს.

ვლადიმირ დასმანოვი.  
1945 წ. 28 დეკემბერი.

მაშ ასე, პატიმარ თამარ ნულუკიძეს, რა თქმა უნდა, ხელოვნებასთან დაკავშირებულ სხვა პატიმართა დახმარებითა და მონაწილეობით, იმ შორეული ჩრდილოეთის გაუსაძლის პირობებში, შეუქმნია თოჯინების თეატრი, რომელიც გასცდა ბანაკის ფარგლებს და სულის საზრდოს აწოდებდა ჩრდილოეთ პეჩორისა და კომის რესპუბლიკის ბავშვებსა და უფროსებს! ამის შემძლეობა და მნიშვნე-

ლობა რაიმე განმარტებას საჭიროებს?

თამარ ნულუკიძის გარდაცვალების შემდეგ, 1991 წლის 15 აპრილს, თბილისში, მსახიობთა სახლის სცენაზე მისი ხსოვნის საღამო გაიმართა. ლენინგრადიდან ჩამოვიდა თეატრმცოდნე თამარ პეტკევიჩი — გადასახლებაში თამარ ნულუკიძის უახლოესი მეგობარი. მისი მოგონება თამარ ქუთათელაძემ ჩაინერა, თარგმნა და გამოაქვეყნა ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ (1991. 5). ნაამბობი დაწვრილებით გადმოგვცემს იმას, თუ როგორ მართავდა თამარ ნულუკიძე სპექტაკლებს ჯერ ადამიანთა მონაწილეობით, რომლებიც პიესის მოქმედ პირებს განასახიერებდნენ, შემდეგ კი როგორ შექმნა თოჯინების თეატრი კოლონიაში დაბადებული და გაზრდილი ბავშვებისათვის და როგორ დაატყდა თავს კიდევ ერთი, უსაშინელესი უბედურება — ერთადერთი შვილის დაღუპვა: „... შეშლილი სახითა და თავზარდამცემი ხმით გაჰკიოდა თამარი ჩვენთვის გაუგებარ სიტყვებს ქართულად. თავდაპირველად გაგიჟებული გვეგონა. არც ამგვარი ფაქტი იყო უცხო, მაგრამ მის ხელში ჩაბლუჯული ბარათი რომ აღმოვაჩინეთ, მივხვდით, რომ საზარელი ცნობა მიიღო და დავინწყეთ ფულის, საგნების, ცალკეული ნივთების, ტანსაცმლის შეგროვება, რაც შემდგომ ფულზე გადავცვალებთ, ხოლო დამწუხრებულ დედა კი დიდი გაჭირვებით გამოვამგზავრეთ თბილისს.

შვილი დაკრძალული დაუხვდა. დანიშნული დროისათვის ჩამოუსვლელი კვლავაც სასჯელით ემუქრებოდა.

„მე მძულს საკუთარი თავი, რადგან ცოცხალი ვარ და გადავრჩი“ — გამოგვიცხადა დაბრუნებულმა, ნახევრადშეშლილმა ქალმა და მთელი წელიწადი დარაბებდახურულ ოთახში გაატარა.“

1956 წელს საბჭოთა კავშირის მთავარმა სამხედრო პროკურატურამ ოფიციალურად დაადასტურა სანდრო ახმეტელისა და მისი მეუღლის თამარ ნულუკიძის უდანაშაულობა.

იმავე 1956 წელს, ოცნლიანი განდევნის შემდეგ, რუსთაველის თეატრი სთავაზობს თამარ ნულუკიძეს ლენინის დედის როლს ა. პოპოვის პიესაში „ოჯახი“. მსახიობი თანახმაა. ეს დღეც დადგა. თამარ ნულუკიძე მას ასე აღწერს:

„დარბაზი სავსეა და „ჩემი“ მაყურებლები დაუსრულებელი ოვაციით მხვდებიან. მე ვამბობ: „ჩემი“ მაყურებლები იმიტომ, რომ აქ მყოფთა უმრავლესობა — ახმეტელის თეატრის მუდმივი მაყურებელია, მისი მეგობრები და თაყვანისმცემლები. სწორედ მათ შეავესდღეს მაყურებელთა დარბაზი. მათთვის ესაა

საკუთარ შორეულ ახალგაზრდობაში დაბრუნების დღესასწაული. ჩემი სახით ისინი ესალმებიან, პატივს მიაგებენ სანდრო ახმეტელს, მის ნათელ ხსოვნას. მაღლიერებას გამოხატავენ მის დიდ ხელოვნებასთან შეხვედრის გამო. მას ეკუთვნის დღევანდელი ოვაციები, მისკენაა მიმართული გამოუთქმელი ტკივილით აღსავსე თითოეული მაყურებლის გულისყური.

დარბაზში ქუხს დაუსრულებელი ტაში... თავდახრილი ვდგავარ. ყელში ბურთი გამეჩხირა. კიდევ კარგი, რომ შეიძლება რამდენიმე წუთს ვდუმდე; არც ერთი სიტყვის წარმოთქმის ძალა არ მაქვს...

ტაში ჩაცხრა. სინამდვილეს ვუბრუნდები. როლის ტექსტი უნდა წარმოვთქვა... რომელი? ჰო, ვიცი! დედის პირველი რეპლიკა — ის უფროს შვილს ეძახის: „საშა!.. სად ხარ? საშა!“ ... და დარბაზში გაორმაგებული ძალით იფეთქა ტაშმა. უკლებლივ ყველა ადგა და ტაშს ფეხზე მდგომნი უკრავენ...

საშა, თუ სადმე ხარ! თუ შენი უკვდავი სული ახლა აქაა, დაე, ამ საღამომ დაგიბრუნოს მცირე ნაწილი იმისა, რაც სიცოცხლესთან ერთად წაგართვეს... მხოლოდ ამისთვის მოვედი მე ხელმეორედ რუსთაველის თეატრში!“

(T. Цулукидзе. Всего одна жизнь. „Хеловнеба“. Тб. 1983. с 292-293).

იმ საღამოს მეც ვიყავი რუსთაველის თეატრში. არც მანამდე, არც შემდეგ, ჩემი ხანგრძლივი თეატრალური ცხოვრების მანძილზე, არაფერი ამის მსგავსი არც მინახავს, არც განმიცდია — სცენაზე იდგა ერთი მშვენიერი ქალბატონი და ხმას ვერ იღებდა, მერე თქვა მხოლოდ სამი სიტყვა — „საშა... სად ხარ, საშა...“ მაყურებელი, რომელსაც ძლივს იტევდა დარბაზი, ფეხზე იდგა და დუმდა. ეს არ იყო ჩვეულებრივი დუმილი. ეს იყო დუმილი, რომელიც ყვირის... ასეთი დუმილიც არსებობს თურმე...

ჩემს ცხოვრებაში ქალბატონი თამარ წულუკიძე ასე შემოვიდა. პირადად გავიცანი 1958 წელს, როდესაც ბარნოვის ქუჩაზე მდებარე 124 სახლში თეატრის მოღვაწეებს ბინები დაურიგდათ და მეზობლები გავხდით. უფრო დედაჩემთან საუბრობდა ხოლმე — ორივე 1937 წლის ქარიშხალ გამოვლილი იყო და, ცხადია, ბევრი ჰქონდათ მოსაგონარი.


შემდეგ ქალბატონი თამარი საბოლოოდ გადასახლდა მინსკში. ჩვენი ურთიერთობა კი გამყარდა მას შემდეგ, რაც 1967 წელს საქართველოში სანდრო ახმეტელის დაბადებიდან 80 წლის საიუბილეო თარიღის აღნიშვნა გადაწყდა. იმხანად რუსთაველის თეატრში სალიტერატურო ნაწილის გამგედ ვმუშაობდი

და ეს საკითხი უშუალოდ მეხებოდა. რადგან ქალბატონი თამარი შორს იყო, აუცილებელი გახდა წერილობითი კავშირები. ასე დაიწყო ჩვენ შორის მინერ-მონერა, რომელიც მხოლოდ მის სიცოცხლესთან ერთად დასრულდა.

საიუბილეო საღამოს მოჰყვა ჩემი წერილები სანდრო ახმეტელის ხელოვნებაზე და ორი წიგნი მის შესახებ — „მეორე სიცოცხლე“ (გამომც. „ნაკადული“, 1987) და „სანდრო ახმეტელი“ (გამომც. „ისკუსტვო“. 1990). ორივე წიგნის ხელნაწერი ჩავუტანე მინსკში და იქ გავაცანი. მის სახლში ვცხოვრობდი. ძალიან დაეუახლოვდი და ძალიან შევიყვარე.

ეს იყო არაჩვეულებრივი ქალი. ჩვენი საქმიანი ურთიერთობანი მინერ-მონერაში აირეკლა, რადგან თბილისში იშვიათად ჩამოდიოდა და დიდხანს ვერ რჩებოდა.

სტრიქონები ჩემდამი მოწერილი მისი წერილებიდან:



რამდენს გვაუწყებენ ეს სტრიქონები მათი დამწერის შესახებ... ან მისი ხელით დახატული საცხოვრებელი, სადაც ბინადრობდა მისი ბედნიერი ოჯახი რუსთაველის თეატრის შენობის მესამე სართულზე. დღეს ეს ოთახი სანდრო ახმეტელის სახელობის აუდიტორიაა საქართველოს რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ამ ხელნაწერშიც და ამ ჩანახატშიც თამარ წულუკიძეა. დროს ყველაფერი მიაქვს, ქალად კი ინახავს ადამიანის სიცოცხლის რომელიღაც ნაწილს — დიდი ძალა აქვს სიფრიფანა ქალადის ფურცელს, რამდენი ფიქრის, რამდენი განცდის აღმძვრელი შეიძლება იყოს მასზე დანერვილი ერთი სტრიქონი ან ჩანახატი... გააჩნია, ვინ დანერა და ვინ დახატა... მით უფრო, თუ ის თამარ წულუკიძეა და მოთხრობებიც დაუნერია — „თოჯინების თეატრი სკოლაში,“ „როცა ფარდა აიხდება,“

„ცისფერი ჩირაღდანი,“ „შენი პატიოსანი სიტყვა,“ „შთაგონება“ და სხვ. დავაკვირდეთ სათაურებს — თითქმის ყველა შემოქმედებისკენაა მიმართული. არ შეეძლო შემოქმედების გარეშე და რა შესაძლებლობაც ჰქონდა, მას იყენებდა. მნიშვნელოვან წმინდა თეატრალურ პრობლემებზეც წერდა. ასეთი იყო 1973 წელს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში“ (12) გამოქვეყნებული მისი წერილი სათაურით „რიტმი სანდრო ახმეტელის სპექტაკლების არქიტექტონიკაში.“ მხოლოდ უმაღლესი კატეგორიის პროფესიონალისთვის ხელმისაწვდომი პრობლემა! ამონარიდი ამის დასტურად:

„... ეს ვრცელი და რთული თემა ჯერაც არ გამოუყვლევიათ თეატრმცოდნეებს...“

შემიძლია ვილაპარაკო მარტოდენ იმაზე, რაც თავად მინახავს და მომისმენია რეპეტიციებზე, როდესაც ამ თეატრის მსახიობი გახლდით...

ახმეტელს სცენაზე არ სწამდა წვრილმანი გრძნობები, გაუბრალოებული, მინაზე დაშვებული ყოფა, ერთფეროვანი უღიმღამო დიალოგი, „ზუსტად ისე, როგორც ცხოვრებაში.“ იგინინააღმდეგი იყო ინტიმურ-ფსიქოლოგიური თეატრისა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ განცდებზეა დაფუძნებული... ახალ თეატრს ესაჭიროება აქტიორული გამომსახველობის ელვარე, შთამბეჭდავი საშუალებები. საჭიროა ვნებათა ფეთქებადი ძალა...“

თეატრის ბუნების ამგვარი გაგებისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენდა რიტმის საკითხი... რიტმს იგი უკავშირებდა პიესის იდეას, მის მოქმედ ძალათა სოციალურ-ფსიქოლოგიურ ურთიერთდამოკიდებულებას.“

ყველა თავის დებულებას ასაბუთებს ახმეტელის სპექტაკლებიდან მოხმობილი ეპიზოდების შესანიშნავი აღწერით და მხოლოდ ამის შემდეგ ასკვნის: „ის, რაც ახმეტელმა გააკეთა ქართულ თეატრში, შესწავლილი უნდა იქნას არა მარტო როგორც მემკვიდრეობა ან რუსთაველის თეატრის ტრადიცია, არამედ როგორც დღევანდელი დღის საარსებო, საჭირობოროტო აუცილებლობა.“

რა კარგად ჩანს ამ წერილში მისი დამწერი!

როგორ ერკვევა იგი იმ ხელოვნების რაობაში, რომლის მსახურადაც იყო დაბადებული!

მის მოთხრობათა შორის ერთი — „Однажды в госпитале“ (Не выдуманный рассказ) 1982 წელს გამოქვეყნდა ჩვენთან ჟურნალ „Литературная Грузия“ — ში (№3). ყველას შეუძლია გაიცნოს თამარ წულუკიძე როგორც მწერალი — მხატვრული ნაწარმოების შემთხვევლი.

ასეთი იყო იგი იმ დროისათვის, როდესაც წერდა თავის ყველაზე დიდსა და უმთავრეს ქმნილებას, წიგნს „მხოლოდ ერთი სიცოცხლე“ და უკვე ძალიან ბევრი იცოდა იმის შესახებ, რაც მის სამშობლოში მცხოვრებ ადამიანთა ცხოვრებაში ხდებოდა და მოგვიანებით ასე ზუსტად აისახა ვახტანგ ხარჩილავას დოკუმენტურ ნაშრომში „სისხლიანი ქრონიკები“ (თბ. გამომც. „მერანი“, 1989 წ.).

### მისი წიგნი

გულახდილად უნდა ვთქვა — მიუხედავად ქალბატონ თამართან ახლო, საქმიანი ურთიერთობისა, სადაც ადამიანი მუდამ ძალიან კარგად ჩანს, მიუხედავად იმისა, მინსკის მისეულ ბინაში მიცხოვრია და ამის გამო ყოველდღიური, განუწყვეტელი ურთიერთობა მქონდა, თამარ წულუკიძე მაინც გამაცნო მისმა წიგნმა „მხოლოდ ერთი სიცოცხლე.“ ჟანრულად მემუარულ ლიტერატურას მიკუთვნებული ეს დიდი წიგნი, სადაც ავტორი სულ სხვებზე წერს, არსებითად, მისი ავტოპორტრეტი.

როგორ ხედავს ის თავის წარსულს, რანაირად აშუქებს მოვლენებს, როგორ შეფასებას აძლევს მათ!

სადაც საკუთარ თავზე უხდება ლაპარაკი, იქ ჩქარობს, — ერიდება.

ოთხმოცზე მეტი ადამიანია მის წიგნში წარმოდგენილი, ძალიან განსხვავებული — თურმე ყველა ახსოვს, ყველასთვის აქვს შემონახული კეთილი სიტყვა და გულის სიტბო. ყველას

დაუფასა მისთვის გაღებული სიკეთე და გულისხმიერება.

ამ წიგნის მკითხველი მისი ავტორის დიდ



თამარ წულუკიძე აგარაკზე (მანგლისი) 1919წ.

ტაქტსაც გრძნობს აუცილებლად. იმათ მიმართაც კი, ვინც მისგან საყვედურს მაინც ნამდვილად იმსახურებს. ასეთ ძველ ნაცნობებსა და მეგობრებს ყველას გასაგონად ეუბნება — თქვენს მიმართ გულში არ მაქვს ხინჯიო. მაგრამ იქ, სადაც მოვლენა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, არა მარტო მისი და სანდრო ახმეტელის ცხოვრებისა და შემოქმედებისათვის, არამედ რუსთაველის სახელობის და საერთოდ ქართული თეატრის ისტორიისათვის, იქ თამარ წულუკიძე გაბედულად გვთავაზობს ამ მოვლენის ამოხსნის საკუთარ ვერსიას.

რაზეც წერს, ისე კარგადაა მისთვის ცნობილი, თავის დროზე მის თვალსა და სულს ისე აღუბეჭდავს ყველაფერი, რაც ხდებოდა, რომ ზოგჯერ თითო-ორი ფრაზით შეუძლია შექმნას მრავლისმთქმელი სურათი. ყველა წვრილმანი მისთვის ცხოვრებისეული სიმართლის მშვენიერებით სუნთქავს. შეუძლია მოძებნოს სიტყვა, რომლისაც გვერა, რადგან ნაგრძნობია იგი. და რადგან ასეა, ნათქვამში უთქმელი შრეებიც იგრძნობა. არ შეუძლია იყოს გულგრილი იმის მიმართ, რაზეც მოგვითხრობს. ასეთი ემოციურობა გადამდებია. და მკითხველიც მისი თვალით უყურებს ამბავს.

ამ წიგნის წერა თამარ წულუკიძემ 1970 წელს დაიწყო. მაშასადამე, განვლილი ცხოვრება მრავალჭირგამოვლილი ქალის მეხსიერებაში გაცოცხლდა... ამ ხნის მანძილზე რამდენი უბედურება დაატყდა თავს: დაკარგა თეატრი, უსაყვარლესი მეუღლე და სათაყვანებელი მასწავლებელი, სამშობლო, უახლოესი მეგობრები, ერთადერთი შვილი და ყოველივე ამის მიუხედავად, არც გამწარება ეტყობა, არც გაბოროტება. სიცოცხლისა და ადამიანებისადმი სიყვარული შეინარჩუნა.

ხანდაზმულობა არ ეტყობოდა. სტუმარს ხალისით ლებულობდა. ყველა წერილს გადაუდებლად პასუხობდა. დოკუმენტის ფასი იცოდა. საბუთები დახარისხებული ჰქონდა და საგანგებო კონვერტებში მოთავსებული ზედწარწერით.

რამდენი რამის მთქმელია თუნდაც ცხოვრების ამგვარი წესი არა მარტო იმ დროის თამარ წულუკიძის გასაცნობად, როდესაც


მინსკში ვცხოვრობდი მასთან... რამდენს მიხვდები წარსულის შესახებ იმ ადამიანთა გაცნობით წარსულიდან ჩვენამდე რომ მოაღწიეს, როგორც არ უნდა შეცვალოს იგი დრომ და ცხოვრებაში გადატანილმა. მით უფრო, თუ ის ნიჭიერი შემოქმედია და საინტერესო პიროვნება, რომელსაც წილად ხვდა რთული და მძიმე ცხოვრება. ადვილი და საინტერესო განა არსებობს?

ამ არაჩვეულებრივმა ქალმა დაწერა არაჩვეულებრივი წიგნი „მხოლოდ ერთი სიცოცხლე.“ ამ წიგნმა შეძრა ყველა პატიოსანი ადამიანის სული. ყოველი სტრიქონი მკითხველის სინდისს მიმართავს იმისთვის, რომ იგი განიმსჭვალოს თანაგრძნობით უდანაშაულო ადამიანის ტრაგიკული ბედისადმი, რომელმაც ყველაფრის მიუხედავად, შეინარჩუნა სულის ძლიერება და ადამიანური ღირსება, იმისთვის, რომ დაწერო ასეთი წიგნი, თავად უნდა გაიარო ჯოჯოხეთური ტანჯვის გზა, უნდა გქონდეს ადამიანისა და სიცოცხლისადმი სიყვარულით აღსავსე დამოკიდებულება, რომელსაც ვერავინ და ვერაფერი წაგართმევს. ყოველივე ამის გამოსათქმელად სიტყვებიც უნდა მოგეპოვებოდეს.

ძვირად დაუფლებოდა თამარ წულუკიძეს ასეთი წიგნის დაწერის უფლება. მან მოიპოვა იგი და ერთხელ კიდევ დაანახვა ყველას რა შეუძლია სიმართლეს და ადამიანის სულის ძლიერებას.

რა მიზნითაც არ უნდა შეხებოდა თამარ წულუკიძის კალამი ქალაქს, ყველა მის ნაწერში ასხივებს მისი პიროვნება და ის დრო, რომელშიც ცხოვრობდა. ერთმანეთისგან მათი მოწყვეტა შეუძლებელია. ამიტომ ვფიქრობ, რომ ამ ერთი ადამიანის ერთი სიცოცხლე საქართველოს იმ ტრაგიკული წლების განსახიერებაა. ნიმუშია იმისა, რომ გაუსაძლის პირობებშიც შეიძლება იცხოვრო ისე, როგორც მან იცხოვრა და აგვიწერა ერთ წიგნში, აკი ასეც დაარქვა — „მხოლოდ ერთი სიცოცხლე“. ღირსეული სიცოცხლე.

ამქვეყნიდან თამარ წულუკიძის წასვლის შემდეგ მისი კალამი მე მერგო სახსოვრად. ძვირფასია იგი ჩემთვის და იდუმალებით აღსავსე — ნეტავ, რომელია ის სტრიქონები, ამ კალმით რომ დაუნერია?..





ვაჟა აზარაშვილი

# გულბათი ჟორაძე

„ის აქ აქის...“

ვაჟა აზარაშვილი — 70

წერილი ვაჟა აზარაშვილზე — ჩემს უმცროს მეგობარსა და ოდესღაც სტუდენტზე, დღეს კი ფართოდ ცნობილ კომპოზიტორზე, საქართველოს სახალხო არტისტზე მინდა დავიწყო პატარა მოგონებით: 1962 წლის გაზაფხულზე მოსკოვში გაიმართა ახალგაზრდა კომპოზიტორების შემოქმედებითი დათვალიერება, რომელზეც ჯილდოებისა და პრემიების უმრავლესობა ფართო საზოგადოებისათვის სრულიად უცნობმა ქართველმა ახალგაზრდებმა მოიპოვეს (ზოგიერთნი ჯერ კიდევ თბილისის კონსერვატორიაში სწავლობდნენ).

ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გამოვეხმაურე წერილით „ახალი შემოქმედებითი ხმები“, რომელიც ქართული მუსიკის ახალ-

გაზრდული ტალღის წარმომადგენლებს ეხებოდა. და, თუ დღეს ვიხსენებ ჩემთვის ამ სასიამოვნო ფაქტს, არა იმისთვის, რომ შორსმჭვრეტელობით თავი მოვიწონო (უკვე იმ დროს არავითარი წინასწარმეტყველური ნიჭი არ იყო საჭირო ახალგაზრდათა ნათელი შემოქმედებითი პერსპექტივების განჭვრეტისათვის), არამედ იმიტომ, რომ იმ წერილის ერთ-ერთი „გმირი“ სწორედ 25 წლის ვაჟა აზარაშვილი გახლდათ — დღეს აღიარებული, პოპულარული კომპოზიტორი, სხვადასხვა საპატიო წოდებათა მფლობელი და საპრესტიჟო პრემიების ლაურეატი.

თითქმის 45 წელი გავიდა ამის შემდეგ, წლები, რომლებმაც ნიჭიერი და ძალზე შრომისმოყვარე ახალგაზრდა შემოქმედი წამყვან ქართველ კომპოზიტორთა რიგებში ჩააყენა. დღეს, ვაჟა აზარაშვილი მრავალრიცხოვანი ნაწარმოებების ავტორია მუსიკალური შემოქმედების თითქმის ყველა ჟანრში. მისი მხატვრული ინტერესების დიაპაზონი ძალზე ფართოა, მუსიკის სტილისტური სპექტრი — მრავალფეროვანი, საესტრადო სიმღერიდან — რაფინირებულ ინტელექტუალურ ინსტრუმენტალიზმამდე.

აზარაშვილის საუკეთესო ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელია მელოდიური აზროვნებისა და ემოციური გამომსახველობის შეთავსება წერის თანამედროვე ტექნიკასთან, მუსიკალური ენის სიმახვილესთან. ეროვნული (ხალხური და პროფესიული) ტრადიციების გონივრული სინთეზი შემოქმედებით ნოვაციებთან აზარაშვილის საკომპოზიტორო მეთოდის ესთეტიკურად პერსპექტიული თვისებაა, ხოლო მხატვრულ ძიებათა ინტენსიურობა — მისი შემდგომი წარმატებების საწინდარი.

ბუნებრივია, რომ დამწყებმა კომპოზიტორმა — ვ. აზარაშვილმა გაითვალისწინა (სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო) და აითვისა დიდი წინამორბედებისა და უფროსი კოლეგების შემოქმედებითი გამოცდილება.

ვფიქრობ, ამ მხრივ, პირველ რიგში, უნდა დავასახელოთ ს. ცინცაძე და ს. ნასიძე (ინსტრუმენტულ ჟანრებში), აგრეთვე რ. ლალიძე და გ. ცაბაძე (სასიმღერო ჟანრებში).

ახლა კი მოკლედ — ვაჟა აზარაშვილის შემოქმედებითი გზის შესახებ. მუსიკალური ნიჭი მას მშობლებმა დაანათლეს. მამა — შალვა აზარაშვილი, გარდა შესანიშნავი სმენისა, დაჯილდოებული იყო ჩინებული ბარიტონით. განათლებით ინჟინერს, მას უსწავლია თბილისის კონსერვატორიაში და წლების მანძილზე (50-იანი და 60-იანი წლების და-

სანყისი) მღეროდა საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში, აგრეთვე მარო თარხნიშვილის ანსამბლშიც. კარგი სმენით იყო დაჯილდოებული ვაჟას დედაც — ქალბატონი ოლა მიქანაძე.

თავისი პირველადი სამუსიკო განათლებითა და სპეციალობით ვაჟა მევილინია. მან დაამთავრა თბილისის მე-6 სამუსიკო სკოლა, რის შემდეგ დაიწყო სწავლა მე-3 სასწავლებელში. აქ მან გემო გაუგო საორკესტრო ხმოვანების ხიბლს, როდესაც უკრავდა მოსწავლეთა გაერთიანებულ ორკესტრში და სწორედ მაშინ დაებადა დაუძლეველი სურვილი სამუდამოდ დაეკავშირებინა თავისი თავი მუსიკალური ხელოვნებისა და მისი ყველაზე დაფასებული დარგის — კომპოზიციისათვის.

სასწავლებლის დირექტორმა — შესანიშნავმა პიროვნებამ — ქალბატონმა ქსენია ჯიქიამ არ დააყოვნა და სპეციალურად ვაჟასა და მისი თანაკურსელის — შემდგომში ცნობილი კომპოზიტორის, ნუგზარ ვანაძისათვის გახსნა საკომპოზიტორო განყოფილება, რომლის ხელმძღვანელობისათვის სპეციალურად მოიწვია თვალსაჩინო კომპოზიტორი და შესანიშნავი პედაგოგი პროფ. ალექსანდრე შავერზაშვილი. მან მყარი პროფესიული საფუძველი შეუქმნა მომავალ კომპოზიტორებს, რომლებიც მუდამ ღრმა პატივისცემისა და მადლიერების გრძნობით იგონებენ თავიანთ მასწავლებელს.

ბუნებრივია, რომ სწავლის გაგრძელებაც ვაჟამ თბილისის კონსერვატორიის საკომპოზიტორო განყოფილებაზე გადაწყვიტა. აქ მისი ხელმძღვანელი გახდა ცნობილი კომპოზიტორი, იმხანად კონსერვატორიის რექტორი, ფრიად ავტორიტეტული პიროვნება ბატონი იონა ტუსკია.

ძნელი ამოსაცნობი არაა, თუ როგორი იქნებოდა ყოფილი მევილინის — ვ. აზარაშვილის პირველი საკომპოზიტორო ცდები. — ცხადია, ეს გახლდათ ვიოლინოსათვის დანერგილი ნაწარმოებები. კერძოდ, სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის, რომელიც ჯერ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის კონკურსზე დაჯილდოვდა პრემიით, ხოლო შემდეგ კი უკვე ნახსენებ საკავშირო კონკურსზე მოსკოვში. სხვათა შორის, სტუდენტობის წლებში დაიწერა პირველი რომანსები და სიმღერებიც — მომავალში კომპოზიტორისათვის ესოდენ საყვარელ ჟანრში.

სადიპლომო შრომად კი მოგვევლინა საფორტეპიანო ტრიო. გენიალურმა კომპოზიტორმა დიმიტრი შოსტაკოვიჩმა, რომელიც სახელმწიფო გამოცდას თავმჯდომარეობდა, მაღალი შეფასება მისცა ტრიოს და მის ავ-

ტორს ნათელი მომავალი უწინასწარმეტყველა. ეს ბევრს ნიშნავდა.

უკვე შემოქმედებითი მოღვაწეობის საწყის ეტაპზე გამოიკვეთა ის უმთავრესი ნიშანდობლივი თვისებები, რომლებმაც განსაზღვრეს კომპოზიტორის მხატვრული ინდივიდუალობაც და ესთეტიკური ინტერესების სფეროც.

ეს, უწინარეს ყოვლისა, გახლავთ ინსტრუმენტული მუსიკა თავისი სხვადასხვა ჟანრობრივი ნაირსახეობით და, ასევე მრავალსახოვანი სასიმღერო შემოქმედება.

პირველი დიდი აღიარება კი ვ. აზარაშვილს მოუტანა შესანიშნავმა კონცერტმა ჩელოსათვის (1969). დაუფინყარია მისი პრემიერის დღე (22 XII 1970). ელდარ ისაკაძის შთაგონებული შესრულებით და ლილე კილაძის დირიჟორობით (ორივენი — ვაჟას ახლო მეგობრებია!). ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ქართული მუსიკა გამდიდრდა დიდებული ნაწარმოებით. კონცერტი მრავალგზის შესრულდა ჩვენშიც და უცხოეთშიც. სულ ახლახან კი იგი



ვაჟა აზარაშვილი და თეიმურაზ ნიკლაური

მოვისმინეთ ჩინებული ამერიკელი მუსიკოსის ა. სულეიმანის მშვენიერი შესრულებით და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ნაწარმოების მხატვრულ ცხოველმყოფელობაში. ის ქართული ინსტრუმენტული კონცერტის საუკეთესო ნიმუშთაგანია, ჩვენი თანამედროვე კლასიკაა.

ჩელოს კონცერტის ხაზს აგრძელებდა კონცერტი ალტისა და სიმფონიური ორკესტრისათვის (1973), სერიოზული მაღალპროფესიული ნაწარმოებები, რომელშიც ნათლად იგრძნობოდა მუსიკალური ენის განახლებისა და გამძაფრების ტენდენცია.

70-იანი წლებიდან ვ. აზარაშვილი სულ უფრო დიდ ყურადღებას უთმობს კამერულ ვოკალურ ჟანრს, იგი მრავლად წერს სიმღე-



რებს, რომლებმაც თავის მელოდიური გამომსახველობის წყალობით პოპულარობა მოიპოვეს. ცალკეული სიმღერების და რომანსების გარდა, იგი ქმნის კომპოზიციურად და სტილისტურად შეკრულ ვოკალურ ციკლებს ქართველი პოეტების სიტყვებზე: შ. ნიშნიანიძის (ბანისათვის), ი. გრიშაშვილის (ტენორისათვის), კომპოზიტორის ახლო მეგობრის — შორის ფოცხიშვილის (ბარიტონისათვის) ლექსებზე, და ვოკალურ ციკლს ნიზამის ლექსებზე. სამ რომანსს რუსი პოეტის თ. ტიუტჩიევის სიტყვებზე (თარგმანი თ. ბეგიშვილისა). გასულ წელს მათ დაემატა ანა კალანდაძის ლექსებზე დაწერილი ვოკალური ციკლი.

80-იანი წლების დასაწყისში ვაჟა გაიტაცა სერიოზულმა მხატვრულმა ამოცანამ — ა. ყაზბეგის განთქმული მოთხრობის — „ხევისბერი გოჩას“ სიუჟეტზე ბალეტის შექმნამ, რაც ქუთაისის ოპერის თეატრის შემოქმედებით გეგმებს დაემთხვა. და, მართლაც, ორმოქმედებიანი ბალეტი — „ხევისბერის“ სახელწოდებით (ბ. მონავარდისაშვილის ლიბ-



ვაჟა აზარაშვილი ოჯახთან ერთად

რეტოზე) და მისივე დადგმით, წარმოდგენილი იქნა ქუთაისში 1982 წლის 22 მაისს. ჩინებულად დირიჟორობდა რევაზ ხურცილავა. წარმატება დიდი იყო. „ხევისბერმა“ ნათლად წარმოაჩინა ვ. აზარაშვილის ნიჭი და შემოქმედებითი შესაძლებლობები მუსიკალური თეატრის რთულ სინთეზურ ჟანრში.

„ხევისბერში“ გაერთიანებულია ქართული ბალეტის ორი უმთავრესი ხაზი-გმირულ-რომანტიკული და ფსიქოლოგიური და ამაშიც გამოვლინდა კომპოზიტორის ერთგულება ეროვნული შემოქმედებითი ტრადიციების მიმართ. ბალეტის სანახავად და მოსასმენად ქუთაისს გავემგზავრეთ კომპოზიტორების და მუსიკისმცოდნეების პატარა ჯგუფი. სპექტაკლი ძალიან მოგვეწონა მისი ყველა „განზომილებით“. დაინერა რეცენზიები (მათ

შორის, ჩემიც). ცოტა მოგვიანებით მოსკოვის ჟურნალმა „Советская музыка“-მ შემიკვეთა საკმაოდ ვრცელი წერილი, რომელიც დაიბეჭდა 1984 წლის 10-ში.

ცალკე საუბრის თემაა აზარაშვილის კამერულ-ინსტრუმენტული შემოქმედება, რომლის ერთ-ერთი ნიმუში საფორტეპიანო ტრიო — ზემოთ ვახსენეთ. ამ დარგში კომპოზიტორს ბევრი აქვს ნამუშევარი, რის დასადასტურებლად საკმარისია მოვიყვანოთ ნაწარმოებთა, თუნდაც შემოკლებული, ქრონოლოგიური ჩამონათვალი:

ზემოთ უკვე ნახსენები საფორტეპიანო ტრიო (1960), სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის (1961), სონატა ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის 1 (1961), სონატა 2 ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის (1975), კვინტეტი სასულე ინსტრუმენტებისათვის (1978), სონატა 2 ალტისათვის (1979), სონატინა ფორტეპიანოსათვის (1979), „მშობლიური მხარის სურათები“ (11 პიესა სიმებიანი კვარტეტისათვის. 1980), „ქართული სიუიტი“ 2 ფორტეპიანოსათვის (1983), სიმებიანი კვარტეტი (1988), „ძველი თბილისის სურათები“ (11 პიესა სიმებიანი კვარტეტისათვის. 1990), სონატა სოლო ვიოლინოსათვის (1995), სონატა სოლო ჩელოსათვის (2005), 5 პრელუდია ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის (2006), რასაც უნდა დაემეტოს დიდძალი ნაწარმოები სხვადასხვა საკრავისათვის.

უყურადღებოდ არ დატოვა კომპოზიტორმა კვარტეტის ჟანრიც (1988, მეორე რედაქცია 2000). ოთხნაწილიანი ნაწარმოები აერთიანებს ენერგიულ-ცეცხლოვან (I ნაწ.), ამალღებულ-პოეტურ, მედიტაციურ (II ნაწ.), კეკლუც, სკერცოზულ (III ნაწ.) და ვოკალურ-ეპიკურ მუსიკალურ სახეებს.

აზარაშვილი მიმართავს უიშვიათეს მუსიკალურ ჟანრებსაც. მხედველობაში მაქვს ორი ვიოლინოსა და ორი ალტისათვის ოსტატურად დაწერილი სონატები (1975-79), აგრეთვე შესანიშნავი საფორტეპიანო „სონატინა“ (1979), რომელიც ცნობილი კომპოზიტორის — ნიკოლოზ გუდიაშვილის პოპულარულ „სონატინასთან“ ერთად ამ მუსიკალური ფორმის საუკეთესო ნიმუშია ქართულ მუსიკაში.

ძალზე კოლორიტულია „ძველი თბილისის სურათები“ (სიმებიანი კვარტეტისათვის, 1990), მაგრამ, ჯობს, ამ ნაწარმოებს შევეხოთ მისი საორკესტრო ვერსიის განხილვისას.

დაბოლოს, ბოლო წლებისა და, მე ვიტყვოდი, კომპოზიტორის მთელი ინსტრუმენტული შემოქმედების შედეგის — სავოლონჩელო სონატის შესახებ, რომელიც პირველად მოვისმინეთ 2005 წ. თამარ გაბარაშვილის

შესანიშნავი შესრულებით. სოლო ჩელოსათვის დაწერილი სონატა ვაჟამ უძღვნა თავისი მეგობრის, დიდებული ვიოლონჩელისტის, ელდარ ისაკაძის ხსოვნას.

ეს ნაწარმოები შეიძლება ჩაითვალოს ახალ სიტყვად კომპოზიტორის შემოქმედებით ევოლუციაში გამომსახველ საშუალებათა კომპლექსის სიმძაფრითა და თანადროულობით, დახვეწილი საკომპოზიტორო ტექნიკით.

მემორიალური ჟანრის თავისებურებიდან მომდინარეობს მუსიკის ნაღვლიანი, ზოგჯერ, ტრაგიკული ხასიათი, ნელი ტემპების სიჭარბე. ჯერ კიდევ 1986 წელს შესრულდა სიმფონია 2 გუნდისა და ორკესტრისათვის. მაგრამ პირველი ნამდვილი წარმატება ხვდათ აზარაშვილის მცირე სიმფონიური ჟანრის ნაწარმოებებს, როგორებიც არის ძალზე პოპულარული „ნოქტიურნი“ (1986), „ელეგია“, მიძღვნილი 1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი, (1989). „ნოსტალგია“ (1992). და ზემოთ უკვე ნახსენები „ძველი თბილისის სურათები“ (11 პიესა), ამჯერად, საორკესტრო (კამერული) ვერსიით.



თამარ გაბარაშვილი, ვაჟა აზარაშვილი და ნანა დიმიტრიადი

ამ მშვენიერი ნაწარმოების მუსიკა ცოცხლად წარმოგვიდგენს ჩვენი დედაქალაქის არც თუ ძალიან შორეული წარსულის სურათებს. კომპოზიტორი აქ ამჟღავნებს საორკესტრო წერის დახვეწილ ოსტატობას. მსმენელთა აღტაცებას იწვევს ძველებური არღნის ხმოვანების იმიტაცია („არღანი“), პარკის სასულე ორკესტრის „დანჯღრეული“ ხმოვანების პაროდირება („სასულე ორკესტრი პარკში“), „მოხეტიალე მუსიკოსის“ მიამიტი სევდიანი მელოდია, „კინტოსა“ და „მხიარული მექისის“ სკერცოზული სილაღე და სხვ.

დაბოლოს, დავსძენ, რომ „ძველი თბილისის სურათები“ ბრწყინვალე წარმატებით შესრულდა ბორჯომში „კომპოზიტორთა

სახლის“ საკონცერტო დარბაზში „კავკასიის კამერული ორკესტრისა“ და დირიჟორ უვე ბერკემერის ჩინებული შესრულებით აზარაშვილის შემოქმედებით საღამოზე 2006 წლის 15 ივლისს. ეს ნაწარმოები დარწმუნებული ვარ, კვლავაც დაამშვენებს საკონცერტო ესტრადას.

მასთან ბევრი რამ აქვს საერთო „ფანტაზიას ძველი თბილისის თემებზე“ — ვილონჩელისტთა ანსამბლისა და ფორტეპიანოსათვის, რომელმაც 2003 წელს პირველი პრემია მოიპოვა სანკტ-პეტერბურგში, „ჩრდილოეთის დედაქალაქის“ დაარსების 300 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო კონკურსზე და იქვე შესრულდა ფილარმონიის დიდ დარბაზში.

გასულ წელს ვ. აზარაშვილმა დაამთავრა ერთნაწილიანი კონცერტი ორკესტრისათვის, რომლის შესრულებაც დაგეგმილია 2006 წლის შემოდგომაზე. აქვე არ შეიძლება არ ვახსენოთ აზარაშვილის სხვადასხვა საკრავისათვის დაწერილი ნაწარმოებებიც, რაც საოცრად პოპულარულია მსმენელებში და ხშირად სრულდება „ბისზე“.

ასეთებია, კერძოდ, ზემოთ უკვე ნახსენები „ნოქტიურნი“, „ნოსტალგია“, აგრეთვე „სენტიმენტალური ტანგო“, „კანკანი“, „ჩარლსტონი“, „ფოქსტროტი“ და სხვ. (ეს პიესები სრულდება საორკესტრო ვერსიითაც).

აღბათ, არცერთი ჩვენი „სერიოზული“ კომპოზიტორი არ უთმობს იმდენ დროსა და ადგილს თავის შემოქმედებაში მსუბუქ და საესტრადო ჟანრებს, როგორც ვაჟა აზარაშვილი. აქაც მისი მხატვრული „ამპლიტუდა“ ერთობ ვრცელია:

ოპერეტა, მიუზიკლი, საესტრადო სიმღერა აი, არასრული სია „მსუბუქი“ ჟანრებისა, რომელთაც მიმართავს კომპოზიტორი და, უნდა ითქვას, რომ ამ სფეროშიც მისი მიღწევები ფრიად შთამბეჭდავია. აზარაშვილის მუსიკა პოპულარულია მსმენელთა ფართო წრეებში. გავიხსენოთ საყოველთაოდ ცნობილი „დინამო“, „დინამო“, რომელიც ქართული ფეხბურთის „მუსიკალურ ემბლემად“ გვევლინებოდა მისი ალმავლობის წლებში და ასეთად დარჩა ამჟამადაც. მოვიგონოთ სიმღერა „მუსიკაც“, რომელმაც ესტრადაზე მრავალჯერ გაიჟღერა თამარ გვერდნიტელის შესრულებით, „ხევსურული ბალადა“, „ისევ წვიმს“ და სხვანი, რომლებიც უთვალავჯერ მოგვისმენია ნანი ბრეგვაძისა და სხვა მომღერალთა კონცერტებზე. ამ სიის გაგრძელება დაუსრულებლად შეიძლება (იხ. დანართი).

ვ. აზარაშვილი შვიდი ოპერეტის ავტორია და მათ წარმოდგენებს არასოდეს აკლდა

მაყურებლის ყურადღება — დანყებული „მეცხრე ტალღით“ (1969) და დამთავრებული „მეჩექმე გაბოთი“ (ოპერეტების სრული სია ასევე ნიგნის დანართში).

აქვე დავსძენ, რომ ვ. აზარაშვილი ნაყოფიერად მუშაობს საბავშვო მუსიკის დარგში. მის ნაწარმოებებს ხშირად ასრულებენ სამუსიკო სკოლების ნორჩი აღსაზრდელები.

მოკლედ, კომპოზიტორის ცხოვრება მუსიკაში და მუსიკისათვის გრძელდება და კიდევ ბევრ საინტერესოსა და საგულისხმოს გვპირდება სამომავლოდ.

ეს ნარკვევი არ იქნებოდა სრული, თუ არ შევეხებოდით ვ. აზარაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვა მხარეებსაც. კერძოდ, ცალკე საუბრის თემაა — ვ. აზარაშვილი — საზოგადო მოღვაწე, რაც მისი ბიოგრაფიის განუყოფელი და ძალზე მნიშვნელოვანი ნაწილია.

ცხადია, რომ ვაჟას თვალსაჩინო წარმატებები ამ სფეროში ემყარება მისი ადამიანური ხასიათის ისეთ მნიშვნელოვან თვისებებს, როგორცაა მტკიცე პრინციპულობა, შეუპოვრობა სიმართლისათვის ბრძოლაში, ლაღი ოპტიმიზმი, კომუნიკაბელურობა. ეს თვისებები განსაკუთრებული სიძნადით გამოვლინდა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარეობის პერიოდში (1999-იდან დღემდე). მოგეხსენებათ, თუ რა მძიმე იყო ეს წლები მთელი ჩვენი ქვეყნისათვის და, მათ შორის, ცხადია, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირისათვის, რომელმაც თავისი არსებობის მრავალი წლის მანძილზე (1932 წლიდან) შესანიშნავი, მრავალმხრივი შემოქმედებითი ტრადიციები შექმნა და დიდად შეუწყო ხელი ქართული მუსიკის საყოველთაოდ აღიარებულ წარმატებებს.

კომპოზიტორთა კავშირის და მისი ხელმძღვანელის ინიციატივით სისტემატურად ტარდება კონცერტები ჩვენი კომპოზიტორების ახალი ნაწარმოებების შესრულებით, საავტორო და ხსოვნის საღამოები.

უკვე დიდი ხანია (1961 წლიდან) ვაჟა პედაგოგიურ მუშაობას ეწევა თბილისის II და III სამუსიკო სასწავლებლებში, ხოლო 1971-წლიდან თბილისის კონსერვატორიაში, ასწავლის ინსტრუმენტობის კურსს. აღზრდილი ჰყავს არაერთი ნიჭიერი მუსიკოსი (კომპოზიტორი და მუსიკისმცოდნე).

ვაჟა სამაგალითო შრომისმოყვარეობით გამოირჩევა. მისი შემოქმედებითი კატალოგი მეტად ვრცელია, ხოლო რაც შეეხება მის საკონცერტო მოღვაწეობას, ამ მხრივ, მას ბადალი არ ჰყავს საქართველოში არც წარსულში და არც ამჟამად. თავის შემოქმედებით მეგობართან — ცნობილ მომღერალ მერაბ დონაძესთან და სხვა მუსიკოსებთან ერთად

ვაჟას საავტორო კონცერტებით შემოვლილი აქვს მთელი საქართველო, ხოლო თუ ამას დავუმატებთ, რომ ვაჟა ფლობს ძლიერ ხმას — ტენორს და საუკეთესოდ ასრულებს საკუთარ სიმღერებს, აღარ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მას ასე გულთბილად, ასეთი სიყვარულით ეგებებიან ყველგან, სადაც კი იგი ფეხს დაადგამს.

ამავე დროს, ვაჟას არასოდეს აკლდა ოფიციალური წრეების ყურადღება და დაფასებაც. იგი საქართველოს სახალხო არტისტი (1988) და თბილისის საპატიო მოქალაქეა (1999). დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით“, სხვადასხვა მრავალი პრემიით, მათ შორის სახელმწიფოსი და ზ. ფალიაშვილის სახელობისა, დიპლომებით და ა. შ.

აუცილებლად უნდა ვთქვათ რამდენიმე სიტყვა ვაჟას მშვენიერი ოჯახის შესახებ. მისი მეუღლე — ქ-ნი მანანა დანგაძე განათლებით მუსიკოსია. ბოლო წლებში კი მან გამოამჟღავნა უდავო პოეტური ნიჭიც. იგი ხშირად და წარმატებით იბეჭდება ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში. სხვათა შორის, ვაჟას ეკუთვნის რამდენიმე სიმღერა მეუღლის პოეტურ ტექსტებზე.


ძალზე ნიჭიერი მუსიკოსია მათი ქალიშვილი ნათია აზარაშვილი. იგი ჩინებული პიანისტი გახლავთ და მამის საფორტეპიანო ნაწარმოებების საუკეთესო შემსრულებელია. მშვენიერი მუსიკალური მონაცემები აქვს ვაჟას საყვარელ შვილიშვილს, ნორჩ მუსიკოსს, ნ წლის თეკლას.

ასე რომ, ამ შესანიშნავი მუსიკალური ოჯახის მომავალი საცვებით საიმედოდ უნდა ჩაითვალოს.

როდესაც ვსაუბრობთ ვაჟა აზარაშვილის ადამიანურ თვისებებზე, შეუძლებელია არ გაგვახსენდეს, რომ იგი დაჯილდოებულია არაჩვეულებრივი იმიტატორული ნიჭით, რაც მუდამ ინვევს მაყურებელთა აღტაცებას, ამან და თანდაყოლილმა იუმორის გრძნობამ მას, დამატებით კიდევ პოპულარობა მოუპოვა ფართო საზოგადოებაში.

ლეგენდარულად იქცა მისი ფრთოსანი — გამოთქმები: სკეპტიკური — „გუშინ, მოდი!“ განსაკუთრებით კი, — ოპტიმისტური — „ის აქ არის!“, რომელიც ლამის საყოველთაო სასაუბრო ლექსიკონშიც დამკვიდრდეს (ერთხელ პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემაც კი გამოიყენა ვაჟასადმი მისალოც დეპეშაში). ჩვენც ეს წერილი ამ გამოთქმით დავამთავროთ, რომლის ერთობ ტევად აზრობრივ შინაარსში სახელოვანი იუბილარის დიდი ხნით კარგად ყოფნასა და ახალ შემოქმედებით წარმატებებს ვგულისხმობთ.

„ის აქ არის!“ „ის აქ არის, ჩვენი ვაჟა!“.



ლევან  
სამხარაძე

"ღლის ბაჰიასვანება"

\*\*\*

მეწვია ძაძებში შემოსილი ღამე, ფრთხილად შემოიხედა ფანჯარაში და სევდიანად მამცნო ღღის გარდაცვალება. არსად სულიერი აღარ ჭაჭანებს. ირგვლივ მდუმარება გამეფებულია.

ძილმა მოიცვა არემარე. მხოლოდ ისინი ფხიზლობენ, ვისთვისაც მთვარე ისეთივე შთაგონების წყაროდ ქცეულა, როგორც იყო ბეატრიჩე — დანტესთვის, ან დულსინეა — დონ კისოტისთვის.

მთვარე დღისითაც ჩანს, მაგრამ რაღაც აკლია. დღისით მზეა ბატონი ამ ქვეყნისა, იგია სულის ჩამდგმელი და გამლამაზებელი დედამინისა. მზე ღამაზია. სადაც იგია, იქ სითბოცაა, სიყვარულიც და სიცოცხლაც, მაგრამ მთვარე სულ სხვაა. მასთან მხოლოდ მარტოსულნი და გრძნობებს აყოლილნი გრძნობენ

თავს კარგად. მთვარეს არ უყვარს კანონზომიერება. იგი მეოცნებე, გონიერ ადამიანებს უღებს გულის კარებს.

მთვარის მკრთალმა ნათელმა მოკრძალებულად გაანათა უკიდევანო ცა.

დადგა დრო ფიქრისა, ოცნებისა.

სულ ცოტაც და უსასრულობას შევუერთდები.

2000 წელი.

\*\*\*

კვლავ გაერია ჩემი თავი ღამის წყვედიადში.

კვლავ გავიგონე ჩემსა და ცხოვრებას შორის გაბმული სიმის განწყვეტილი ზრიალი.

კვლავ ჩავიძირე უსასრულობაში.

იქნებ აქ დავრჩე სამუდამოდ!

ვხედავ, როგორ ძერწავს მოქანდაკის უჩინარი ხელი ღრუბლებისგან შენს სახეს, რომელიც დედამინას შუაზე გააპობს, რათა ყველაზე სპეტაკ მარმარილოს შთაბეროს სული,

იმ სპეტაკ სულს პოულობს, კანმა რომ მინა მიაყარა სამუდამოდ.

შეგეხიზნები, ორი სხეული მეტისმეტად დიდია ჩვენთვის.

ჩვენ ერთ სხეულში ჩავსახლდებით,

თუნდაც პეპელაში,

ან სულაც იმ ქანდაკებაში, ბუნებამ რომ გამოგვიძერწა.

ალბათ, როდენიც

ასე ჩასახლდა მარმარილოში —

„მარადიული გაზაფხული“ რომ დაერქვა.

იცოდე, მე არსად სხვაგან არ ვარ.

მე შენს სხეულში ვარ

და სულ ადვილად მიპოვნი მანდ,

როცა გაგახსენდები.

ჩემს სხეულს კი დაუნანებლად

მივაბარებ წყვედიადს.

2000 წელი.

\*\*\*

ამქვეყნად არ მეგულება უფრო დიადი ფრინველი, ვიდრე არწივია, მოქნილი, ძლიერი. ღმერთმა ჯილდოდ უბოძა ბასრი კლანჭები და ცეცხლისმფრქვეველი თვალეები. თითქოს მის შესაქმნელად თავად ოლიმპოს ღმერთები შეკრებილან. ვენერას სინარნარე და სილამაზე უბოძებია, ჰეფესტოს — რკინასავით მაგარი კლანჭები და გორდა მახვილივით მოკაუჭებული ნისკარტი, აპოლონს — სიჯანსაღე და სხეულის სიმკვრივე, სიძლიე-

რე და გამჭოლი გამოხედვა, სადღაც, ალბათ, დიონისეს მათრობელა ხელიც ურევია. ყველაფერი ერთად ქმნის რაღაც შთამაგონებელს, დიადს.

დააკვირდით, როგორ ზვერაგვს გარემოს ალმასივით ბრჭყვიალა თვალებით, მოთმინება ენურება, ტოტს ღრმად ასობს ბრჭყალებს, როცა ხედავს თუ როგორი სიფრთხილით მოდის სოროდან კურდღელი, რომელიც ცდილობს არ გამოჩნდეს არცერთი გაფაჩუნება თუ მოძრაობა და ამის გამო გული კვლავ თავის უსაფრთხო სოროში მიუხნევს, თუმცა შიშშილი გარეთ ერეკება.

არწივი თავს დაბლა ხრის, ფრთებს თრთოლვით განზე შლის, ეძებს ხელსაყრელ შემთხვევას, რათა ნადავლი დიდებულად იგდოს ხელთ. მისი ნადირობა მთელი ლეგენდაა, რომელშიც ჩაქსოვილია მედიდურობა, ზიზღი, სიძლიერე სიამაყე... ნელ-ნელა ტოტიდან წამოიწევა, ფრთებს განზე გასწევს და ერთი დაკვრით გაჰკვეთს ჰაერს. დააკვირდით, როგორ აფრქვევენ ცეცხლს თვალები, ბასრ



ლევან სამხარაული „შენ და გაზაფხული“

კლანჭებს უკან იწყობს, მისთვის ამქვეყნად აღარაფერი არსებობს, გარდა მსხვერპლისა და მისი შეპყრობის სურვილისა.

საწყალი ნადავლი ხედავს მოლივლივე სხეულს, გაშლილ ფრთებს, რომლებიც მზის ოქროსფერ სხივებზე კიდევ უფრო მეტ სილამაზეს და ბზინვარებას იძენენ. წამით ყუჩდება, ალბათ ტკბება სილამაზით, მაგრამ გადარჩენის ინსტინქტი აიძულებს გაიქცეს, გაიქცეს,

მაგრამ სად?.. განა ასე ადვილია დაუსხლტე ღმერთების რჩეულს?! არწივი კლანჭებს შლის, მსხვერპლი უკანასკნელად ხედავს მის იარაღზე გამკრთალ სინათლის სხივს. ფრთები მალლა ინევა, კლანჭები წინ, შემზარავი ხახა იღება... მსხვერპლი გრძნობს როგორ ესობა ზურგში ბასრი იარაღი, გაქცევის ცდა უკვე უნაყოფია. ძვალთამკვეთელი ნისკარტი ტვინში ეცემა და სამუდამოდ უზნელებს მზეს.

მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ყველაზე შთამბეჭდავი... მსხვერპლი არწივის ძლიერ კლანჭებში სულს ლაფავს, აფორიაქებული მტვრის ნაწილაკები კვლავ მშობელ დედას ეხუტებიან. არწივი თავს მალლა წევს და ირგვლივ მიმოიხედავს. ამ გამოხედვაში ჩაქსოვილია მთელი მისი მოდგმის ბუნება. თვალებში გამარჯვებით გამოწვეული სიხარულის სხივი უციმციმებს, ირგვლივ იფრქვევა მისი სიამაყე, სიამაყე, გამოცდილება, რითაც აგრძნობინებს სხვა მტაცებლებს აშკარა უპირატესობას. ნადავლს გაგლეჯს, ამოიღებს უგემრიელეს ნაწილებს, შეექცევა წყნარად და აუღელვებლად. არა აქვს იმისი შიში, რომ ვინმე მეფურ ნადიმში შეეცილება. შემდეგ სისხლში ამოსვრილ ნისკარტს ქვაზე გაუსვ-გამოუსვამს, ალესავს, რათა მომავალი ნადავლიც ერთი დაკვრით განგმიროს, ფრთებს შეიბერტყავს და აიჭრება ზეცაში, ასცდება ღრუბლებს და იქიდან გადმოხედავს თავის ნაკრძალს. უტოვებს ნანადირევის ნარჩენებს სვავებსა და ტურებს გამოსახრავად.

ნურავინ იტყვის, რომ იგი არაა ფრინველთა შორის უპირველესი. განა მარტო ფრინველთა შორის? მე მას შევადარებდი საქართველოს დიად მეფეებს, რომლებიც პიროვნულად მართლაც რომ ჩამოჰგავდნენ არწივს. განა დაამარცხებს არწივი ლომს? თუმცა შეიძლება დაჭრას, დაასისხლიანოს. რა არის მისი სისუსტის მიზეზი? — სხეულის სიმცირე და ძალის აშკარა შეუსაბამობა. განა ვერ გახდებოდნენ დავით, გიორგი, ვახტანგი მსოფლიოს მბრძანებლები ღმერთს რომ ებოძებინა მათთვის ურიცხვი თანამემამულე და ჩაესახა განუზომელი ერთგულება თითოეული ქართველის გულში.

2000 წელი





ფოტოსურათზე: მარჯანიშვილის თეატრის გამსვლელი ბრიგადის წევრები ბოლნისში. ყველას ამოცნობა ვერ მოხერხდა. დგანან: (მარცხნიდან მარჯვნივ) 1. მიხეილ მგალობლიშვილი, 2. მიხეილ მგელაძე, 3. ალექსანდრე სიხარულიძე, 4. არჩილ გომიაშვილი, 5. ალექსანდრე ომიძე, 6. სესილია თაყაიშვილი, 7. ?, 8. საბარგო ტაქსის კაბინაში — შაქრო გომელაური, ძარაზე სხედან: 1. ვერიკო ანჯაფარიძე, 2. თამარ სხირტლაძე, ძარაზე დგანან: 1. კოტე თოლორაია, 2. ?, 3. გოგი ტატიშვილი, 4. მერი დავითაშვილი, 5. ?, 6. ?, 7. ?, 8. მარინე თბილელი.

მიხეილ მგალობლიშვილის არქივიდან  
ფოტოსურათი მოგვანოდა მიხეილ ანთაძემ,  
რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.



რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ


კომპიუტერული უბრუნველყოფა:  
ზაზა ჩუგოშვილი

რედაქციის მისამართი:

რუსთაველის გამზ. 42  
ტელ.: (+995 32) 93 18 69;  
(+995 99) 25 60 14.  
E-mail: vajao@posta.ge



2006 - 937



დავით კაკაბაძე

იმერეთი




დავით კაკაბაძე

იმერეთი

08171/12

2006-937



ფასი 3 ლარი

ISSN 1512-3189